

ნატი გელოვანი

დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის  
მტკიცების პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში

წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი  
თბილისი, 0159, საქართველო  
2025 წელი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი  
იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებთ, ნატი გელოვანის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „**დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის მტკიცების პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში**“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

სამეცნიერო ხელმძღვანელი : \_\_\_\_\_ (ირინე ბოხაშვილი)

რეცენზენტები: \_\_\_\_\_

თარიღი: \_\_\_\_/\_\_\_\_/\_\_\_\_

## რეზიუმე

სადოქტორო ნაშრომი ეხება დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის მტკიცების პრობლემას სისხლის სამართლის პროცესში, გამოძიების ეტაპზე, გამოძიების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად წარმოების ფარგლებში, დანაშაულის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირების ვალდებულებას და მართლმსაჯულების პროცესში ამ მოტივის სათანადო გათვალისწინების მნიშვნელობას.

ნაშრომის მიზანია გაანალიზოს, რამდენად ეფექტიანად ასრულებენ სახელმწიფო უწყებები (სამართალდამცავი ორგანოები, მათ შორის, საქართველოს საერთო სასამართლოები) საკუთარ ფუნქციებს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების იდენტიფიცირებისა და სამართლებრივი რეაგირების კუთხით.

ნაშრომი ემყარება ინტერდისციპლინურ მიდგომას და ეფუძნება როგორც ნორმატიული ჩარჩოს ანალიზს, ასევე პრაქტიკის მრავალმხრივ შეფასებას. ამისთვის გაანალიზდა ადგილობრივი (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, საქართველოს პროკურატურის, სახალხო დამცველის და სხვა უწყებების) და საერთაშორისო ინსტიტუციების ანგარიშები (ევროპის საბჭოს, გაეროს დოკუმენტები და სხვა) და გადაწყვეტილებები, ასევე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული 32 განაჩენი, რომლებშიც იკვეთებოდა დანაშაულის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენა. გარდა ამისა, განხორციელდა ემპირიული კვლევა - ჩატარდა ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები 19 პირთან, რომელთა შორის იყვნენ სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები - დაზარალებულები, მოწმეები, ადვოკატები, ყოფილი სამართალდამცავები, მოქმედი მოსამართლეები, ასევე, სახალხო დამცველის მოქმედი და ყოფილი წარმომადგენლები.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მიუხედავად გარკვეული პროგრესისა სამართლებრივ ჩარჩოში, მისი ეფექტიანი გამოყენება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. გამოვლინდა, რომ გამოძიების ეტაპზე დისკრიმინაციული მოტივის დადგენის პრაქტიკა არასრულყოფილია, სამართალდამცავი ორგანოები ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებენ შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირებას ან მასზე სათანადო რეაგირებას.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ გამოწვევები არსებობს ინსტიტუციური მიმართულებითაც, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოების და სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების სათანადო მგრძნობელობის თუ კვალიფიკაციის კუთხით, ასევე საზოგადოების დაბალი ცნობიერების და მგრძნობელობის, დაზარალებულთა მხარდამჭერი სერვისების არაეფექტურობის თუ სხვა სისტემური გამოწვევების მიმართულებით. არსებული გამოწვევების შედეგად კი ამ კატეგორიის დაზარალებულები ვერ

იღებენ ეფექტურ და სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას, ხოლო სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული სამართლებრივი რეაგირება ვერ ასახავს დანაშაულის სრულ კონტექსტს.

ნაშრომი ითვალისწინებს რეკომენდაციებს, რომლებიც შეეხება როგორც სამართლებრივი რეგულაციების გამკაცრებას, ისე ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას, მათ შორისაა: სამართლებრივი ჩარჩოს (მატერიალური და პროცესუალური) დახვეწა-გაუმჯობესება, გამოძიების ეტაპზე დანაშაულის მოტივის შეფასების სტანდარტების შემუშავება, გამოძიების სპეციალიზებული ქვედანაყოფების შექმნა/გაძლიერება, სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე გამომძიებელთა, პროკურორთა და მოსამართლეთა ტრენინგების სისტემატიზაცია, მართლმსაჯულების განმხორციელებელი უწყებების (საგამომძიებო, საპროკურორო და სასამართლო) მონიტორინგის მექანიზმის გაძლიერება და პრაქტიკის ანალიზის / შეფასების მექანიზმების დანერგვა/განვითარება.

ამრიგად, ნაშრომი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აკადემიური, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც, რადგან ის შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს სისხლის სამართლის პრაქტიკოსებისთვის, კანონმდებლებისთვის, სისხლის სამართლის პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის და იმ პროფესიონალებისთვის, რომლებიც დაკავებულნი არიან ადამიანის უფლებების დაცვითი საქმიანობით.

**საკვანძო სიტყვები:**

დისკრიმინაციული დანაშაული, გამოძიება, მტკიცების პროცესი, მართლმსაჯულების განხორციელება.

The doctoral dissertation explores the challenges related to proving bias-motivated crimes within criminal proceedings. It focuses on the obligation to identify discriminatory motives during the investigation stage, within the framework of conducting a comprehensive, thorough, and objective investigation. The research also emphasizes the importance of adequately considering such motives throughout the process of administering justice.

The aim of the dissertation is to analyze the extent to which state institutions - particularly law enforcement agencies and the common courts of Georgia - effectively fulfill their responsibilities in identifying and responding to crimes committed with a discriminatory bias.

The dissertation adopts an interdisciplinary approach and is based on both an analysis of the normative framework and a multifaceted assessment of practice. To this end, it examines reports and decisions issued by local institutions - including the Ministry of Internal Affairs of Georgia, the Special Investigation Service, the Prosecutor's Office of Georgia, the Public Defender's Office, and others - as well as by international bodies such as the Council of Europe and the United Nations. In addition, the research analyzes 32 judgments delivered by the common courts of Georgia, in which crimes were identified as having been committed with a discriminatory motive.

In addition, empirical research was conducted through semi-structured interviews and focus group discussions involving 19 participants. These included actors engaged in the criminal justice process - such as victims, witnesses, defense lawyers, former law enforcement officials, and sitting judges - as well as current and former representatives of the Public Defender's Office.

The research findings indicate that, despite certain progress in the legal framework, its effective implementation remains one of the key challenges. The study reveals that the practice of identifying discriminatory motives during the investigative stage is inadequate. In many cases, law enforcement agencies fail to recognize intolerance-based motives or to respond to them appropriately.

The research also revealed institutional challenges, including insufficient sensitivity and qualifications among representatives of law enforcement bodies and other state institutions, low public awareness and sensitivity, ineffective support services for victims, and other systemic issues. As a result of these shortcomings, victims of this category of crime often do not receive effective and comprehensive legal protection, and the legal response provided by state authorities fails to reflect the full context of the offenses committed.

The dissertation offers a set of recommendations addressing both the strengthening of legal regulations and the enhancement of institutional capacities. These include: refining and improving the legal framework - both substantive and procedural, developing standards for assessing the motive behind crimes at the investigative stage, establishing or reinforcing specialized investigative units, systematizing training programs for investigators, prosecutors, and judges handling criminal cases, strengthening monitoring mechanisms for justice institutions (investigative bodies,

the prosecution, and the judiciary) and introducing or further developing mechanisms for analyzing and evaluating institutional practices.

Thus, the dissertation is significant not only from an academic perspective, but also in practical terms, as it may serve as a useful resource for criminal justice practitioners, legislators, policymakers in the field of criminal law, and professionals engaged in human rights protection.

**Keywords:**

hate crime, investigation, evidentiary process, judicial process.

## შინაარსი

შესავალი .....	10
თავი I. დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ცნება .....	15
1.1. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი და მისი მნიშვნელობა .....	25
1.2 დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული ქართულ სისხლის სამართალში .....	28
1.2.1 სისხლის სამართლის დანაშაულები, სადაც დისკრიმინაციული ნიშანი წარმოადგენს დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ელემენტს .....	29
1.2.2 სისხლის სამართლის დანაშაულები, სადაც დისკრიმინაციული ნიშანი წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს .....	31
1.2.3 სისხლის სამართლის დანაშაულები, რომლის შემადგენლობაშიც არ არის გათვალისწინებული დისკრიმინაციული ნიშანი, მაგრამ მიეთითება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53 <sup>1</sup> მუხლი..	43
1.3 დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის შესაძლო სამიზნე .....	49
1.4 დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის ინდიკატორები..	53
1.4.1 დაზარალებულთან დაკავშირებული გარემოებები .....	57
1.4.2 ბრალდებულთან დაკავშირებული გარემოებები .....	61
1.4.3 დანაშაულის დროსა და ადგილთან დაკავშირებული გარემოებები .....	64
1.4.4 სხვა გარემოებები .....	65
თავი II. დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიების წარმოების თავისებურებანი .....	70
2.1. დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის მტკიცებულება..	72
2.2. ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების თავისებურებანი .....	76
2.3 დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების თავისებურებანი ..	81
თავი III. დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის მტკიცების პროცესი და სტანდარტები .....	86
3.1. მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე სამართალწარმოების განხორციელების დროს .....	88

3.2 მტკიცების სტანდარტი.....	90
3.2.1 დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი.....	91
3.2.2 საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებების სტანდარტი .....	93
3.2.3 ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტი .....	94
3.2.4 გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი .....	97
თავი IV. სასამართლო განხილვისა და განაჩენის დადგენის თავისებურებანი .....	102
4.1 ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომა .....	102
4.2 დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის საქმის განხილვა წინასასამართლო სხდომაზე.....	104
4.2.1 ბრალდების მხარის უფლებამოსილება ბრალის დაზუსტების თაობაზე.....	106
4.2.2 წინასასამართლო სხდომის მოსამართლის როლი მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტაში .....	107
4.3 სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის ეტაპი.....	111
4.3.1 მოწმის/დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემა/ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა .....	112
4.3.2 ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემა/დუმილის უფლებით სარგებლობა .....	114
4.3.3 სხვა სახის მტკიცებულებების გამოკვლევა.....	116
4.3.4 მოსამართლის მიერ განაჩენის დადგენა.....	118
4.3.4.1 მოსამართლის უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიკაციის შეცვლასთან დაკავშირებით .....	119
4.3.4.2 მოსამართლის უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმეში არსებულ დამამძიმებელ გარემოებებზე მსჯელობასთან დაკავშირებით.....	121
თავი V. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესის განხორციელების თანამედროვე გამოწვევები.....	136
5.1 ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები.....	138
5.2 დაზარალებულთან და მის მხარდაჭერასთან დაკავშირებული ხარვეზები.....	143
5.3 საგამოძიებო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარვეზები .....	153

5.4 საპროკურორო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარვეზები.....	163
5.5 სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარვეზები.....	169
5.6 სხვა მნიშვნელოვანი ხარვეზები.....	173
თავი VI. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების თაობაზე მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და გამოქვეყნების მნიშვნელობა.....	178
6.1 საქართველო.....	180
6.1.1 შინაგან საქმეთა სამინისტროს და სპეციალური საგამომძიებო სამსახურის მიერ წარმოებული სტატისტიკური ინფორმაცია.....	186
6.1.2 საქართველოს პროკურატურის მიერ წარმოებული სტატისტიკური ინფორმაცია.....	189
6.1.3 უზენაესი სასამართლოს მიერ წარმოებული სტატისტიკური ინფორმაცია.....	192
6.1.4 სტატისტიკური მონაცემების ანალიზი.....	193
6.2 საზღვარგარეთის საუკეთესო პრაქტიკა .....	196
6.2.1 შვედეთი.....	196
6.2.2 გაერთიანებული სამეფო.....	200
6.2.3 ხორვატია .....	203
6.2.4 ნორვეგია .....	205
6.3 დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების თაობაზე მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და გამოქვეყნების შესახებ არსებული მოდელების ერთობლივი ანალიზი ...	207
თავი VII. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე ეფექტიანი სამართალწარმოების ჩატარებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი ინსტიტუტები და სტანდარტები.....	209
დასკვნა.....	225
ბიბლიოგრაფია .....	236
დანართი .....	Error! Bookmark not defined.

## აბრევიატურა

- სსსკ - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი;

- ოდირი - დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი;
- ეუთო - ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია;
- ევროკონვენცია - ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია;
- ევროსასამართლო - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო;
- გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია;
- CEDAW კონვენცია - გაეროს კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;
- სტამბოლის კონვენცია - ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია;
- ვენეციის კომისია - ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად;
- „იდენტობას ჯგუფის საქმეები“ - ამ სახელის ქვეშ მოიაზრება საქმეები, რომელიც განხორციელდა კერძო პირების მიერ ლგბტი+ აქტივისტების (2012 და 2013 წლებში) და იეჰოვას მოწმეების (1999-2001 წლებში ძალადობრივი შეხვედრების დროს) მიმართ;
- „თხელიძის ჯგუფის საქმეები“ - ეს საქმეები ეხება 2014-2017 წლებში საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე სახელმწიფოს მიერ არაეფექტური პრევენციული ღონისძიების განხორციელების შემთხვევებს: A და B საქართველოს წინააღმდეგ, გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ, თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ;
- იხ. - იხილეთ;
- თბ. - თბილისი;
- რედ. - რედაქტორი;
- გვ. - გვერდი;
- ა.შ. - ასე შემდეგ;
- ავტ. კოლექტივი - ავტორთა კოლექტივი.

„განათლება ყველაზე ძლიერი იარაღია, რომლის გამოყენებაც შეგიძლიათ სამყაროს შესაცვლელად“<sup>1</sup>

## შესავალი

<sup>1</sup> ნელსონ მანდელა - აქტივისტი, სამხრეთ აფრიკის პირველი პრეზიდენტი.

თანასწორობის იდეა არახალია, მსოფლიო საუკუნეებია იბრძვის თანასწორობისთვის. თანასწორობასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს ვხვდებით ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით დათარიღებულ მსოფლიო წყაროებში,<sup>2</sup> თუმცა, ეს საკითხი არც ქართული ისტორიისთვის იყო უცხო, ჯერ კიდევ მე-12 საუკუნის ქართული ლიტერატურა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს თანასწორობის, განსაკუთრებით სქესის ნიშნით თანასწორობის იდეის გავრცელებას - „ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხვადია“.<sup>3</sup> თანასწორობის იდეის რეალიზებას ემსახურება XVIII-ე საუკუნეში საქართველოში დაწერილი სამართლის ერთ-ერთი ნორმა - „სამართალი უნდა ყოფილიყოს საერთო ყოვლისათვის, დიდისა და მცირისა.“<sup>4</sup> საქართველოში თანასწორობის მნიშვნელობის ხაზგასმას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მე-19-მე-20 საუკუნეებში, როდესაც თანასწორობა აქტიურად ჩნდება სხვადასხვა მწერლის (ილია ჭავჭავაძე, ვაჟა ფშაველა, აკაკი წერეთელი, გრიგოლ ორბელიანი და სხვა.) შემოქმედებაში. ილია ჭავჭავაძე ამბობდა - “კანონის წინაშე თანასწორობა საზოგადოების წესიერი აგებულების საფუძვლის ქვაკუთხედაა“<sup>5</sup>, რაც სავსებით გადმოსცემს თანასწორობის იდეის მნიშვნელობას და მის გავლენას ადამიანთა ცხოვრებაზე.

თანასწორობის საწინააღმდეგო მოქმედება გულისხმობს უთანასწორო ანუ დისკრიმინაციულ მოპყრობას, რომელიც მრავალგვარი ფორმით შეიძლება განხორციელდეს და რომელიც არ გულისხმობს მხოლოდ აქტიურ მოქმედებას და ძალადობას. თანასწორობის საწინააღმდეგოდ ქმედება შეიძლება გამოიხატებოდეს უმოქმედობაშიც, რისი მიზეზი/საფუძველი მრავალგვარი შეიძლება იყოს, ძირითადად ის აერთიანებს სიძულვილს, სტერეოტიპულ დამოკიდებულებას. ამგვარი

<sup>2</sup> "...მივიღო სამართალი ქვეყნის დაჩაგრულთათვის, ქვრივებისა და ობლების დასაცავად..." - შესავალი, ჰამურაბის კოდექსი, ძვ. წ. XVIII ს; „ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც შენ არ გესიამოვნებოდა.“ - კონფუცი, „ლუნ იუ“ („განთქმული საუბრები“), ძვ. წ. VI – V ს. და სხვა.

<sup>3</sup> ვეფხისტყაოსანი, შოთა რუსთაველი, XII ს.

<sup>4</sup> “დაწერილი სამართალი“, ვახტანგ VI, XVIII ს.

<sup>5</sup> „კანონის წინაშე თანასწორობის შესახებ“, ილია ჭავჭავაძე, 1887.

დამოკიდებულების მსვლელობას, განვითარებას კარგად ასახავს სიძულვილის პირამიდა,<sup>6</sup> რომელიც ხუთ საფეხურს აერთიანებს:

1. მიკერძოებული დამოკიდებულება - სტერეოტიპები და მცდარი წარმოდგენები, სტიგმები თუ ზოგადი წარმოდგენები;
2. მიკერძოების მოქმედება - ბულინგი, ეპითეტები, შეურაცხმყოფელი ხუმრობები, თავის არიდება, დაცინვა, დამაკნინებელი სახელების შერქმევა/დამახება;
3. დისკრიმინაცია - გაუმართლებელი უთანასწორო მოპყრობა, შევიწროება, საზოგადოებისგან გარიყვა, სეგრეგაცია, სერვისებზე წვდომის შეზღუდვა;
4. მიკერძოებით მოტივირებული ძალადობა - მკვლელობა, ცეცხლის წაკიდება, გაუპატიურება, ტერორიზმი, თავდასხმა, მუქარა;
5. გენოციდი - მოსახლეობის მთლიანი ჯგუფის განზრახ, სისტემატური განადგურება.

სიძულვილის პირამიდა კარგად ასახავს რა გამოუსწორებელ შედეგამდე შეიძლება მივიდეს ერთი შეხედვით ნეიტრალური შეხედულება თუ დამოკიდებულება. მოცემული ნაშრომი შეეხება სიძულვილის პირამიდის მეოთხე საფეხურს - დისკრიმინაციული ნიშნით/მოტივით ჩადენილ დანაშაულს.

დისკრიმინაციული ნიშნით/მოტივით ჩადენილი დანაშაულის სწორად კვალიფიცირება და შეფასება არ არის მხოლოდ იურიდიული ფორმალობა, აღნიშნული უშუალო გავლენას ახდენს დაზარალებულის უფლებების დაცვაზე, საზოგადოების ნდობაზე მართლმსაჯულების სისტემის მიმართ და სახელმწიფოს რეპუტაციაზე საერთაშორისო დონეზე.

დისკრიმინაციული ნიშნით/მოტივით ჩადენილი დანაშაული განსაკუთრებულად საფრთხის შემცველია, რადგან მისი სამიზნე არ არის მხოლოდ ერთი ინდივიდის ფიზიკური თუ ქონებრივი დაზიანება, ეს

---

<sup>6</sup> Pyramid of hate, <<https://www.queensu.ca/hreo/resources/antisemitism/pyramid-hate>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

დანაშაული თავისი არსით ყოველთვის არის შეტყობინების გამგზავნი სამიზნე ჯგუფის სხვა წევრებისთვის,<sup>7</sup> იგი ქმნის შიშს, წუხილს და სამართლებრივი დაუცველობის განცდას - „როგორც ჟან ჟაკ რუსო ამბობდა შეუძლებელია მიაყენო შეურაცხყოფა ერთ პიროვნებას ისე, რომ მთლიანად საზოგადოებას არ მიაყენო შეურაცხყოფა და ზიანი.“<sup>8</sup> სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ამგვარი დანაშაულის იდენტიფიცირება, გამოძიება და სამართლებრივი შეფასება იყოს სრულყოფილი და ეფექტიანი. ამ პროცესში კი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა არის მოტივის მტკიცება, ამასთან, ეს გამოწვევა ისე უნდა იქნეს დაძლეული, რომ შენარჩუნდეს სისხლის სამართლის პროცესით გარანტირებული მტკიცების სტანდარტები, რათა არ დაირღვეს მხარეთა უფლებები და პროცესი იყოს სამართლიანი. სწორედ ეს არის ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი საკვლევი საკითხი: რამდენად ეფექტიანად, ობიექტურად და სამართლებრივად გამართულად ხდება დისკრიმინაციული მოტივის გამოვლენა, მტკიცება და შეფასება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში და შეესაბამება თუ არა არსებული სტანდარტები საერთაშორისო მოთხოვნებს.

ნაშრომი შედგება შვიდი ძირითადი თავისგან, რომლებიც მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტს. პირველი თავი ეთმობა დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის დეფინიციას და მის სამართლებრივ კონტექსტს, სადაც გაანალიზებულია როგორც ეროვნული კანონმდებლობა, მათ შორის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის ის ნორმები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ასახავენ დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებს. ამავე თავში განხილულია ასევე ის ინდიკატორები, რომელთა იდენტიფიცირებით შესაძლებელია დისკრიმინაციული მოტივის დადგენა. მეორე თავში ყურადღება

---

<sup>7</sup> Jennifer Schweppe. "What is a hate crime?", Cogent Social Sciences, 2021, Perry, B. (2001). In the Name of Hate, p.10.

<sup>8</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 18 იანვრის №1გ/79-17 განჩინება, 3.

გამახვილებულია გამოძიების თავისებურებებზე, რაც მოიცავს მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში არსებული სირთულეების ანალიზს როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარის პერსპექტივიდან. მესამე თავი განიხილავს მტკიცების პროცესს, სტანდარტებსა და სამართლებრივი პროცედურების შინაარსობრივ ასპექტებს, განსაკუთრებით კი დისკრიმინაციული მოტივის დამტკიცების სპეციფიკას სხვადასხვა მტკიცების სტანდარტთან მიმართებით. მეოთხე თავი ეხება სასამართლო განხილვის ეტაპებსა და განაჩენის გამოტანის პროცესში არსებულ პრაქტიკულ და სამართლებრივ მახასიათებლებს, ამავე თავში გაანალიზებულია ასევე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული განაჩენები. მეხუთე თავში განხილულია ის დამაბრკოლებელი გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის დისკრიმინაციული მოტივის სათანადო გამოძიებასა და სამართლებრივ რეაგირებას. მეექვსე თავი ეხება მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და გამოქვეყნების პრაქტიკას, სადაც შედარებით ანალიზზე დაყრდნობით წარმოჩენილია როგორც საქართველოს რეალობა, ასევე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა. ბოლო, მეშვიდე თავი ეხება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს და მათი ინტეგრირების აუცილებლობას საქართველოში არსებულ რეგულირებასთან მიმართებით, რაც ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხის გაუმჯობესებას და სამართლებრივი მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას.

მოცემული ნაშრომის მთავარი მიზანია, სიღრმისეულად განმარტოს დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის არსი და ცნება, გაანალიზოს და წარმოაჩინოს ის სისტემური და პრაქტიკული ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის ამ კატეგორიის დანაშაულების სწორად გამოძიებასა და მოტივის იდენტიფიცირებას. ამასთან, საერთაშორისო სტანდარტების და პრაქტიკის შესწავლისა და შეფასების საფუძველზე, ნაშრომი შეეცდება წარმოაჩინოს ის სამართლებრივი სტანდარტები, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა. ნაშრომი მიზნად

ისახავს არსებული გამოწვევების გაანალიზებას და პრობლემებზე რეაგირების რეკომენდაციების შემუშავებას. ის ასევე ემსახურება დისკუსიის წახალისებას სახელმწიფოს, აკადემიური წრეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის.

ნაშრომი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აკადემიური, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც, რადგან ის შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს სისხლის სამართლის პრაქტიკოსებისთვის, კანონმდებლებისთვის, პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის და იმ პროფესიონალებისთვის, რომლებიც დაკავებულნი არიან ადამიანის უფლებების დაცვით.

## **თავი I. დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ცნება<sup>9</sup>**

---

<sup>9</sup> აღნიშნულ საკითხზე თემატური სტატიები იხ.: გელოვანი, ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული ქართულ სისხლის სამართალში, 2022, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №2 (74) 22, გვ. 114-131, <chrome-

საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ მიუთითებს, რომ - „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.“<sup>10</sup> მართალია აღნიშნული ჩანაწერი ხარვეზულია ვინაიდან ის არ მოიცავს დისკრიმინაციის ყველა ნიშანს, თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლო როგორც საქართველოს კონსტიტუციის შინაარსობრივი განმარტების მექანიზმი, თავისი გადაწყვეტილებების მეშვეობით გარკვეულწილად ავსებს ამ ხარვეზებს და განმარტავს, რომ დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.<sup>11</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (შემდგომში ევროსასამართლო) თავის გადაწყვეტილებაში დისკრიმინაცია განმარტა, როგორც თანასწორობის საწინააღმდეგო ქმედება - „დისკრიმინაცია არის ადამიანებისადმი სხვადასხვაგვარი მოპყრობა მეტნაკლებად მსგავს ვითარებაში, რაიმე მიზნის და ობიექტური და გონივრული დასაბუთების გარეშე.“<sup>12</sup>

---

extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/

[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/450384/1/Martlmsajuleba\\_Da\\_Kanoni\\_2022\\_N2.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/450384/1/Martlmsajuleba_Da_Kanoni_2022_N2.pdf)

გელოვანი, ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ინდიკატორები, 2023, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №4 (80) 23, გვ. 138-156

<chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/

[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/476982/5/Martlmsajuleba\\_Da\\_Kanoni\\_2023\\_N4.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/476982/5/Martlmsajuleba_Da_Kanoni_2023_N4.pdf)

{უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>10</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11, დოკუმენტის ნომერი: 786,

<https://matsne.gov.ge/document/view/30346?publication=36>

{უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>11</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის №2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბომე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II-22.

<sup>12</sup> Willis v. the United Kingdom, {2002}, ECHR, 48.

აღსანიშნავია, რომ განსხვავებით მაგალითად ღირსების უფლებისგან თუ წამებისგან დაცვის უფლებისგან, თანასწორობის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება, კონსტიტუცია უშვებს მის შეზღუდვას - „არსებითად თანასწორი პირების მიმართ ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა თავისთავად დისკრიმინაციას არ ნიშნავს. ცალკეულ შემთხვევაში, საკმარისად მსგავს სამართლებრივ ურთიერთობებშიც კი, შესაძლოა დიფერენცირებული მოპყრობა საჭირო და გარდაუვალიც იყოს.“<sup>13</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად: “კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს ბუნებისა და შესაძლებლობების განურჩევლად ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისათვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწორობებს პირიქით.“<sup>14</sup>

დისკრიმინაცია შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი (პირდაპირი დისკრიმინაციაა არსებითად მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირთა განსხვავებული მოპყრობა, თუ ამ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება<sup>15</sup>), ისე არაპირდაპირი ანუ ირიბი („ირიბი დისკრიმინაცია კი, პრეცედენტული სამართლის მიხედვით, განიმარტება, როგორც განსხვავებული მოპყრობის იმ ზოგადი პოლიტიკის ან ღონისძიების მავნე შედეგის სახით არსებობა, რომელიც, მართალია, ნეიტრალურადაა წარმოჩენილი, მაგრამ დისკრიმინაციულია და ერთ

---

<sup>13</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-3.

<sup>14</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“, II-2.

<sup>15</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, №ას-247-235-2017, 29 სექტემბერი, 2017 წელი, 1.4.3.

გარკვეულ ჯგუფზე მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას ახდენს, ვიდრე მსგავს მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებზე”<sup>16</sup>)

2012 წლიდან საქართველო აქტიურად მოქმედებს საკანონმდებლო დონეზე დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის კრიმინალიზების მიმართულებით, რისთვისაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში სსკ) 53-ე მუხლში დანაშაულის ჩადენის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივს განსაზღვრავს, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას,<sup>17</sup> 2014 - 2018 წლებში კი სსკ-ში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გარკვეულწილად გააუმჯობესა არსებული რეგულაციები.<sup>18</sup> თუმცა, 2024-2025 წლებში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა არაერთმა კანონმა<sup>19</sup> მნიშვნელოვნად გააუარესა დისკრიმინაციის წინააღმდეგ მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო.

სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაულის სიძულვილის/სტერეოტიპული დამოკიდებულების მოტივით ჩადენას თეორიაში და პრაქტიკაში რამდენიმე სახელით მოიხსენიებენ,<sup>20</sup> მათ შორის - სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის მოტივით

---

<sup>16</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, №ას-247-235-2017, 29 სექტემბერი, 2017 წელი, 1.4.3.

<sup>17</sup> საქართველოს კანონი საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ, დოკუმენტის ნომერი: №5925-1ს, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1637963?publication=0>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>18</sup> საქართველოს კანონი საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ, დოკუმენტის ნომერი: №763-III, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3664456?publication=0#DOCUMENT:1>; საქართველოს კანონი საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ, დოკუმენტის ნომერი: №3772-1ს, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4382866?publication=0#DOCUMENT:1;>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>19</sup> საქართველოს კანონი უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი, დოკუმენტის ნომერი - 399-IIმს-XIმპ, <<https://matsne.gov.ge/document/view/6461578?publication=0>> საქართველოს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ, დოკუმენტის ნომერი:4437-XVIმს-Xმპ, <<https://matsne.gov.ge/document/view/6283110>> და სხვა. [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>20</sup> Jennifer Scheppe. "What is a hate crime?", Cogent Social Sciences, 2021; Perry, B. (2001). In the Name of Hate.

ჩადენილი დანაშაულ, დისკრიმინაციული დანაშაული, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაული და სხვა. მიუხედავად ტერმინთა მრავალგვარობისა, ყველა ტერმინის შინაარსი იდენტურია - სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც ჩადენილია შეუწყნარებლობის, სიძულვილის მოტივით. ზოგადად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საკანონმდებლო რეგულირების მიზანია უმცირესობათა ჯგუფების დაცვა სიძულვილით შთაგონებული დანაშაულისგან.<sup>21</sup>

„სიძულვილით მოტივირებული დანაშაული“ სათავეს იღებს 1960-1970-იანი წლებიდან, ამერიკული სამოქალაქო მოძრაობის დროიდან,<sup>22</sup> თავდაპირველად ის აღნიშნავდა რასის, კანის ფერის, რელიგიის ან ეროვნების გამო ჩადენილ დანაშაულებს.<sup>23</sup>

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (შემდგომში ეუთო) დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი დისკრიმინაციულ დანაშაულებს განმარტავს, როგორც ადამიანთა გარკვეული ჯგუფის<sup>24</sup> მიმართ ჩადენილ დანაშაულებს, რომლებიც მოტივირებულია მიკერძოებულობით<sup>25</sup>, ცრურწმენით ან სიძულვილით, განმარტების თანახმად, დისკრიმინაციული დანაშაული აერთიანებს ორ გარემოებას: სსკ-ით გათვალისწინებულ დანაშაულს და

---

<sup>21</sup> Jennifer Scheppe. "What is a hate crime?", Cogent Social Sciences, 2021; Jenness, Valerie, and Grattet, Ryken. 2001. Making Hate a Crime: From Social Movement to Law Enforcement. New York: Russell Sage Foundation.

<sup>22</sup> Sotiriadis, KJ 2014, 261, 262.

<sup>23</sup> Streissguth, Hate Crimes, 2003, S. 20. Ryan D. King, Besiki L. Kutateladze, A higher bar: Institutional impediments to hate crime prosecution, Published online by Cambridge University Press: 01 January 2024.

<sup>24</sup> Jennifer Scheppe. "What is a hate crime?", Cogent Social Sciences, 2021; Wolfe, L., & Copeland, L. (1994). Violence against women as bias-motivated hate crime: Defining the issues in the USA. In M. Davies (Ed.), Women and violence (pp. 204). Zed Books.

<sup>25</sup> Jennifer Scheppe. "What is a hate crime?", Cogent Social Sciences, 2021; Berk, R. A., Boyd, E. A., & Hammer, K. M. (2003). Thinking more clearly about hate-motivated crimes. In B. Perry (Ed.), Hate and bias crime: A reader (pp. 123–15). Routledge.

მიკერძოებულ მოტივაციას.<sup>26</sup> დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (შემდგომში ოდირი)<sup>27</sup> 2009 წლის 9/09 რეკომენდაციის პრეამბულაში<sup>28</sup> სიძულვილით მოტივირებული დანაშაული განმარტებულია როგორც დანაშაული, რომელიც ჩადენილია მიკერძოების მოტივით. ევროპის საბჭოს რეკომენდაცია, CM/Rec (2010)5<sup>29</sup> არ განმარტავს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს, თუმცა, განმარტებითი მემორანდუმი, დოკუმენტი CM(2010)4 მას განმარტავს, როგორც „დანაშაულებს, რომლებიც ჩადენილია მსხვერპლის გარკვეული ჯგუფის ფაქტობრივი ან სავარაუდო კუთვნილების საფუძველზე, რაც ყველაზე ხშირად განისაზღვრება „რასით“, რელიგია, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, ეროვნება, ეთნიკური კუთვნილება, შეზღუდული შესაძლებლობები და ა.შ.<sup>30</sup>

ფაქტობრივად იგივე განმარტებას აკეთებს ევროპის საბჭოს უახლესი რეკომენდაციაც.<sup>31</sup>

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ უმეტეს შემთხვევაში ეს დანაშაული განიხილება, როგორც გზავნილი (სიმბოლური დანაშაული)<sup>32</sup>

---

<sup>26</sup> OSCE/ODIHR, Hate Crime Reporting, <<https://hatecrime.osce.org/>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>27</sup> Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR) - <<https://www.osce.org/odihr>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>28</sup> OSCE Ministerial Council, Decision No. 9/09 on Combating Hate Crimes, OSCE Ministerial Council, Athens, 2009, 1, <<https://www.osce.org/cio/40695>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>29</sup> Recommendation CM/Rec(2010)5 of the Committee of Ministers to member states on measures to combat discrimination on grounds of sexual orientation or gender identity;

<sup>30</sup> Explanatory Memorandum of the Recommendation CM/Rec(2010)5, document CM(2010)4 add3 final, 31 March 2010,

[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805cf450](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805cf450) [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>31</sup> Council of Europe, Recommendation CM/Rec(2024)4 of the Committee of Ministers to member States on combating hate crime, 2024,

[<sup>32</sup> Jennifer Scheppe. "What is a hate crime?", Cogent Social Sciences, 2021, Perry, B., & Alvi, S. \(2012\). 'We are all vulnerable'. International Review of Victimology, 18\(1\), 57.](https://search.coe.int/cm/#{%22CoEIdentifier%22:[%220900001680af9736%22],%22sort%22:[%22CoEValidationDate%20Descending%22]}> Council of Europe, Policing Hate Crime against LGBTI persons: Training for a Professional Police Response, 2025, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://rm.coe.int/prems-020325-gbr-2575-policing-hate-crime-web-final-2755-5061-3516-1/1680b4a47c> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].</a></p></div><div data-bbox=)

ადამიანთა გარკვეული ჯგუფის სხვა წევრების მიმართ, რომ არ არსებობს მათ მიმართ მიმღებლობა,<sup>33</sup> რომ ამ ჯგუფის ყველა წევრი თანაბრად არის რისკის ქვეშ.<sup>34</sup> ამასთან, „საერთაშორისოდ აღიარებულია, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სავარაუდოდ, უფრო მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მის მსხვერპლზე, ვიდრე დანაშაული, რომელიც ამგვარი მოტივით არ არის ჩადენილი.“<sup>35</sup>

საქართველოს სსკ-მ გამოიყენა ტერმინი - „დისკრიმინაციის შემცველი ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი“, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო რეგულირებასთან და აერთიანებს ორ მნიშვნელოვან ელემენტს: მიკერძოებული დამოკიდებულება (სიძულვილი<sup>36</sup> ან სტერეოტიპული) - კონკრეტული ჯგუფის ადამიანების მიმართ და სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაული. თუმცა სხვა, ზემოხსენებული ტერმინების გამოყენებაც სრულიად შეესაბამება ამ დანაშაულის შინაარსს და დასაშვებია.

დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის აუცილებელ ელემენტს - მიკერძოებულ დამოკიდებულებას რამდენიმე გარემოება<sup>37</sup> შეიძლება ქმნიდეს - განსხვავებულისადმი შიში, დამცირების სურვილი, სიძულვილი, ზიზღი, სტერეოტიპული დამოკიდებულება, შეუწყნარებლობა (სიძულვილი, აუტანლობა)<sup>38</sup>, სწორედ ამ ელემენტის არსებობა განასხვავებს

---

<sup>33</sup> OSCE/ODIHR, Hate Crime Laws a Practical Guide, 2009, P. 17,

<https://www.osce.org/files/f/documents/3/e/36426.pdf>

{უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>34</sup> Jennifer Scheppe. "What is a hate crime?", Cogent Social Sciences, 2021, Haynes, A., & Scheppe, J. (2017a). LGB and T? The specificity of anti-transgender hate crime. In A. Haynes, J. Scheppe, & S. Taylor (Eds.), Critical perspectives on hate crime: Contributions from the Island of Ireland (pp. 130). Palgrave Macmillan; Cogent Social Sciences, Volume 7, Issue 1, Understanding hate (crime), 2021

<https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/23311886.2021.1902643?scroll=top&needAccess=true#abstract> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>35</sup> Iganski, P. (2008). Hate Crime and the City. Policy Press, Paterson, J., Walters, M. A., Brown, R., & Fearn, H. (2018) The sussex hate crime project: Final report, University of Sussex, p3.

<sup>36</sup> Jennifer Scheppe. "What is a hate crime?", Cogent Social Sciences, 2021, Hall, N. (2013). Hate crime (2nd ed.)

<sup>37</sup> Jennifer Scheppe. "What is a hate crime?", Cogent Social Sciences, 2021, Brudholm, T. (2020). What is hate? In R. Sternberg (Ed.), Perspectives on hate: How it Originates, develops, manifests and spreads (pp. 65–87). American Psychological Association.

<sup>38</sup> ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 143.

ამ დანაშაულს სხვა, დისკრიმინაციული მოტივის გარეშე ჩადენილი დანაშაულებისაგან. თუმცა, მხოლოდ მიკერძოებული დამოკიდებულება არ არის საკმარისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის. აქვე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სწორედ ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი განასხვავებს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს სიძულვილის ენისაგან. 2022 წლის 20 მაისს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა შეიმუშავა რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ,<sup>39</sup> რომელშიც სიძულვილის ენა განმარტა, როგორც - „სიძულვილის ენა გულისხმობს ყველა ტიპის გამოხატვას, რომელიც ახალისებს, ხელს უწყობს, ავრცელებს ან ამართლებს ძალადობას, სიძულვილს და დისკრიმინაციას ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის წინააღმდეგ, ან რომელიც ამცირებს მათ, მათი რეალური ან მიწერილი პიროვნული ნიშან-თვისებების ან სტატუსის გამო, როგორცაა, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, ეროვნება, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობა, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა, სქესი, გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია.“<sup>40</sup>

სიძულვილი, შეუწყნარებლობა და ტოლერანტობის არ არსებობა ხელს უწყობს მტრობის და შუღლის გაღვივებას და არა მხოლოდ დისკრიმინაციას თუ უთანასწორო მოპყრობას, არამედ ამ მოტივით დანაშაულების ჩადენას, სწორედ ამიტომ არის აუცილებელი, რომ „ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გამოიყენონ ყველანაირი საშუალება რასიზმისა და რასობრივი ძალადობის აღსაკვეთად, ამავდროულად, უნდა

---

<sup>39</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, 2022,

<https://shorturl.at/faNyB><https://shorturl.at/faNyB> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>40</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რეკომენდაციის დანართი - პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები სიძულვილის ენასთან ბრძოლის ყოვლისმომცველი მიდგომის შესახებ, 2022, <https://shorturl.at/faNyB><https://shorturl.at/faNyB> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

დანერგონ საზოგადოების დემოკრატიული ხედვა, რომელშიც მრავალფეროვნება აღიქმება არა საფრთხედ, არამედ სიმდიდრის წყაროდ. <sup>41</sup>

დისკრიმინაციული დანაშაულის მეორე ელემენტი არის სსკ-თ გათვალისწინებული დანაშაული, თუმცა, არც ეს მითითება არის ამომწურავი, ვინაიდან სსკ აერთიანებს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებს, შესაბამისად, მსჯელობის საგანს წარმოადგენს შესაძლებელია თუ არა დისკრიმინაციული დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენა. დასკვნის გამოსატანად აუცილებელია განზრახვის და გაუფრთხილებლობის შეფასება. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, „განზრახვა სამკომპონენტია, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული: ცოდნა იმისა, რასაც ვაკეთებ, ნებელობა იმისა, რასაც ვაკეთებ და მართლწინააღმდეგობის შეგნება.“<sup>42</sup> განზრახვა ეს არის „სპეციალური ცოდნა“, „სპეციალური მიზანი“ და „უმართლობის დამაფუძვნებელი მოტივები“.<sup>43</sup>

კანონმდებლობა ერთმანეთისგან განასხვავებს პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულებს. პირდაპირი განზრახვის დროს ქმედების ამსრულებელმა იცის რასაც აკეთებს, შეგნებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა და აქვს ნება განახორციელოს ქმედება, არაპირდაპირი განზრახვის დროს კი ამსრულებელი არ მოქმედებს „მიზნით დეტერმინირებული ნებელობით“,<sup>44</sup> არ არსებობს სურვილის ელემენტი, თუმცა, ნებელობა მაინც არსებობს - “ნებელობის დროს პირი ახორციელებს გადაწყვეტას, რომელსაც წინ უსწრებს აზროვნება, ადამიანი მსჯელობს თითოეული შესაძლო აქტის მიზანშეწონილობის შესახებ და, ბოლოს, ერთ-ერთზე აკეთებს არჩევანს. გადაწყვეტის აქტს სხვა საფუძველი ესაჭიროება, ამ საფუძველს

---

<sup>41</sup> Nachova and Others v. Bulgaria, [2006], ECHR.

<sup>42</sup> ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 127.

<sup>43</sup> ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 261.

<sup>44</sup> ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 265.

ფსიქოლოგიაში მოტივს უწოდებენ.”<sup>45</sup> “მოტივი მოთხოვნილებებითა და ინტერესით განპირობებული ძალაა, რომელიც ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიზეზად გვევლინება, ხოლო მიზანი ის აზრობრივი მოდელია, რისი მიღწევაც პირს სურს დანაშაულის ჩადენით.”<sup>46</sup> მოტივი არის დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარის ელემენტი,<sup>47</sup> რომელიც “პიროვნებას ქცევისთვის, მოძრაობისთვის იწვევს, მოტივი და მიზანი ცალკეულ მოქმედებებსა და მოძრაობებს ერთ მთლიან აზრის, მნიშვნელობის მატარებელ ქცევად აქცევს.”<sup>48</sup>

გაუფრთხილებლობითი დანაშაულის დროს, ამსრულებელი უსაფუძვლოდ იმედოვნებს რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგი არ დადგება ან თავიდან აიცილებს მას, ან საერთოდ არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა რომ მას ამის გათვალისწინება ევალუბოდა და შეეძლო კიდეც. „გაუფრთხილებლობითი მოტივაცია“<sup>49</sup> არ არსებობს, გაუფრთხილებლობითი დანაშაული თავისი ბუნებიდან გამომდინარე შეუძლებელია ჩადენილ იქნეს არა თუ დისკრიმინაციული მოტივით, არამედ რაიმე სხვა მოტივით. „მოტივი არის ის, რაც ქცევას მნიშვნელობას აძლევს, რომლის გარეშეც იგი უბრალო ფიზიკური ფაქტი იქნებოდა“<sup>50</sup> შესაბამისად, მხოლოდ განზრახი დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ით შეიძლება იქნეს ჩადენილი დისკრიმინაციული მოტივით.

დისკრიმინაციული დანაშაულის არსებობისთვის აუცილებელია ორივე ელემენტის არსებობა - მხოლოდ შეუწყნარებლობის მოტივი ან

---

<sup>45</sup> უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, ტომი III-IV-ე, თბ., 1998, გვ. 203-205.

<sup>46</sup> დვალიძე ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 30.

<sup>47</sup> ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მეხუთე გამოცემა, რედ.: ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ., 2024, გვ. 177-183.

<sup>48</sup> კიკნაძე დ., სამართლის ცოდნა და მართლშეგნება. ჟურნალი “მაცნე”, სამართლის სერია, 1993, გვ., 34.

<sup>49</sup> ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მეხუთე გამოცემა, რედ.: ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ., 2024, გვ., 18.

<sup>50</sup> უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 2006, გვ., 210-211.

მხოლოდ სსკ-ით გათვალისწინებული განზრახი დანაშაული, გამორიცხავს დისკრიმინაციული დანაშაულის კვალიფიკაციას, მხოლოდ ორივე ელემენტის კუმულაციური არსებობა გვადლევს დისკრიმინაციულ დანაშაულის შემადგენლობას.

განსხვავებით სისხლის სამართლის კანონმდებლობისგან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ შეიცავს რეგულირებას, რომელიც შესაძლებელს გახდიდა სამართალდარღვევის კვალიფიკაციას, როგორც დისკრიმინაციულ სამართალდარღვევად. აღნიშნული კოდექსი არ იცნობს ისეთ სამართალდარღვევებს, რომელიც ქმედების შემადგენლობის ან დამამძიმებელი გარემოების სახით ითვალისწინებს ამგვარ მოტივს. მაგალითად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა - წვრილმანი ხულიგნობა, რაც გულისხმობს საჯარო სივრცეში ლანძღვა-გინებას, მოქალაქეებზე შეურაცხყოფელი გადაკიდებას და სხვა ამგვარ მოქმედებას, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან/და მოქალაქეთა სიმშვიდეს, მოცემული ქმედება თუნდაც ის ჩადენილ იქნეს დისკრიმინაციის რომელიმე ნიშნით, დაკვალიფიცირდება როგორც ჩვეულებრივი წვრილმანი ხულიგნობა, ყოველგვარი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების შეფასების გარეშე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მეოთხე თავიც კი, რომელიც განსაზღვრავს სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს არ ითვალისწინებს დისკრიმინაციული მოტივით სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დამძიმების შესაძლებლობას, რაც აფერხებს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას.

### **1.1. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი და მისი მნიშვნელობა**

საქართველომ 2014 წელს ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულების<sup>51</sup> ფარგლებში აიღო ვალდებულება მოეხდინა ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება, შესაბამისი სტანდარტების ეროვნულ დონეზე დამკვიდრება, რის საფუძველზეც იმავე წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი - „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“,<sup>52</sup> რომელსაც საზოგადოება იცნობს ასევე „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ სახელით. თავდაპირველად მიღებული კანონი გარკვეულ ხარვეზებს (დაფარვის არელების არასრულყოფილებას) შეიცავდა, რამაც რამდენიმე ცვლილების განხორციელება განაპირობა, მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2019 წლის ცვლილება, რომლითაც განიმარტა დისკრიმინაციის ისეთი ფორმები, როგორებიცაა „სექსუალური შევიწროება“ და „შევიწროება“,<sup>53</sup> ხოლო 2020 წლის 15 ივლისის ცვლილებით საჯარო უწყებების და კერძო პირების დაევალებულათ სახალხო დამცველისთვის საქმის განხილვისთვის საჭირო მასალის, საბუთის თუ სხვა ინფორმაციის გადაცემა.<sup>54</sup>

ანტიდისკრიმინაციული კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად, კანონის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული დისკრიმინაციის აკრძალვის პრაქტიკული იმპლემენტაცია და

---

51 ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, დოკუმენტის ნომერი: 200/42,

<<https://matsne.gov.ge/document/view/2496959?publication=4>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

52 საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, დოკუმენტის ნომერი - 2391-IIს,

<<https://matsne.gov.ge/document/view/2339687?publication=5>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

53 2019 წლის 19 თებერვლის საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, დოკუმენტის ნომერი: 4281-IIს, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4485888?publication=0>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

54 2020 წლის 15 ივლისის საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, დოკუმენტის ნომერი: 6877-რს, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4910926?publication=0>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

საქართველოს მიერ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მიხედვით, სამართლებრივი საშუალებებით, დარღვეული უფლების ეფექტური დაცვის უზრუნველყოფა.<sup>55</sup> დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი.<sup>56</sup> სახალხო დამცველს ყველაზე ფართო უფლებამოსილება აქვს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით განახორციელოს მთელი რიგი ღონისძიებები - დაწყებული ფაქტის შესწავლიდან, ზოგადი წინადადების თუ რეკომენდაციის გაცემით დასრულებული. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ სახალხო დამცველის აპარატია ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის და თანასწორობის უზრუნველყოფის ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმი. აღნიშნული კანონი სახალხო დამცველს ანიჭებს უფლებამოსილებას შეისწავლოს ნებისმიერი ფაქტი, რომელიც შეიძლება შეიცავდეს დისკრიმინაციას, ამასთან, შეუძლია გაეცნოს იმ სისხლის სამართლის საქმის მასალებს, რომლებზე მიღებული გადაწყვეტილებებიც კანონიერ ძალაშია შესული.<sup>57</sup> იმ შემთხვევაში თუ საქმის შესწავლის შედეგად გამოიკვეთება დარღვევები, შეუძლია გამოსცეს რეკომენდაცია დისკრიმინაციის მსხვერპლის უფლებების აღსადგენად.<sup>58</sup> ასევე, განახორციელოს მის უფლებამოსილებას<sup>59</sup> მიკუთვნებული სხვა

---

<sup>55</sup> საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ განმარტებითი ბარათი, თბ., 2014, გვ. 1.

<sup>56</sup> საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, დოკუმენტის ნომერი: 2391-III, მუხლი 6, <<https://matsne.gov.ge/document/view/2339687?publication=5>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>57</sup> საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, დოკუმენტის ნომერი: 230, მუხლი 18, <<https://matsne.gov.ge/document/view/33034?publication=30>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>58</sup> საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, დოკუმენტის ნომერი: 230, მუხლი 14(1) <<https://matsne.gov.ge/document/view/33034?publication=30>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>59</sup> საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, დოკუმენტის ნომერი: 230, მუხლი 14(1),

ლონისძიებები. დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონში დეტალურად არის განმარტებული არა მხოლოდ დისკრიმინაციის ცნება, ფორმები და კანონის მოქმედების ფარგლები, არამედ ის ლონისძიებები, რომლებიც თითოეულმა დაწესებულებამ უნდა გაატაროს დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, შესაბამისად, განუზომლად დიდია ამ კანონის გავლენა და მნიშვნელობა მათ შორის დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონი უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის თანასწორობისა და ღირსების დაცვას, ქმნის სამართლებრივ მექანიზმებს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის და ავალდებულებს როგორც საჯარო, ისე კერძო სუბიექტებს დაიცვან ამ კანონით აღიარებული პრინციპები, აღნიშნული გარემოებები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ კანონის მნიშვნელობას, თუმცა, 2024-2025 წლის საკანონმდებლო ცვლილებებმა ანტიდისკრიმინაციული მექანიზმი მკვეთრად შეასუსტა.<sup>60</sup>

## 1.2 დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული ქართულ სისხლის სამართალში<sup>61</sup>

საქართველოს სსკ არ ითვალისწინებს დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების რაიმე სახით რანგირებას, რომელიმე დანაშაულისთვის უპირატესობის მინიჭებას ან სხვა სახის კლასიფიკაციას, თუმცა, სსკ-ის სრული, სისტემური და შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების გარკვეული ნიშნით კატეგორიზაცია - იმის მიხედვით

---

<<https://matsne.gov.ge/document/view/33034?publication=30>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>60</sup> დეტალურად იხილეთ. 1.2.3. და 5.1. ქვეთავები.

<sup>61</sup> აღნიშნულ საკითხზე თემატური სტატია იხ.: გელოვანი, ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული ქართულ სისხლის სამართალში, 2022, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №2 (74) 22, 114-131, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/450384/1/Martlmsajuleba\\_Da\\_Kanoni\\_2022\\_N2.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/450384/1/Martlmsajuleba_Da_Kanoni_2022_N2.pdf)> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

შეუწყნარებლობის მოტივი წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის ნიშანს, დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებას, თუ საერთოდ არ არის ამგვარი მოტივი კონკრეტულ მუხლში მითითებული, თუმცა, ზოგადი ნორმა ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დამძიმებას დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისთვის. სწორედ ამ გარემოებების მხედველობაში მიღებით შეგვიძლია ამ დანაშაულებს შემდეგ სამ კატეგორიად დაყოფა:

- I. კატეგორია - დისკრიმინაციული ნიშანი წარმოადგენს დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ელემენტს (სსკ-ის 109-ზ,თ; 115-2, ა; 117-3-ი,კ; 118-3; 126-2-ზ; 144<sup>1</sup> 2-ვ; 144<sup>3</sup> 2-ვ; 258-3-ბ მუხლები);
- II. კატეგორია - დისკრიმინაციული ნიშანი წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს (სსკ-ის 133<sup>2</sup>-ე; 142-ე; 142<sup>1</sup>-ე; 142<sup>2</sup>-ე; 155-ე; 156-ე; 166-ე; 239<sup>1</sup>-ე მუხლები);
- III. კატეგორია - ყველა სხვა მუხლი, რომლის შემადგენლობაშიც არ არის გათვალისწინებული დისკრიმინაციული ნიშანი, თუმცა, მიეთითება სსკ-ის 53<sup>1</sup> მუხლი.

### **1.2.1 სისხლის სამართლის დანაშაულები, სადაც დისკრიმინაციული ნიშანი წარმოადგენს დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ელემენტს**

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ამ ჯგუფში მოიაზრება სსკ-ით დასჯადი ისეთი დანაშაულები, რომელთა მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს მათი ჩადენა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შეუწყნარებლობის გამო, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო.

რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო დანაშაულის ჩადენა მაკვალიფიცირებელ

გარემოებას წარმოადგენს ისეთი დანაშაულებისთვის, როგორც არის განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 109-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (სსკ-ის 117-ე მუხლის მესამე ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი), ძალადობა (სსკ-ის 126-ე მუხლის მეორე ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი), მიცვალებულისადმი უპატივცემულობა (სსკ-ის 258-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). მოცემულ შემთხვევებში „სახეზეა სუბიექტური ნიშნით (მოტივით) დამძიმებული გარემოება, რომელიც ამაღლებს ბრალის ხარისხს (და არა უმართლობის ხარისხს).“<sup>62</sup>

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შეუწყნარებლობის მოტივი, როგორც ქმედების დამამძიმებელი გარემოება გათვალისწინებულია ისეთი დანაშაულებისთვის, როგორცაა: მკვლელობა (სსკ-ის 109 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი), თვითმკვლელობამდე მიყვანა (სსკ-ის 115-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (სსკ-ის 117-ე მუხლის მესამე ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი), ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება (სსკ-ის 118-ე მუხლის მესამე ნაწილი).

დისკრიმინაციული ნიშანი სისხლის სამართლის დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ელემენტად არის გათვალისწინებული ისეთი დანაშაულებისათვის, როგორცაა: საქართველოს სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით და 144<sup>3</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით, რომლებიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობა წამებისთვის ან დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობისთვის, ჩადენილს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო.

---

<sup>62</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, წიგნი I, ნაწილი პირველი, მერვე გამოცემა, რედ.: თოდუა ნ., თბ., 2023, გვ., 63.

მოცემულ დანაშაულებთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ როდესაც წამება, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა ხორციელდება ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მაგალითად კანის ფერის გამო, ამ დროს სახეზე გვაქვს კანის ფერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, შესაბამისად, გამოირიცხება ამ დანაშაულების ობიექტური შემადგენლობის ისეთი ნიშანი, როგორც არის მიზანი - ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის.

სსკ-ით გათვალისწინებულ ამ დანაშაულებზე არ ვრცელდება სსსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა - უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენების თაობაზე. შესაბამისად, თუ პირი ჩაიდენს განზრახ მკვლელობას რასის ნიშნით, რისთვისაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით, მოსამართლეს არ ეკისრება ვალდებულება აუცილებლად 17 წელი ან მეტი შეუფარდოს.

### **1.2.2 სისხლის სამართლის დანაშაულები, სადაც დისკრიმინაციული ნიშანი წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს**

დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების მეორე ჯგუფში შეიძლება მოვიაზროთ სსკ-ით გათვალისწინებული ისეთი დანაშაულები, სადაც მოცემული მოტივი წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს, კერძოდ, ეს დანაშაულებია - სსკ-ის 133<sup>2</sup>-ე, 142-ე, 142<sup>1</sup>-ე, 142<sup>2</sup>-ე, 155-ე, 156-ე, 166-ე, 239<sup>1</sup>-ე მუხლები.

საქართველოს სსკ-ის 133<sup>2</sup>-ე მუხლის თანახმად, დანაშაულს წარმოადგენს ქალის სასქესო ორგანოს დასახიჩრება. ქმედება, როდესაც რელიგიური, რიტუალური, ეთნიკური ან სხვა ტრადიციების გავლენით ან ამგვარი გალენის გარეშე ქალის სასქესო ორგანოების მთლიანად ან ნაწილობრივ ამოკვეთა, ინფიბულაცია ან სხვაგვარი დასახიჩრება ხდება, ან ქალის იძულება ან დაყოლიება, ჩაიტაროს ამგვარი ოპერაცია. შეიძლება

ითქვას, რომ ეს დანაშაული ემყარება გენდერული სტერეოტიპის გავლენას,<sup>63</sup> მოსაზრებას, რომ ქალის ძირითადი როლს წარმოადგენს შთამომავლობის შექმნა, გვარის გაგრძელება და რომ ქალს უფლება არ აქვს სხვა სურვილები ჰქონდეს. ამ დანაშაულით ხდება მისთვის ტკივილის მიყენება და სიამოვნების მიღების უფლების წართმევა, ამასთან, ეს დანაშაული თავისი არსით ხაზს უსვამს კაცის დომინანტურ როლს და ქალს განიხილავს, როგორც კაცის სურვილების დამაკმაყოფილებელ ობიექტს, რომელსაც საკუთარი სურვილები არ გააჩნია. „დამნაშავის მიზანი აქ არ არის ქალის ჯანმრთელობის დაზიანება, მას სულ სხვა მიზანი აქვს - დაუქვეითოს ან სრულებით დაუკარგოს ქალს სქესობრივი ლტოლვის უნარი ან უფრო მეტიც, შესაზარი გახადოს მისი სხეული.“<sup>64</sup> აღსანიშნავია, რომ ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების განხორციელების რამდენიმე მიზეზი<sup>65</sup> შეიძლება არსებობდეს, რომელთაგან ერთ-ერთი არის ის, ამ ქმედებით ქალები საერთო საკუთრებიდან გადადიან კერძო საკუთრებაში.<sup>66</sup> „ასეთი პრაქტიკის (ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება) საფუძველი მაინც ამა თუ იმ საზოგადოებასა და კულტურაში ქალისა და მამაკაცის გენდერული როლების მიმართ დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულებები და ტრადიციებია, რასაც საბოლოო ჯამში, ქალთაა სქესის სუბორდინირებულ მდგომარეობამდე და მისი მხოლოდ ისეთ ობიექტად აღქმამდე მივყავართ, რომელიც შთამომავლობის გაგრძელების ფუნქციით შემოიფარგლება.“<sup>67</sup> სტერეოტიპული შეხედულებები თუ აზრები, რომელთა საფუძველზეც ხდება ამ დანაშაულის ჩადენა, შეიძლება ეფუძნებოდეს რელიგიურ თუ

---

<sup>63</sup> დეტალურად იხილეთ. 1.2.3. და 5.1. ქვეთავები.

<sup>64</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, წიგნი I, ნაწილი პირველი, მერვე გამოცემა, რედ.: თოდუა ნ., თბ., 2023, გვ., 270.

<sup>65</sup> საკითხის შესახებ უფრო ვრცლად, იხილეთ: თოდუა ნ., ივანიძე მ., აქუზარდია ი., ხერხეულიძე ი., სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, თბ. 2020, გვ., 208-210.

<sup>66</sup> Karen Hughes, the criminalization of female genital mutilation in the united states, 4 J.L POL'Y 321 (1995), p. 331, <chrome-extension://efaidnbmninnbpcjpcgiclfndmkaj/[https://brooklynworks.brooklaw.edu/cgi/viewcontent.cgi?params=/context/jlp/article/1467/&path\\_info=321\\_Hughes.pdf](https://brooklynworks.brooklaw.edu/cgi/viewcontent.cgi?params=/context/jlp/article/1467/&path_info=321_Hughes.pdf)> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>67</sup> თოდუა ნ., ივანიძე მ., აქუზარდია ი., ხერხეულიძე ი., სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, თბ. 2020, გვ., 213.

ეთნიკურ შეხედულებებს, კულტურულ ნორმებს თუ ტრადიციების გავლენას და სხვა. შესაბამისად, აღნიშნული ქმედება თავისი არსით და შემადგენლობით წარმოადგენს კლასიკურ დისკრიმინაციულ დანაშაულს.

ამ კატეგორიაში შემავალ დანაშაულს წარმოადგენს ასევე ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა - სსკ-ის 142-ე მუხლი, რომელიც თავისი არსით საკმაოდ ბუნდოვანი შემადგენლობის არის და ტოვებს იმგვარ შთაბეჭდილებას, თითქოს და სამოქალაქო წესით სამსჯელო საკითხები, რეგულირდება სისხლის სამართლის წესით. აღნიშნული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გულისხმობს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას სხვადასხვა ნიშნის (ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის და სხვა) საფუძველზე და შედეგის სახით მოითხოვს ადამიანის უფლების არსებითად ხელყოფას. მოცემული დანაშაული დისკრიმინაციის ნიშნების საკმაოდ ფართო ჩამონათვალს მოიცავს, თუმცა, გაურკვეველია რა იგულისხმება ადამიანთა თანასწორუფლებიანობის იმგვარ დარღვევაში, რომელიც ადამიანის უფლების არსებით ხელყოფას გამოიწვევს?! „ადამიანის უფლების არსებით ხელყოფა შეიძლება გამოიხატოს, როგორც მატერიალურ, ისე მორალურ ზიანში.... ხელყო თუ არა არსებითად ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის ფაქტმა, ეს საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის შეფასების შედეგად.“<sup>68</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით უფლების არსებითად ხელყოფა განიმარტება, როგორც: „აქ იგულისხმება პირის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების არა უმნიშვნელო, არამედ არსებითი ხელყოფა“<sup>69</sup> მაგალითად, შრომის

<sup>68</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, წიგნი I, ნაწილი პირველი, მერვე გამოცემა, რედ.: თოდუა ნ., თბ., 2023, გვ., 334.

<sup>69</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, კვლევისა და ანალიზის ცენტრი, დისკრიმინაცია, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები და სიძულვილის ენა საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, 2019, 18, <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kvleva-sizulvilit-motivirebul-danashaulebaze.pdf>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

(დასაქმების) უფლება ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა, თუ დამსაქმებელი სამსახურში არ აიყვანს ებრაელს მისი რელიგიის გამო და ეს უკანასკნელი დარჩება დაუსაქმებელი, რასთან დაკავშირებითაც ნერვიულობის ფონზე მას განუვითარდება ჯანმრთელობის სხვადასხვა სახის დაზიანებები, შესაძლებელია თუ არა დამსაქმებელი მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის? თუ მოცემული დანაშაულის შემადგენლობას სიტყვა-სიტყვით განვმარტავთ - დიახ, დამსაქმებელი მიეცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში, თუმცა, ფაქტობრივად სახეზე იქნება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა, რომელზეც რეაგირება უნდა მოხდეს არა სისხლის სამართლის წესით, არამედ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველის მიერ ან სასამართლოს მიერ - ორივე შემთხვევაში საკითხი შეეხება დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში და არა სისხლის სამართლის წესით პასუხისგების კუთხით (რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში თუ ქმედება არ შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს). აღნიშნულმა ბუნდოვანებამ შესაძლებელია გამოიწვიოს პირის სისხლის სამართლის წესით დასჯა იმ ქმედებისთვის, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს სამოქალაქო ურთიერთობას, შესაბამისად, სამართლებრივად მიზანშეწონილია მოცემული დანაშაული ამოღებულ იქნეს სსკ-დან ან მოხდეს შემადგენლობის იმგვარი ცვლილება, რომ გამოირიცხოს ამ დანაშაულის სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობის ხასიათი. აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 2 აპრილის საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე აღნიშნული მუხლიდან ამოიშალა ისეთი დისკრიმინაციული ნიშანი, როგორც არის „გენდერული იდენტობა“.<sup>70</sup>

---

<sup>70</sup> საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, დოკუმენტის ნომერი: 431-IIIს-XIმპ, დეტალურად იხილეთ. 1.2.3. და 5.1. ქვეთავები. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6460581?publication=0#DOCUMENT:1;>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}

სსკ-ს 2003 წლის 7 მაისს დაემატა ახალი დანაშაული - რასობრივი დისკრიმინაცია - 142<sup>1</sup>-ე მუხლი, რამაც განსაზღვრა პასუხისმგებლობა რასობრივი დისკრიმინაციისთვის.<sup>71</sup> მოცემული მუხლი აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმგვარი ქმედებისთვის, რომელიც ჩადენილია ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა ანდა იმავე ნიშნით ადამიანისთვის უპირატესობის მინიჭება, რამაც არსებითად ხელყო მისი უფლება.

აღნიშნული დანაშაული, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის დანაშაულის მსგავსად შეიცავს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს, თუმცა, მისგან განსხვავებით რასობრივი დისკრიმინაციისთვის პასუხისმგებლობას აწესებს კონკრეტულ ჯგუფებს შორის მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტებით ადამიანის უფლების არსებით ხელყოფა - „შეფასებითი ცნებაა და გასათვალისწინებელია ქმედების ჩადენის ადგილი, ვითარება, მისი ინტენსივობა და ხანგრძლივობა.“<sup>72</sup> რასობრივ დისკრიმინაციად შეაფასა თბილისის საქალაქო სასამართლომ 2015 წელს თბილისში მომხდარი შემთხვევა, როდესაც ეროვნებით ქართველმა ახალგაზრდებმა, ნიგერიის მოქალაქეებს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა სწორედ მათი განსხვავებულობის გამო.<sup>73</sup> სამსჯელოა რატომ მოხდა ამ ქმედების კვალიფიკაციას რასობრივ დისკრიმინაციად, მაშინ როდესაც შესაძლებელი

---

<sup>71</sup> საქართველოს კანონი საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ, დოკუმენტის ნომერი: №3772-1ს, <[https://matsne.gov.ge/ka/document/view/4382866?publication=0#DOCUMENT:1](https://matsne.gov.ge/ka/document/view/4382866?publication=0#DOCUMENT:1;)> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>72</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 31 იანვრის განაჩენი საქმეზე №1/1354-16.

<sup>73</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 31 იანვრის განაჩენი საქმეზე №1/1354-16.

იყო მოცემული ქმედება ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის მიხედვით დაკვალიფიცირებულიყო, ან სსკ-ის 117-ე ან სსკ-ის 118-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად. ამგვარმა ბუნდოვანებამ და შეფასებითობამ შესაძლებელია შედეგად გამოიწიოს შერჩევითი მართლმსაჯულების განხორციელება იმის მიხედვით, თუ სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი რომელი პირი როგორ შეაფასებს განხორციელებულ ქმედებას. დაახლოებით მსგავსი შეფასება შეიძლება გაკეთდეს სსკ-ის 142<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან მიმართებით, რომელიც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის კანონით ანდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების განხორციელებაზე უარის თქმას, რამაც არსებითად ხელყო მისი უფლება.

ზემოაღნიშნული კატეგორიის შემდეგ დანაშაულს წარმოადგენს რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლა, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 155-ე მუხლით, ფაქტობრივად მოცემული დანაშაული შეიძლება მივიჩნიოთ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის კონკრეტულ/სპეციალურ შემთხვევად. უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიური დანაშაულები ქართული სამართლისთვის არ წარმოადგენს სიახლეს, რელიგიური დანაშაულები ჯერ კიდევ ძველი ქართული სამართლის ძეგლებით იყო გათვალისწინებული, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ შემადგენლობით, შინაარსით და გათვალისწინებული სასჯელის სახით, მათგან ყველაზე გავრცელებული იყო - „მკრეხელობა, რჯულის გარდამავლობა და მწვალებლობა“.<sup>74</sup>

ამ მუხლის მიხედვით დასჯადია ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესის თუ ჩვეულების აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლა ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას თან

---

<sup>74</sup> ივანიძე მ., რელიგიური დანაშაულები ძველი ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით, 2010, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №3 (26) 10, გვ., 17-18.

ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა. თავად ღვთისმსახურების ქვეშ მოიაზრება „ყოველგვარი რელიგიური ცერემონიის, ჩვეულების, რიტუალის შესრულება,“<sup>75</sup> რელიგიური წესი შეიძლება იყოს რელიგიური ტანსაცმლის თუ სიმბოლოს ტარება, ჯვრისწერა, ნათლობა, მარხვა და სხვა.<sup>76</sup> რელიგიური ჩვეულება კი - პანაშვიდი, ქელეხი, საადდგომლო რიტუალები.<sup>77</sup> ხოლო „ხელშეშლა შეიძლება გულისხმობდეს რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობის, წესისა და ჩვეულების აღსრულებისთვის დაბრკოლების შექმნას“.<sup>78</sup> ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ დანაშაულის ჩადენა არაერთი ქმედებით შეიძლება - ძალადობით, ძალადობის მუქარით, ან ძალადობისა და ძალადობის მუქარის გარეშე, თუმცა ეს უკანასკნელი იმ შემთხვევაში შეფასდება დანაშაულად თუ მას თან ახლდა მორწმუნის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა. დაუშვებელია სიტყვიერი შეურაცხყოფა, რომელსაც თან არ ახლდა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა შეფასდეს, როგორც დანაშაული, მაგ. თუ იეჭოვას მოწმეს, რომელიც ახორციელებს რელიგიურ ღვთისმსახურებას, პირმა მიაყენა შეურაცხყოფა მისი თმის ფერის გამო, აღნიშნული ვერ შეფასდება დანაშაულად და ამ პირს ვერ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლისთვის.

აღსანიშნავია, რომ ამ დანაშაულის ქმედების შემადგენლობა გარკვეულ ბუნდოვანებებს შეიცავს, მაგალითად გაუგებარია რა იგულისხმება რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაში, ვინ იგულისხმებიან მორწმუნის ან ღვთისმსახურის ქვეშ, აუცილებელია თუ არა მათ გააჩნდეთ რაიმე ცნობა ან დოკუმენტი იმის თაობაზე რომ არიან

---

<sup>75</sup> თოდუა ნ., ივანიძე მ., აქუზარდია ი., ხერხეულიძე ი., სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, თბ. 2020, გვ., 113.

<sup>76</sup> იქვე.

<sup>77</sup> დვალიძე ი., ხარანაული ლ., თუმანიშვილი გ., წიქარიშვილი კ., ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართალი კოდექსის მიხედვით, თბ., 2019, გვ. 365.

<sup>78</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, წიგნი I, ნაწილი პირველი, მერვე გამოცემა, რედ.: თოდუა ნ., თბ., 2023, გვ., 474.

მორწმუნეები ან ღვთისმსახურები, გაურკვეველია ზუსტად რა იგულისხმება თავად რელიგიურ წესის აღსრულებაში, ჩვეულებაში, კვალიფიკაციის განსაზღვრისთვის აუცილებელია თუ არა რელიგიური წესი დაწერილი იყოს სადმე, დადებითი პასუხის შემთხვევაში სად, აუცილებელია თუ არა რაიმე ცნობის, დოკუმენტის არსებობა, რათა საგამომიებო უწყებამ ჩვეულება თუ წესი შეაფასოს როგორც რელიგიური წესი თუ ჩვეულება და სხვა. მაგალითად იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული რელიგიის წარმომადგენლები საქართველოში ახორციელებენ თავიანთი რელიგიური წესის, მრწამსის გავრცელებას ქუჩაში ხალხთან საუბრით, ცალკეულ შემთხვევაში დგანან ქუჩაში და მსურველებს დეტალურად ესაუბრებიან საკუთარი რელიგიის შესახებ, რელიგიურ წესს ასრულებენ ასევე ე.წ. „კარდაკარ სიარულით“ და სხვა, შესაძლებელია თუ არა აღნიშნული ქცევა შეფასდეს, როგორც ღვთისმსახურება, რელიგიური წესი ან ჩვეულება? ვინაიდან არსებობს კითხვები, რომლებთან დაკავშირებით არ არსებობს დოგმატური პასუხები ანდა გაიდლაინები, თითოეული შემთხვევა უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად და ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ქმედების მიზანი, თუ მის მიზანს წარმოადგენს რელიგიური წესის აღსრულება, ღვთისმსახურება, ამ დანაშაულის მიზნებისთვის სახეზე იქნება რელიგიური წესის თუ ღვთისმსახურების განხორციელება მიუხედავად იმისა, ქმედების განმახორციელებელი არის თუ არა იმ რელიგიის მატარებელი, რომლის ღვთისმსახურებას, რელიგიური წესის აღსრულებასაც ახორციელებს. მოცემულ შემთხვევაში მთავარი არის ის, რომ მისი შერჩევა, მის მიმართ დანაშაულის განხორციელება მოხდა მისი რელიგიური წესის თუ ღვთისმსახურების განხორციელების თუ მასთან ასოცირების გამო. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ ამ დანაშაულს შედეგად მოყვა ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება ან გარდაცვალება, ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის ან სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მიხედვით, დამამძიმებელ გარემოებაზე

მითითებით, ვინაიდან ეს დანაშაული ჯანმრთელობის დაზიანების ამ ხარისხს და სიცოცხლის ხელყოფას ვერ ფარავს.

საქართველოს სსკ-ის 156-ე მუხლის თანახმად დასჯადია ადამიანის დევნა ანუ ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. სხვა დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულებისგან განსხვავებით ეს დანაშაული დისკრიმინაციის ნიშნების ყველაზე განსხვავებულ ჩამონათვალს შეიცავს, მათ შორის ისეთი ნიშნების ჩამონათვალს, რომელიც არ არის მითითებული სსსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლში. მოცემული დანაშაულის დისპოზიციის თანახმად, დაუშვებელია დევნად შეფასდეს სხვა ნიშნებით ადამიანის მიმართ დევნა, გარდა იმ ნიშნებისა, რომლებიც ამ მუხლში არის მითითებული, ამასთან, ეს მუხლი დისკრიმინაციის ნიშნების ამომწურავ - „ჩაკეტილ“ ჩამონათვალს შეიცავს.

ამ დანაშაულთან მიმართებით საკამათოა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება, პირველი შეეხება ადრესატს - მართალია დისპოზიცია ადრესატად ადამიანს ასახელებს, თუმცა, ქმედების შემადგენლობა თავისი არსით შესაძლებელია განხორციელდეს იურიდიული პირის მიმართაც, განსაკუთრებით ისეთი იურიდიული პირის, რომელიც უფლებადამცველებით საქმიანობას ახორციელებს - მაგალითად ქალთა მიმართ ძალადობისგან დაცვის ორგანიზაციები, იეჰოვას მოწმეთა რელიგიური ორგანიზაცია საქართველოში და სხვა. მეორე საკამათო საკითხი არის ის თუ რამდენი ქმედება უნდა განხორციელდეს იმისთვის, რომ სახეზე იყოს დევნა, თუ ამ სიტყვის სიტყვა-სიტყვითი და ეტიმოლოგიური განმარტებით ვიხელმძღვანელებთ, ქმედების დევნად კვალიფიცირებისთვის აუცილებელია მინიმუმ ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ქმედება. თუმცა, საკითხზე მომუშავე პირთა განმარტებით ერთი ქმედებაც საკმარისია იმისთვის, რომ სახეზე იყოს აღნიშნული

დანაშაული, მაგალითად პროფესიული საქმიანობის უკანონოდ აკრძალვა.<sup>79</sup> ამ შემთხვევაში ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის სიტყვა-სიტყვითი განმარტება და მეცნიერთა შეხედულება, რაც ბადებს ბუნდოვანებას - მაგალითად როგორ უნდა შეფასდეს ისეთი ქმედება, როდესაც იეჰოვას მოწმე, რომელიც ქუჩაში ახორციელებს ღვთისმსახურებას თავს ესხმიან და ფიზიკურად უსწორდებიან მისი რელიგიის გამო? თბილისის საქალაქო სასამართლომ მსგავსი ქმედება შეაფასა, როგორც ადამიანის დევნა რწმენისა და აღმსარებლობის გამო,<sup>80</sup> ასევე რელიგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით დევნად შეფასდა შემთხვევა, როდესაც „იეჰოვას მოწმეებს“, რომლებიც დადიოდნენ საცხოვრებელი კორპუსის ბინებში - ე.წ. „კარდაკარ სიარული“ და საუბრობდნენ საკუთარ რელიგიაზე, ამ რელიგიური საქმიანობის შეწყვეტის მიზნით დაემუქრნენ. რატომ არ არის ეს ქმედება რელიგიური წესის აღსრულებისთვის ხელის შეშლა ( სსკ-ის 155-ე მუხლი), როდესაც ამ დანაშაულის დისპოზიცია სრულებით ფარავს მოცემული დანაშაულის შეფასებას?! მოცემული შემთხვევისგან განსხვავებით, რელიგიური საქმიანობისთვის უკანონოდ ხელის შეშლად შეაფასა თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წელს „იეჰოვას მოწმეთა“ მიმართ განხორციელებული ქმედება, როდესაც მსჯავრდებულმა, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა „იეჰოვას მოწმეებს“ და აიძულა მათ შეეწყვიტათ რელიგიური ღვთისმსახურება - სტენდთან ყოფნა და მათი რელიგიით დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება.<sup>81</sup> ასევე ძალადობის მუქარით და მორწმუნის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფით განხორციელებულ რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლად შეფასდა ქმედება, როდესაც „იეჰოვას მოწმეთათვის“ შეკრებისთვის განკუთვნილ სპეციალურ დარბაზში შევიდნენ მსჯავრდებულები და მუქარით და შეურაცხყოფით ხელი შეუშალეს

<sup>79</sup> ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეოთხე გამოცემა, 2011, 296.

<sup>80</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 4 დეკემბრის განაჩენი საქმეზე №1/4595-17.

<sup>81</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 05 სექტემბრის განაჩენისაქმეზე №1/3928-19.

„იეჰოვას მოწმეებს“ მათი რელიგიური წესის აღსრულებაში.<sup>82</sup> სამწუხაროდ, არცერთ ზემოაღნიშნულ განაჩენში სასამართლო არ მსჯელობს იმ არგუმენტებზე თუ მტკიცებულებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და ქმედების კონკრეტული დანაშაულად შეფასებას. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად იდენტური შინაარსის ქმედებები შესაძლებელია შეფასდეს სხვადასხვა დანაშაულად იმის მიხედვით თუ ვინ ახორციელებს სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო ზედამხედველობას.

ბუნდოვანებას მხოლოდ რელიგიური ნიშნით დევნის შემთხვევები არ იწვევს, დისკრიმინაციის სხვა ნიშნებით დევნამაც შეიძლება წარმოშვას კვალიფიკაციასთან დაკავშირებული კითხვის ნიშნები, მაგალითად მცხეთის რაიონულმა სასამართლომ 2018 წლის 29 ნოემბერს მიღებული №1/273-18 განაჩენით, პირი დამნაშავედ ცნო ადამიანის დევნაში სიტყვის და აზრის გამო, ჩადენილი ძალადობის მუქარით, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. სასამართლომ დევნად შეაფასა შემდეგი ქმედება: დაზარალებულმა სატელევიზიო ინტერვიუს დროს ღია მხარდაჭერა გამოხატა სექსუალური უმცირესობების მიმართ, რაზეც გაღიზიანებულმა მსჯავრდებულმა სოციალური ქსელით მუქარის შემცველი შეტყობინებები გაუგზავნა დაზარალებულს და დაემუქრა, რომ გააუპატიურებდა და ცეცხლს წაუკიდებდა, დაზარალებულს გაუჩნდა ამ მუქარის განხორციელების რეალური შიში.<sup>83</sup> მართალია 2016 წლის სსკ-ის 156-ე მუხლი იმ დროისთვის დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალში არ ითვალისწინებს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშანს, მაგრამ ბრალდების მხარემ და შემდგომ სასამართლომ აღნიშნული ქმედება შეაფასა, როგორც სიტყვის და აზრის გამოხატვის გამო დევნად, თუმცა, გაუგებარია რატომ არ შეიძლება აღნიშნული ქმედება შეფასდეს,

<sup>82</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 მაისის განაჩენი საქმეზე №1/2290-16.

<sup>83</sup> მცხეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 29 ნოემბრის განაჩენი საქმეზე №1/273-18.

როგორც მუქარა ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში (მაგ. სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით).

დღეს არსებული რეგულირების თანახმად, საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს სიძულვილის ენის დანაშაულს, ერთადერთი სისხლისსამართლებრივი ნორმა, რომელიც შეიძლება ამ ქმედებასთან მიახლოებულად, თუმცა, არა როგორც სიძულვილის ენის სისხლის სამართლის წესით რეგულირების მუხლად განვიხილოთ, არის სსკ-ის 239<sup>1</sup> მუხლი, რაც გულისხმობს რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდებას, როდესაც ის ქმნის მისი განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს. აღნიშნული დანაშაული კრიმინალიზებულ იქნა 2015 წლის 12 ივნისს.<sup>84</sup> მოცემულ დანაშაულზე მსჯელობის დროს საკამათოა საკითხი - სად გადის ზღვარი გამოხატვის თავისუფლებასა და სსკ-ით განსაზღვრულ დანაშაულს შორის. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად მოწოდება მხოლოდ მაშინ არის დანაშაული თუ ის შეიცავს - „კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.“<sup>85</sup> ქმედების კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, რომ პირის ქმედება მიზნად ისახავდეს კონკრეტულ ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოგდებას და უნდა ქმნიდეს ძალადობის განხორციელების რეალურ საფრთხეს, ამასთან, შეფასებისთვის შედეგის დადგომა აუცილებელი არ არის, მთავარია სახეზე იყოს ამ შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირი და არსებითი საფრთხე.

---

84 საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, დოკუმენტის ნომერი: 4007-რს, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2905272?publication=0> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

85 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №4/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომრამბა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად მიმიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქ.: დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.104.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული ის დანაშაულები, რომლებიც დისკრიმინაციულ ნიშანს ქმედების შემადგენლობის სახით ითვალისწინებენ არ არის ნათელი, მარტივად განჭვრეტადი და გარკვეულ შემთხვევაში დამატებით განმარტებებს, მსჯელობებს საჭიროებს.

აღსანიშნავია, რომ სსკ-ით გათვალისწინებულ ამ დანაშაულებზე არ ვრცელდება სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა - უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენების თაობაზე. შესაბამისად, თუ პირი ჩაიდენს მაგალითად რასობრივი ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდებას, რისთვისაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, მოსამართლეს არ ეკისრება ვალდებულება მსჯავრდებულს აუცილებლად წელიწად ნახევარი ან მეტი შეუფარდოს.

### **1.2.3 სისხლის სამართლის დანაშაულები, რომლის შემადგენლობაშიც არ არის გათვალისწინებული დისკრიმინაციული ნიშანი, მაგრამ მიეთითება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლი**

ქართულ სისხლის სამართალში დისკრიმინაციული დანაშაულის მომწესრიგებელ ძირითად საკანონმდებლო ნორმას სსკ-ის ზოგადი ნაწილის 53<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილი წარმოადგენს. მოცემული ნორმა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივს ითვალისწინებს, როგორც პასუხისმგებლობის (სასჯელის) დამამძიმებელ გარემოებას.

53-ე აღნიშნული სამართლებრივი მოწესრიგება სსკ-ში 2012 წლის ცვლილებების შედეგად გაჩნდა და თავდაპირველად მიეთითა სსკ-ის 53-ე მუხლის 3<sup>1</sup> ნაწილად,<sup>86</sup> შემდგომ 2017 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად სსკ-ში უკვე ჩნდება დამოუკიდებელი 53<sup>1</sup> მუხლი, რომლის პირველ

---

<sup>86</sup> საქართველოს კანონი საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ, დოკუმენტის ნომერი: №5925-1ს, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1637963?publication=0>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025]

ნაწილი ეხება პასუხისმგებლობის ისეთ დამამძიმებელ გარემოებას, როგორც არის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი.<sup>87</sup> 2018 წელს კვლავ განხორციელდა ცვლილება, რამაც განსაზღვრა ახალი რეგულირება, რომ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.<sup>88</sup> „როცა დანაშაული დაკავშირებულია მკაფიოდ ან კონკლიუდენტურად გამოხატულ სიძულვილთან, იგი სამართლებრივი სიკეთის ხელმყოფ მსგავს დანაშაულებზე მეტ უმართლობას შეიცავს.“<sup>89</sup> „პრევენციის ეფექტური გარემოს მისაღწევად შეიძლება საჭირო გახდეს ხანგრძლივი საპატიმრო ვადების გამოყენება და რესოციალიზაციის მექანიზმების შექმნა.“<sup>90</sup> თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ კანონმდებელი პასუხისმგებლობის აუცილებელი გამკაცრების ამ სტანდარტს, მხოლოდ იმ შემთხვევაში ითხოვს, როდესაც სასჯელის სახით დანიშნულია ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, სხვა შემთხვევებში კი მოსამართლეს უტოვებს თავისუფალ ნებას გადაწყვეტილების მისაღებად.<sup>91</sup> გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობაც ითვალისწინებს შეუწყნარებლობის მოტივს სასჯელის ზომის განსაზღვრისთვის გასათვალისწინებელ გარემოებად.<sup>92</sup>

---

<sup>87</sup> იქვე.

<sup>88</sup> საქართველოს კანონი საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ, დოკუმენტის ნომერი: №3772-ის,

[<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4382866?publication=0#DOCUMENT:1;>](https://matsne.gov.ge/ka/document/view/4382866?publication=0#DOCUMENT:1;)

{უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>89</sup> ცეციტიშვილი თ., მოტივი და მისი მნიშვნელობა სისხლის სამართალში, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2021, გვ., 132.

<sup>90</sup> ბრაჭველი ს., გეგელია თ., გელაშვილი თ., მელაძე გ., სისხლის სამართლის მოქმედების ფარგლები, თბ., 2021, გვ., 43.

<sup>91</sup> ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მეხუთე გამოცემა, რედ.: ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ., 2024, გვ., 654.

<sup>92</sup> ჯიშკარიანი ბ., „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები“ გერმანულ სისხლის სამართალში, სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2019, გვ., 83.

ბოლო საკანონმდებლო ცვლილება სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლში განხორციელდა 2025 წელს,<sup>93</sup> რომელიც შეეხებოდა დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალის ცვლილებას, კერძოდ, ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნა ორი ნიშანი: გენდერი და გენდერული იდენტობა და დაემატა ტერმინი - „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შეუწყნარებლობის“ ნიშანი. კანონმდებელმა აღნიშნული ტერმინების გაუქმების საფუძველად მიუთითა, რომ „საქართველოში აღიარებულია ქალისა და მამაკაცის კავშირზე დაფუძნებული ოჯახური ღირებულებები..... ბიოლოგიური სქესი პარალელურად, საქართველოს კანონმდებლობაში, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, უცხოური გავლენისა და მათი წარმომადგენლების აქტიური ლობირებით, მიზანმიმართულად ხდებოდა ხელოვნური ტერმინის - „გენდერის“ დანერგვა.“<sup>94</sup> აღნიშნული განმარტების საფუძველზე 10-ზე მეტი საკანონმდებლო აქტიდან<sup>95</sup> გაუქმდა ტერმინები „გენდერი“ და „გენდერული იდენტობა“ და მათ ნაცვლად დამკვიდრდა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შეუწყნარებლობის ტერმინი, რომელიც ფაქტობრივად შეფასების მიღმა ტოვებს გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ მთელ რიგ დანაშაულებს, ხოლო გენდერულ იდენტობას საერთოდ

---

<sup>93</sup> საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, დოკუმენტის ნომერი: 431-IIIს-XIმპ, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6460581?publication=0#DOCUMENT:1;>>

{უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>94</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, <<https://shorturl.at/oPeTz>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>95</sup> „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, „მოხალისეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, „სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულების შესახებ“ საქართველოს კანონი, „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონი, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

ვერ ფარავს. „გენდერის სამართლებრივი ენიდან ამოღება გამოიწვევს თანასწორობის უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებული აუცილებელი სამართლებრივი დაცვის გარანტიების მოშლას, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის. ტერმინი „გენდერის“ გამოყენება უმნიშვნელოვანესია ინდივიდების გენდერული იდენტობის აღიარებისა და დაცვის თვალსაზრისით. საკანონმდებლო ცვლილებები გამოიწვევს უთანასწორობის გაღრმავებას გენდერული დისკრიმინაციის გაძლიერებას დასაქმების, განათლების და ჯანდაცვის, სოციალურ და სხვა სფეროებში.“<sup>96</sup> ახალი ტერმინის შემოღება ცალსახად უნდა შეფასდეს, როგორც უკან გადადგმული ნაბიჯი ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში, დაუშვებელია მხოლოდ ბიოლოგიურ სქესზე აქცენტირება, ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის საფუძველი მხოლოდ განსხვავებული ბიოლოგიური სქესი არ არის, არამედ გენდერული მოტივები, მიზეზები, სოციალური როლები. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (შემდგომში „სტამბოლის კონვენცია“) განმარტავს, რომ - „გენდერული“ გულისხმობს სოციალურად დაკავშირებულ ქცევას, როლებს, საქმიანობას და მახასიათებლებს, რომლებსაც კონკრეტული საზოგადოება ქალისა და მამაკაცისთვის შესაფერისად მიიჩნევს.“<sup>97</sup> შესაძლებელია ახალმა ტერმინმა გენდერული ძალადობის რამდენიმე ფორმა დაფაროს, თუმცა შეუძლებელია მან საკანონმდებლო მოწესრიგებას მთლიანად დაუქვემდებაროს გენდერული ძალადობის ყველა ფორმა, რაც შეეხება ტერმინს „გენდერული იდენტობა“ - ამ ნიშნით დაცული უფლება საერთოდ შეფასების მიღმა რჩება. გაეროს სპეციალური მომხსენებელი, რომელიც სახელმწიფოებს მოუწოდებს კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობისკენ, პირდაპირ მიუთითებს, რომ ამ მრავალფეროვნების

---

<sup>96</sup> „კოალიცია თანასწორობისთვის“ განცხადება, 28.02.2025.

<<https://www.facebook.com/share/p/1AhUaXR2YF/>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>97</sup> ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

ნაწილია მათ შორის გენდერთან დაკავშირებული მრავალფეროვნება.<sup>98</sup> ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ თუ ბრალდების მხარეს სურს ქმედების გენდერის ან გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულად კვალიფიცირება, მას შეუძლია ეს ტერმინები მოიაზროს „და სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის“ ცნების ქვეშ, თუმცა, ეს არ წარმოადგენს სრულყოფილ მექანიზმს და ვერ აღმოფხვრის ამ ტერმინების გაქრობით გამოწვეულ ხარვეზებს. სამწუხაროდ, აღნიშნული ცვლილება წარმოადგენს უკან გადადგმულ ნაბიჯს არა მხოლოდ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე, არამედ საქართველოს მიერ საერთაშორისოდ აღიარებული ვალდებულებების<sup>99</sup> შესრულების მიმართულებით.

სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლში სასჯელის განსაზღვრასთან დაკავშირებული წესი არ ვრცელდება ისეთ დანაშაულებზე, რომელთა შემადგენლობა ან კვალიფიკაცია მოიცავს ამგვარ ნიშანს, მაგალითად ეროვნული ნიშნით მკვლელობა კვალიფიცირდება სსკ-ის 109-ე მუხლის „ზ“ პუნქტით, რომელიც სასჯელის სახით თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სასჯელის სახედ და ზომად მინიმალური სასჯელი - 16 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნულისგან განსხვავდება შემთხვევა, როდესაც, მაგალითად პირმა განახორციელა განზრახ მკვლელობა დაზარალებულის განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის გამო, ამ დროს ქმედების კვალიფიკაცია შეიძლება მოხდეს სსკ-ის 108-ე მუხლით, სექსუალური ორიენტაციის ნიშანზე მითითებით, რა დროსაც სასამართლო სასჯელის გამოყენების დროს ვალდებული იქნება მსჯავრდებულს მინიმალურ ვადაზე

---

<sup>98</sup> Right to education: the cultural dimensions of the right to education, or the right to education as a cultural right Report of the Special Rapporteur on the right to education, Koumbou Boly Barry, 2021, A/HRC/47/32, 76, a, <<https://docs.un.org/en/A/HRC/47/32>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>99</sup> მათ შორის „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის, გაეროს კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებით (რომელთა მონაწილეც საქართველო არის) გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კუთხით.

(ამ დანაშაულისთვის 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა არის მინიმალური ვადა), ერთი წლით მეტი, ანუ 11 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვროს.

სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლი თავისი არსით წარმოადგენს სასამართლოს მიერ გამოსაყენებელ მუხლს, რომელიც სასჯელის განსაზღვრის დროს, ხელმძღვანელობს მისით, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი მუხლი არ არსებობს სსკ-ის ზოგად ნაწილში, რომელიც მისცემდა შესაძლებლობას ბრალმდებელს ბრალის ფორმულირების ეტაპზე ემსჯელა დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივზე, ბრალმდებელი იყენებს „სასამართლოს მუხლს“ და მასზე დაყრდნობით მსჯელობს დანაშაულის ჩადენის დისკრიმინაციულ მოტივზე. მოცემული მოწესრიგება არის პრობლემური, რადგან ის წარმოშობს ხარვეზებს არა მხოლოდ სამართლებრივი კუთხით, არამედ პრაქტიკული კუთხით - თუ ამ ნიშანზე მითითებული არ არის ბრალდების შესახებ დადგენილებაში, სასამართლო საკუთარი ინიციატივით ამ მოტივზე, როგორც დამამძიმებელ გარემოებაზე ვერ იმსჯელებს. ამ კუთხით თეორიულად შესაძლებელია ვიმსჯელოთ ისეთი ალტერნატივის გამოყენებაზე, როგორიც არის სსკ-ის 53-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომელიც სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას სასჯელის დანიშვნის დროს გაითვალისწინოს პასუხისმგებლობის ზოგადი დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, როგორებიცაა დანაშაულის მოტივი და მიზანი, მოსამართლეს შეუძლია ამ მუხლზე მითითებით მსჯავრდებულის მიმართ გამოიყენოს უფრო მკაცრი სასჯელი და განმარტოს, რომ უფრო მძიმე სასჯელის გამოყენების საფუძველი გახდა მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენა. თუ ბრალდების მხარე სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლის გამოყენებით არ მოახდენს ბრალდების ფორმულირებას, სასამართლოს შეუწყნარებლობის მოტივის შეფასების მიღმა დატოვების თავიდან აცილების მხოლოდ ეს ერთადერთი ბერკეტი რჩება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლი არის უნივერსალური საშუალება სსკ-ით გათვალისწინებული არცერთი განზრახი დანაშაული, რომელიც ჩადენილია დისკრიმინაციული მოტივით, არ დარჩეს შეფასების მიღმა (სასჯელის დამძიმების კუთხით), თუმცა, ამ მუხლის მოქმედება პირდაპირ არის დამოკიდებული ბრალმდებელზე - პირის ბრალდების დროს შეფასების მიღმა არ დატოვოს დანაშაულის ჩადენის შეუწყნარებლობის მოტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ამ მუხლით ვერ იხელმძღვანელებს. ამასთან, აუცილებელია დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის განმსაზღვრელი ზოგადი ნორმა მოიცავდეს დისკრიმინაციის ყველა იმ ნიშანს, რომელიც საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით არის აღიარებული და ამასთან, ტოვებდეს შესაძლებლობას, დისკრიმინაციის ნიშანი, რომელიც სახელდებით გათვალისწინებული არ არის ნორმის დისპოზიციაში, შეფასების მიღმა არ დარჩეს და ბრალმდებელს ჰქონდეს შესაძლებლობა „და სხვა ნიშნის“ ქვეშ განმარტოს კონკრეტული, ახალი ნიშანი.

### **1.3 დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის შესაძლო სამიზნე<sup>100</sup>**

2012 წლის 19 აპრილის საკანონმდებლო ცვლილების შედეგად ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ჩნდება დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის მომწესრიგებელი ნორმა, რომელიც დისკრიმინაციული ნიშნების ფართო ჩამონათვალს აერთიანებს და ამასთან არ არის ამომწურავი, რაც იძლევა შესაძლებლობას დისკრიმინაციის ისეთი ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ქმედებისთვის მოხდეს პასუხისმგებლობის დამძიმება, რომელიც

---

<sup>100</sup> აღნიშნულ საკითხზე თემატური სტატია იხ.: გელოვანი, ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ინდიკატორები, 2023, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №4 (80) 23, 138-156, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/476982/5/Martlmsajuleba\\_Da\\_Kanoni\\_2023\\_N4.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/476982/5/Martlmsajuleba_Da_Kanoni_2023_N4.pdf)> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

სახელდებით არ არის მითითებული სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლში.<sup>101</sup> „და სხვა ნიშნის“ ქვეშ შესაძლებელია მოიაზრებოდეს ნებისმიერი ნიშანი, რომელიც პირთა გარკვეულ ჯგუფს ეხება და რომელიც არ არის სახელდებით ჩამოთვლილი დისკრიმინაციის ნიშნებს შორის.

ამ კატეგორიის დანაშაულის მსხვერპლი შეიძლება გახდეს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, „მიიჩნევა, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები წარმოადგენს უცხო ადამიანების მიერ ჩადენილ ქმედებებს, რომელთანაც მსხვერპლს ძალიან მცირე ან არანაირი პერსონალური კონტაქტი არ აქვს.“<sup>102</sup> საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკისა და თეორიის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია ამ დანაშაულის რამდენიმე სამიზნე ობიექტის გამოყოფა:<sup>103</sup>

- პირი, რომელიც რეალურად მიეკუთვნება დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნის მატარებელ ჯგუფს;
- პირი, რომელიც ბრალდებულის აღქმით მიეკუთვნება დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნის მატარებელ ჯგუფს, თუმცა რეალურად ის შეიძლება არ იყოს ჯგუფის წევრი;
- პირი, რომელიც დაკავშირებულია ან ასოცირებულია დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნის მატარებელ ჯგუფთან;
- ნივთი თუ ქონება,<sup>104</sup> რომელიც უკავშირდება დისკრიმინაციისგან დაცული რომელიმე ნიშნის მატარებელ ჯგუფს.

---

<sup>101</sup> საქართველოს კანონი საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ, დოკუმენტის ნომერი: №5925-1ს, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1637963?publication=0>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>102</sup> ჯალაღანია ლ., ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის შესახებ“, 2017, გვ., 51, <<https://socialjustice.org.ge/ka/products/operatsiuli-sakhelmdzghvanelo-dokumenti-seksualuri-orientatsiisa-da-genderuli-identobis-safudzvelze-chadenili-danashaulebis-gamodziebis-shesakheb>>

<sup>103</sup> ბალავაძე მ., ხურციძე დ., „გამოძიების ეტაპზე დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთის ვალდებულება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით“, რედ.: ვ. კორკელია, სტატიათა კრებული: „ადამიანის უფლებათა დაცვა, პანდემია და სამართლის უზენაესობა“, 2021, გვ., 186.

<sup>104</sup> Stephen D Johnson, Bryan D Byers, Attitudes toward hate crime laws, Journal of Criminal Justice, May–June 2003, P. 227-235.

პირველი<sup>105</sup> შემთხვევის დროს - მსხვერპლი არის დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნის მატარებელი ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც თავის მხრივ ორ მნიშვნელოვან ელემენტს აერთიანებს - არსებობს საერთო ჯგუფური იდენტობა (ჯგუფს უნდა გააჩნდეს სოციალური და ისტორიული კონტექსტი) და - ასახავდეს პირის იდენტობის ღრმა და ფუნდამენტურ, უცვლელ ასპექტებს.<sup>106</sup> მაგალითად ეთნიკური, რელიგიური, ეროვნული, თუ სხვა ჯგუფი. როდესაც დაზარალებულის სახით გვყავს ამგვარი ჯგუფის წარმომადგენელი, დანაშაულის დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულად კვალიფიცირება უფრო მარტივად შესაფასებელია.

მეორე შემთხვევის დროს პირი ბრალდებულის აღქმით არის დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნის მატარებელი ჯგუფის წარმომადგენელი, რეალურად კი ის არ არის ამ ჯგუფის წევრი. მაგალითად, ქუჩაში მიმავალი დაზარალებული, რომელსაც შედარებით მუქი ფერის კანი აქვს, თავდამსხმელს ეგონა ეთნიკურად აზერბაიჯანელი და მასზე განახორციელა ფიზიკური ძალადობა, რეალურად კი დაზარალებული არ აღმოჩნდა ეთნიკურად აზერბაიჯანელი ჯგუფის წარმომადგენელი. მიუხედავად აღნიშნულისა, სახეზე გვაქვს ეთნიკური ნიშნით განხორციელებული დანაშაული. ეს არის აღქმითი დისკრიმინაცია.

მესამე შემთხვევის დროს, დაზარალებული დანაშაულის მსხვერპლი ხდება იმის გამო, რომ ის არის დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნის მქონე პირთან ასოცირებული ან დაკავშირებული. ევროსასამართლომ საქმეზე შკორიანეცი ხორვატიის წინააღმდეგ განმარტა, რომ სახელმწიფო უწყებებს ეკისრებათ შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვლევა მაშინაც, კი როდესაც პირი თავადასმის მსხვერპლი გახდა არა საკუთარი სტატუსის, ნამდვილი თუ

---

<sup>105</sup> რიგითობა შერჩევითია და არ გულისხმობს აუცილებლად რამე საფეხურებრივ სისტემას, არცერთი შემთხვევა არ არის დანარჩენ შემთხვევებზე უფრო მეტად ან ნაკლებად მნიშვნელოვანი ან უპირატესი ძალის მატარებელი.

<sup>106</sup> OSCE/ODIHR, Hate Crime Laws a Practical Guide, 2009, pp. 38-39,

<https://www.osce.org/files/f/documents/3/e/36426.pdf>

[უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

სავარაუდო კუთვნილების გამო, არამედ იმ პირთან ასოცირების გამო, რომელსაც აქვს ეს კუთვნილება (იგულისხმება დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნისადმი კუთვნილება).<sup>107</sup> ამ დროს სახეზე გვაქვს ასოცირებული დისკრიმინაცია. ასოცირებული დისკრიმინაცია აღქმითი დისკრიმინაციისგან განსხვავდება ცოდნის კომპონენტით - ასოცირებული დისკრიმინაციის დროს დამნაშავემ ზუსტად იცის რატომ და რის გამო ჩადის დანაშაულს - დაზარალებულის კონკრეტულ ჯგუფთან ასოცირების და დაკავშირებულობის გამო, აღქმითი დისკრიმინაციის დროს კი სახეზე გვაქვს შეცდომა პიროვნების დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნის მატარებელი ჯგუფისადმი კუთვნილებაში. ასოცირებული დისკრიმინაციის მაგალითია შემთხვევა, როდესაც პირზე თავდასხმა ხორციელდება იმის გამო რომ ის იცავს კონკრეტული ჯგუფის (მაგ. ქალები, ლგბტქი+<sup>108</sup> პირები, „იეჰოვას მოწმეები“ და სხვა) წევრებს.

მეოთხე შემთხვევის დროს დანაშაულის სამიზნე უკვე არის არა ადამიანი, არამედ უსულო ნივთი, საგანი, ობიექტი - იმ აუცილებელი პირობით, რომ ეს უკანასკნელი დაკავშირებულია დაცული ნიშნის მატარებელ ჯგუფთან. ამ კატეგორიაში ერთიანდება წიგნები, შენობა-ნაგებობები, რელიგიური დანიშნულების ნივთები და სხვა. მაგალითად, დანაშაული ხორციელდება „იეჰოვას მოწმეთა“ შესაკრებ სივრცეში, მეჩეთზე, ეკლესიაზე და სხვა.

ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღებით, შეიძლება ითქვას, რომ დისკრიმინაციული დანაშაულის სამიზნე შეიძლება იყოს ფიზიკური პირიც და იურიდიული პირიც (რომელიც ფლობს კონკრეტულ ქონებას და აღნიშნული ქონება ეკუთვნის, დაკავშირებულია ან/და ასოცირებულია დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნის მატარებელ ჯგუფთან), შეფასების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა გახდა დანაშაულის ჩადენის მოტივი - ხელყოფილი სიკეთე იყო თუ არა

<sup>107</sup> Škorjanec v. Croatia, {2017}, ECHR;

<sup>108</sup> აღნიშნული აბრევიატურა განიმარტება, როგორც ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ქვიარი და ინტერსექსი ადამიანები.

დაკავშირებული დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნის მატარებელი ჯგუფთან. კვალიფიკაცია ემყარება არა მხოლოდ დაზარალებულის ფაქტობრივ იდენტობას, კუთვნილებას თუ ასოცირებას, არამედ მოტივისა და განზრახვის სიღრმისეულ შეფასებას.

#### 1.4 დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის ინდიკატორები<sup>109</sup>

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი, სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის<sup>110</sup> (შემდგომში სსსკ) 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი და მე-100 მუხლი ავალდებულებენ მართლმსაჯულების განმახორციელებელ უწყებებს გამოძიება აწარმოონ ყოველმხრივ, სრულყოფილად, ობიექტურად, შეისწავლონ საქმესთან შემხებლობაში მყოფი ყველა გარემოება. გარემოება, რომელიც მიუთითებს დანაშაულის შესაძლო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენის ფაქტზე არის ინდიკატორი, რომელიც წარმოადგეს ობიექტურ კრიტერიუმს მოტივზე მსჯელობისთვის.<sup>111</sup> ინდიკატორი არის დანაშაულის მოტივზე მიმანიშნებელი ფაქტორი, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას შევაფასოთ დანაშაული ჩადენილია თუ არა შეუწყნარებლობის მოტივით.<sup>112</sup>

<sup>109</sup> აღნიშნულ საკითხზე თემატური სტატია იხ.: გელოვანი, ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ინდიკატორები, 2023, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №4 (80) 23, გვ. 138-156,

<[chrome-extension://efaidnbnmnibpcajpcgleclefindmkaj/https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/476982/5/Martlmsajuleba\\_Da\\_Kanoni\\_2023\\_N4.pdf](chrome-extension://efaidnbnmnibpcajpcgleclefindmkaj/https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/476982/5/Martlmsajuleba_Da_Kanoni_2023_N4.pdf)> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>110</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, დოკუმენტის ნომერი -1772, <<https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=170>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>111</sup> OSCE/ODIHR, Understanding Hate Crimes A Handbook for Ukraine, 2015, Warsaw, Poland, p. 9, <<https://www.osce.org/files/f/documents/4/9/208176.pdf>> ასევე: OSCE/ODIHR, Using Bias Indicators: A Practical Tool for Police, <[https://www.osce.org/files/f/documents/8/9/419897\\_0.pdf](https://www.osce.org/files/f/documents/8/9/419897_0.pdf)> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>112</sup> ვრცლად იხ.: ჯალაღანია ლ., ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის შესახებ“, თბ., 2017, გვ. 50-57, <<https://socialjustice.org.ge/ka/products/operatsiuli-sakhelmdzghvano-dokumenti-seksualuri-orientatsiisa-da-genderuli-identobis-safudzvelze-chadenili-danashaulebis-gamodziebis-shesakheb>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

„დანაშაულებრივი ქმედების თანმხლები ობიექტური ფაქტები, გარემოებები ან ნიმუშები, რომლებიც, დამოუკიდებლად ან სხვა ფაქტებთან ან გარემოებებთან ერთად, მიანიშნებს, რომ დანაშაულის ქმედებები მთლიანად ან ნაწილობრივ მოტივირებული იყო მიკერძოების ნებისმიერი ფორმით,“<sup>113</sup> სწორედ აღნიშნული ინდიკატორები წარმოადგენენ იმ მტკიცებულებებს, რომლებზე დაყრდნობითაც გამომძიებელმა, პროკურორმა თუ მოსამართლემ უნდა იმსჯელოს დანაშაულის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენის თაობაზე.

გამომძიების პროცესში ხდება იმ ფაქტების თუ გარემოებების შესწავლა, რომლებიც ცალკე აღებული ან სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში გვამღებენ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ დანაშაული ჩადენილია დისკრიმინაციული ნიშნით. სახელმწიფო ვალდებულია გამოიყენოს ყველა ბერკეტი, რათა დაადგინოს დანაშაულის ჩადენის მოტივი. სწორედ აღნიშნული ვალდებულება გულისხმობს დანაშაულთან დაკავშირებული ყველა იმ საეჭვო ფაქტის შემოწმებას თუ შესწავლას, რომელიც შესაძლოა მიუთითებდეს მოტივზე.<sup>114</sup> ევროსასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ამგვარი დანაშაულებისადმი ისეთი მიდგომა, როგორც მიდგომაც არსებობს დისკრიმინაციული მოტივის გარეშე ჩადენილი დანაშაულებისადმი, არის სახელმწიფოს მხრიდან თვალის დახუჭვა ამ დანაშაულების სპეციფიკურ ხასიათზე, რაც საბოლოოდ ზიანს აყენებს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, რომელიც იწვევს კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას.<sup>115</sup>

---

<sup>113</sup> OSCE/ODIHR, Hate Crime Prosecution at the Intersection of Hate Crime and Criminalized ‘Hate Speech’ A PRACTICAL GUIDE, Warsaw, 2024, p. 26, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/<https://www.osce.org/files/f/documents/7/7/579391.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>114</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: Natchova and others v. Bulgaria, {2005}, ECHR, 160, Members of the gldani congregation on Jehovah’s witnesses and others v. Georgia, {2007}, ECHR, 139, Mudric v. The republic of Moldova, {2013}, ECHR, 64.

<sup>115</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: Aghdgomelashvili and japaridze v. Georgia, {2021}, ECHR, 44, Identoba and Others v. Georgia, {2015}, ECHR, 77 - „სასამართლო მიიჩნევს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან

საზოგადოების დაბალი ცნობიერება და ინფორმირებულობა, ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული და დამკვიდრებული გენდერული სტერეოტიპები ქალისა და მამაკაცის როლების შესახებ, არსებული დისკრიმინაციული ელფერი და მის საფუძველზე სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული არასათანადო რეაგირება გახდა საფუძველი იმისა, რომ საქმეში „თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ“ დადგინდა პოზიტიური პროცედურული ვალდებულებების შეუსრულებლობა მე-2 მუხლის შესაბამისად კონვენციის მე-14 მუხლთან ერთობლიობაში. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ „არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობა ჩატარებულიყო არსებითი გამოძიება იმ შესაძლებლობისა, რომ გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და მიკერძოებულობა ასევე იყო პოლიციის სავარაუდო უმოქმედობის წამახალისებელი ფაქტორი.“<sup>116</sup> ფაქტობრივად, იგივე განმარტებები გააკეთა ევროსასამართლომ საქმეზე „ა და ბ საქართველოს წინააღმდეგ.“<sup>117</sup> ქვეყანაში არსებულ რელიგიურ შეუწყნარებლობის ფონზე, როგორც მნიშვნელოვან გარემოებაზე გაამახვილა ყურადღება სასამართლომ საქმეზე „ცარციძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ და განმარტა, რომ „ეს ინციდენტი ასევე აუცილებელია დანახულ იქნეს იმ რელიგიური შეუწყნარებლობის პრიზმაში, რასაც იეჰოვას მოწმეები იმ დროისთვის განიცდიდნენ საქართველოში.“<sup>118</sup> საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფომ მოტივთან დაკავშირებული ყველა ეჭვი, ფაქტი და გარემოება უნდა შეისწავლოს და მხოლოდ შემდგომ მიიღოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

---

მართლმსაჯულების აღსრულების მიმართ მკაცრი მიდგომის გარეშე დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილი დანაშაულები ჩვეულებრივი დანაშაულების, ანუ რომელსაც დისკრიმინაციის მოტივი არ გააჩნია, რიგად იქნება განხილული, რაც სიძულვილით განპირობებულ დანაშაულებზე ოფიციალური ან თუნდაც მასზე დუმილით გამოხატული ოფიციალური თანხმობის ტოლფასი იქნება.“

<sup>116</sup> Tkhelidze v. Georgia, {2021}, ECHR, 60.

<sup>117</sup> A and B v. Georgia, {2022}, ECHR.

<sup>118</sup> Tsartsidze and other v. Georgia, {2017}, ECHR, 82.

გამოძიება საკმაოდ კომპლექსური და დინამიური პროცესია, თავდაპირველ ეტაპზე შესაძლებელია არ არსებობდეს ის მტკიცებულებები, რომლებიც დანაშაულის დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენაზე მიუთითებდეს, თუმცა, საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდგომ გამოძიებამ ამგვარი მტკიცებულებები მოიპოვოს.

დანაშაულის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენის საკითხის შესასწავლად აუცილებელია შეფასდეს ისეთი გარემოებები, როგორებიცაა: ბრალდებულთან დაკავშირებული გარემოებები, დაზარალებულთან დაკავშირებული გარემოებები, დანაშაულის ჩადენის დროსთან და ადგილთან დაკავშირებული გარემოებები და სხვა გარემოებები.<sup>119</sup>

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო ოდირი) 2019 წელს შეიმუშავა დოკუმენტი - „მიკერძოების ინდიკატორების გამოყენება: პრაქტიკული ინსტრუმენტი პოლიციისთვის“, რომელიც დეტალურად განმარტავს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ინდიკატორებს.<sup>120</sup> აღნიშნული ინდიკატორები სამართალდამცავ უწყებას აძლევს შესაძლებლობას ყურადღების მიღმა არ დატოვოს ისეთი გარემოებები, რომლებმაც შეიძლება დაამტკიცონ ან გამორიცხონ დანაშაულის დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენა, თუმცა, აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ რომელიმე ან რამდენიმე ინდიკატორის არსებობა არ ნიშნავს აუცილებლად დანაშაულის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენას, მაგალითად

---

<sup>119</sup> Study Requested by the LIBE committee, Hate speech and hate crime in the EU and the evaluation of online content regulation approaches, Policy Department for Citizens' Rights and Constitutional Affairs Directorate-General for Internal Policies, 2020, p. 106, <[https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2020/655135/IPOL\\_STU\(2020\)655135\\_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2020/655135/IPOL_STU(2020)655135_EN.pdf)> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

OSCE/ODIHR, Understanding Hate Crimes A Handbook for Ukraine, 2015, Warsaw, Poland, pp. 9-10, <<https://www.osce.org/files/f/documents/4/9/208176.pdf>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>120</sup> OSCE/ODIHR, Using Bias Indicators: A Practical Tool for Police, 2019, <[https://www.osce.org/files/f/documents/8/9/419897\\_0.pdf](https://www.osce.org/files/f/documents/8/9/419897_0.pdf)> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

ის გარემოება, რომ დაზარალებული არის არაბი, აუცილებლად არ გულისხმობს იმას, რომ ის მისი ეროვნული, ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილების ნიშნით შეუწყნარებლობის გამო გახდა დანაშაულის მსხვერპლი, აღნიშნული მოტივი შეიძლება დადასტურდეს ბრალდებულის მიერ გაკეთებული კომენტარებით, თვითმხილველი მოწმეების ჩვენებებით და სხვა.

დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე სრულყოფილი მსჯელობის წარმართვისთვის აუცილებელია დეტალურად შეფასდეს და გაანალიზდეს ის ინდიკატორები, რომლებიც დისკრიმინაციული ნიშნის მამტიცებელ გარემოებებზე მიუთითებენ და წარმოადგენენ შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის დამადასტურებელ მტიცებულებებს, ამგვარი ინდიკატორები შეიძლება იყოს: დაზარალებულთან დაკავშირებული გარემოებები, ბრალდებულთან დაკავშირებული გარემოებები, დანაშაულის ჩადენის დროსთან და ადგილთან დაკავშირებული გარემოებები და სხვა გარემოებები.

#### **1.4.1 დაზარალებულთან დაკავშირებული გარემოებები**

სსსკ-ის მესამე მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად, დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. მართალია დაზარალებული არ არის სისხლის სამართლის პროცესის მხარე, თუმცა, არის სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაწილე, რომელიც ყოველთვის არსებობს დანაშაულის ჩადენის შედეგად, შესაბამისად, მასთან დაკავშირებულ გარემოებებს, მტიცებულებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად. ფაქტობრივად დაზარალებული არის მტიცებულების მნიშვნელოვანი წყარო, რომელზე დაყრდნობითაც პროკურორი ასაბუთებს საპროცესო გადაწყვეტილებას<sup>121</sup> (პირის მიმართ

<sup>121</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 20 ოქტომბრის №1გ/1614-16 განჩინება, 4.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება), შემდგომ კი სასამართლო ასაბუთებს განაჩენს.

დისკრიმინაციულ დანაშაულზე სამართალწარმოების დროს, შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირებისთვის დაზარალებულთან დაკავშირებულ რამდენიმე გარემოებას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, კერძოდ:<sup>122</sup>

- **დაზარალებულის აღქმა** - დაზარალებულის აღქმა შეუწყნარებლობის მოტივის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია. იმ შემთხვევაშიც კი თუ სისხლის სამართლის საქმეში არ არსებობს შეუწყნარებლობის მოტივის სხვა ინდიკატორი, დაზარალებულის აღქმა, რომ ის გახდა დისკრიმინაციული დანაშაულის მსხვერპლი განიხილება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორი.<sup>123</sup> ამ კატეგორიის დანაშაულთან მიმართებით სწორედ ეს ინდიკატორი გვხვდება პრაქტიკაში ყველაზე ხშირად. გამომდინარე უნდა დაინტერესდეს რა გარემოებებმა განაპირობეს დაზარალებულის ეს დამოკიდებულება, აღქმა. დაზარალებულის აღქმის საფუძველი შეიძლება იყოს დანაშაულის ადგილზე დატოვებული სიძულვილის შემცველი წარწერები, გრაფიტები, ნახატები, მოძალადის მიერ თავდასხმის დროს გაკეთებული სიძულვილის ან სტერეოტიპული დამოკიდებულების შემცველი კომენტარები, თავდასხმის წინარე გამოცდილება და სხვა. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ცალკე აღებული ეს

---

<sup>122</sup> OSCE/ODIHR, Understanding Hate Crimes A Handbook for Ukraine, 2015, Warsaw, Poland, pp. 9-10,

<<https://www.osce.org/files/f/documents/4/9/208176.pdf>> OSCE/ODIHR, Prosecuting Hate Crimes A Practical Guid, 2014, Warsaw, pp. 47-49,

<chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/

<https://www.osce.org/files/f/documents/0/0/124532.pdf>> OSCE/ODIHR, Using Bias Indicators: A Practical Tool for Police, p. 6, 2019, <[https://www.osce.org/files/f/documents/8/9/419897\\_0.pdf](https://www.osce.org/files/f/documents/8/9/419897_0.pdf)> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>123</sup> OSCE/ODIHR, Hate Crime Prosecution at the Intersection of Hate Crime and Criminalized 'Hate Speech' A PRACTICAL GUIDE, Warsaw, 2024, p. 45,

<chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/

<https://www.osce.org/files/f/documents/7/7/579391.pdf>>

12.07.2025].

უკანასკნელად გადამოწმდა:

გარემოებები, შეიძლება დამატებითი ინდიკატორის (მტკიცებულების) სახით იქნეს შეფასებული და გამოყენებული;

- **დაზარალებულის კუთვნილება დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნის მქონე ჯგუფისადმი** - როდესაც დაზარალებული არის დისკრიმინაციისგან დაცული რომელიმე ჯგუფის წარმომადგენელი, ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც შეუწყნარებლობის მოტივის დამადასტურებელი ერთ-ერთი ინდიკატორი, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როდესაც მსხვერპლი მოწყვლადი ჯგუფის (ეროვნული და ეთნიკური უმცირესობები, ლგბტქი+ თემის წევრები, რელიგიური უმცირესობები და სხვა) წარმომადგენელია;
- **დაზარალებულის გარეგნული მახასიათებლებით მკვეთრი განსხვავდება უმრავლესობისგან** - აღნიშნული ინდიკატორი სახეზეა მაშინ, როდესაც დაზარალებულს აქვს სხვებისგან (უმრავლესობისგან) მკვეთრად განსხვავებული ჩაცმის სტილი, მაკიაჟი, ვარცხნილობა, გამოირჩევა განსხვავებული აქსესუარებით (მაგ. გრძელი საყურეები ან სხვა აქსესუარები) და სხვა;
- **დაზარალებულის კავშირი, ასოცირებულობა დისკრიმინაციის ნიშნით დაცულ ჯგუფთან** - აღნიშნული ინდიკატორის დროს დგინდება, რომ დაზარალებული სწორედ იმიტომ შეირჩა სამიზნედ, რომ ის დაკავშირებული ანდა ასოცირებულია კონკრეტულ ჯგუფთან. მაგალითად დაზარალებული გახდა თავდასხმის მსხვერპლი იმის გამო, რომ ის იცავს მუსლიმების უფლებებს;
- **დაზარალებულის წინარე, წარსული გამოცდილება** - მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს დაზარალებულის წარსული, ის გარემოება, რომ ის არაერთხელ გამხდარა მსგავსი დანაშაულის მსხვერპლი. როდესაც სახეზეა ამგვარი შემთხვევა, შესაძლებელია წარმოიშვას გონივრული ვარაუდი, რომ ამჯერადაც სახეზეა დისკრიმინაციული ნიშნით დანაშაულის ჩადენა;

- დაზარალებულისადმი გაგზავნილი სიძულვილის შემცველი შეტყობინებები - დისკრიმინაციული მოტივის დამადასტურებელი მტკიცებულება შეიძლება იყოს სიძულვილის თუ სტერეოტიპული დამოკიდებულების შემცველი სატელეფონო, საფოსტო ან პირადი შეტყობინებები, რომლებიც გაეგზავნა დაზარალებულს ან გავრცელდა სოციალური ქსელების მეშვეობით;
- დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის არსებული ეთნიკური, რელიგიური ან კულტურული განსხვავებები<sup>124</sup> - ეს ინდიკატორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც დაზარალებული წარმოადგენს იმ ჯგუფის წევრს, რომელიც დანაშაულის ჩადენის ტერიტორიაზე რიცხოვნობის მცირე მოსახლეობას წარმოადგენს (მაგალითად ბოშების მიმართ დანაშაულის ჩადენა), ან როდესაც დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის მკვეთრად თვალშისაცემი სხვაობა არსებობს (მაგ. ერთი მათგანი ატარებს ქრისტიანულ რელიგიურ ატრიბუტიკას, მეორე კი შემოსილია განსხვავებული რელიგიური სამოსით).

ზემოაღნიშნული ინდიკატორები არ არის ამომწურავი და გამოძიების მიმდინარეობის დროს შესაძლებელია სხვადასხვა ინტენსივობით გამოიკვეთოს, მაგალითად გამოკითხვის ან დაკითხვის დროს, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს, სოციალური ქსელის დათვალიერების დროს, დაზარალებულისადმი გაგზავნილი ელექტრონული ფოსტის დათვალიერების დროს და სხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების დროს. თითოეული გარემოება, ინდიკატორი საჭიროებს საგამოძიებო უწყების განსაკუთრებულ ყურადღებას, დეტალურ შესწავლას და საქმის სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში შეფასებას.

---

<sup>124</sup> OSCE/ODIHR, Hate Crime Prosecution at the Intersection of Hate Crime and Criminalized ‘Hate Speech’ A PRACTICAL GUIDE, Warsaw, 2024, p. 46, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.osce.org/files/f/documents/7/7/579391.pdf> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

#### 1.4.2 ბრალდებულთან დაკავშირებული გარემოებები

შეუწყნარებლობის მოტივის დადგენისთვის ბრალდებულთან დაკავშირებულ არაერთ გარემოებას ექცევა დიდი მნიშვნელობა, კერძოდ:<sup>125</sup>

- **ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენამდე, ჩადენისას ან ჩადენის შემდეგ გამოყენებული სიძულვილის (ზიზღის, სტერეოტიპული დამოკიდებულების) შემცველი სიძულვილის ენა ანდა ჟესტიკულაცია** - ეს ინდიკატორი განსაკუთრებით კარგად ასახავს ბრალდებულის დამოკიდებულებას დაზარალებულისადმი, მის ზიზღს თუ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას, მაგალითად, ბრალდებულმა დაზარალებულ ქალს ძალადობის შემდგომ მიმართა ფრაზით: „ქალს არ უნდა დაავიწყდეს თავისი ადგილი და ყოველთვის ისე უნდა იქცეოდეს, როგორც კაცი გადაწყვეტს“, ან ბრალდებულმა ფიზიკური ძალადობის განხორციელებამდე ეთნიკურად არაბს მიმართა ფრაზით: „თქვენ, მუსულმანები ყველანი ტერორისტები ხართ და ჩვენს ქვეყანაში არ უნდა გაჩერებდნენ“ და სხვა;
- **ბრალდებულის მიერ შემთხვევის ადგილზე გაკეთებული წარწერები, ნახატები, გრაფიტები** - ძირითად შემთხვევაში ამ დანაშაულის ბრალდებულებს სურთ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს მაღალი საზოგადოებრივი ყურადღება მიაპყრონ, რის გამოც ისინი დანაშაულის ადგილას ხშირად ტოვებენ მათი უარყოფითი დამოკიდებულების დამადასტურებელ მტკიცებულებებს: ნახატებს, გრაფიტებს, წარწერებს, მაგალითად ჯვრის გამოსახვა „იჰოვას მოწმეთა“ შესაკრებ სივრცეებზე, ე.წ. „ფაშისტური სიმბოლიკის - სვასტიკის“ დახატვა ებრაელების თავშეყრის ადგილებში და სხვა. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის

---

<sup>125</sup> OSCE/ODIHR, Understanding Hate Crimes A Handbook for Ukraine, 2015, Warsaw, Poland, pp. 9-10, <<https://www.osce.org/files/f/documents/4/9/208176.pdf>> OSCE/ODIHR, Prosecuting Hate Crimes A Practical Guid, 2014, Warsaw, pp. 47-49, <chrome-extension://efaidnbnmnnibpcajpcglclefindmkaj/<https://www.osce.org/files/f/documents/0/0/124532.pdf>> OSCE/ODIHR, Using Bias Indicators: A Practical Tool for Police, pp. 7-13, 2019, <[https://www.osce.org/files/f/documents/8/9/419897\\_0.pdf](https://www.osce.org/files/f/documents/8/9/419897_0.pdf)> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

გარემოებაც, რომ ამ ქმედებას სხვა მიზანიც აქვს, ის არის ერთგვარი გზავნილი იმ ჯგუფის სხვა წარმომადგენლებისთვის, რომლის წევრიც არის დაზარალებული;

➤ **ბრალდებულის საჯარო გამოსვლები** - ბრალდებულთან დაკავშირებულ ამ ინდიკატორს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მაშინ, როდესაც ბრალდებული საზოგადოების გარკვეული ჯგუფებისთვის ცნობადი პირია, ის ხშირად გამოდის ტელევიზიით, რადიოთი ან არის ძალიან აქტიური სოციალური ქსელების მეშვეობით, მაგალითად ბრალდებულმა დანაშაულის ჩადენამდე სოციალური ქსელის მეშვეობით რამდენჯერმე გაავრცელა ვიდეო-მიმართვა, სადაც საუბრობდა აზიური წარმოშობის ადამიანების მიმართ სიძულვილზე და ამ ადამიანების ქვეყნიდან გაძევების აუცილებლობაზე, ამასთან, ყოველთვის აფიქსირებდა აზრს, რომ ხელიდან არ გაუშვებდა შესაძლებლობას ამ ხალხს ფიზიკურად გასწორებოდა. ამ განცხადებების გავრცელებიდან მალევე მან ფიზიკურად იძალადა ინდოელ სტუდენტზე. მოცემულ შემთხვევაში, მისი ეს განცხადებები შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი მტკიცებულება შეუწყნარებლობის მოტივის შესაფასებლად;

➤ **ბრალდებულის რადიკალური თუ ძალადობრივი ჯგუფისადმი კუთვნილება, წევრობა** - ეს ინდიკატორი არ ახასიათებს ყველა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს, ძირითად შემთხვევაში ის დაკავშირებულია ორგანიზებულ დანაშაულთან, როდესაც რამდენიმე ადამიანი გაწევრიანებულია ჯგუფში, რომელიც იმართება ერთი იდეოლოგიით და მოწოდებულია დისკრიმინაციის ნიშნით დაცული რომელიმე ჯგუფისადმი დანაშაულის ჩასადენად. ასეთი ინდიკატორი შეიძლება არსებობდეს ასევე რელიგიური ნიშნით დანაშაულის ჩადენის დროს, როდესაც ბრალდებული წარმოადგენს რომელიმე სექტის /

რელიგიური ფანატიზმის მატარებელი ჯგუფის წევრს.<sup>126</sup> ულტრა მემარჯვენე ჯგუფის კუთვნილება ევროსასამართლომ ერთ-ერთ საქმეში შეაფასა, როგორც სიძულვილის მოტივის ინდიკატორი;<sup>127</sup>

- **ბრალდებულის წარსული** - ამ ინდიკატორის შეფასებისთვის ყურადღება ექცევა ბრალდებულის წარსულ ნასამართლობას, მის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაულის თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახეს და ხასიათს, კერძოდ - თუ ბრალდებული წარსულში არაერთხელ არის პასუხისგებაში მიცემული მსგავსი დანაშაულის ჩადენისათვის ეს შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა რომ შესაძლებელია ამ შემთხვევაშიც მის მიერ დანაშაულის ჩადენას განაპირობებდა სიძულვილის მოტივი. საქმეში გრიგორიანი და სერგეევა უკრაინის წინააღმდეგ ევროსასამართლომ, შეფასების დროს, ყურადღება გაამახვილა დამნაშავეთა წარსულზე (იმაზე ჰქონიათ თუ არა მათ წარსულში მსგავსი ინციდენტები), როგორც მნიშვნელოვან ინდიკატორზე;<sup>128</sup>
- **ბრალდებულის მფლობელობაში არსებული ნივთები** - იგულისხმება სიძულვილის თუ სტერეოტიპული დამოკიდებულების შემცველი ლიტერატურის თუ ვიდეო მასალის ქონა, ამგვარი ლიტერატურის თუ ვიდეო მასალის ავტორობა და სხვა, რაც მიუთითებდა მის უარყოფით დამოკიდებულებაზე კონკრეტული ჯგუფისადმი. მაგალითად, ბრალდებული საკუთარ ბინაში ინახავდა ისეთ ლიტერატურას, რომელშიც აღწერილია ებრაელების მიმართ ზიზღი და სიძულვილი, მითითებულია ებრაელების განადგურების აუცილებლობაზე, ამასთან, ბრალდებული სოციალურ ქსელებში არის სხვადასხვა დახურული ჯგუფის წევრი, სადაც საუბრობენ ებრაელების გენოციდის აუცილებლობაზე და სხვა;

<sup>126</sup> ლეონენკო ტ., რელიგიური სიძულვილის ან ქიშპობის, როგორც დანაშაულებრივი ქმედებების პიროვნული მოტივაციის არსი, შინაარსი და მისი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა, 2014, სამართლის ჟურნალი-„მართლმსაჯულება და კანონი“, №2(41)14, გვ. 100.

<sup>127</sup> Milanovic v. Serbia, {2011}, ECHR, 98.

<sup>128</sup> Grigoryan and Sergyeva v. Ukraine, {2017}, ECHR, 94-95.

- **ბრალდებულის სხვა მახასიათებელი** - ამ დროს ყურადღება ექცევა ბრალდებულის გარეგნულ მახასიათებლებს, მის ტანზე სიძულვილის შემცველი ტატუირების არსებობას, მის ვარცხნილობას თუ ჩაცმულობას და სხვა ისეთ მახასიათებელს, რომელიც მიუთითებს მის უარყოფით დამოკიდებულებაზე, ექსტრემიზმზე დისკრიმინაციისგან დაცული კონკრეტული ჯგუფისადმი.

ბრალდებულთან დაკავშირებული ეს ინდიკატორები სისხლის სამართლის საქმეზე შეიძლება გამოვლინდეს როგორც გამოძიების დაწყებისას, ისე მიმდინარეობის პროცესში, ამასთან, შესაძლებელია საქმეში არსებობდეს როგორც მხოლოდ ერთი ინდიკატორი ისე რამდენიმე ინდიკატორი ერთდროულად.

#### 1.4.3 დანაშაულის დროსა და ადგილთან დაკავშირებული გარემოებები

საერთაშორისო ინსტიტუტების, მათ შორის ეუთო ოდირის მიერ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით არაერთი პრაქტიკული გაიდლაინი თუ სახელმძღვანელო მომზადდა, რომლებიც შეიცავენ ამ დანაშაულთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანში დანაშაულის ჩადენის დრო და ადგილი შეფასებულია როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება სიძულვილის მოტივის იდენტიფიცირებისთვის,<sup>129</sup> კერძოდ:

- **დანაშაულის ჩადენის დრო** - ამ ინდიკატორის დადგენისთვის შესაფასებელია დანაშაულის ჩადენის სიმბოლური თარიღი - მაგალითად აღდგომის წირვის დროს ეკლესიაზე თავდასხმა, რამაზანის მარხვის დროს მუსლიმების მიმართ განხორციელებული ძალადობა და სხვა;

---

<sup>129</sup> OSCE/ODIHR, Using Bias Indicators: A Practical Tool for Police, pp. 15-18, 2019, <[https://www.osce.org/files/f/documents/8/9/419897\\_0.pdf](https://www.osce.org/files/f/documents/8/9/419897_0.pdf)> OSCE/ODIHR, Prosecuting Hate Crimes A Practical Guid, 2014, Warsaw, pp. 47-49, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj <https://www.osce.org/files/f/documents/0/0/124532.pdf>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

- **დანაშაულის ჩადენის ადგილი** - ეს ინდიკატორი სახეზეა მაშინ, როდესაც დანაშაული ჩადენილია დისკრიმინაციისგან დაცული კონკრეტული ჯგუფისთვის მნიშვნელოვან ადგილას, მაგალითად მეჩეთი მუსლიმებისთვის, ეკლესია ქრისტიანებისთვის და სხვა; ამ ინდიკატორში მოაზრება ასევე ისეთი ნივთები და ქონება, როგორცაა კულტურული, ისტორიული თუ რელიგიური მნიშვნელობის ძეგლი, შენობა, სასაფლაო და სხვა;
- **დანაშაულის ერთსა და იმავე ადგილზე რამდენჯერმე ჩადენა** - შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე ადგილი (შენობა, ნაგებობა, ძეგლი და სხვა) რამდენჯერმე ხდება თავდასხმის სამიზნე, მაგალითად სამჯერ დაზიანებული მეჩეთი, ორჯერ დაზიანებული უფლებადამცველი ორგანიზაციის შენობა და სხვა;
- **დანაშაულის მას შემდეგ ჩადენა, რაც კონკრეტულ ტერიტორიაზე დისკრიმინაციისგან დაცული კონკრეტული ჯგუფი გამოჩნდა** - შემთხვევა, როდესაც თავდასხმები დაიწყო მას შემდეგ რაც დისკრიმინაციისგან დაცული კონკრეტული ჯგუფი დასახლდა კონკრეტულ ადგილას, მაგალითად, ბოშების ან ქრისტიანების დასახლების შემდგომ, მათ მიმართ დაიწყო ძალადობრივი ქმედებების ჩადენა.

თითოეული აღნიშნული გარემოება გამოძიებისთვის მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს, რომელმაც შესაძლებელია შეუწყნარებლობის მოტივის დამადასტურებელი მტკიცებულების მოპოვება განაპირობოს, სწორედ ამიტომ ამ გარემოებებს უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს.

#### **1.4.4 სხვა გარემოებები**

ბრალდებულთან, დაზარალებულთან, დანაშაულის ჩადენის დროსთან და ადგილთან დაკავშირებული გარემოებების გარდა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მიმდინარეობის დროს შესაძლებელია

გამოიკვეთოს სხვა ისეთი გარემოებები, რომლებმაც შესაძლებელია დანაშაულის ჩადენის შეუწყნარებლობის მოტივი დაადასტუროს, კერძოდ:<sup>130</sup>

➤ **მოწმის აღქმა** - დანაშაულის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი შეიძლება იყოს მოწმე, მით უფრო თვითმხილველი მოწმე, რომელიც შეესწრო დანაშაულის ჩადენას და გაიგონა ბრალდებულის მიერ გაკეთებული სიძულვილის შემცველი კომენტარები, ან მან იცოდა ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის მოტივი (პირად საუბრებში უთხრა თავად ბრალდებულმა), ან მოწმემ მოისმინა, როგორ საუბრობდა ბრალდებული სხვა პირებთან რომ ის აუცილებლად ჩაიდენდა დანაშაულს დისკრიმინაციისგან დაცული კონკრეტული ჯგუფის წინააღმდეგ და სხვა. მაგალითად საქართველოს სახალხო დამცველის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოში ვიტალი საფაროვის საქმეზე წარდგენილი სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებაში მკვლელობის მოტივის იდენტიფიცირების მტკიცებულებად მითითებული იყო მოწმეთა ჩვენებები, სადაც ისინი საუბრობდნენ იმაზე, თუ როგორ მიმართავდა ბრალდებული გარდაცვლილს - „შენი ებრაელი დედა“, „მოკალი მაგ ებრაელი“;<sup>131</sup>

➤ **ქმედების ჩადენის ხერხი და ხასიათი** - ამ შემთხვევაში დამნაშავე დანაშაულს ისეთი საშუალებით თუ ხერხით ახორციელებს, რომელიც არ არის ჩვეულებრივი - მაგალითად ბრალდებულმა დაზარალებულს სახეზე ჩამოუსვა დანა დასახიჩრების მიზნით, რათა ამ უკანასკნელს

---

<sup>130</sup> OSCE/ODIHR, Understanding Hate Crimes A Handbook for Ukraine, 2015, Warsaw, Poland, pp. 9-10, <<https://www.osce.org/files/f/documents/4/9/208176.pdf>> OSCE/ODIHR, Prosecuting Hate Crimes A Practical Guid, 2014, Warsaw, pp. 47-49, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/<https://www.osce.org/files/f/documents/0/0/124532.pdf>> OSCE/ODIHR, Using Bias Indicators: A Practical Tool for Police, pp. 2019, 20-22, <[https://www.osce.org/files/f/documents/8/9/419897\\_0.pdf](https://www.osce.org/files/f/documents/8/9/419897_0.pdf)> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>131</sup> საქართველოს სახალხო დამცველის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება, 4, 2019, <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2019100717365940559.pdf>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

სხვა კაცების ყურადღება არ მიეპყრო, ან მაგალითად ბრალდებულმა დაზარალებულს ჭრილობა მიაყენა საჯდომზე და ამით დასაჯა ის მისი განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის გამო და სხვა. ამგვარ შემთხვევებში დანაშაულის ჩადენის ხერხი და ხასიათი შესაძლებელია ცალკე, დამოუკიდებლად შეფასდეს, როგორც შეუწყნარებლობის მოტივის ინდიკატორები;

- **დანაშაულის დამამცირებელი ხასიათი** - აღნიშნული გარემოება შესაძლებელია იყოს ძალიან მნიშვნელოვანი ინდიკატორი სიძულვილის მოტივის დასადგენად, მაგალითად დაზარალებულის იძულება დალიოს საკუთარი შარდი, დაზარალებულის იძულება დაგმოს საკუთარი რელიგია და სხვა, ზოგადად ამ დანაშაულის, სხვა დანაშაულებთან შედარებით გაცილებით ფართო გავლენის საზღვრები აქვს „ვინაიდან სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაული არის როგორც საშიში, ისე დამამცირებელიც“<sup>132</sup>;
- **წინარე ისტორია** - ამ შემთხვევაში სახეზე არის კონკრეტულ ადგილთან დაკავშირებული წინარე ისტორია, მაგალითად ისტორიული დაპირისპირება დაზარალებულის და დამნაშავეს ჯგუფებს შორის;
- **სხვა მოტივის არარსებობა** - აღნიშნული ინდიკატორი ძირითადად ისეთ სისხლის სამართლის საქმეებში ჩანს, სადაც ბრალდებული და დაზარალებული ერთმანეთს არ იცნობდნენ, მაგალითად, დაზარალებულს მოულოდნელად, ყოველგვარი მიზეზის გარეშე თავს დაესხა მისთვის სრულიად უცნობი პირი, ცხადია აღნიშნული გარემოება აუცილებლად სიძულვილის მოტივის არსებობას არ ნიშნავს, გარემოება აუცილებლად სიძულვილის მოტივის არსებობას არ ნიშნავს, თუმცა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოტივის იდენტიფიცირების დროს. „განსახილველი დანაშაული (რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური ნიშნით მკვლელობა) შეიძლება

---

<sup>132</sup> Hörnle, Tatjana, Tatproportionale Strafzumessung, 1999, pp. 272-273.

ჩადენილ იქნეს ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კონფლიქტური სიტუაციის წარმოშობის გარეშე,<sup>133</sup> სხვაგვარად ასეთ დანაშაულებს უმოტივო დანაშაულებსაც უწოდებენ;

შეუწყნარებლობის მოტივის კრიტერიუმებზე/ინდიკატორებზე საუბარია ასევე აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს FBI-ის სახელმძღვანელოში,<sup>134</sup> და ეუთო/ოდირის მიერ შემუშავებულ სხვა დოკუმენტებში.<sup>135</sup>

შეუწყნარებლობის მოტივის მიმანიშნებელი ზემოაღნიშნული გარემოებები სისხლის სამართლის საქმეში შეიძლება არსებობდეს როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში, თუმცა, რომელიმე ან რამდენიმე მათგანის არსებობა არ ნიშნავს დანაშაულის აუცილებლად დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენას, მაგალითად ეთნიკურად აზერბაიჯანელი ადამიანი რამაზანის მარხვის დროს გახდა თავდასხმის მსხვერპლი მისი მეზობლის მხრიდან - მიუხედავად იმისა, რომ სულ მცირე ორი ინდიკატორი (მსხვერპლის კუთვნილება კონკრეტული ჯგუფისადმი და დანაშაულის ჩადენის კონკრეტული დრო) სახეზეა, ეს არ ნიშნავს აუცილებლად იმას, რომ ის მსხვერპლი გახდა მისი განსხვავებული ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილების გამო. შეუწყნარებლობის მოტივი შეიძლება გამოირიცხოს თუ დადასტურდა რომ დანაშაულის ჩადენის მიზეზი და მოტივი იყო სხვა გარემოება, მაგალითად მსხვერპლის მიერ

<sup>133</sup> გაბისონია ი., გაბელაია ჯ., დარსანია თ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, თბ., 2018, გვ. 127.

<sup>134</sup> ვრცლად: „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) მიერ განხორციელებულ კვლევაში - „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტი პირთა მიმართ გამოწვევები და პერსპექტივები“, თბ., 2016, გვ. 49-51, <[https://women.ge/data/policy%20paper/WISG\\_hate-crime\\_policy\\_paper\\_ILGA-2016.pdf](https://women.ge/data/policy%20paper/WISG_hate-crime_policy_paper_ILGA-2016.pdf)> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>135</sup> Study Requested by the LIBE committee, Hate speech and hate crime in the EU and the evaluation of online content regulation approaches, Policy Department for Citizens' Rights and Constitutional Affairs Directorate-General for Internal Policies, 2020, p. 14,

<[https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2020/655135/IPOL\\_STU\(2020\)655135\\_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2020/655135/IPOL_STU(2020)655135_EN.pdf)> OSCE/ODIHR, Hate Crime Prosecution at the Intersection of Hate Crime and Criminalized 'Hate Speech' A PRACTICAL GUIDE, Warsaw, 2024, p.46,

<chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj  
<https://www.osce.org/files/f/documents/7/7/579391.pdf>>

[უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

სესხად აღებული ვალის დაუბრუნებლობის გამო შურისძიება. შესაბამისად, შემაჯამებელი დასკვნების მიღებამდე აუცილებელია საქმესთან დაკავშირებული თითოეული გარემოების კომპლექსურად და შინაარსობრივად და არა კონტექსტიდან ამოგლეჯილად, გაანალიზება და შეფასება.

## თავი II. დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე გამომიების წარმოების თავისებურებანი<sup>136</sup>

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის გამომიება კომპლექსური პროცესია, რომელიც ორ მნიშვნელოვან საკითხს აერთიანებს. ბრალდების მხარემ უნდა მოიპოვოს არა მხოლოდ სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაულის, მისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების ჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულებები, არამედ მისი დამამძიმებელ გარემოებებში - შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულებებიც, ორივე საკითხზე უნდა ახდენდეს გამომიების ყურადღების გამახვილებას, ხოლო დაცვის მხარეს, სტრატეგიის შესაბამისად, უწევს საწინააღმდეგოს მტკიცება - რომ ბრალდებულს არ ჩაუდენია შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული, ან რომ მან ჩაიდინა დანაშაული, თუმცა, დამამძიმებელი გარემოების - შეუწყნარებლობის მოტივის გარეშე.

მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში, კანონმდებლობა მხარეებს თანასწორობის პრინციპით აღჭურავს, თუმცა, თანასწორობა სსსკ-ის მიზნებისთვის არ გულისხმობს აბსოლუტურ თანასწორობას, ბრალდების მხარე თავისი სამართლებრივი მდგომარეობიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე ფაქტობრივად ყოველთვის იმყოფება უპირატეს მდგომარეობაში - „უნდა აღინიშნოს, რომ თანასწორობის პირობები პირობითია და იგი აბსოლუტურ თანასწორობას არ გულისხმობს, რამდენადაც მხარეების რესურსები განსხვავებულია: ერთ მხარესაა - ბრალდების მხარე, რომელსაც ზურგს უმაგრებს სახელმწიფო მთელი თავისი

---

<sup>136</sup> აღნიშნულ საკითხზე თემატური სტატია იხ.: გელოვანი, ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცების პროცესი და სტანდარტები, 2023, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №1 (77) 23, გვ. 138-157,  
<[https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/450387/1/Martlmsajuleba\\_Da\\_Kanoni\\_2023\\_N1.pdf](https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/450387/1/Martlmsajuleba_Da_Kanoni_2023_N1.pdf)>  
{უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}

რესურსებით, ხოლო მეორე მხარესაა - დაცვის მხარე, ნაკლები რესურსებით და ეს განსხვავება შეჯიბრებითი პროცესის თანდაყოლილ სისუსტედ მიიჩნევა.<sup>137</sup> სისხლის სამართლის პროცესში თანასწორობის პრინციპი პირდაპირ არის დაკავშირებული შეჯიბრებითობის პრინციპთან - „მხარეთა თანასწორობა შეჯიბრებითი პროცესის შემადგენელი თვისებაა და იგი გულისხმობს, რომ მხარეებს (იგულისხმება დაცვის და ბრალდების მხარეები) უნდა ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები, რათა თავიანთი არგუმენტები წარმოადგინონ და მეორე მხარეს შეეჯიბრონ.“<sup>138</sup>

სსსკ არ ავალდებულებს დაცვის მხარეს ბრალდებულის უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებას, თუმცა, მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, დაცვის მხარეს უფლება აქვს მოიპოვოს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს ბრალდებულის უდანაშაულობას, ან მის მიერ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენას. მხოლოდ ბრალმდებელს ეკისრება ბრალდების მტკიცების ტვირთი, რაც პირდაპირ ავალდებულებს მას მოიპოვოს ის მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც სასამართლო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებს ბრალდებულის მიერ ბრალად შერაცხული ქმედების, ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაში, დანაშაულის სწორედ შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენას. სსსკ-ის მე-9 მუხლით გათვალისწინებული პრინციპი ფარდობითია და მხარეთა შორის ბალანსის არსებობას უზრუნველყოფს - „მხარეთა თანასწორობა ფარდობითი ხასიათისაა და მოწინააღმდეგე მხარესთან შედარების მიზანია სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფა მხარეებს შორის.“<sup>139</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი

---

<sup>137</sup> კოჭლამაზაშვილი ბ., მხარის მიერ თავისი მტკიცებულების სადავოდ გახდომისა და გამოკვლევის შესაძლებლობა სისხლის სამართლის პროცესში, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, 2023, №3 (79) 23, გვ. 7.

<sup>138</sup> ხაჭვანი თ, შეჯიბრებითობის პრინციპი (შედარებითი ანალიზი), 2012, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №2 (33) 12, გვ. 67.

<sup>139</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9.

მოქმედებას იწყებს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც საქმეში ჩნდება ბრალდებული - იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა, სწორედ ამ მომენტიდან შემოდის სისხლის სამართლის პროცესში მეორე მხარე - დაცვის მხარე, რომელსაც უფლება აქვს მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს თუ გამოიკვლიოს მტკიცებულებები, დააყენოს შუამდგომლობები და სხვა. „შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით და გამოიყენონ ისინი საიმისოდ, რათა წარადგინონ მათი პოზიციების სასარგებლო არგუმენტები. იმავდროულად, ამ პრინციპის უმთავრესი მიზანი არის სწორი გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა და ამ მიზნისთვის ეს პრინციპი ეყრდნობა ორივე მხარის მიერ არგუმენტების თავისუფლად წარდგენის შესაძლებლობას.“<sup>140</sup>

## 2.1. დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის მტკიცებულება

სსსკ-ის მე-3 მუხლის, 23-ე ნაწილი დეტალურად განსაზღვრავს რა შეიძლება იყოს მტკიცებულება. „სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მტკიცებულება წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს, რომელმაც შეიძლება დაადასტუროს ან უარყოს ბრალდებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი.“<sup>141</sup> „მტკიცებულება ადეკვატურად უნდა ასახავდეს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომლის დასადასტურებლადაც არის წარმოდგენილი. მტკიცებულება არ უნდა უქმნიდეს ფაქტების დამდგენს მცდარ წარმოდგენას ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოებების არსებობის ან არარსებობის თაობაზე.“<sup>142</sup>

---

<sup>140</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №1/8/594 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 27.

<sup>141</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/1/548 „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5.

<sup>142</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/1/548 „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II- 51.

საპროცესო კანონმდებლობა არ ზღუდავს მხარეს მტკიცებულების ბუნებასთან, ფორმასთან თუ სახესთან დაკავშირებით, ის შეიძლება იყოს ბრალდებულის გამამართლებელი თუ გამამტყუნებელი, პირველადი თუ ნაწარმოები, ნივთიერი თუ პიროვნული, პირდაპირი თუ არაპირდაპირი და სხვა.<sup>143</sup> არ არსებობს საკანონმდებლო ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციის მატარებელი საგნების (მტკიცებულებების) ამომწურავ ჩამონათვალს, შესაბამისად, მხარეს უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებად წარადგინოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი ნებისმიერი საგანი, ნივთი თუ ობიექტი. მოცემული პრინციპი მოქმედებს შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულთან მიმართებითაც, საქართველოს კანონმდებლობა, განსხვავებით სხვა ქვეყნების, მაგალითად საფრანგეთის<sup>144</sup> ან დიდი ბრიტანეთის<sup>145</sup> კანონმდებლობისგან, არ ითვალისწინებს იმ შესაძლო მტკიცებულებების ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს დანაშაულის ჩადენის მოტივზე, შესაბამისად, ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც ამგვარ მოტივს ადასტურებს შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად.

არცერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და არცერთ მათგანს ენიჭება უპირატესობა სხვა მტკიცებულებასთან მიმართებით. „მტკიცებულების წონა მატულობს იმის მიხედვით, თუ მტკიცების საგანში შემავალ რამდენად არსებით/ ძირითად/მთავარ საკითხს

---

<sup>143</sup> თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ. 202-205.

<sup>144</sup> „თუ დანაშაულს წინ უსწრებს, თან ახლავს ან მოჰყვება წერილობითი ან ვერბალური სიტყვები, გამოსახულებები, საგნები ან ნებისმიერი ბუნების ქმედებები, რომელიც აზიანებს მსხვერპლის პატივს ან რეპუტაციას, ან პირთა ჯგუფს, რომელსაც მსხვერპლი მიეკუთვნება“ - OSCE/ODIHR (2010) Hate Crime Caws a Practical Guide, ODIHR Publishing, Warsaw, Poland, 2009, p. 52, <<https://www.osce.org/files/f/documents/3/e/36426.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>145</sup> „დანაშაულის ჩადენის დროს ან ჩადენამდე ან მის შემდეგ დამნაშავის მიერ მსხვერპლის მიმართ მტრობის გამოვლენა, რომელიც ეფუძნება მსხვერპლის წევრობას (ან სავარაუდო წევრობას) რასობრივი ან რელიგიური ჯგუფისადმი...“ OSCE/ODIHR (2010) Hate Crime Caws a Practical Guide, ODIHR Publishing, Warsaw, Poland, 2009, p. 52, <<https://www.osce.org/files/f/documents/3/e/36426.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

ეხება იგი და როგორი სიზუსტით, დამაჯერებლობით ამტკიცებს ან უარყოფს მას.<sup>146</sup> თითოეული მტკიცებულების მთავარი არსი და უპირატესობაც გამომდინარეობს მისი შინაარსისგან, რა ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარემოების დადასტურებას თუ უარყოფას ახდენს ის.

მტკიცებულებას არ წარმოადგენს ისეთი საპროცესო დოკუმენტები, როგორებიცაა - გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი, პირის ბრალდების შესახებ დადგენილება, მოსამართლის განჩინება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, მიმართვა ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, მიმოწერა უწყებებს შორის და სხვა. აღნიშნული დოკუმენტები არ შეიცავენ ინფორმაციას ან ცნობას, რომელიც სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას (სუბიექტი, სუბიექტური მხარე, ობიექტი, ობიექტური მხარე) დაადგენს.<sup>147</sup>

სსსკ-ის მე-3 მუხლის 24-ე ნაწილის თანახმად მოწმის ჩვენება ეს არის მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. „მოწმის ჩვენების საგანს წარმოადგენს მოწმის მიერ პერსონალურად აღქმული წარსული თუ მიმდინარე, პოზიტიური თუ ნეგატიური, გარეგანი ან შინაგანი და ასევე ჰიპოთეტურ გარემოებათა შესახებ ინფორმაცია. მოწმის ჩვენების საგანს არ წარმოადგენს მოწმის ინდივიდუალური შეფასებები, დასკვნები, პროგნოზები და თვალთახედვები სამართლებრივ და სხვადასხვა გარემოებათა შესახებ.“<sup>148</sup> ამავე მუხლის 25-ე ნაწილის თანახმად კი - „ნივთიერი მტკიცებულება – საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან-თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის,

<sup>146</sup> ჭიკაძე მ., ჯოჯუა ი., არაპირდაპირი მტკიცებულებები – გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი?!, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, თბ., №2, 2023, გვ., 159.

<sup>147</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 20 ოქტომბრის №1გ/1614-16 განჩინება, 5.

<sup>148</sup> თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ., 214.

დამნაშავის დადგენის ან ბრალდების უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს, აგრეთვე „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 21 პუნქტით გათვალისწინებული კონტროლირებადი მიწოდების განხორციელებისას გამოყენებული წინასწარ ნიშანდებული ან/და ყალბი (სიმულაციური) საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი.“ ამასთან, „ნივთიერი მტკიცებულება, როგორც წესი, მატერიალური სამყაროს ნებისმიერი ობიექტია, რომლისთვისაც დამახასიათებელია მტკიცებულებითი ინფორმაციის ნიშან-თვისებები და რომელიც მოპოვებული და დართულია სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ერთ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს როგორც თითის ანაბეჭდი, ასევე ფეხის კვალი, სიგარეტის ნამწვავი, სისხლის კვალი, სატრანსპორტო საშუალების საბურავების პროტექტორების კვალი, დოკუმენტები, ამონაწერები, აუდიო-ვიდეოჩანაწერები, ნივთიერებები (თხევადი, გაზისებური, ფხვნილისებური კონსისტენციის და ა. შ.) და ა. შ. აქვე კოდექსი ადგენს, რომ შედარებითი კვლევის ნიმუში შენაცვლებადი ნივთიერი მტკიცებულებაა.“<sup>149</sup>

ინფორმაცია მტკიცებულებით ძალას იძენს მისი სასამართლოში წარდგენის შემდგომ, ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის საპროცესო ნორმების დაცვით მოპოვებას. სასამართლოში წარდგენის მომენტიდან ინფორმაცია ავტომატურად იძენს მტკიცებულებით სტატუსს, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლო მას აუცილებლად გაიზიარებს.<sup>150</sup>

თუ ინფორმაცია მოპოვებულია კანონის არსებითი დარღვევით, ან თუ იგი მოპოვებულია სსსკ-ით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის

<sup>149</sup> ჩომბახაშვილი ქ., თომაშვილი თ., ძეგნიაური გ., ოსეფაშვილი გ., პატარიძე მ., მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, ფონდი: „ღია საზოგადოება - საქართველო“ თბ., 2016, გვ., 23.

<sup>150</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლექტივი, რედ.: გ. გიორგაძე, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., 2015, გვ., 37.

არსებითი გაქრობის შესახებ, ან თუ ის არარელევანტურია და საქმესთან შემხებლობა არ აქვს, ამგვარი ინფორმაცია ვერ იქნება გამოყენებული სისხლის სამართლის საქმეზე, როგორც მტკიცებულება და მასზე მითითებით სასამართლო ვერ იმსჯელებს პირის ბრალეულობაზე.

## 2.2. ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების თავისებურებანი<sup>151</sup>

ბრალდების მხარეს (გამომძიებელს, პროკურორს) ევალება გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, დაადგინოს ქმედების შემადგენლობის როგორც სუბიექტური მხარის, ისე ობიექტური მხარის ნიშნები, მათ შორის ქცევის ისეთი ნიშნები, როგორცაა მოტივი და მიზანი.<sup>152</sup> სსსკ-ის 37-ე მუხლის მეორე ნაწილი ავალდებულებს ბრალდების მხარეს მოიპოვოს ბრალდებულის როგორც გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი მტკიცებულებები, მათ შორის შეუწყნარებლობის მოტივის არსებობის გამომრიცხავი ან დამადასტურებელი მტკიცებულებების და ისინი გადასცეს (გაუცვალოს) დაცვის მხარეს.

მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპის არსებობის მიუხედავად, ცალსახაა, რომ ბრალდების მხარე - სახელმწიფო, ყოველთვის უპირატეს მდგომარეობაში იმყოფება დაცვის მხარესთან შედარებით - იქნება ეს დროის თუ რესურსების თვალსაზრისით. კონკრეტული პირის გამოვლენამდე წარმოებული გამოძიება წარმოადგენს -

---

<sup>151</sup> აღნიშნულ საკითხზე თემატური სტატიები იხ.: გელოვანი, ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცების პროცესი და სტანდარტები, 2023, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №1 (77) 23, გვ. 138-157,

[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/450387/1/Martlmsajuleba\\_Da\\_Kanoni\\_2023\\_N1.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/450387/1/Martlmsajuleba_Da_Kanoni_2023_N1.pdf)

გელოვანი ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისთვის პირის პასუხისგებაში მიცემისთვის საკმარისი მტკიცებულებათა ერთობლიობა და ამ მოტივის მნიშვნელობა სასჯელის განსაზღვრის დროს, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, 2022, 8(4), გვ. 116-135,

<https://lawandworld.ge/index.php/law/article/view/344/309> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>152</sup> ნაჭყებია გ., ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, 2010, თბ., გვ., 141, ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ., 226.

„სისხლისსამართლებრივი დევნის მოსამზადებელ ნაწილს“,<sup>153</sup> შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ბრალდების მხარე ყოველთვის წინ უსწრებს დაცვის მხარეს, თუნდაც იმ კუთხით, რომ შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპის ამოქმედებამდე - სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე, მას აქვს შესაძლებლობა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტისთვის ჩატარებული ჰქონდეს ყველა მნიშვნელოვანი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება და ჩატარებული გამოძიების შედეგად მოიპოვოს ყველა შესაძლებელი მტკიცებულება, რომელთა საფუძველზეც დაცვის მხარეს მოუსპოს ან შეუმციროს გამამართლებელი განაჩენისთვის ბრძოლის შესაძლებლობა. რა თქმა უნდა ბრალდების მხარეს უნდა გააჩნდეს გარკვეულ ეტაპამდე ამგვარი უპირატესობა, სხვაგვარად დაცვის მხარის გამოკვეთა შეუძლებელიც იქნებოდა, თუმცა, ეს უპირატესობა არ გულისხმობს მის ბოროტად გამოყენებას - ბრალდების მხარემ არ უნდა გააჭიანუროს პროცესი, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობისთანავე და არ უნდა დაელოდოს ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების ჩატარებას და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით მტკიცებულებების არსებობას. აღსანიშნავია, რომ ამგვარი მიდგომა არ არის პრობლემური მხოლოდ ქართული რეალობისთვის, ზოგადად, სხვა ქვეყნების პრაქტიკაც აჩვენებს, რომ პროკურორები ბრალდების წაყენებას მაშინ იწყებენ, როდესაც დარწმუნებულები არიან გამამტყუნებელი განაჩენის შანსებში.<sup>154</sup> თუმცა, იმ შემთხვევაში თუ ბრალდების მხარე არაჯეროვნად ასრულებს მოვალეობას, სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილით „გათვალისწინებული ინსტიტუტი რეალური საშუალებაა დაცვის მხარემ ზემოქმედება მოახდინოს ბრალდების მხარის არაჯეროვან მოქმედებებზე და დროულად განხორციელდეს დაცვის

---

<sup>153</sup> სტროგოვიჩი მ.ს., სისხლის სამართლის პროცესი, თბ. 1948, გვ., 105-106.

<sup>154</sup> Frederick, Bruce, and Stemen, Don. 2012. Anatomy of Discretion: An Analysis of Prosecutorial Decision Making—Summary Report. NY: Vera Institute of Justice.

უფლებები, დროულად ჩაერთოს ბრალდებული როგორც მხარე, რაც წარმოშობს მის უფლებებს და პროცესი რეალურად ხდება შეჯიბრებითი.<sup>155</sup>

გამოძიების მიმდინარეობის დროს ბრალდების მხარემ ყურადღება უნდა გაამახვილოს მთელ რიგ გარემოებებზე, რათა შეუწყნარებლობის მოტივი არ დარჩეს შეფასების მიღმა.

პირველი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც ბრალდების მხარემ ყურადღება უნდა მიაქციოს ეს არის გამოძიების დაწყების მუხლი - ქმედებისთვის პირველადი კვალიფიკაციის სწორად მინიჭების საკითხი. გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი არის საპროცესო დოკუმენტი, რომელსაც მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა, თუ გამოძიების დაწყების მომენტში არსებობს ინფორმაცია, რომ დანაშაული შესაძლოა ჩადენილია შეუწყნარებლობის მოტივით, ამ მოტივზე მითითება უნდა მოხდეს გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათში. “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების მიერ დისკრიმინაციის პრევენციისა და ამ ნიშნით ჩადენილ სამართალდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების ღონისძიებების განხორციელების შესახებ” საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 23 დეკემბრის №47 ბრძანების შესაბამისად, თუ გამოძიების დაწყებისას ცნობილი იყო დანაშაულის ჩადენის სავარაუდო მოტივი, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეთითოს გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათის (ფორმა №1) დანაშაულის ფაბულის ველში.<sup>156</sup>

გამოძიების საწყის ეტაპზევე, შეუწყნარებლობის მოტივის დადგენისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საგამოძიებო უწყების მზაობას სრულყოფილად გამოიძიოს დანაშაულის ჩადენის მოტივი და ამ სულისკვეთებით ჩაატაროს ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, რომელთა შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე/მტკიცებულებებზე დაყრდნობით საპროცესო ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი - პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას (პირის დაზარალებულად ცნობის

<sup>155</sup> ნიკარიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებული გაჭიანურება, 2019, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №3 (63) 19, გვ. 16.

<sup>156</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 23 დეკემბრის №47 ბრძანება.

თაობაზე, პირის ბრალდებულად ცნობის თაობაზე) დანაშაულის შესაძლო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენასთან დაკავშირებით.

გამოძიების ჩატარების დროს, საგამოძიებო უწყებამ მხედველობაში უნდა მიიღოს შემდეგი გარემოებები: დაზარალებულის თუ საქმის სხვა მოწმეების მიერ მოწოდებული ინფორმაცია - მათი აღქმით, ხომ არ იყო დანაშაული შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი, დადებით შემთხვევაში რა აფიქრებინებთ აღნიშნულს, დაზარალებულის კუთვნილება დისკრიმინაციისგან დაცული ჯგუფისადმი, ბრალდებულის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ასეთის არსებობის შემთხვევაში - მის მიერ დანაშაულის ჩადენის მოტივებზე საუბარი, ბრალდებულის კუთვნილება ორგანიზებული ძალადობრივი ჯგუფისადმი, შემთხვევის ადგილზე გაკეთებული წარწერები თუ დანაშაულის მოტივის დამადასტურებელი სხვა გარემოებები, ბრალდებულის მიერ სიძულვილის შემცველი მიმოწერის, გეგმის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულებები და სხვა.

ბრალდების მხარემ დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვების კვალდაკვალ, უნდა იმუშაოს ამ დანაშაულის მოტივის გამოკვლევის მიმართულებითაც და ყველა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების განხორციელების დროს ყურადღება გაამახვილოს ამ მოტივის გამოკვლევაზე, რაც თავის მხრივ არ გულისხმობს მხოლოდ მოტივის დადასტურებას, არამედ აღნიშნულში მოიაზრებს მოტივის გამორიცხვასაც. ამასთან, არ არის აუცილებელი ბრალდებულს დანაშაულის ჩადენის დროს მხოლოდ ერთი მოტივი გააჩნდეს, შესაძლებელია მას რამდენიმე მოტივი ამოძრავებდეს - ანგარება, შურისძიება და სხვა. შეუწყნარებლობის მოტივით ქმედების კვალიფიკაციისთვის არ არის აუცილებელი ეს მოტივი იყოს ერთადერთი, მისი სხვა მოტივებთან ერთობლიობაც კი არ არის ხელშემშლელი გარემოება, ქმედების შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულად კვალიფიკაციისთვის. ამ დროს სახეზე გვაქვს შერეული მოტივი, როდესაც დამნაშავის ქმედებებზე უფრო დიდ გავლენას ახდენს სიტუაციური ფაქტორები (მაგალითად,

ქონებრივი სარგებლობის მიღება), ვიდრე პირად ინდივიდუალურ შეხედულებები.<sup>157</sup> ამ დროს მთავარია „დადგინდეს, მართლსაწინააღმდეგო ქმედება მთლიანად ან ნაწილობრივ მოტივირებული იყო თუ არა პიროვნების კონკრეტული ნიშნით გაერთიანებულ ჯგუფთან კუთვნილების საფუძველზე შეუწყნარებლობით.“<sup>158</sup> ევროსასამართლომ საქმეზე ბალაჟი უნგრეთის წინააღმდეგ განმარტა, რომ „დანაშაულის ჩამდენ პირებს შეიძლება ჰქონდეთ მრავალი მოტივაცია, რომელზეც გავლენას ახდენს კონტექსტუალური ფაქტორები, რომლებიც ისეთივე ძლიერი ან უფრო ძლიერია, ვიდრე მათი დისკრიმინაციული დამოკიდებულება იმ ჯგუფის მიმართ, რომელსაც მსხვერპლი მიეკუთვნება.“<sup>159</sup> შერეული მოტივის არსებობას ითვალისწინებს ბელგიის კანონმდებლობაც, რომლის თანახმადაც შეუწყნარებლობის მოტივი შეიძლება იყოს „დანაშაულის ერთ-ერთი მოტივი.“<sup>160</sup> გამოძიების დაწყებისთანავე, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების დაგეგმვის დროს, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელმა, რომელიც წარმოადგენს ბრალდების მხარეს, უნდა უზრუნველყოს გამოძიების მიმდინარების დროს არა მხოლოდ დანაშაულის შემადგენლობის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვება, არამედ შეუწყნარებლობის მოტივის შესწავლა. ბრალდების მხარეს არაერთი ბერკეტი გააჩნია იმისთვის, რომ მოახდინოს შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირება, მით უფრო იმ მოცემულობაში, როდესაც შეზღუდული არ არის შესაძლო მტკიცებულებების სახელდებითი ჩამონათვალით. უმთავრესია სათანადო კვალიფიკაციის ქონა და ყველა შესაძლებლობის გამოყენება იმისთვის, რომ შეფასების მიღმა არ დარჩეს ამგვარი მოტივი.

---

<sup>157</sup> See Lu-in Wang, “The Complexities of Hate”, Ohio State Law Journal, Vol. 60, 1999, at p. 807.

<sup>158</sup> ჯალაღანია ლ., სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კონცეფცია და მისი რეგულირების მექანიზმები, სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2019, გვ., 107.

<sup>159</sup> Balázs v. Hungary {2015}, ECHR;

<sup>160</sup> OSCE/ODIHR (2010) Hate Crime Caws a Practical Guide, ODIHR Publishing, Warsaw, Poland, 2009, p. 55, <<https://www.osce.org/files/f/documents/3/e/36426.pdf>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

## 2.3 დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების თავისებურებანი

შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში დაცვის მხარეში მოაზრებულია ბრალდებული (მსჯავრდებული, გამართლებული) და მისი ადვოკატი (სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-7 ნაწილი). „დაცვის უფლება სამართლიანი სასამართლოს შემადგენელი არსებითი ელემენტია და, ზოგადად, გულისხმობს პირების შესაძლებლობას „წარადგინონ მტკიცებულებები, გამოთქვან მოსაზრებები, დაიცვან თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით, სწორედ ამ გზით, [დაცვის უფლება] წარმოადგენს პროცესის შეჯიბრებითობის მნიშვნელოვან გარანტიას...“<sup>161</sup>

დაცვის მხარეს, განსხვავებით ბრალდების მხარისგან, არ ეკისრება მტკიცებულებების მოპოვების ვალდებულება, თუმცა, ამის შესაძლებლობას მას კანონი ანიჭებს, შესაბამისად, დაცვის მხარეს შეუძლია მოიპოვოს მტკიცებულებები, რომლებიც გამორიცხავენ მის მიერ არა მხოლოდ შეუწყნარებლობის მოტივით მოქმედებას, არამედ საერთოდ დანაშაულის ჩადენას. ამასთან, შეუწყნარებლობის მოტივის შესწავლის - დადასტურების თუ უარყოფის პროცესში ბრალდებულის პოზიციას ფაქტობრივად მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს და განიხილება როგორც შეუწყნარებლობის მოტივის ერთ-ერთი ინდიკატორი, შესაბამისად, დაცვის მხარეს შეუძლია სტრატეგიული კუთხით ამტკიცოს ბრალდებულის სუბიექტური დამოკიდებულება და შეუწყნარებლობის მოტივის არ არსებობა.

ცალკეულ შემთხვევებში, დაცვის მხარის სტრატეგიის შესაბამისად, შესაძლებელია ბრალდებულმა აღიაროს დანაშაულის ჩადენა, თუმცა, უარყოს მისი შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენა, როგორც ეს მოხდა ტრანსგენდერი ქალის - კესარია აბრამიძის მკვლელობის საქმეზე, სადაც ბრალდებული აღიარებდა დანაშაულის ჩადენას, თუმცა უარყოფდა მის

---

<sup>161</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/650,699 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25.

ჩადენას დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით.<sup>162</sup> არის ასევე შემთხვევები, როდესაც დაცვის მხარე შეუწყნარებლობის მოტივს იყენებს, როგორც დანაშაულის „შემამსუბუქებელ - გამამართლებელ“ გარემოებას (ე.წ. „ღირსების სახელით“ დანაშაულის ჩადენა - თავი გაიმართლოს რომ სწორედ დაზარალებულის კუთვნილებამ კონკრეტული ჯგუფისადმი ან მისმა „შეუფერებელმა“ ქცევამ გამოიწვია ბრალდებულის ქმედება, რაც მისი მხრიდან სამართლიან რეაგირებას წარმოადგენდა), მაგალითად 2020 წელს თბილისში ახალგაზრდა მამაკაცის მკვლელობაში ბრალდებულის ადვოკატმა მედიასთან განაცხადა - „მათგან (მოკლულთაგან) ერთ-ერთმა, აწ გარდაცვლილმა, უკვე მსხვერპლმა, მის (ბრალდებულის) მიმართ გამოიჩინა სექსუალური ლტოლვა და მას სთავაზობდა არატრადიციულ სექსუალურ კონტაქტს. იმდენად აღელვებული ვიყავი, რა ვითარებაში ჩავიდინე მკვლელობა, არ მახსოვს.“<sup>163</sup> თუმცა, აღნიშნული სტრატეგია ვერცერთ შემთხვევაში იქნება ბრალდებულის სასარგებლო, ვინაიდან სასამართლოს მიერ ის აუცილებლად შეფასდება, როგორც დამამძიმებელი გარემოება, ერთადერთი დაცვის მხარემ ამ გარემოებით მანიპულირება შესაძლებელია შეძლოს ნაფიც მსაჯულთა წინაშე, რაც გამამართლებელი განაჩენის საფუძველი არ იქნება, თუმცა, შესაძლებელია ნაფიც მსაჯულებმა გამორიცხონ დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენა, ანდა მიიღონ სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაცია.

---

<sup>162</sup> იხ. რადიო თავისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, 23.12.2024.

<<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/33250263.html>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>163</sup> იხ. ტელეკომპანია რუსთავი 2-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, 16.11.2020. <<https://rustavi2.ge/ka/news/182312>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

მართალია დაცვის მხარე მოქმედებს ბრალდების მხარესთან თანასწორობის პირობებში და მოქმედებს სსსკ-ით გათვალისწინებული შეჯიბრებითობის პრინციპი, თუმცა, ის არ არის აღჭურვილი ყველა იმ უფლებამოსილებით, რა უფლებამოსილებებიც გააჩნია ბრალდების მხარეს. მაგალითად, დაცვის მხარეს კანონი არ აძლევს ფარული საგამომიებო მოქმედებების ჩატარების უფლებას.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ არსებობს მტკიცებულებები, რომელთა მოპოვებაც მხარეს დამოუკიდებლად შეუძლია და არსებობს მტკიცებულებები, რომელთა მოსაპოვებლად სასამართლოს დახმარება არის საჭირო, სასამართლო როგორც შეჯიბრებითობისა და თანასწორობის გარანტი, ვალდებულია მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები მტკიცებულებათა მოსაპოვებლად.<sup>164</sup> სსსკ-ის 39-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად - „თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამომიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება.“

2017 წლამდე დაცვის მხარეს არ ჰქონდა უფლება მიემართა ნებართვის გაცემის შუამდგომლობით სასამართლოსათვის და განჩინების საფუძველზე ჩატარებინა კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებით საგამომიებო მოქმედებები, თუმცა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699 გადაწყვეტილებით,<sup>165</sup> აღნიშნული უფლებამოსილება გავრცელდა დაცვის მხარეზეც, თუმცა, განსხვავებულია საქალაქო სასამართლოების მიდგომები, მოსამართლეთა

<sup>164</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლექტივი, რედ.: გ.გორგაძე, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., 2015, გვ., 190.

<sup>165</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ნაწილი დაცვის მხარის შუამდგომლობას აკმაყოფილებს, თუმცა მის აღსრულებას საგამომიებო უწყებას ავალებს, ნაწილი კი თავად დაცვის მხარეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 17 ნოემბრის №28246 განჩინებით სასამართლომ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა კომპიუტერული მონაცემების გამოთხოვაზე, თუმცა, მისი აღსრულება დაავალა იმ გამომძიებელს, რომელიც არ აწარმოებდა ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებას,<sup>166</sup> ადვოკატმა აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში და მოითხოვა საგამომიებო მოქმედების ადვოკატისთვის დავალება, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2023 წლის 21 ნოემბრის №1გ/1625/23 განჩინებით დაკმაყოფილდა.<sup>167</sup> ამ საკითხზე მსჯელობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ შეუწყნარებლობის მოტივის დამადასტურებელი ან გამომრიცხველი მტკიცებულებები შესაძლებელია არსებობდეს სწორედ კომპიუტერულ მონაცემებში, მაგალითად - მიმოწერა სოციალური ქსელების მეშვეობით, სოციალურ მედიაში გავრცელებული ვიდეო, ბრალდებულის კუთვნილი ელექტრონული დღიური და სხვა, აღნიშნული გარემოებები ერთიორად ზრდის კომპიუტერული მონაცემებიდან მტკიცებულებების მოპოვების მნიშვნელობას. დაცვის მხარეს უფლება აქვს იმ მტკიცებულებათა მოპოვების შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს, რომელთა მოპოვებასაც დამოუკიდებლად ვერ ახორციელებს, მაგალითად საჭიროებს იძულების პროპორციული ძალის გამოყენებას - ჩხრეკა, ამოღება და სხვა. “დაცვის მხარეს არ აქვს უფლება, სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩაატაროს ისეთი საგამომიებო მოქმედება, რომლის ჩატარებისათვის, ამ კოდექსის თანახმად, საჭიროა ასეთი ნებართვა.”<sup>168</sup> ცხადია საგამომიებო მოქმედების ჩატარების დროს სასამართლო კონტროლს ახორციელებს ორივე მხარის მიმართ,

<sup>166</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 17 ნოემბრის №28246 განჩინება.

<sup>167</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2023 წლის 21 ნოემბრის №1გ/1625/23 განჩინება.

<sup>168</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მეორე ნაწილი.

თუმცა, დაცვის მხარეს კონტროლთან ერთად ასევე განუსაზღვრავს იმ სუბიექტს, ვინც დაცვის მხარის შუამდგომლობით გაცემული ნებართვის განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას ჩაატარებს - გამომძიებელს (რომელსაც საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელი შეარჩევს), რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას აწარმოებს.<sup>169</sup> ამასთან „დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული საგნის, დოკუმენტის, ნივთის, ნივთიერების, ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამ კოდექსით დადგენილი წესით პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს.“<sup>170</sup> ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ დაცვის მხარე დამოუკიდებლად ვერ ახორციელებს მტკიცებულებათა მოპოვებას და ბრალდების მხარემ გამოძიების ფარგლებში ვერ/არ მოიპოვა ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულება, დაცვის მხარეს სსსკ-ის 83<sup>1</sup>-ე და 120-ე მუხლების საფუძველზე, შეუძლია ირიბად ზემოქმედების მოხდენა სცადოს ბრალდების მხარეზე.

დაცვის მხარის, განსაკუთრებით ადვოკატის სათანადო კვალიფიკაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ბრალდებულის საუკეთესო ინტერესების გასატარებლად. დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეულ სიტყვას, რომელიც ადვოკატმა შეიძლება ბრალდებულის დასაცავად გამოიყენოს, თითოეულ მტკიცებულებას, რომელსაც დაცვის მხარე მოიპოვებს, დაცვის მხარის მიერ ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში ჩართვას და სხვა. ადვოკატის პროფესიონალიზმმა და მაღალმა კვალიფიკაციამ შესაძლებელია უზრუნველყოს ბრალდებულის ნაწილობრივ გამართლება (იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც ქმედების კვალიფიკაციიდან ამოირიცხება მისი შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენა) ან სრულად უდანაშაულოდ ცნობაც კი.

<sup>169</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>170</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მეათე ნაწილი.

### თავი III. დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის მტკიცების პროცესი და სტანდარტები<sup>171</sup>

უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე აქტის - საქართველოს კონსტიტუციის<sup>172</sup> თანახმად ყველა ადამიანი ითვლება უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. აღნიშნულს განამტკიცებს, ასევე, საქართველოს სსსკ-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი.<sup>173</sup> სსსკ-ის მესამე მუხლის თანახმად გამამტყუნებელი განაჩენის მისაღებად სასამართლოსათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებითი სტანდარტი გულისხმობს მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.<sup>174</sup>

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში ევროკონვენცია) მე-6 მუხლის მიხედვით: “ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად“. აღნიშნული მუხლი *inter alia*, მოითხოვს, რომ სასამართლო მისი უფლება-მოვალეობის შესრულებას არ შეუდგეს იმ წინასწარგანწყობით, რომ ბრალდებულს ჩადენილი აქვს ბრალად შერაცხული ქმედება. სამართალწარმოების დროს წარმოშობილი ნებისმიერი ეჭვი თუ ვარაუდი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის

---

<sup>171</sup> აღნიშნულ საკითხზე თემატური სტატია იხ.: გელოვანი, ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცების პროცესი და სტანდარტები, 2023, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №1 (77) 23, გვ. 138-157,

[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/450387/1/Martlmsajuleba\\_Da\\_Kanoni\\_2023\\_N1.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/450387/1/Martlmsajuleba_Da_Kanoni_2023_N1.pdf) > {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>172</sup> საქართველოს კონსტიტუცია, დოკუმენტის ნომერი: 786, <https://matsne.gov.ge/document/view/30346?publication=36> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>173</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, დოკუმენტის ნომერი: 2287, <https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=282> > {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>174</sup> იქვე.

სასარგებლოდ. საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკით დასტურდება, რომ მტკიცების ტვირთი აკისრია ბრალმდებელს. ბრალდებულს არ გააჩნია ვალდებულება ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, ნებისმიერი ექვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.<sup>175</sup> უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვევა, თუ მტკიცების ტვირთი ბრალდების ნაცვლად დაცვას დაეკისრება.<sup>176</sup>

საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, თითოეული მხარე, როგორც ბრალდების ისე დაცვის, თავად განსაზღვრავს თავისი მოქმედების სტრატეგიას: რა მტკიცებულებას მოიპოვებს, საიდან მოიპოვებს, როგორი თანმიმდევრობით გამოიკვლევს და სხვა, არც კანონი და არც სასამართლო მხარეს არ ავალდებულებს კონკრეტული მტკიცებულების მოპოვებას.<sup>177</sup> „მხარეთა თანასწორუფლებიანობა გულისხმობს, რომ თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს საკუთარი პოზიციის, მათ შორის მტკიცებულებების წარდგენის გონივრული შესაძლებლობა ისეთ პირობებში, რომლებიც მას არ ჩააყენებს არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში მოწინააღმდეგესთან შედარებით.“<sup>178</sup>.

თითოეული მტკიცებულება უნდა იყოს დაკავშირებული მტკიცების საგანთან, „სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების საგანია იმ ფაქტებისა და გარემოებების შეზღუდული წრე, რომლებიც დამახასიათებელია ობიექტური სინამდვილის კონკრეტული, ერთეული მოვლენისათვის და რომელთა დადგენაც აუცილებელია სისხლის სამართლის საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.“<sup>179</sup> სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას სჭირდება მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო შესაბამის

---

<sup>175</sup> Barbera v. Spain, {1988}, ECHR, 77.

<sup>176</sup> Telfner v. Austria, {2001}, ECHR, 15.

<sup>177</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის №1/ზ-139-13 განჩინება.

<sup>178</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის №1/ზ-139-13 განჩინება.

<sup>179</sup> ომხარელი მ., მტკიცების არსი სისხლის სამართლის პროცესში და მისი მნიშვნელობა, 2018, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №1 (57) 18, გვ. 76.

მტკიცებით სტანდარტს შექმნის, სსსკ ოთხ მტკიცებით სტანდარტს იცნობს: დასაბუთებული ვარაუდი, ალბათობის მაღალი ხარისხი, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებითი სტანდარტი და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი.

### **3.1. მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე სამართალწარმოების განხორციელების დროს<sup>180</sup>**

შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპი არის ის სამართლებრივი საფუძველი, რომელიც მხარეს აძლევს შესაძლებლობას არა მხოლოდ მოიპოვოს და წარმოადგინოს მტკიცებულება, არამედ მონაწილეობა მიიღოს მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევაში, მისი რელევანტურობის, ავთენტურობის თუ სანდოობის შესწავლის პროცესში.

თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი ორივე მხარეს აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად ან სასამართლოს მეშვეობით მოიპოვოს, გამოიკვლიოს, შეისწავლოს როგორც საკუთარი, ისე მეორე მხარის მტკიცებულებები, ეჭვქვეშ დააყენოს მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების სანდოობა და ავთენტურობა და განახორციელოს ის ქმედებები, რაც ხელს შეუწყობს მისი პოზიციის განმტკიცებას. აღნიშნული გარემოებების უზრუნველყოფას ემსახურება ბრალდებულის უფლება - იყოს მოსმენილი (“right to be heard”<sup>181</sup>). შეჯიბრებით და თანასწორ სამართალწარმოების პროცესში, მოსამართლე უზრუნველყოფს მხარეებს შორის თანაბარი და თანასწორი მდგომარეობის არსებობას და შემოიფარგლება მხოლოდ მხარეთა მიერ სასამართლოზე

---

<sup>180</sup> აღნიშნულ საკითხზე თემატური სტატია იხ.: გელოვანი, ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცების პროცესი და სტანდარტები, 2023, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №1 (77) 23, გვ. 138-157,

[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/450387/1/Martlmsajuleba\\_Da\\_Kanoni\\_2023\\_N1.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/450387/1/Martlmsajuleba_Da_Kanoni_2023_N1.pdf)

{უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>181</sup> ტრეესელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, გვ. 114.

წარმოდგენილი და გამოკვლევული მტკიცებულებებით.<sup>182</sup> სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობისა და თანასწორობის კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო სსსკ-ის 25-ე მუხლის მეორე ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ზღუდავდა საქმის განმხილველ მოსამართლეს დაესვა კითხვები.<sup>183</sup> ამ გადაწყვეტილებას დიდი მნიშვნელობა აქვს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე მიმდინარე სამართალწარმოების დროს, ვინაიდან ის შესაძლებლობას აძლევს მოსამართლეს მხარეთა თანხმობის გარეშე თუ მათთან შეთანხმების გარეშე დასვას შეკითხვები, რომელიც დაეხმარება მათ შორის დანაშაულის შემადგენლობის ისეთი სუბიექტური ელემენტის დადგენაში, როგორც არის შეუწყნარებლობის მოტივი.

სსსკ მხარეებს აძლევს შესაძლებლობას სადაო გახადონ არა მხოლოდ დანაშაულის შემადგენლობა სრულიად, არამედ ცალკეული გარემოებების - მაგალითად დანაშაულის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენის არსებობა. დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე სამართალწარმოების დროს ბრალდების მხარე დანაშაულის ჩადენასთან ერთად ამტკიცებს მის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენას, დაცვის მხარე სტრატეგიის შესაბამისად ან სრულად უარყოფს დანაშაულის ჩადენას ან ნაწილობრივ აღიარებს (მაგალითად აღიარებს დანაშაულის ჩადენას დისკრიმინაციული მოტივის გარეშე) ან სრულად აღიარებს დანაშაულს, სასამართლო კი იკვლევს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და საჭიროების მიხედვით, კითხვების დასმის გზით, ადგენს და აფასებს სისხლის

---

<sup>182</sup> თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ., 74.

<sup>183</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე - თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე.

სამართლის საქმეზე საბოლოოდ გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს (მათ შორის შეუწყნარებლობის მოტივის არსებობას).

### 3.2 მტკიცების სტანდარტი<sup>184</sup>

დანაშაულის სუბიექტური ელემენტის - დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენის დადგენის დროს, გადაწყვეტილების მიმღები პირები (პროკურორი, მოსამართლე) უნდა ხელმძღვანელობდნენ იგივე მტკიცებითი სტანდარტით, რა მტკიცებითი სტანდარტიც მიემართება მთავარ გადაწყვეტილებას - ქმედების კვალიფიკაციის განსაზღვრას, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, მსჯავრდებულად ცნობას და სხვა. „მტკიცება მოიცავს დარწმუნების პროცესს, ამ პროცესში რასაკვირველია, გადამწყვეტ მნიშვნელობას მტკიცებულებები იძენს და ზოგადად, მტკიცების ცნება განუყოფლადაა მათთან დაკავშირებული, რადგან მტკიცებულებებზე დაყრდნობით და მხოლოდ მათ საფუძველზე შეიძლება დადგინდეს საქმის არსებითი და საჭირო ცნობები,“<sup>185</sup> მათ შორის ისეთი, როგორც არის შეუწყნარებლობის მოტივი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ კონკრეტულ საქმეზე პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას ესაჭიროება გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის არსებობა, იგივე სტანდარტი უნდა არსებობდეს ამ დანაშაულის დისკრიმინაციის ნიშნით მსჯავრდებისთვის. შესაძლებელია სისხლის სამართლის საქმეში არსებობდეს გონივრულ ეჭვს მიღმა

---

<sup>184</sup> აღნიშნულ საკითხზე თემატური სტატიები იხ.: გელოვანი, ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცების პროცესი და სტანდარტები, 2023, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №1 (77) 23, გვ. 138-157,

[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/450387/1/Martlmsajuleba\\_Da\\_Kanoni\\_2023\\_N1.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/450387/1/Martlmsajuleba_Da_Kanoni_2023_N1.pdf)

გელოვანი ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისთვის პირის პასუხისგებაში მიცემისთვის საკმარისი მტკიცებულებათა ერთობლიობა და ამ მოტივის მნიშვნელობა სასჯელის განსაზღვრის დროს, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, 2022, 8(4), გვ. 116-135,

<https://lawandworld.ge/index.php/law/article/view/344/309> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>185</sup> ყუშიტაშვილი მ., მტკიცების პროცესის სუბიექტების პრობლემატიკა სისხლის სამართლის პროცესში, 2018, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №2 (58) 18, გვ. 165.

სტანდარტით მტკიცებულებათა ერთობლიობა რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, თუმცა, არ არსებობდეს იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა, რომ ეს დანაშაული შეუწყნარებლობის მოტივით იქნა ჩადენილი, ამ შემთხვევაში სასამართლომ შეუწყნარებლობის მოტივი უნდა ამოურიცხოს ქმედების კვალიფიკაციიდან, იგივე მიდგომა უნდა არსებობდეს სსსკ-ით გათვალისწინებულ თითოეულ მტკიცებით სტანდარტთან მიმართებით.

### 3.2.1 დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი

სსსკ-ით გათვალისწინებული ნებისმიერი საგამომიებო თუ საპროცესო მოქმედების ჩატარებას ესაჭიროება მტკიცებითი სტანდარტი, რომელსაც წარმოადგენს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, აღნიშნული სტანდარტი არის მტკიცებითი სტანდარტის ყველაზე დაბალი საფეხური, რომელიც გულისხმობს „ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამომიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი.“<sup>186</sup>

დანაშაულის თაობაზე შეტყობინების მიღების შემდგომ, საგამომიებო ორგანო იწყებს გამოძიებას, რასთან დაკავშირებითაც ხდება გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათის აღება, სწორედ ამ მომენტიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 23 დეკემბრის №47 ბრძანების შესაბამისად, საგამომიებო ორგანოს უკვე ეკისრება ვალდებულება სხვა გარემოებების დადგენასთან ერთად, დაიწყოს შეუწყნარებლობის მოტივის გამოძიება, რაც თავის თავში არ გულისხმობს მოტივის აუცილებლად დადასტურებას, არამედ გარემოების - არსებობდა თუ არა

<sup>186</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი.

ასეთი მოტივი, დადგენას. აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება სსკ-ით გათვალისწინებულ ნებისმიერ განზრახ დანაშაულზე.

დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი არ გულისხმობს უტყუარობისა და სარწმუნოების იმ ხარისხით მტკიცებულებების არსებობას, რაც აუცილებელია მაგალითად პირის მსჯავრდებისთვის. დანაშაულის შესახებ მიღებული შეტყობინება, სადაც მითითებულია შესაძლო შეუწყნარებლობის მოტივზე, გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი და თვითმხილველი მოწმის ჩვენება, რომელიც მიუთითებს შეუწყნარებლობის მოტივის შესაძლო არსებობაზე, შესაძლებელია ქმნიდეს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ დანაშაული ჩადენილია შეუწყნარებლობის მოტივით. ამგვარი სტანდარტი შექმნა ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულის მიერ მიცემულმა ჩვენებამ, სადაც ის განმარტავდა, რომ „ბრალდებული მის მიმართ ავლენდა მესაკუთრულ დამოკიდებულებას, ახორციელებდა მის მუდმივ კონტროლს და მოითხოვდა მისგან, როგორც ქალისგან, დაქვემდებარებულისგან, მუდმივ თანხმობას ყველა გადაწყვეტილებაზე, რომელსაც თავად (კაცი) იღებდა.“<sup>187</sup>

შეუწყნარებლობის მოტივის მამტკიცებელი ერთი მტკიცებულება, სისხლის სამართლის საქმეში არსებულ სხვა გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, ქმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ ქმედება შესაძლებელია ჩადენილ იქნა შეუწყნარებლობის მოტივით. სწორედ ასეთი მტკიცებითი სტანდარტი უნდა არსებობდეს იმისთვის, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული დანაშაულის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენასთან დაკავშირებით.

---

<sup>187</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 5 თებერვლის განაჩენი.

### 3.2.2 საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებების სტანდარტი

საქართველოს სსსკ-ში 2014 წლის 24 ივლისს განხორციელებული ცვლილების შედეგად გაჩნდა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებათა სტანდარტი, რომელშიც იგულისხმება სამივე სტანდარტი (დასაბუთებული ვარაუდი, ალბათობის მაღალი ხარისხი და გონივრულ ეჭვს მიღმა), იმის მიხედვით საპროცესო შეთანხმების დამტკიცების საკითხი სისხლის სამართლის პროცესის რომელ სტადიაზე განიხილება.<sup>188</sup> აღნიშნული სტანდარტი გულისხმობს „მტკიცებულებებს, რომლებიც დაარწმუნებდა ობიექტურ პირს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და უარს ამბობს სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე.“<sup>189</sup> მოცემული სტანდარტი სსსკ-ის მე-3 მუხლში დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შემდგომ არის მოცემული, თუმცა არ ნიშნავს, რომ ეს სტანდარტი ალბათობის მაღალი ხარისხით არსებულ მტკიცებით სტანდარტზე დაბალი სტანდარტია, რეალურად „საპროცესო შეთანხმების“ სტანდარტი „განხილული უნდა იყოს, როგორც გონივრული ეჭვის მიღმა სტანდარტის ტოლფასი“<sup>190</sup> სტანდარტი.

მოცემული სტანდარტით მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება მიიღება - საპროცესო შეთანხმების დამტკიცება და პირის დამნაშავედ ცნობა. შესაბამისად, მოცემულ სტადიაზე, მხარეები თანხმდებიან ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ ბრალდებაზე, უდავოდ ცნობენ საქმეში არსებულ მტკიცებულებებსა და ფაქტობრივ გარემოებებს, უარს ამბობენ მტკიცებულებების გამოკვლევაზე და თანხმდებიან სასჯელზე, მიღწეულ

<sup>188</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლექტივი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., 2015, გვ. 32.

<sup>189</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის, 11(1) ნაწილი.

<sup>190</sup> ზოხაშვილი ი., საპროცესო შეთანხმების პრაქტიკული ასპექტები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, 2023, №1, გვ. 247, <[View of Practical Aspects of a Plea Agreement \(bargaining\)](#)> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

შეთანხმებას კი სასამართლოს წარუდგენენ დასამტკიცებლად, შეუწყნარებლობის მოტივის კუთხით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საპროცესო შეთანხმების“ სტანდარტი სხვა გარემოებებთან ერთად გულისხმობს პირის მიერ დანაშაულის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენის აღიარებასაც, მაგალითად სისხლის სამართლის №004101123001 საქმეში, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველი გახდა მხარეთა შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება, რომლითაც დადგინდა, რომ სექსუალური ორიენტაციის შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი ერთ-ერთი მტკიცებულება იყო აღნიშნული მოტივით დანაშაულის ჩადენის თავად ბრალდებულის მიერ აღიარება.<sup>191</sup>

დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს, სასამართლომ უნდა შეაფასოს არსებობს თუ არა საქმეში არა მხოლოდ დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებების ერთობლიობა, არამედ დანაშაულის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულებები, არასაკმარისია შეუწყნარებლობის მოტივის მხოლოდ პირის აღიარებაზე დაყრდნობით შეფასება.

### **3.2.3 ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტი**

რანგირების მიხედვით, ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტი დასაბუთებულ ვარაუდზე უფრო მაღალი მტკიცებითი სტანდარტია, რომელიც გამოიყენება სასამართლო განხილვის მხოლოდ ერთ ეტაპზე - წინასასამართლო სხდომის მიმდინარების დროს, როდესაც წინასასამართლო სხდომის მოსამართლე სხდომაზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს მიიჩნევს ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობად, რომელიც ქმნის ალბათობის მაღალ ხარისხს, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი და სწორედ ამ ალბათობაზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას საქმე არსებითი განხილვისთვის

---

<sup>191</sup> სისხლის სამართლის №004101123001 საქმე.

გადასცეს. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს შეფასებით, საქმეში არ იქნება ამგვარი ურთიერთშეთავსებული და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობა, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე მიიღებს გადაწყვეტილებას (განჩინების სახით) ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე და არ გადასცემს საქმეს არსებითი განხილვის ეტაპზე. არცერთი სხვა გადაწყვეტილების მიღებას არ სჭირდება ამ სტანდარტის არსებობა, ეს სტანდარტი არსებობს მხოლოდ იმისთვის, რომ მოსამართლემ გადაწყვიტოს არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემის საკითხი.

წინასასამართლო სხდომის მოსამართლე ალბათობის მაღალი ხარისხის მტკიცებით სტანდარტს იყენებს მას შემდეგ, რაც მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე იღებს გადაწყვეტილებას, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ამ ან სხვა მტკიცებითი სტანდარტისთვის შეუწყნარებლობის მოტივის დამადასტურებელი მტკიცებულებების სახელდებით ჩამონათვალს, აღნიშნული ბრალდების მხარეს და სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას წინასასამართლო სხდომის ეტაპზე უფრო ფართოდ განმარტონ შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის შესაძლო ჩადენის საკითხი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მიანდონ საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეს, რომელიც მტკიცებულებების გამოკვლევის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. ერთადერთი მოთხოვნა, რომელსაც კანონმდებლობა იცნობს ამ სტანდარტთან მიმართებით არის ის, რომ - მტკიცებულებები უნდა იყოს ურთიერთშეთავსებადი და დამაჯერებელი, თუმცა, რამდენი ან რა სახის უნდა იყოს წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომ სტანდარტი შექმნას, განმარტებული არ არის.

აუცილებელია აღინიშნოს ამ სტანდარტის შემზღუდავი ნაწილიც - სასამართლო ამ ეტაპზე არ იკვლევს მტკიცებულებების შინაარსობრივ მხარეს, მეტწილად ის ამოწმებს მტკიცებულებების მოპოვების

პროცედურულ კანონიერებას, შესაბამისად, მტკიცებულებათა დასაშვებობისა და რელევანტურობის შემოწმების დროს ნაკლებად აფასებს მტკიცებულებების შინაარსს, რაც ართმევს შესაძლებლობას (გარკვეულწილად ზღუდავს) სიღრმისეულად იმსჯელოს დანაშაულის ჩადენის მოტივზე, თუმცა, საქმის არსებითი განხილვისთვის გადაცემის დროს გადაწყვეტილებას სწორედ წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე იღებს, რომელიც არის შუალედური შეფასება იქამდე, სანამ საბოლოო გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული არსებითი განხილვის მოსამართლის მიერ. წინასასამართლო სხდომის მოსამართლე მტკიცებულებების შეფასებას ახდენს ასევე მაშინ, როდესაც ამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას ან იღებს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე განჩინებას.

წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ ალბათობის მაღალი ხარისხით მტკიცებითი სტანდარტით უნდა შეაფასოს საქმის არსებითი განხილვისთვის გადაცემის საკითხი, აღნიშნული სტანდარტი მას უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ ბრალად შერაცხული ქმედების ძირითად შემადგენლობასთან მიმართებით, არამედ დამამძიმებელ გარემოებებთან მიმართებითაც. შესაბამისად, თუ საქმეში არ არის წარმოდგენილი ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც საკმარისი იქნება ვარაუდის მაღალი ხარისხისათვის, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი და პირი ცნობილ იქნება დამნაშავედ სსსკ-ით გათვალისწინებული დანაშაულის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენაში, წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ მოტივი უნდა ამორიცხოს ბრალად წარდგენილი ქმედებიდან ან თუ ის არსებობს დამამძიმებელი გარემოების სახით, აღნიშნული დამამძიმებელი გარემოების გარეშე გადასცეს საქმე არსებითად განსახილველად, მაგალითად, თუ პირს ბრალად წარდგენილი აქვს მკვლელობა რასობრივი ნიშნით (სსსკ-ის 109-ე მუხლი), თუმცა, წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მიერ

მოტივის დამადასტურებელ მტკიცებულებად წარდგენილია მხოლოდ ბრალდებულის მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენება და არ არსებობს სხვა მტკიცებულება, ხოლო თავად ბრალდებული სარგებლობს დუმის უფლებით, ფაქტობრივად არ არსებობს არანაირი მტკიცებულებების ერთობლიობა, სახეზე გვაქვს შემთხვევა, როდესაც ალბათობის მაღალი ხარისხის მტკიცებითი სტანდარტი არსებობს მკვლელობასთან მიმართებით თუმცა არ არსებობს შეუწყნარებლობის მოტივთან მიმართებით, შესაბამისად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს უნდა მიეცეს უფლება (გარკვეულწილად ის ვალდებულიც არის ამაზე იმსჯელოს) შეცვალოს კვალიფიკაცია და დატოვოს მხოლოდ ის შემადგენლობა, რომელთან მიმართებითაც არსებობს ალბათობის მაღალი ხარისხის მტკიცებითი სტანდარტი. წინასასამართლო სხდომის მოსამართლისთვის აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭება სრულად ჯდება არა მხოლოდ სსსკ-ის 219-220-ე მუხლებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებაში, არამედ, სრულ შესაბამისობაში შეჯიბრებითობის პრინციპთან და სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან.

### **3.2.4 გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი**

გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი არის მტკიცებით სტანდარტებს შორის ყველაზე მაღალი ძალის მქონე სტანდარტი, რომლის არსებობაც აუცილებელია იმისთვის, რომ სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს. აღნიშნული სტანდარტი გულისხმობს მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. დაუშვებელია აღნიშნული სტანდარტი დაეფუძნოს ეჭვებსა და ვარაუდებს, არსებობის შემთხვევაში ეჭვები და ვარაუდები აუცილებლად უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებითი სტანდარტი გულისხმობს ისეთი მტკიცებულებების ერთობლიობას, რომლებიც არა მხოლოდ მოსამართლეს, არამედ ნებისმიერ ობიექტურ პირს დაარწმუნებს

ბრალდებულის ბრალეულობაში. „მოცემული მტკიცებულებითი სტანდარტი ნიშნავს იმას, რომ ობიექტურად დამკვირვებელ პირს (ამ შემთხვევაში მოსამართლეს ან ნაფიც მსაჯულს) სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების შედეგად ცალკეული ფაქტების არსებობაში, ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალდების ჭეშმარიტებაში და ამ უკანასკნელის ბრალეულობაში გონივრული ეჭვის საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ (ე.წ. In dubio pro reo-ს პრინციპი).“<sup>192</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების<sup>193</sup> თანახმად გამამტყუნებელი განაჩენის მისაღებად (დანაშაულის არსებობის დადასტურებისთვის) - მინიმუმ ერთი პირდაპირი მტკიცებულების არსებობა არის აუცილებელი და მხოლოდ ირიბ ჩვენებაზე დაყრდნობით ამგვარი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია. თუმცა, აღნიშნული განმარტება მიემართება სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაულის დადასტურებას და არა შეუწყნარებლობის მოტივის დადგენას,<sup>194</sup> რაც იძლევა განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ამ სტანდარტით მიღებული გადაწყვეტილება არის შემაჯამებელი გადაწყვეტილება არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენის, არამედ შეუწყნარებლობის მოტივის დადგენის კუთხით. სასამართლოს, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით, შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების რამდენიმე ალტერნატივა აქვს: პირველი გულისხმობს გამამართლებელი განაჩენის მიღებას და პირის უდანაშაულოდ ცნობას, მეორე - პირის მიმართ ბრალდების ზოგ ეპიზოდში გამამტყუნებელი, სხვა ეპიზოდში კი გამამართლებელი განაჩენის მიღებას. მესამე შემთხვევა გულისხმობს

---

<sup>192</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლექტივი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., 2015, გვ. 33.

<sup>193</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, საქმეზე - „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ №1/1/548.

<sup>194</sup> იგულისხმება ისეთი სისხლის სამართლის დანაშაულები, სადაც შეუწყნარებლობის მოტივი არ არის დანაშაულის შემადგენელი ელემენტი ან მაკვალიფიცირებელი გარემოება.

გამამტყუნებელი განაჩენის მიღებას დანაშაულის ჩადენაში, თუმცა, შეუწყნარებლობის მოტივის ამორიცხვას, მაგალითად შესაძლებელია სასამართლომ მიიჩნიოს რომ ბრალდებულმა ჩაიდინა მკვლელობა, თუმცა, არ ამოდრავებდა შეუწყნარებლობის მოტივი, როგორც ეს გააკეთა სასამართლომ ერთ-ერთ გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეზე - ვიტალი საფაროვის საქმეზე.<sup>195</sup> ამ შემთხვევაში სასამართლო აუცილებლად განმარტავს გადაწყვეტილების მიზეზს და ეს შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იყო საკმარისი დანაშაულის ჩადენის მოტივის დადასტურებისთვის. მეოთხე ფორმა მიღებული გადაწყვეტილების არის - სრულად გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც პირი სრულად იქნება ცნობილი დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, რა დროსაც სასამართლო ასაბუთებს არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენას, არამედ მის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენას. ამასთან, „სასამართლოსთვის აუცილებელია პირის დამნაშავედ ცნობისთვის ჰქონდეს რელევანტური, დასაშვები და უტყუარი მტკიცებულებათა ერთობლიობა და მხოლოდ ერთი პირის ჩვენება ..... ვერ ჩაანაცვლებს გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისთვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.“<sup>196</sup>

დისკრიმინაციულ დანაშაულზე სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე სახის მტკიცებულება, რომელსაც სასამართლო იყენებს მოტივის დასადასტურებლად: დაზარალებულის/მოწმის ჩვენება,<sup>197</sup> ბრალდებულის აღიარება,<sup>198</sup> დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის არსებული მიმოწერა და ფოტო-ვიდეო მასალის ჩანაწერი (მათ შორის ე.წ. „Screenshot“, რაც გულისხმობს

---

<sup>195</sup> საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება ვიტალი საფაროვის სისხლის სამართლის საქმეზე, <<https://ombudsman.ge/res/docs/2019100717365940559.pdf>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>196</sup> მსხილამე ლ., მტკიცების სტანდარტი ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე, 2023, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №1 (77) 23, გვ. 31.

<sup>197</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 05 სექტემბრის განაჩენი.

<sup>198</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 5 თებერვლის განაჩენი.

ელექტრონულ მოწყობილობაში არსებული ინფორმაციის ზუსტი ასლის გაკეთებას - ეკრანის ანაბეჭდს),<sup>199</sup> შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულება.<sup>200</sup>

ოდირი<sup>201</sup> განმარტავს, რომ შეუწყნარებლობის მოტივის მამტკიცებელი რამდენიმე ინდიკატორი და მის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულება შეიძლება არსებობდეს: მოწმის/დაზარალებულის აღქმა (მათ მიერ მიცემული ჩვენებები), დანაშაულის ჩადენამდე, ჩადენის დროს, ან შემდეგ გაკეთებული კომენტარები (სიძულვილის შემცველი შინაარსის), წერილობითი განცხადებები (ასევე სიძულვილის და შეუწყნარებლობის შინაარსის მატარებელი), ჟესტები ან გრაფიტი; რასობრივი, ეთნიკური, გენდერული და კულტურული განსხვავებები დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის; დანაშაულის სიძულვილით მოტივირებული ჯგუფების მიერ ჩადენა; ქმედების ჩადენის მდებარეობა და დრო; წარსულში მომხდარი ინციდენტები; მოტივის არარსებობა და სხვა.<sup>202</sup> სწორედ ამ ინდიკატორებზე ამხვილებს ყურადღებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც.<sup>203</sup>

საქართველოს პრაქტიკის შესწავლისა და საერთაშორისო დოკუმენტების<sup>204</sup> ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია გამოიყოს ის ინდიკატორები, რომლებსაც ქართული სასამართლო შეუწყნარებლობის მოტივის დასადასტურებლად უმეტესად ეყრდნობა: მოწმის/დაზარალებულის ჩვენება, რომელიც მიუთითებს შეუწყნარებლობის

---

<sup>199</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 25 აგვისტოს განაჩენი.

<sup>200</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 01 აპრილის განაჩენი.

<sup>201</sup> Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR) - <<https://www.osce.org/odihr>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>202</sup> OSCE/ODIHR, Understanding Hate Crimes A Handbook for Ukraine, 2015, Warsaw, Poland, p. 9-10, <<https://www.osce.org/files/f/documents/4/9/208176.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>203</sup> ECtHR, Identoba and Others v. Georgia, [2015], 97 Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and 4 Others v. Georgia, [2007], Aghdgomelashvili and Japaridze v. Georgia, [2021], Begheluri and Others v. Georgia, [2014], Tkhelidze v. Georgia, [2021], A and B v. Georgia, [2022].

<sup>204</sup> იგულისხმება დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მიერ შემუშავებული დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ამ კატეგორიის დანაშაულის ინდიკატორებთან დაკავშირებით.

მოტივზე, დანაშაულის ჩადენის განსაკუთრებული დრო (რელიგიური დღესასწაულები, სხვადასხვა თემას მიძღვნილი დღეები - 17 მაისი, უფლებადამცველების დღე და სხვა) და ადგილი (რელიგიური დანიშნულების ადგილები, მათ შორის რელიგიური ღვთისმსახურების განხორციელების სივრცეები და სხვა), შეუწყნარებლობის მოტივის ამსახველი მიმოწერის ელექტრონული ასლები და მათი დათვალიერების ოქმები, ბრალდებულის აღიარება. შეუწყნარებლობის მოტივის დადასტურების ნაწილში გამამტყუნებელი განაჩენი ეყრდნობა მინიმუმ ორ მტკიცებულებას, უმეტესად ეს არის დაზარალებულის ან მოწმის ჩვენება და შეუწყნარებლობის მოტივის დამადასტურებელი მიმოწერა, ან ბრალდებულის აღიარება, ან შემთხვევის ადგილზე ბრალდებულის მიერ გაკეთებული სიძულვილის შემცველი კომენტარები და სხვა.

## თავი IV. სასამართლო განხილვისა და განაჩენის დადგენის თავისებურებანი

დისკრიმინაციულ დანაშაულზე სამართალწარმოება გარკვეულ თავისებურებებს აერთიანებს, რომელიც ვლინდება ბრალდებულის მოსამართლის წინაშე პირველი წარდგენიდან, მის მიმართ შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე. მიუხედავად იმისა, რომ ამ დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესი სხვა საქმეების მსგავსად მიმდინარეობს, განმასხვავებელი მახასიათებლები მაინც გააჩნია, რაც უმთავრესად გამოიხატება სამართალწარმოების ყველა ეტაპზე დანაშაულის ჩადენის მოტივზე მსჯელობასა და შეფასებაში. შეუწყნარებლობის მოტივს დიდი გავლენა აქვს არა მხოლოდ სწორი კვალიფიკაციის განსაზღვრაზე, არამედ მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული სასჯელის სახესა და ზომაზე. ამ მოტივის შესწავლა სახელმწიფოს მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენს, რომელიც საჭიროებს დროულად გამოძიებას, დაგვიანებულმა რეაგირებამ, შესაძლებელია საერთოდ შეფასების მიღმა დატოვოს აღნიშნული მოტივი.

სისხლის სამართლის პროცესის თითოეულ ეტაპზე, როგორც მხარეებმა, ისე სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს მთელი რიგი გარემოებები, რომლებიც თავდაპირველად შეუწყნარებლობის მოტივის დადგენისთვის, შემდგომ კი განაჩენით გადასაწყვეტი გარემოებების (განაჩენის სახე, გამამტყუნებელი განაჩენის მიღების შემთხვევაში სასჯელის სახის და ზომის განსაზღვრა და სხვა) განსაზღვრისთვის არის მნიშვნელოვანი.

### 4.1 ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომა

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდგომ საფეხურს წარმოადგენს გამოძიების ადგილის მიხედვით ბრალდებულის მაგისტრატი მოსამართლის წინაშე პირველი წარდგენა, რასაც თან ახლავს ან აღკვეთის ღონისძიების გამოყენების და წინასასამართლო სხდომის თარიღის

განსაზღვრის ან მხოლოდ წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრის მოთხოვნა. თუ ბრალდებული დაკავებულია, მაშინ დაკავებიდან 48 საათის შემდგომ ბრალდების მხარემ უნდა მიმართოს სასამართლოს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით, რომელიც სასამართლომ უნდა განიხილოს 24 საათში, ხოლო თუ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მისი დაკავების გარეშე, მაქსიმალური ვადა, რა ვადაშიც ბრალდების მხარემ შესაძლებელია სასამართლოს მიმართოს ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის ჩატარებისთვის, სადაც მოითხოვს წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრას, არის 54 დღე.<sup>205</sup>

დანაშაულის ჩადენის შეუწყნარებლობის მოტივი შესაძლებელია გამოკვეთილ იქნეს ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე, ან შესაძლებელია ეს მოტივი გამოიკვეთოს საგამომიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების დროს, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდგომ. თუ ბრალდების მხარეს, ბრალდებულის პირველი წარდგენის ეტაპისთვის, მოპოვებული აქვს შეუწყნარებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები და ასახული აქვს ბრალდების შესახებ დადგენილებაში, მას შეუძლია ამ მოტივზე მითითებით დაასაბუთოს ბრალდებულის მიმართ კონკრეტული, უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი, ხოლო თუ მტკიცებულებები მოპოვებული არ არის, თუმცა, გამოძიება ამ მიმართულებით დაინტერესებულია და იკვლევს საკითხს, აღნიშნული გარემოებაც (მოტივის გამოძიება) შეიძლება გახდეს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთების საფუძველი. სამწუხაროდ, სახელმწიფო უწყებები არ აწარმოებენ ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს შესაძლო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე აღკვეთის ღონისძიების სახეების გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ

---

<sup>205</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 83-ე მუხლის მეექვსე და 208-ე მუხლის მესამე ნაწილის ერთობლივი ანალიზის საფუძველზე.

მედია საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციის ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთებისთვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ბრალდების მხარე და სასამართლო ყოველთვის ახდენს ხაზგასმას დანაშაულის შეუწყნარებლობის მოტივზე და ამ მოტივიდან გამომდინარე პატიმრობის გამოყენების აუცილებლობაზე.<sup>206</sup>

#### 4.2 დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის საქმის განხილვა წინასასამართლო სხდომაზე

წინასასამართლო სხდომა სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე სამართალწარმოების მეორე სტადიას<sup>207</sup> წარმოადგენს, რა დროსაც სრულად მთავრდება გამოძიების სტადია და იწყება სასამართლო განხილვის სტადია. წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის განმხილველი მოსამართლისგან განსხვავებით, გააჩნია გაცილებით უფრო ფართო უფლებამოსილება,<sup>208</sup> მათ შორის შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, შეწყვიტოს ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა.

წინასასამართლო სხდომა საქმეზე მიმდინარე სამართალწარმოების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტადიაა, რომლის ფარგლებშიც სასამართლო მთელ რიგ გარემოებებზე მსჯელობს, მათ შორის

---

<sup>206</sup> არასრულწლოვანის შესაძლო ქორწინების იძულების ფაქტზე დედის მიმართ გამოყენებულ იქნა პატიმრობა - <<https://pog.gov.ge/news/prokuraturam-qorwinebis-iZulebis-faqtze-arasrulwlovani-gogonas-dedas-braldeba-warudgina>>, გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის გამო ჩადენილი შესაძლო დანაშაულისთვის გამოყენებულ იქნა პატიმრობა <<https://www.radiotavisupleba.ge/a/30145827.html>>, ოჯახის წევრის მიმართ გენდერის ნიშნით და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი შესაძლო განზრახ მკვლელობისთვის გამოყენებულ იქნა პატიმრობა - <<https://pog.gov.ge/news/prokuraturam-meuRlis-gansakuTrebuli-sisastikiT-mkylelobis-faqtze-dakavebuls-braldeba-warudgina>>

[უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>207</sup> ბოხაშვილი ი., წინასასამართლო სხდომა სისხლის სამართლის პროცესში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, 2017, გვ. 290.

<sup>208</sup> იქვე.

განსაკუთრებულად ხაზგასასმელია - ბრალდებულისთვის ბრალად შერაცხილი ქმედების არსის განმარტება ბრალდებულისათვის, გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების ძალაში დატოვების ან შეცვლის საკითხი, მტკიცებულებათა დასაშვებობა/დაუშვებლობა, საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემა და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები. აღნიშნული საკითხები ერთი ორად ზრდის ამ ეტაპის მნიშვნელობას და აუცილებელს ხდის უფრო სიღრმისეული მსჯელობის განვითარებას.

შეუწყნარებლობის მოტივთან მიმართებით ორი მნიშვნელოვანი საკითხი უნდა იქნეს გათვალისწინებული ამ ეტაპზე:

პირველი - ბრალდების მხარემ უნდა გაითვალისწინოს, რომ წინასასამართლო ხდომა არის სისხლის სამართლის პროცესის ბოლო საფეხური, როდესაც მას შეუძლია შეუწყნარებლობის მოტივზე მითითება და ბრალდების დაზუსტება, ამ სტადიის გავლის შემდგომ თუნდაც ახალი მტკიცებულებები იქნეს წარდგენილი/მოპოვებული (სსსკ-ის 239-ე მუხლის საფუძველზე), დაუშვებელია ბრალდების დამძიმება.

მეორე - მოსამართლემ მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას ყურადღება უნდა გაამახვილოს ამ მტკიცებულებების საქმესთან კავშირზე, რელევანტურობაზე - რამდენად არის წარმოდგენილი მტკიცებულებები რელევანტური შეუწყნარებლობის მოტივის დადგენისთვის.

ამასთან, თუ წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მიერ არ იქნება წარმოდგენილი შეუწყნარებლობის მოტივის დამადასტურებელი ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც შექმნის ალბათობის მაღალი ხარისხის მტკიცებით სტანდარტს, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი, წინასასამართლოს სხდომის მოსამართლემ შეუწყნარებლობის მოტივი უნდა მოუხსნას ქმედების კვალიფიკაციას და საქმე ისე გადასცეს არსებითად განსახილველად.

#### 4.2.1 ბრალდების მხარის უფლებამოსილება ბრალის დაზუსტების თაობაზე

სსსკ წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს ავალდებულებს ბრალდების არსის და წარდგენილი ბრალდებით გათვალისწინებული სასჯელის ზომის განმარტებას ბრალდებულისთვის იმ შემთხვევაში თუ ბრალდება შეიცვალა ბრალდებულის პირველი წარდგენის შემდგომ. მოცემული ვალდებულების საფუძველს ქმნის სსსკ-ის 219-ე მუხლის პირველი ნაწილი, თუმცა, აღნიშნული გამომდინარეობს მხოლოდ კანონის სიტყვასიტყვითი წაკითხვის შემთხვევაში, კანონის სისტემური და მიზნობრივი განმარტება კი წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს ბრალდების არსის და სასჯელის განმარტების მოვალეობას აკისრებს იმ შემთხვევაშიც კი თუ ბრალდება არ შეცვლილა ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის შემდგომ. „სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე მაინც არკვევს, ცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და რა მოცულობით, რომელ ქმედებას აღიარებს და რაში მიიჩნევს თავს დამნაშავედ. ამიტომ აუცილებელია, ბრალდებულმა იცოდეს რაში ედება ბრალი და წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ რაიმე წინაპირობის გარეშე, აუცილებლად განუმარტოს ბრალდებულს ბრალდების არსი და ამ ბრალდებით გათვალისწინებული სასჯელის ზომა.“<sup>209</sup> შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულისთვის ბრალდების შემთხვევაში წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ, სასჯელის ზომის განმარტების დროს, ბრალდებულს უნდა განუმარტოს სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული მოწესრიგება - სასჯელის დამძიმებასთან მიმართებით.

წინასასამართლო სხდომამდე, გამოძიების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, პროკურორს შეუძლია უცვლელად დატოვოს, ან იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, რომ ბრალდება

---

<sup>209</sup> ომხარელი მ., წინასასამართლო სხდომის არსი და ადგილი სისხლის სამართლის პროცესის სტადიათა სისტემაში, 2020, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №4 (68) 20, გვ. 27.

დაზუსტდეს ან სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდეს ნაწილობრივ ან სრულად. აღსანიშნავია, რომ წინასასამართლო სხდომისთვის საქმის გაგზავნამდე პერიოდი - გამოძიების დასრულების ეტაპი არის სამართალწარმოების ბოლო ეტაპი, სადაც ბრალდების მხარეს შეუძლია პირისათვის წაყენებული ბრალდების დამძიმება, აღნიშნული ეტაპის გასვლის შემდგომ, ბრალდებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები იცვლება - პროკურორს შეუძლია მხოლოდ ისე დააზუსტოს ბრალდება, რომ ბრალდებულის მდგომარეობა შემსუბუქდეს, ან სრულიად უარი თქვას სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებაზე და შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

ბრალის დაზუსტებას წარმოადგენს ბრალდებასთან დაკავშირებული ისეთი გარემოების დაზუსტება, როგორც არის დანაშაულის ჩადენის შეუწყნარებლობის მოტივი. შესაბამისად, თუ ბრალდებულს ბრალად წარდგენილი ჰქონდა საქართველოს სსკ-ის რომელიმე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული და შემდგომ გამოძიებით დადგინდა მისი ჩადენის შეუწყნარებლობის მოტივი, ბრალდების მხარე აზუსტებს ბრალდებას, რომ სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა მოხდა შეუწყნარებლობის მოტივით, რაც თავისი არსით არის ბრალდების დაზუსტება, თუმცა, ბრალდების მხარეს აღნიშნული უფლებამოსილება აქვს მხოლოდ გამოძიების დასრულებამდე, როგორც კი საქმე გაიგზავნება სასამართლოში წინასასამართლო სხდომისთვის, ბრალდების მხარის ეს უფლებამოსილებაც სრულდება და ის ვეღარ შეძლებს ცვლილების განხორციელებას ბრალდებულის საუარესოდ.

#### **4.2.2 წინასასამართლო სხდომის მოსამართლის როლი მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტაში**

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს, ხოლო სსსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მტკიცებულება

უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დროს სასამართლო ამოწმებს მტკიცებულებების წარმომავლობის კანონიერებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ გარემოებებს: სსსკ-ის 83-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვას, სარწმუნოებას და სხვა.<sup>210</sup> ამასთან, სასამართლომ უნდა შეამოწმოს რამდენად ჰქონდა მხარეს შესაძლებლობა შეემოწმებინა მტკიცებულების ავთენტურობა.<sup>211</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი მტკიცებულებები დაუშვებლად იქნება ცნობილი, ამასთან, სასამართლოს მიერ მიღებული ასეთი გადაწყვეტილება წერილობით ფორმით უნდა იყოს დასაბუთებული.<sup>212</sup>

დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის იგივე სამართლებრივი საფუძვლები არსებობს, რაც გათვალისწინებულია ყველა სხვა დანაშაულთან მიმართებით, საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ მტკიცებულებათა რელევანტურობაზე, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობისთვის - „რელევანტურობა ეხება მტკიცებულების შინაარსს და გულისხმობს მის კავშირს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებსა და ფაქტებთან, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების არსებობა-არარსებობაზე.“<sup>213</sup> „მტკიცებულების რელევანტურობა გულისხმობს მის კავშირს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებსა და ფაქტებთან, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების არსებობა-არარსებობაზე და მისი შეფასებისას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: ა) ექვემდებარება თუ არა მტკიცებას ის გარემოება, რომელსაც ადასტურებს მტკიცებულება და ბ)

<sup>210</sup> აქუბარდია ი., დაცვის ხელოვნება, თბ., 2011, გვ. 158-166.

<sup>211</sup> Lisica v. Croatia, {2010}, ECHR, 51.

<sup>212</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2015 წლის 30 აპრილის №1გ/522 განჩინება.

<sup>213</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლექტივი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., 2015, გვ. 193.

არსებობს თუ არა კავშირი დასამტკიცებელ გარემოებასა და მტკიცებულებას შორის.<sup>214</sup> ევროსასამართლოს მიდგომის თანახმად, „მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი რელევანტურობის განსაზღვრა არის ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა.“<sup>215</sup> მართალია რელევანტურობის საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს მტკიცებულების შემოწმებას, შეფასებას და საქმეზე შესახებობის დადგენას, რის გამოც უმეტეს შემთხვევაში ამ გადაწყვეტილების მინდობა არსებითი განხილვის მოსამართლისთვის ხდება,<sup>216</sup> თუმცა, აღნიშნული არ ართმევს წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს შესაძლებლობას მიიღოს გადაწყვეტილება მტკიცებულების არარელევანტურობაზე, მით უფრო იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ მხარეს რჩება გასაჩივრების უფლებამოსილება, შესაბამისად, თუ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულება არ იძლევა ქმედების შემადგენლობის ან მასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი გარემოების, როგორც არის შეუწყნარებლობის მოტივი, შეფასების შესაძლებლობას, ამგვარი მტკიცებულება არ უნდა იქნეს ცნობილი დასაშვებად, მაშინაც კი თუ მისი მოპოვების კანონიერება კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას.<sup>217</sup>

წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე, აღნიშნული კი გულისხმობს მოსამართლის უფლებამოსილებას იმსჯელოს მტკიცებულებების დაუშვებლობაზე იმ შემთხვევაშიც კი თუ მხარე არ აყენებს მეორე მხარის მტკიცებულებათა დაუშვებლობის თაობაზე

---

<sup>214</sup> ჩომახაშვილი ქ., თომაშვილი თ., ძეგნიაური გ., ოსეფაშვილი გ., პატარიძე მ., მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, ფონდი: „ღია საზოგადოება - საქართველო“, თბ., 2016, გვ. 35; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 25 მაისის განაჩენი საქმეზე N493აპ-14.

<sup>215</sup> Barberà, Messegué, Jabardo v. Spain, {1988}, ECtHR, 68.

<sup>216</sup> ბოხაშვილი ი., წინასასამართლო სხდომა სისხლის სამართლის პროცესში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, 2017, გვ. 309.

<sup>217</sup> ჩომახაშვილი ქ., თომაშვილი თ., ძეგნიაური გ., ოსეფაშვილი გ., პატარიძე მ., მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, ფონდი: „ღია საზოგადოება - საქართველო“, თბ., 2016, გვ. 94.

შუამდგომლობას.<sup>218</sup> სასამართლო არ არის შეზღუდული მხარეთა შუამდგომლობებით და ვალდებულია დაუშვებლად ცნოს მტკიცებულება შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის (მაგ. უკანონოდ მოპოვების, მტკიცებულების შესაძლო გამოცვლის, მისი არარელევანტურობის<sup>219</sup> და სხვა საფუძვლის) არსებობისას.<sup>220</sup> „წინასასამართლო სხდომის მოსამართლე, მიუხედავად იმისა, დაცვის მხარე სადავოდ ხდის თუ არა მის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას, ვალდებულია, სრულყოფილად შეამოწმოს ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი ყველა მტკიცებულება და ისე მიიღოს გადაწყვეტილება მათი დასაშვებ თუ დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.“<sup>221</sup> მოსამართლე უფლებამოსილია დაუშვებლად ცნოს კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული ის მტკიცებულებებიც კი, რომლებიც მხარეთა მიერ უდავოდ იქნა მიჩნეული.<sup>222</sup>

თუ წინასასამართლო სხდომის მოსამართლე დარწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული (როგორც ქმედების შემადგენლობა, ისე დამამძიმებელი გარემოება) ბრალდებულმა ჩაიდინა, საქმე გადაეცემა სასამართლოს არსებითი განხილვისათვის. ალბათობის მაღალი ხარისხის „განმსაზღვრელი ნიშნებია: წინასასამართლო სხდომაზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობა, ამ მტკიცებულებათა დამაჯერებლობა და ურთიერთშეთავსება, მტკიცებულებათა საკმარისობა.“<sup>223</sup>

---

<sup>218</sup> მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, ფონდი: „ღია საზოგადოება - საქართველო“, თბ., 2016, გვ. 29;

<sup>219</sup> *Vidal v. Belgium*, [1992], ECHR. 32; *Edwards v. the United Kingdom*, [1992], ECHR, 34; *Patsuria v. Georgia*, [2007], ECHR, 86.

<sup>220</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლექტივი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., 2015, გვ. 654.

<sup>221</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის №1/364-16 განჩინება, 4.

<sup>222</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2015 წლის 16 სექტემბრის განჩინება №1გ/1389, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2015 წლის 22 აპრილის განჩინება №1გ/730-16.

<sup>223</sup> ბოხაშვილი ი., წინასასამართლო სხდომა სისხლის სამართლის პროცესში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, 2017, გვ. 309.

### 4.3 სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის ეტაპი

წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან 14 დღის ვადაში ინიშნება საქმის არსებითი განხილვის სხდომა, რომელიც პირველ ინსტანციაში სამართალწარმოების ბოლო ეტაპს წარმოადგენს, შესაბამისად, სწორედ საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლე არის ის პირი, რომელიც გამოკვლევულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას ბრალდებულის დამნაშავეობა/უდანაშაულობის თაობაზე.

საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე სასამართლო შეისწავლის ფაქტობრივ გარემოებებს იმ მტკიცებულების ფარგლებში, რომლებიც მხარეებს აქვთ წარმოდგენილი.

სასამართლოს შემადგენლობის გამოცხადების, აცილებისა და თვითაცილების საკითხების გადაწყვეტის შემდგომ, სასამართლო ადგენს ბრალდებულის ვინაობას და უმარტავს მას მის უფლებებს, რასაც მოსდევს მხარეთა შესავალი სიტყვები, მტკიცებულებების გამოკვლევა, დასკვნითი სიტყვები და ბრალდებულის საბოლოო სიტყვა.

თითოეულ ეტაპზე პირველი გამომსვლელი არის ბრალდების მხარე - პირველი ბრალდების მხარე ამბობს შესავალ სიტყვას, იკვლევს მტკიცებულებებს და დასკვნით სიტყვასაც ის ამბობს პირველი. სწორედ ამ ეტაპზე უნდა მოხდეს სხვა გარემოებებთან ერთად, ქმედების ისეთი გარემოების შესწავლა - დადასტურება ან გამორიცხვა, როგორც არის დანაშაულის შეუწყნარებლობის მოტივი, ვინაიდან ამ კატეგორიის დანაშაულში შეუწყნარებლობის მოტივი არ არის მხოლოდ დანაშაულთან დაკავშირებული ერთი საკითხი, არამედ ის წარმოადგენს მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას, რომლის დაუდასტურებლობა გამორიცხავს ამ მოტივით ქმედების კვალიფიკაციას და სასჯელის სახესა და ზომაზე მის გავლენას.

#### 4.3.1 მოწმის/დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემა/ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა

საქართველოს კანონმდებლობა მართალია არ იცნობს მტკიცებულებათა რანგირების სისტემას და არ ანიჭებს რომელიმე მტკიცებულებას უპირატეს იურიდიულ ძალას, თუმცა, მოწმის ჩვენება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულება სისხლის სამართლის საქმეში, მით უფრო თუ მოწმე არის დანაშაულის შემსწრე პირი. მოწმის მიერ სასამართლოსთვის მიწოდებულმა ინფორმაციამ - შეუწყნარებლობის მოტივის დამადასტურებელი ფრაზები, რომელიც მოწმემ მოისმინა ან ბრალდებულის ქმედებები (ფაშისტური სიმბოლიკის გამოყენება, სხვაგვარი ჟესტიკულაციის ჩვენება და სხვა) დანაშაულის ჩადენისას, შეიძლება შექმნას გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებითი სტანდარტი, რომელიც საჭიროა პირის მსჯავრდებისთვის.

მოწმესთან მიმართებით მნიშვნელოვანია ორ გარემოებაზე ყურადღების გამახვილება -

1. როდის არის მოწმე უფლებამოსილი არ მისცეს ჩვენება და
2. როდის არ არის პირი ვალდებული იყოს მოწმე. სსსკ-ს 49-50-ე მუხლები დეტალურად განმარტავს აღნიშნულ საკითხებს. პირს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს.<sup>224</sup>

ამასთან, პირს მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება, თუ ის არის ბრალდებულის ახლო ნათესავი, ან სსსკ-ის 50-ე მუხლით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს მოწმე სარგებლობს იმუნიტეტით, რაც არის „მოწმის სამართლებრივი პრივილეგია,

---

<sup>224</sup> მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული).

სამართლებრივი ხელშეუხებლობა, რომელიც წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის უფლებების დაცვის გარანტიას“.<sup>225</sup>

სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი განხილვის მიმდინარეობის დროს ყოველთვის არსებობს საფრთხე იმისა, რომ მოწმემ/დაზარალებულმა არ ითანამშრომლოს სახელმწიფო უწყებებთან და არ მიაწოდოს სასამართლოს სწორი და ამომწურავი ინფორმაცია, სწორედ ეს საფრთხე ავალდებულებს ბრალდების მხარეს გამოძიების იმგვარად ჩატარებას, რომ „სასამართლოში წარადგინოს მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც დაზარალებულის/თვითმხილველი მოწმეების მიერ მამხილებელი ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაშიც კი შექმნის გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობას.“<sup>226</sup>

ჩვენების მიცემა/არ მიცემის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ კუთხით, რომ მოწმის მიერ სასამართლოსთვის მიცემული ჩვენება და მიწოდებული ინფორმაცია შესაძლებელია მოიცავდეს დანაშაულის მოტივთან დაკავშირებულ გარემოებებს, რომლებიც ვერ დგინდებოდეს საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით. ძალიან ხშირად შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ჩადენა ხდება ოჯახის წევრებს შორის, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან, შესაბამისად, სხვადასხვა გარემოების გამო, აღნიშნული პირები უარს აცხადებენ ჩვენების მიცემაზე, რაც განაპირობებს მათი მონაწილეობით ჩატარებული გამოკითხვის ოქმების გამოყენების შეუძლებლობასაც, შესაბამისად, თუ საქმეში არ დევს დანაშაულის მოტივის დამადასტურებელი დამატებითი მტკიცებულებები, შესაძლებელია პირი დამნაშავედ ცნობილ იქნეს დანაშაულის ჩადენაში, თუმცა, მოტივი შეფასების მიღმა დარჩეს.

<sup>225</sup> ტატიშვილი მ., მოწმის იმუნიტეტის სისხლის სამართლის პროცესში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, №1, 2019, 169.

<sup>226</sup> ფაფიაშვილი ლ., დაზარალებულის პოზიციის გავლენა მართლმსაჯულების განხორციელებაზე (ოჯახში ძალადობის საქმეები), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, №1, 2024, 255; ასევე, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 13 მარტის განაჩენი საქმეზე №959აპ-23.

#### 4.3.2 ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემა/დუმილის უფლებით სარგებლობა

ბრალდებული სისხლის სამართლის საქმის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა - მხარეა, რომელსაც მთელი რიგი უფლებები გააჩნია. ბრალდებულს უფლება აქვს მისცეს სასამართლოს ჩვენება ან თავი შეიკავოს ჩვენების მიცემისგან. ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტი არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.<sup>227</sup> „უდავოა, რომ როგორც ქართული საპროცესო კანონმდებლობა, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი დუმილის უფლებით სარგებლობისას უარყოფითი დასკვნის (adverse inference) გამოტანის შესაძლებლობას კრძალავს.“<sup>228</sup> თუმცა, თუ ბრალდებული გადაწყვეტს ჩვენების მიცემას, მან არ უნდა მოახდინოს ცრუ დასმენა, აღნიშნულ შემთხვევაში მას დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა.

ბრალდებულის ჩვენება, მის მიერ დანაშაულის ჩადენის აღიარება, საქმის ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულება შეიძლება იყოს, თუმცა, ბრალდებულის აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით.<sup>229</sup> იგივე სტანდარტი ვრცელდება შეუწყნარებლობის მოტივის დადასტურებაზეც. აღსანიშნავია, რომ „თუ ბრალდებული წინააღმდეგია, სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე მის მიერ გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა, აგრეთვე ამ ინფორმაციის აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება) და ზემოაღნიშნული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია. მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვაზე ან ამ ინფორმაციის აუდიო- ან

<sup>227</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის მესამე ნაწილი.

<sup>228</sup> ნიპარიშვილი ბ., არჩევანი ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემისა და დუმილის უფლებებს შორის, 2019, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №1 (65) 20, გვ. 13.

<sup>229</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

ვიდეოჩანაწერის მოსმენაზე (დემონსტრირებაზე) ბრალდებულის უარი არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.<sup>230</sup> ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამომიებო მოქმედების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.<sup>231</sup> შესაბამისად, თუ ბრალდებულის მიმართ განხორციელდა ისეთი ფარული საგამომიებო მოქმედება, როგორც არის მაგალითად სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა, სადაც ბრალდებულის ჩადენილი დანაშაულის გარემოებებთან ერთად საუბრობს დანაშაულის ჩადენის მოტივზე, ეს ჩანაწერი იქნება მნიშვნელოვანი მტკიცებულება მიუხედავად იმისა ბრალდებულის აღიარებს თუ არა.

დანაშაულის ჩადენის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი არის ის გარემოება, რომელზეც ბრალდებულთა უმეტესობა მაშინ საუბრობს, როდესაც ცდილობს საკუთარი ქმედება გარკვეული მორალური თუ საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებებით გაამართლოს, აღნიშნული სტრატეგია ცალსახად აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას, ვინაიდან პირდაპირ ადასტურებს შეუწყნარებლობის მოტივის არსებობას და ძირითადად ისეთი ბრალდებულები იყენებენ, რომლებსაც ადვოკატი არ ჰყავთ და არ აქვთ მიღებული სათანადო იურიდიული კონსულტაცია.

შეჯამების სახით შესაძლებელია ითქვას, რომ შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებში ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეფასდეს სწორ სტრატეგიად, თუ დაცვის მხარე დარწმუნდება, რომ ბრალდებულის მიერ მიწოდებული ინფორმაცია წარმოშობს ეჭვებს, რომლებიც საბოლოოდ ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყდება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საქმეში არ მოიპოვება სიმულვილის მოტივის სხვა სახის მტკიცებულება (მაგალითად, შემთხვევის

<sup>230</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>231</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის მეორე ნაწილი.

შემსწრე მოწმეების ჩვენებები, სექსისტური განცხადებები და ა.შ.), ბრალდებულის მიერ დუმილის უფლებით სარგებლობა არის საუკეთესო სტრატეგია მოტივის არ არსებობაზე აქცენტირებისთვის. ამ დროს დუმილის უფლებით სარგებლობა არის არა მხოლოდ კონსტიტუციური უფლების რეალიზების საშუალება, არამედ შესაძლოა ის ფაქტობრივი შედეგიც ჰქონდეს, რომ შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენა არ იქნეს დადასტურებული.

#### 4.3.3 სხვა სახის მტკიცებულებების გამოკვლევა

მართალია გამოსაკვლევად წარდგენილ მტკიცებულებათა რიგითობასა და მოცულობას განსაზღვრავს თვით წარმდგენი მხარე,<sup>232</sup> თუმცა, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ფაქტზე მტკიცებულებათა გამოკვლევის კუთხით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მტკიცებულება შეიძლება იყოს ის მიმოწერები, რომლებიც არსებობდა ბრალდებულს და დაზარალებულს შორის, მათ შორის ხმოვანი შეტყობინებები, დაზარალებულის სახლის კედელზე ან სხვა სივრცეში გაკეთებული სიძულვილის ენის შემცველი კომენტარები, ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული სიძულვილის შემცველი ჩანაწერები ან ვიდეო კადრები და სხვა. აღნიშნულ მტკიცებულებათა გამოყენებით ბრალდების მხარეს შეუძლია ამტკიცოს არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, არამედ ამ დანაშაულის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენის გარემოება, მაგალითად, ერთ-ერთ გახმაურებულ შემთხვევაზე, აქტივისტის საცხოვრებელი სახლის კარზე და კედლებზე დატოვებული იქნა ნახატები: რუსული დროშა და ჯვარი, თავად აქტივისტი ამ ნახატების დატოვებას უკავშირდებოდა მის საქმიანობას და განმარტავდა, რომ არაერთხელ სცადა მისი დაშინება მისი საქმიანობიდან გამომდინარე.<sup>233</sup> მოცემულ შემთხვევაში

<sup>232</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის მეორე ნაწილი.

<sup>233</sup> სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, 04.12.2023, <<https://socialjustice.org.ge/ka/products/sotsialuri-samartlianobis-tsentr-samira-bairamovas-solidarobas-utskhadabs>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

აღნიშნული ნახატები არა მხოლოდ დანაშაულის შეუწყნარებლობის მოტივის დამადასტურებელი გარემოება შეიძლება იყოს, არამედ თავად ქმედების შემადგენლობის (ამ ქმედებით დევნის განხორციელება).

ზემოაღნიშნული მტკიცებულებების შესწავლა და ერთობლივი ანალიზი აძლევს სასამართლოს შესაძლებლობას დანაშაულის მოტივი დეტალურად შეაფასოს და დაადგინოს იყო თუ არა კონკრეტული ქმედება ჩადენილი დისკრიმინაციული მოტივით, რის შესაბამისადაც იღებს გადაწყვეტილებას წარდგენილ ბრალდებაში პირის დამნაშავეობასთან დაკავშირებით.

თუ მხარე მიიჩნევს, რომ რომელიმე მტკიცებულება არ უნდა გამოიკვლიოს ან რომელიმე მოწმე არ უნდა დაიკითხოს, თავად იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულზე და ხსნის იმ მტკიცებულებას, რომლის გამოკვლევაც არ სურს, ასეთ შემთხვევაში სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავისი ინიციატივით დაიბაროს მოხსნილი მოწმე დაკითხვაზე ან თავად მოითხოვოს მოხსნილი მტკიცებულების გამოკვლევა.

პრაქტიკაში, მხარე თავდაპირველად უმეტეს შემთხვევაში იკვლევს პიროვნულ მტკიცებულებებს - მოწმეთა ჩვენებებს, შემდგომ კი ნივთიერ მტკიცებულებებს, თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ნივთიერ მტკიცებულებას აქვს ნაკლები იურიდიული ძალა, შესაძლებელია სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი სრულად ნივთიერ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიღოს. მტკიცებულებების შეფასების დროს მთავარია არა მტკიცებულების ფორმა, არამედ მისი შინაარსობრივი კავშირი დანაშაულის სიძულვილის მოტივთან. როდესაც საქმე ეხება სიძულვილის მოტივის იდენტიფიცირებას თითოეულ მტკიცებულებას, იქნება ეს მოწმის ჩვენება, ვიდეოჩანაწერი თუ სხვა, შეიძლება ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ეფექტიანი სამართალწარმოებისთვის გადამწყვეტია, რომ მხარე არ მხოლოდ მტკიცებულებების რაოდენობაზე ამახვილებდეს ყურადღებას, არამედ იმაზე, თუ რამდენად ნათლად და დამაჯერებლად ადასტურებს ან

უარყოფს თითოეული მტკიცებულება დანაშაულის შეუწყნარებლობის მოტივს.

#### 4.3.4 მოსამართლის მიერ განაჩენის დადგენა

სისხლის სამართლის პროცესის მხარეთა დასკვნითი სიტყვისა და ბრალდებულის საბოლოო სიტყვის შემდგომ სასამართლო ან ადგილზე თათბირით ან სათათბირო ოთახში გასვლით იღებს გადაწყვეტილებას. სასამართლოს განაჩენი დგინდება და ცხადდება საქართველოს სახელით, რომელიც უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი, რაც გულისხმობს იმას, რომ განაჩენი გამოტანილი უნდა იქნას საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის სსკ-ის მოთხოვნათა დაცვით, უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ სასამართლო განხილვის პროცესში გამოკვლეულ გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას, ასევე, განაჩენით განსაზღვრული სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს როგორც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, ისე მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლებს.<sup>234</sup>

დისკრიმინაციული დანაშაულის დასკვნით სიტყვაში ბრალდების მხარე მსჯელობს არა მხოლოდ დანაშაულის ძირითად შემადგენლობაზე, არამედ შეუწყნარებლობის მოტივზე, ძირითად შემთხვევაში ყურადღებას ამახვილებს მოტივის დამადასტურებელ ისეთ მტკიცებულებებზე, როგორებიცაა მოწმეთა თუ დაზარალებულთა ჩვენებები, სოციალურ ქსელებში გაკეთებული კომენტარები და სხვა. დაცვის მხარე სტრატეგიის შესაბამისად ან სრულად უარყოფს დანაშაულის ჩადენას ან აღიარებს დანაშაულის ჩადენას შეუწყნარებლობის მოტივის გარეშე.

მოსამართლე შესწავლილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით აფასებს კვალიფიკაციის და დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებებს და განსაზღვრავს სასჯელს.

---

<sup>234</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლი.

#### **4.3.4.1 მოსამართლის უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიკაციის შეცვლასთან დაკავშირებით**

სსსკ-ის 250-ე მუხლის თანახმად - „ბრალდების მხარეს უფლება აქვს, ზემდგომი პროკურორის თანხმობით უარი თქვას ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე, ან არსებული ბრალდება შეცვალოს უფრო მსუბუქი ბრალდებით. ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე პროკურორის მიერ უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას ბრალდებაში ან ბრალდების ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.“<sup>235</sup> აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიკაციის მინიჭების ექსკლუზიური უფლებამოსილება გააჩნია ბრალდების მხარეს, ხოლო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას დადგენილად მიიჩნიოს თუ არა ბრალდების მხარის გადაწყვეტილება - შეფასება.

სასამართლოს განაჩენი შეიძლება იყოს სრულად გამამართლებელი, სრულად გამამტყუნებელი, ბრალდების ზოგ ნაწილში გამამტყუნებელი, ზოგ ნაწილში კი გამამართლებელი. აღსანიშნავია, რომ საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოსამართლის უფლებამოსილებას საკუთარი ინიციატივით შეცვალოს სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიკაცია, ამ კუთხით მხოლოდ ის აკრძალვა არსებობს, რომ სასამართლო ვერ დაუმძიმებს ბრალდებულს მდგომარეობას და ვერ მოახდენს საქმის უფრო მძიმე მუხლზე გადაკვალიფიცირებას - „სასამართლოს უფლება არ აქვს, იმსჯელოს ბრალდებულის მიერ ჩადენილი სხვა ისეთი ქმედების თაობაზე, რაც არ აქვს ამ უკანასკნელს ბრალდებით წარდგენილი.“<sup>236</sup> თუმცა, სადავოა, რამდენად შეუძლია სასამართლოს ნაკლებად მძიმე მუხლზე გადაკვალიფიცირება. იურისტთა ერთი ნაწილის აზრით, თუ სასამართლო წარდგენილ ბრალდებაში ვერ ამტყუნებს

<sup>235</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 250-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>236</sup> თუმანიშვილი გ., ბრალდება და მისგან გადახრა სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, №1, 2016, 280.

ბრალდებულს - არ აქვს საკმარისი მტკიცებულებები ამ ბრალდებაში პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის მისაღებად, ან არ მიიჩნევს შერჩეულ კვალიფიკაციას სამართლებრივად სწორად, მან უნდა მიიღოს გამამართლებელი განაჩენი, იურისტების მეორე ნაწილის აზრით კი, თუ წარდგენილ ბრალდებაში პირის დამნაშავეობას ვერ ხედავს მოსამართლე, თუმცა მიიჩნევს რომ ბრალდებულმა ჩაიდინა სხვა, მსუბუქი დანაშაული, მას შეუძლია შეუცვალოს საქმეს კვალიფიკაცია და პირი დამნაშავედ ცნოს უფრო მსუბუქი („მონათესავე“ - მაგალითად დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა (სსკ-ის 109-ე მუხლი) გადააკვალიფიცირა ე.წ. „მარტივ მკვლელობად“ (სსკ-ის 108-ე მუხლი) დანაშაულის ჩადენაში, რომელიც არ დაამძიმებს ბრალდებულის მდგომარეობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ „სასამართლო საქმეს განიხილავს წარდგენილი ბრალდების ფარგლებში. საქართველოს სსსკ-ის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირის ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა. ამავე კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდების შესახებ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს: ბრალდების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით. ამდენად, წარდგენილი ბრალდების ფარგლებში მოიაზრება სწორედ პროკურორის მიერ ბრალდების შესახებ დადგენილებაში ჩამოყალიბებული ბრალდების ფორმულირება, რომელშიც მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული იმ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების აღწერა (როგორ გამოიხატა), რომელსაც ბრალდების მხარე ედავება ბრალდებულს, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით,<sup>237</sup>

სსსკ-ის 273-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი სხვა

---

<sup>237</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №230აპ-13 განაჩენი.

მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხს, როგორცაა - „თუ ბრალდების ნაწილი უსაფუძვლოდაა მიჩნეული ან დანაშაულის კვალიფიკაცია არასწორია – ბრალდების ბრალდებულის სასარგებლოდ შეცვლის საფუძველი და მოტივები“. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი, სასამართლოს აძლევს უფლებამოსილებას, თუ მიიჩნევს, რომ ბრალდების კვალიფიკაცია არასწორია შეცვალოს ის ბრალდებულის სასარგებლოდ და დაასაბუთოს. აღნიშნული ჩანაწერივე უკრძალავს მოსამართლეს - მოახდინოს უფრო მძიმე ბრალდებით კვალიფიკაციის შეცვლა.

#### ***4.3.4.2 მოსამართლის უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმეში არსებულ დამამძიმებელ გარემოებებზე მსჯელობასთან დაკავშირებით<sup>238</sup>***

გამამტყუნებელი განაჩენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს სასამართლოს მიერ გამოყენებული სასჯელის სახე და ზომა, რომელიც სასამართლოს მიერ უნდა იყოს დასაბუთებული. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც სახეზეა შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული, „სასჯელის სწორად დანიშვნამ საზოგადოების თითოეულ წევს სამართლიანობის განცდა უნდა ჩამოუყალიბოს,“<sup>239</sup> სწორედ მოსამართლეს ეკისრება სამართლიანი განაჩენის მიღების პასუხისმგებლობა, განაჩენი კი „სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს“.<sup>240</sup>

---

<sup>238</sup> აღნიშნულ საკითხზე თემატური სტატია იხ.: გელოვანი ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისთვის პირის პასუხისმგებლობაში მიცემისთვის საკმარისი მტკიცებულებათა ერთობლიობა და ამ მოტივის მნიშვნელობა სასჯელის განსაზღვრის დროს, *ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“*, 2022, 8(4), გვ. 116-135, <<https://lawandworld.ge/index.php/law/article/view/344/309>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>239</sup> ავტორთა კოლექტივი, *სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი*, მეხუთე გამოცემა, რედ.: ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2024, გვ. 639.

<sup>240</sup> მსხილაძე ლ., *სასამართლოს როლი სასჯელის განსაზღვრისას*, 2018, *სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“*, №1 (57) 18, გვ. 64.

ოდირი განმარტავს, რომ შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულისთვის უფრო მძიმე/მკაცრი სასჯელის გამოყენებას რამდენიმე საფუძველი აქვს:

1. მიყენებული ზიანისთვის დასჯა,
2. სიმბოლური დატვირთვა, რომ სახელმწიფო განსაკუთრებულად გმობს ამ კატეგორიის დანაშაულს,
3. ამ დროს ისჯება უფრო დიდი, უფრო სერიოზული დანაშაული, რაც შესაბამისად აუცილებელს ხდის პროპორციული სასჯელის გამოყენებას.<sup>241</sup>

სათანადო სასჯელის შეფარდების მნიშვნელობაზე ამხვილებს ყურადღებას ევროსასამართლოც - „... დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სახელმწიფოს საპროცესო ვალდებულება ვრცელდება სამართალწარმოებაზე სასამართლოში, რომლის მიზანია დამნაშავისთვის შესაბამისი სასჯელის შეფარდება“.<sup>242</sup>

დისკრიმინაციული დანაშაულისთვის უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენებას არაერთი ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს. მიდგომები განსხვავებულია და ძირითადად გულისხმობს, რომ შეუწყნარებლობის მოტივი ზოგადი დამამძიმებელი გარემოებაა ნებისმიერი განზრახი დანაშაულისთვის, ან ეს მოტივი დამამძიმებელი გარემოებაა მხოლოდ კონკრეტული, სისხლის სამართლის კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული დანაშაულებისთვის. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, თუ დანაშაული რასობრივად მოტივირებულია, სასამართლო მას აფასებს როგორც დამამძიმებელ გარემოებას.<sup>243</sup> დაახლოებით იმავეს იმეორებს უკრაინის სისხლის

---

<sup>241</sup>OSCE/ODIHR (2010) Hate Crime Caws a Practical Guide, ODIHR Publishing, Warsaw, Poland, 2009, p. 22-23, <<https://www.osce.org/files/f/documents/3/e/36426.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>242</sup> კორკელია კ., სიცოცხლის უფლების დაცვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველო, თბ., 2025, გვ. 238.

<sup>243</sup>OSCE/ODIHR (2010) Hate Crime Caws a Practical Guide, ODIHR Publishing, Warsaw, Poland, 2009, p. 33-34, <<https://www.osce.org/files/f/documents/3/e/36426.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

სამართლის კოდექსი.<sup>244</sup> თუმცა, მაგალითად ბელგიის საკანონმდებლო რეგულირების თანახმად, შეუწყნარებლობის მოტივი არის ის გარემოება, რომლის საფუძველზეც შეიძლება სასჯელის გაორმაგება შემდეგი დანაშაულებისთვის: განზრახ მკვლელობა, თავდასხმა, გაუპატიურება და სხვა კონკრეტული დანაშაულები.<sup>245</sup>

რაც შეეხება საქართველოში არსებულ რეგულირებას, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლი განსაზღვრავს იმ საკითხებს, რომლებიც განაჩენით უნდა იქნეს გადაწყვეტილი, მათ შორის არის შემდეგი: რა სასჯელი უნდა დაენიშნოს ბრალდებულს და რა ზომის. დანაშაულის დამამძიმებელ თუ შემამსუბუქებელ გარემოებებზე მსჯელობა კი აუცილებელია, რათა სასამართლომ განსაზღვროს რომელი სასჯელი და მისი რა ზომა უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების მიღწევას.

საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლი განსაზღვრავს სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს და განმარტავს, რომ - „სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას ანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.“<sup>246</sup> საქართველოს სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლი კი უშუალოდ განსაზღვრავს სასჯელის დამძიმებას დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისთვის, ეს უკანასკნელი არის სპეციალური მუხლი, რომელსაც უპირატესობა ენიჭება ზოგად

---

<sup>244</sup>OSCE/ODIHR (2010) Hate Crime Caws a Practical Guide, ODIHR Publishing, Warsaw, Poland, 2009, p. 47, <<https://www.osce.org/files/f/documents/3/e/36426.pdf> > {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>245</sup>OSCE/ODIHR (2010) Hate Crime Caws a Practical Guide, ODIHR Publishing, Warsaw, Poland, 2009, p. 35, <<https://www.osce.org/files/f/documents/3/e/36426.pdf> >{უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>246</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მესამე ნაწილი.

მუხლთან (სსკ-ის ზოგადი 53-ე მუხლი) მიმართებით, შესაბამისად, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულისთვის განსაზღვრული სასჯელი უნდა განისაზღვროს ბრალად წარდგენილი მუხლის სანქციის და ამ მუხლის ერთობლივი შეფასების საფუძველზე, ვინაიდან სწორედ სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.“<sup>247</sup>

ნაშრომზე მუშაობის დროს საქართველოს საერთო სასამართლოებიდან გამოთხოვილ იქნა საჯარო ინფორმაცია და სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენები.<sup>248</sup> შესწავლილი განაჩენების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე რამდენიმე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. სასამართლო პრაქტიკის შესწავლით იკვეთება რომ დისკრიმინაციულ დანაშაულებზე საერთო სასამართლოებს აქვთ არაერთგვაროვანი მიდგომები, მაგალითად ცალკეულ შემთხვევებში, ერთი და იგივე შინაარსის ქმედება საქართველოს სსკ-ის სხვადასხვა მუხლით ფასდება იმის და მიხედვით, თუ რომელი ტერიტორიული ორგანო ახორციელებს მასზე საპროკურორო და სასამართლო ზედამხედველობას. ამასთან, სასჯელის სახეზე და ზომაზე მსჯელობის დროს სასამართლო გარკვეულ შემთხვევებში ამახვილებს ყურადღებას 53-ე პრიმა მუხლზე, მაგალითად თბილისის საქალაქო სასამართლომ 2020 წლის 18 ნოემბრის №1/3128-20 განაჩენით პირები დამნაშავედ ცნო სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით (ბრალდებულებამა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს

<sup>247</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე პრიმა მუხლის მესამე ნაწილი.

<sup>248</sup> ნაშრომზე მუშაობის დროს საქართველოს საერთო სასამართლოებიდან გამოთხოვილ იქნა საჯარო ინფორმაცია და სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენები. სულ შესწავლილი იქნა თბილისის და ბათუმის საქალაქო სასამართლოების და მცხეთის და თეთრიწყაროს რაინული სასამართლოების მიერ მიღებული 32 განაჩენი.

დაზარალებულებს და რამდენჯერმე დაარტყეს ხელი სახის არეში) ორივე ბრალდებული აღიარებდა დანაშაულის ჩადენას და უდავოდ ცნეს საქმეში არსებული მტკიცებულებები, სასამართლომ სასჯელი სსკ-ის 53-ე პრიმა მუხლზე დაყრდნობით განსაზღვრა და განმარტა, რომ „სასამართლო აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულებზე ადეკვატური რეაგირება იმდენად, რამდენადაც ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობები, სიძულვილის ენის გამოყენება, გენდერულ იდენტობასა და სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული უთანასწორო მოპყრობისა და უფლებადარღვევის ფაქტები კვლავ გამოწვევად რჩება საქართველოში, განსხვავებული ორიენტაციის ადამიანები პრობლემებს აწყდებიან საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ სფეროში და ხშირად ხდებიან სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლნი,<sup>249</sup> მიუხედავად, ასეთი კარგი დასაბუთებისა, საკმაოდ ხშირ შემთხვევაში, სასამართლო სსკ-ის 53-ე პრიმა მუხლზე არ მსჯელობს და სასჯელის ზომას ნიშნავს საკანონმდებლო ნორმების დარღვევით:

1.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 1 აპრილის განაჩენით<sup>250</sup> აღმსარებლობის და რწმენის გამო, რელიგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ძალადობით ჩადენილ ადამიანის დევნად<sup>251</sup> შეფასდა ქმედება, როდესაც პირმა ქ. თბილისში, ერთ-ერთი მეტროსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ იეჰოვას მოწმეების, რომლებსაც ხელში ეჭირათ იეჰოვას მოწმეთათვის განკუთვნილი რელიგიური შინაარსის ლიტერატურა და ეწეოდნენ რელიგიურ მოღვაწეობას, რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით, შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოსთხოვა ტერიტორიის დატოვება,

<sup>249</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 18 ნოემბრის №1/3128-20 განაჩენი.

<sup>250</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 01 აპრილის განაჩენი.

<sup>251</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლი.

ხელიდან გამოსტაცა რელიგიური შინაარსის ლიტერატურა, დახია ისინი და მათი კუთვნილი ხელჩანთა გადააგდო, ამასთან, ერთ-ერთ იეპოვას მოწმეს მოქაჩა თმაზე, რა დროსაც ამ უკანასკნელმა განიცადა ფიზიკური ტკივილი. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულმა აღიარა დანაშაული და უდავოდ გახადა საქმეში არსებული მტკიცებულებები: მოწმეების გამოკითხვის ოქმები, პირის ამოცნობის ოქმი, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებები და საქმეში არსებულ სხვა უტყუარი მტკიცებულებები. სსკ-ის 53-ე პრიმა მუხლზე მითითებით, სასამართლომ სასჯელის სახედ და ზომად განსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობითად ორი წლის გამოსაცდელი ვადით.<sup>252</sup> აღნიშნულისგან განსხვავებით ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2022 წლის 21 ივნისის 1-779/22 განაჩენით რელიგიური წესის აღსრულებისთვის ხელის შეშლად<sup>253</sup> შეაფასა ქმედება, როდესაც პირი მეჩეთში მყოფ წინამძღვარს დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით თუ ის განაგრძობდა ყურანის ქართულად კითხვას. აღსანიშნავია, რომ არც ამ შემთხვევაში გაუხდია დაცვის მხარეს სადავოდ საქმეში არსებული მტკიცებულებები. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენა, თუმცა, არ უმსჯელია 53-ე პრიმა მუხლზე და სასჯელის სახედ და ზომად გამოიყენა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობით ამავე გამოსაცდელი ვადით.<sup>254</sup>

1.2. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 29 ნოემბრის №1/273-18 განაჩენით სიტყვისა და აზრის გამო დევნაში მსჯავრდებული პირის მიმართ სასამართლომ სასჯელის სახედ და ზომად გამოიყენა 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა, რაც

<sup>252</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 01 აპრილის განაჩენი.

<sup>253</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლი.

<sup>254</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 21 ივნისის 1-779/22 განაჩენი.

ჩათვალა პირობითად 1 წლის გამოსაცდელი ვადით. გამოყენებული სასჯელი ზემოაღნიშნულის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც, პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის სსსკ-ის 53 პრიმა მუხლთან, რომელზეც სასამართლო განაჩენში ყურადღებას ამახვილებს, თუმცა არ ითვალისწინებს. დაახლოებით იგივე გამოწვევები ვლინდება ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 17 მარტის №1-130/23 განაჩენში, სადაც პირი დამნაშავედ იქნა ცნობილი სსკ-ის 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში - ადამიანის დევნა მის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ძალადობით. მხარეებმა უდავოდ ცნეს საქმეში არსებული მტკიცებულებები, დადებითად უნდა შეფასდეს ის საკითხი, რომ მიუხედავად მტკიცებულებების უდავოდ ცნობისა განაჩენში დეტალურად არის შეფასებული ყველა მტკიცებულება ცალ-ცალკე და განსაკუთრებული მსჯელობა განვითარებულია შეუწყნარებლობის მოტივზე - შეფასებულია ვიდეოჩანაწერი, სადაც კარგად ჩანს დაზარალებულისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი, სიძულვილის შემცველი კომენტარები და ძალადობა. თუმცა, არც ამ შემთხვევაში მომხდარა მსჯელობა სსსკ-ის 53-ე პრიმა მუხლზე, სასჯელის სახე და ზომაც კანონის მოთხოვნების დარღვევით იქნა შეფარდებული - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რაც ჩათვალა პირობით იმავე გამოსაცდელი ვადით.<sup>255</sup>

1.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 მარტის განაჩენით სიტყვის, აზრის გამო და მის პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ძალადობით და ძალადობის მუქარით ჩადენილ ადამიანის დევნად შეფასდა ქმედება, როდესაც პირმა დაზარალებულის მიმართ ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობით, ასოციაციით სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივით, და ძალადობით

---

<sup>255</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 17 მარტის №1-130/23 განაჩენი.

განახორციელა სატელევიზიო კომპანიის ვიდეოოპერატორის დევნა. ამავე განაჩენით ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით უკანონოდ ხელის შეშლად შეფასდა ქმედება, როდესაც ბრალდებული ძალის დემონსტრირებითა და ძალადობრივი ქმედებით შეეცადა ჟურნალისტი ეიძულებინა შეეწყვიტა პროფესიული საქმიანობა, მათ შორის იმ მიზნით, რომ არ განეხორციელებინა მოძალადე ჯგუფების მიერ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებების ამსახველ კადრების მოპოვება და გავრცელება. მოცემულ საქმეში სასამართლომ შეუწყნარებლობის მოტივის ინდიკატორად რამდენიმე გარემოება დაასახელა - 1. მიმდინარეობდა აქცია, რომელთა შორისაც განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კონკრეტული უმცირესობის თემის წარმომადგენლები, 2. ჟურნალისტები და ოპერატორები ასოცირდებოდნენ ამ ჯგუფის მხარდამჭერებად. 3. დაზარალებულების მიმართ გამოყენებული სიძულვილის ენა (გინება, შეურაცხყოფა, მუქარა, ლანძღვა) 4. ბრალდებულის აღიარება. მსჯავრდებულს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.<sup>256</sup>

1.4. დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში, სასამართლო სიღრმისეულად არ მსჯელობს არც დანაშაულის შემადგენლობაზე, მით უფრო შეუწყნარებლობის მოტივზე და არც გამოყენებული სასჯელის სახისა და ზომის მიზანშეწონილობაზე, მაგალითად თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 3 ნოემბრის №1/1518-20 განაჩენით, სსკ-ის 156-ე მუხლის მეორე „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის პირს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა რაც ჩაეთვალა პირობითად და დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარი. აღნიშნულ

---

<sup>256</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 მარტის განაჩენი.

განაჩენში ერთი სიტყვიტაც კი არ არის მითითებული რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივზე, მის გავლენაზე სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას და სხვა.<sup>257</sup>

2. საერთო სასამართლოების მიერ განხილული სისხლის სამართლის საქმეთა უმეტესობა შეეხება გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ დანაშაულს (ოჯახში ძალადობა, ცემა, მუქარა, იძულება). შესწავლილი საქმეების 90% შემთხვევაში, ბრალდებულები უდავოდ ცნობენ საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, სასამართლო ცალკეულ შემთხვევებში დეტალურად მსჯელობს შეუწყნარებლობის მოტივზე, განმარტავს მის მნიშვნელობას ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმების მითითებით, ცალკეულ შემთხვევებში კი ამ გარემოებაზე ყურადღებას არ ამახვილებს. აღსანიშნავია, რომ შესწავლილ განაჩენთა უმეტეს ნაწილში სასამართლომ დადგენილად მიიჩნია გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენა, თუმცა არ უმსჯელია 53-ე პრიმა მუხლზე,<sup>258</sup> ან ნაწილობრივ იმსჯელა სასჯელის ნაწილში 53-ე პირმა მუხლზე - შემოიფარგლა ამ მუხლის ციტირებით.<sup>259</sup> გამოყენებულ სასჯელებს რაც შეეხება, იმ განაჩენებში, სადაც სასამართლო შედარებით ვრცლად მსჯელობს 53-ე პრიმა მუხლზე და არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ მუხლის პირველი

<sup>257</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 3 ნოემბრის №1/1518-20 განაჩენი.

<sup>258</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 12 აპრილის №1-277/22 განაჩენი, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 25 აპრილის №1-443/23 განაჩენი, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 მაისის №1-484/22 განაჩენი, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 26 ოქტომბრის №1-904/22 განაჩენი (ძალიან კარგად იმსჯელა გენდერზე, საერთაშორისო გადაწყვეტილებების და კონვენციების დასაბუთებით), ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 21 სექტემბრის 1-937/21 განაჩენი, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 21 ნოემბრის №1-1387/22 განაჩენი, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 12 დეკემბრის №1-1727/23 განაჩენი, ნაშრომზე მუშაობის დროს შესწავლილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 მაისის №1/2290-16 განაჩენი, სადაც პირი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 155-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის და სასჯელის სახედ და ზომად სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> ნაწილზე (2016 წლის საკანონმდებლო რეგულირების დროს შეუწყნარებლობის მოტივი სწორედ ამ მუხლში იყო მითითებული) მითითებით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1,6 (წელიწად ნახევარი) ვადით.

<sup>259</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 25 სექტემბრის №1-1324/24 განაჩენი, მცხეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 29 ნოემბრის №1/273-18 განაჩენი.

ნაწილის ციტირებით სასამართლო სასჯელის სახედ და ზომად იყენებს თავისუფლების აღკვეთას 1 წლისა და 6 თვის ვადით, ან 2 წლის<sup>260</sup> ვადით, რასაც შემდგომში უთვლის პირობითად 2 წლის გამოსაცდელი ვადით.<sup>261</sup> განსაკუთრებით საყურადღებოა რამდენიმე განაჩენი:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2023 წლის 10 აპრილის განაჩენში და გენდერის ნიშნით ჩადენილ მკვლელობის მცდელობად შეფასდა ქმედება, როდესაც პირმა ჩათვალა რომ დედამისის ქცევა არ შეესაბამებოდა პატიოსანი და ტრადიციული ქალის ქცევას, „ღირსების აღდგენის“ მიზნით სცადა მისი მოკვლა. სასჯელის სახედ და ზომად განსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის ვადით, სამწუხაროდ, მოცემულ საქმეში სასამართლომ სიღრმისეულად არ იმსჯელა რაში გამოიხატა გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი (მხოლოდ „სტამბოლის კონვენციაზე“ მოახდინა მითითება) ან რა მტკიცებულებებით დასტურდებოდა აღნიშნული მოტივით დანაშაულის ჩადენა, მეტიც გენდერი და გენდერული იდენტობა (რომელიც დისკრიმინაციის სულ სხვა ნიშანია) ერთმანეთში აურია და რამდენჯერმე გენდერული იდენტობა<sup>262</sup> გამოიყენა გენდერის ნაცვლად.<sup>263</sup> მსგავსი მშრალი მსჯელობა განავითარა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 13 თებერვლის განაჩენით, რომლითაც გენდერის ნიშნით ოჯახის წევრის მკვლელობად შეფასდა ქმედება, როდესაც პირმა ყოფილი მეუღლე, რომლის ცხოვრების წესი ბრალდებულის აზრით არ შეესაბამებოდა კულტურულ, ტრადიციულ ნორმებს და ხელყოფდა მისი და მისი ოჯახის ღირსებას, რის გამოც

---

<sup>260</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 30 იანვრის №1-9/24 განაჩენი, ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2021 წლის 7 აპრილის №1-172/21 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 18 ნოემბრის №1/3128-20 განაჩენი, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2018 წლის 20 დეკემბრის №1/49-18 განაჩენი.

<sup>261</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 24 სექტემბრის №1/3392-20 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 18 ოქტომბრის №1/3643-21 განაჩენი.

<sup>262</sup> შესაძლებელია ეს იყოს ტექნიკური შეცდომა.

<sup>263</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 აპრილის განაჩენი.

განიზრახა „ღირსების აღდგენის“ მიზნით მისი მოკვლა, რა მიზნითაც, ხელთ არსებული თასმით გაგუდა. სასჯელის სახედ და ზომად განსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის ვადით.<sup>264</sup>

2.2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 17 მარტის განაჩენში, სასამართლო ბრალდებულის ჩვენებას იყენებს, როგორც მოტივის დამადასტურებელ მთავარ მტკიცებულებას: „**ბრალდებული ამბობდა შემდეგს: „ასეთი საქართველო წახდება და ვერ ვიარსებებთ, შორს ვერ წავალთ!“**. ბრალდებული ასევე განმარტავდა, რომ ტატუიანი, სვირინგიანი და ფერადი თმებით მანდილოსანი ქალი ან ბავშვი არ უნდა დადიოდეს. ასევე, ბრალდებულის თქმით, მას ამ ტიპის ქალები სადაც შეხვდება, იქვე სცემს მათ.“<sup>265</sup> აღნიშნულ განაჩენში სასამართლო დეტალურად მსჯელობს არა მხოლოდ შეუწყნარებლობის მოტივის არსზე და დამადასტურებელ მტკიცებულებებზე (ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებზე მითითებით), არამედ ასევე 53-ე პრიმა მუხლის მნიშვნელობაზე, რის საფუძველზეც, სასჯელის სახედ და ზომად უფარდებს თავისუფლების აღკვეთას ორი წლისა და 6 თვის ვადით.

3. განსხვავებულად არის დასაბუთებული ის განაჩენები, სადაც სასამართლო იყენებს არასაკატიმრო სასჯელს. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 18 სექტემბრის №1/3333-18 განაჩენით, სასამართლომ პირი დამნაშავედ ცნო სსსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და იმსჯელა 53-ე პრიმა მუხლზე: „საქართველოს სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილი მნიშვნელოვანია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების იდენტიფიცირებისა და მათზე სამართლებრივი რეაგირებისათვის, რადგან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, მათი ბუნებიდან გამომდინარე, არღვევს ჯგუფების მშვიდობიანი

<sup>264</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 13 თებერვლის განაჩენი.

<sup>265</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 17 მარტის №1-1416/22 განაჩენი.

თანაარსებობის, პლურალიზმისა და თანასწორობის იდეაზე დაფუძნებული წესრიგის იდეას, შედეგად კი საფრთხეს უქმნის დემოკრატიული და უსაფრთხო გარემოს შექმნას, რომლის უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა.<sup>266</sup> სასჯელის სახედ და ზომად განსაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ დადგენილად მიიჩნია გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სსსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, თუმცა, არ უმსჯელია 53-ე პირმა მუხლზე და სასჯელის სახედ და ზომად გამოიყენა ჯარიმა 700 ლარის ოდენობით.<sup>267</sup> სხვა საქმეში გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ოჯახში ძალადობის დანაშაულზე სასჯელის სახედ და ზომად გამოიყენა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა 150 საათის ვადით.<sup>268</sup> განსხვავებით წინა საქმეებისგან, სადაც ბრალდებულები აღიარებდნენ დანაშაულის ჩადენას და სადავოდ არ ხდიდნენ საქმეში არსებულ მტკიცებულებებს ამ საქმეში ბრალდებული არ აღიარებდა დანაშაულის (სსსკ-ის 126-ე პირმა მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული) ჩადენას, არც უდავოდ ცნობდა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, სასამართლომ საკმაოდ დეტალურად იმსჯელა 53-ე პირმა მუხლზე, საერთაშორისო კონვენციებზე და ეროვნულ კანონმდებლობაზე, თუმცა, სასჯელის სახედ და ზომად შეუფარდა 400 საათი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.<sup>269</sup>

აღსანიშნავია, რომ შესწავლილი 30-ზე მეტი განაჩენიდან მხოლოდ 1 შემთხვევაში იყო პირის მიმართ ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი დამდგარი. საქმე შეეხებოდა გენდერის ნიშნით ოჯახში ძალადობის და

<sup>266</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 18 სექტემბრის №1/3333-18 განაჩენი.

<sup>267</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 30 დეკემბრის განაჩენი.

<sup>268</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 15 თებერვლის №1-75/22 განაჩენი.

<sup>269</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 5 ნოემბრის განაჩენი.

მუქარის არაერთ ეპიზოდს, სასამართლომ იმსჯელა შეუწყნარებლობის მოტივზე, მტკიცებულებებზე მიიღო დაზარალებულის და მისი შვილის ჩვენებები, ასევე სქრინშოტები და დადასტურებულად მიიჩნია ოჯახში ძალადობის გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენა. თუმცა, მუქარის ეპიზოდში ბრალდებული გაამართლა, ვინაიდან დაზარალებულმა თავისით ვერ გაიხსენა მუქარის შემთხვევა და ბრალდების მხარის მიერ დამატებითი კითხვების დასმითა და სსსკ-ის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამოქვეყნებული, გამომიების ეტაპზე მიცემული ჩვენების ბუნდოვანი გამეორების საფუძველზე სასამართლოს გაუჩნდა ეჭვი, რომელიც გადაწყვიტა ბრალდებულის სასარგებლოდ. სასჯელთან მიმართებით იმსჯელა 53-ე პრიმა მუხლზე და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა ორი წლისა და 3 თვის ვადით.<sup>270</sup>

საბოლოოდ შესაძლებელია ითქვას, რომ:

1. კვლევის ფარგლებში შესწავლილი საერთო სასამართლოების მიერ განხილული სისხლის სამართლის საქმეთა უმეტესობა შეეხება გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ დანაშაულს (ოჯახში ძალადობა, ცემა, მუქარა, იძულება);
2. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე მიმდინარე სასამართლო განხილვების დროს, ბრალდებულთა უმეტესობა (გამონაკლისები არიან მხოლოდ გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ბრალდებულები) აღიარებს დანაშაულის ჩადენას და უდავოდ ცნობს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს;
3. საერთო სასამართლოების ნაწილი სწორად იყენებს სსსკ-ის 53-ე პრიმა მუხლს და მასზე დაყრდნობით ასაბუთებს გამოყენებული სასჯელის სახეს და ზომას, თუმცა, დასაბუთება საკმაოდ ზედაპირულია და ამასთან, არც თუ ისე ცოტა შემთხვევაში,

---

<sup>270</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 13 დეკემბრის №1-865/24 განაჩენი.

სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელი ეწინააღმდეგება 53-ე პრიმა მუხლის მოთხოვნებს. შეუწყნარებლობის მოტივის დადასტურების მიუხედავად ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლო 53<sup>1</sup>-ე მუხლზე მითითებას (თუნდაც ციტირების სახით) არც კი ახდენს (აღნიშნული სავარაუდოდ განპირობებულია იმით, რომ სასამართლო გადატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე და მხარეთა მიერ საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე შეთანხმების გამო უდავოდ ცნობილ საქმეზე არ ახორციელებს სიღრმისეულ ანალიზს).

მნიშვნელოვანია სასამართლომ დაასაბუთოს მის მიერ გამოყენებული სასჯელის სახე და ზომა, აღნიშნული არ წარმოადგენს მხოლოდ იმპერატიულ საკანონმდებლო მოთხოვნას, არამედ, აუცილებელია როგორც ზოგადი ისე კერძო პრევენციული მიზნებისთვის. შეფარდებული სასჯელი საზოგადოებისთვის უნდა იყოს გზავნილი - რა მოჰყვება ამ კატეგორიის დანაშაულის ჩადენას, დამნაშავისთვის კი უნდა იყოს სამართლიანი პასუხი მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე. თუმცა, სამწუხაროდ, პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც სასამართლოთა მიდგომა არა მხოლოდ არაერთგვაროვანია, არამედ წინააღმდეგობაში მოდის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ცალკეულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო დამნაშავედ ცნობს პირს სიძულვილის მოტივით დანაშაულის ჩადენაში, შეფარდებული სასჯელი არ განსხვავდება იმ სხვა შემთხვევებისგან, სადაც პირი მსჯავრდებულია დანაშაულის ამ მოტივს გარეშე ჩადენისთვის. ასეთი პრაქტიკა არა მხოლოდ არღვევს კანონის მოთხოვნებს, არამედ ამცირებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის პრევენციის ეფექტურობას. აუცილებელია, რომ სასამართლოებმა უზრუნველყონ 53<sup>1</sup>-ე მუხლის პრაქტიკაში სრულფასოვანი რეალიზება, რაც გულისხმობს არამხოლოდ მოტივის იდენტიფიკაციას, არამედ ამ მოტივის შესაბამის გავლენის სასჯელის სახესა და ზომაზე. ზოგადად, „სისხლისსამართლებრივი დევნის თვითმიზანი არ არის ძალადობა ინდივიდზე ან ანტისოციალურ მოქმედებათა განხორციელება, არამედ ეს

ინსტიტუტი მოწოდებულია სახელმწიფო და საზოგადოება დაიცვას მავნე შედეგისაგან.<sup>271</sup> მხოლოდ ამ გზით იქნება მიღწეული როგორც ინდივიდუალური, ისე ზოგადი პრევენციის მიზანი და უზრუნველყოფილი იქნება დისკრიმინაციის წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების ეფექტური შესრულება. თუმცა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დანაშაულის პრევენციის საუკეთესო საშუალება „დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების ნეიტრალიზებაზე გადის“.<sup>272</sup>

---

<sup>271</sup> მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), თბ., 2014, გვ. 56.

<sup>272</sup> გაბუნია მ., დანაშაულობის პრევენციის კრიმინოლოგიური ასპექტები, 2019, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №2 (62) 19, გვ. 88.

**თავი V. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით  
ჩადენილ დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესის  
განხორციელების თანამედროვე გამოწვევები<sup>273</sup>**

ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა სახელმწიფოს ავალდებულებს დისკრიმინაციის ამა თუ იმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე განახორციელოს ეფექტიანი სამართალწარმოება, რომელიც თავის თავში არაერთ გარემოებას აერთიანებს: გამართული საკანონმდებლო ბაზის არსებობა, დაზარალებულის დაცვის სამართლებრივი მექანიზმების და სერვისების არსებობა, საგამოძიებო უწყებების გამართული ფუნქციონირება, პროკურატურის მხრიდან საპროცესო ხელმძღვანელობის კანონისმიერად განხორციელება, სათანადო სასამართლო კონტროლის მექანიზმის არსებობა, ცნობიერება გაზრდილი საჯარო მოხელეების ყოლა, ამ ტიპის დანაშაულების ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრა და სისხლის სამართლის პოლიტიკის არსებობა ამ მიმართულებით.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე ეფექტიანი სისხლის სამართლის პროცესის განხორციელება დიდწილად დამოკიდებულია სახელმწიფოს მზაობაზე სათანადო რესურსი გამოყოს როგორც პრევენციის, ისე აღსრულების მექანიზმების მიმართულებით.

არსებული გამოწვევების შეფასების საფუძველზე შესაძლებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი გარემოების/ხარვეზის დასახელება:

1. ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები;

---

<sup>273</sup> აღნიშნულ საკითხზე თემატური სტატია იხ.: გელოვანი ნ., „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული და ამ კატეგორიის დანაშაულზე ეფექტიანი სამართალწარმოების დამაბრკოლებელი გარემოებები“, სტატიათა კრებული: „ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება“, თბ., 2022, გვ. 48-76, <<https://georgia.un.org/sites/default/files/2022-12/KREBULI%2BKDA.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

2. დაზარალებულთან და მის მხარდაჭერასთან დაკავშირებული ხარვეზები;
3. საგამოძიებო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარვეზები;
4. საპროკურორო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარვეზები;
5. სამოსამართლეო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარვეზები;
6. სხვა მნიშვნელოვანი ხარვეზები;

არსებული ხარვეზების სიღრმისეული გაანალიზება აუცილებელია მათ წინააღმდეგ სათანადო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის. ხარვეზების იდენტიფიცირების მიზნით გაანალიზდა სახელმწიფო უწყებების (საქართველოს პროკურატურის, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის,<sup>274</sup> სახალხო დამცველის ყოველწლიური, ასევე სპეციალური ანგარიშები) და საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროპის საბჭო, გაერო) ანგარიშები და რეკომენდაციები საქართველოსთან მიმართებით, საერთო სასამართლოების განაჩენები, ასევე ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფი ჩატარდა ამ საკითხთან დაკავშირებულ პირებთან: ადვოკატებთან, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებთან (დაზარალებული, მოწმე), დარგის სპეციალისტებთან, ყოფილ სამართალდამცავებთან, სახალხო დამცველის ყოფილ და მოქმედ თანამშრომლებთან, მოქმედ მოსამართლეებთან, სულ 19 პირთან. შესწავლილი და მიღებული ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე კი გამოიკვეთა შემდეგი გამოწვევები:

<sup>274</sup> ავტორის შენიშვნა - 2025 წლის 24 მაისს „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, 2025 წლის 1 ივლისიდან მოხდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ლიკვიდაცია, ხოლო ის სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც ამ სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობაში იყო, გადავიდა პროკურატურის საგამოძიებო ქვემდებარეობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილია პროკურატურის თანამშრომლის მიერ,

<https://www.parliament.ge/media/news/iuridiul-sakitkhta-komitetma-prokuraturis-shesakheb-organul-kanonshi-tsvlilebis-shetanis-taobaze-kanonproekti-pirveli-mosmenit-ganikhila>

საქართველოს ორგანული კანონი - პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, დოკუმენტის ნომერი: 693-III-XIმპ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6534876?publication=0> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

## 5.1 ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები

ეფექტიანი სამართალწარმოების განხორციელება მოითხოვს შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირების არსებობას. საქართველოში დღეს მოქმედი რეგულირება მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს ამ მიმართულებით:

- ✓ **2024 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები - 2024 წლის 28 მაისს მიღებული საქართველოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, ცნობილი როგორც „რუსული კანონი“ (შემდგომში რუსული კანონი), რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებს ავალდებულებს სპეციალურ რეესტრში რეგისტრაციას და სახელმწიფოს აძლევს წვდომას მათ კუთვნილ დეტალურ ინფორმაციაზე.<sup>275</sup> აღნიშნული კანონის მიღება უარყოფითად შეაფასა ევროპულმა კომისიამ სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (შემდგომში ვენეციის კომისია).<sup>276</sup> 2024 წლის 17 სექტემბერს მიღებული საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, რომლითაც მთელი რიგი შეზღუდვები დაწესდა შვილებისა და გამოხატვის თავისუფლების, ინფორმაციის გავრცელების თუ სხვა უფლებების შესახებ, ამასთან, კანონის მოთხოვნების დარღვევისთვის განისაზღვრა ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. აღნიშნულ კანონზე ვენეციის კომისიის დასკვნა ასევე იყო უარყოფითი.<sup>277</sup> 2025 წლის 2 აპრილს საქართველოში მოქმედ 10-ზე მეტ**

<sup>275</sup> საქართველოს კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ, დოკუმენტის ნომერი: 4194-XIVმს-Xმპ, <<https://matsne.gov.ge/document/view/6171895?publication=0>>, [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>276</sup> ვენეციის კომისია. სასწრაფო მოსაზრება კანონზე უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ. 2024, <<chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj> <[https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI\(2024\)013-geo](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2024)013-geo)> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>277</sup> ვენეციის კომისია. მოსაზრება კანონის პროექტზე ოჯახური ფასეულობებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, 2024, <<chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/>

საკანონმდებლო აქტიდან გაუქმდა ტერმინები: „გენდერი“, „გენდერული იდენტობა“, 2025 წლის პირველ აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“, რომელმაც დაამკვიდრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის თუ პირთა ნებისმიერი გაერთიანებისთვის, რომლებიც არ შეასრულებენ ამ კანონის მოთხოვნებს და არ დარეგისტრირდებიან რეესტრში ან არ წარადგენენ ან არასრულყოფილად წარადგენენ იმ დოკუმენტებს, რომლებიც რეგისტრაციის განაცხადს უნდა ახლდეს თან.<sup>278</sup> აღნიშნული ცვლილებები არა მხოლოდ წინააღმდეგობაშია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონთან და საქართველოს კონსტიტუციასთან, არამედ დისკრიმინაციულია და ეწინააღმდეგება თანასწორობის იდეის დაცვას, არის მსუსხავი ეფექტის მატარებელი ყველა იმ პირისთვის, რომელიც თანასწორობისთვის, დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოსთვის, სიტყვისა და აზრის გამოხატვისთვის თუ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სხვა უფლებების რეალიზებისთვის იბრძვის. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მართალია გამოძიება სსკ-ის (კვალიფიკაციის განსაზღვრის ნაწილში) და სსსკ-ის (უშუალოდ საგამომიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების კუთხით) მოთხოვნებით მიმდინარეობს, თუმცა, აღნიშნულ პროცესზე უდიდესი გავლენა აქვს საქართველოში მოქმედ სხვა სამართლებრივ ნორმებს - მაგალითად დისკრიმინაციული ნორმების არსებობა, არათუ ხელს შეუშლის თანასწორობის მიღწევას, არამედ შესაძლებელია განაპირობოს დამნაშავეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, სიძულვილის წახალისება და ამ მოტივით დანაშაულთა ჩადენის შემთხვევების

---

[https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2024\)021-geo](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2024)021-geo)

{უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>278</sup> საქართველოს კანონი უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი, დოკუმენტის ნომერი: 399-IIმს-XIმპ, მუხლი 8, <<https://matsne.gov.ge/document/view/6461578?publication=0>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

გაზრდა. ბოლო ცვლილებით, რამაც გამოიწვია ტერმინი „გენდერის“ გაუქმება, სახელმწიფო ფაქტობრივად ამბობს, რომ გენდერული როლის შეუსრულებლობის გამო ჩადენილი დანაშაული, არ არის დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაული და არ უნდა ისჯებოდეს უფრო მკაცრად, ვიდრე ის დანაშაული, რომელიც ამ მოტივის გარეშე არის ჩადენილი. ამან შესაძლებელია გამოიწვიოს გენდერული ნიშნით ძალადობის ნორმად ქცევა და არა მხოლოდ ამ კატეგორიის ქმედებების გაზრდა, არამედ მისი უფრო მწვავე ფორმით (ფემიციდის სახით) გამოვლინებაც კი. ამასთან, სისხლის სამართლის პროცესის განხორციელების დროს აღნიშნული ხელს შეუწყობს დაზარალებულთა მიმართ სტიგმის და სტერეოტიპების განმტკიცებას, დაზარალებულთა მიერ გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარს, მტკიცებულებების სიმცირეს და საბოლოოდ დანაშაულის ჩამდენ პირთა გამართლებას.

- ✓ **სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ხარვეზები** - სისხლის სამართლის კანონმდებლობა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენას არ ითვალისწინებს დამამძიმებელ გარემოებად ყველა განზრახი დანაშაულისათვის ( არ არსებობს სსკ-ის 11<sup>1</sup> მუხლის მსგავსი მუხლი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ამ მაკვალიფიცირებელი გარემოების ყველა განზრახი დანაშაულისთვის შეფასებას. აღნიშნული ცვლილების განხორციელების მოსაზრებას იზიარებს სახალხო დამცველიც.<sup>279</sup>). გარდა ამისა, ცალკეულ დანაშაულთათვის გათვალისწინებული სასჯელების სსკ-ის 53<sup>1</sup> მუხლის მოთხოვნებთან შეუსაბამობაა, მაგ.: სსკ-ის 156-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის ერთ-ერთ სასჯელის სახედ და ზომად

---

<sup>279</sup> სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, 2024, გვ. 70, <<https://ombudsman.ge/geo/sakmianobis-angarishebi/siskhlis-samartlis-martlmsajulebis-departmentis-sakmianobis-2023-tslis-angarishi>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

განსაზღვრულია - თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით, რაც მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას 6 თვეც განუსაზღვროს მსჯავრდებულს სასჯელის სახედ და ზომად მაშინ, როდესაც 53<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული მინიმალური სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება იყოს წელიწად ნახევარზე ნაკლები. სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს აღნიშნულ გარემოებაზე და რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს პარლამენტს: „სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის განისაზღვროს სასჯელის მინიმალური ვადა, რომელიც სასჯელის ნაწილში შეესაბამება ამავე კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლით დადგენილ სტანდარტს და არ დატოვებს 6 თვით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას“.<sup>280</sup> შესაბამისად, ფაქტობრივად კანონმდებელი ორმაგ სტანდარტს იყენებს და განსხვავებულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იმის მიხედვით ქმედება შეფასებულია სპეციალური თუ ზოგადი ნორმით და უფრო მსუბუქ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს სპეციალური ნორმით ჩადენილი ქმედებისთვის, რაც ეწინააღმდეგება სამართლის ზოგად პრინციპებს;

- ✓ **ადმინისტრაციული საკანონმდებლო რეგულირების გაუმართაობა** - ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ არსებობს ქმედების დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით შეფასების შესაძლებლობა. შესაბამისად, თუ ინციდენტმა (ყველა სხვა სახის ქმედება, რომელიც მოიცავს სიძულვილის ელემენტს, თუმცა არ ქმნის

---

<sup>280</sup> სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2024, გვ. 190, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/<https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

დანაშაულის შემადგენლობას)<sup>281</sup> ვერ მიაღწია სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას და შეფასდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, შეუძლებელი იქნება პასუხისმგებლობის დამძიმება მისი შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენის გამო. აღნიშნულთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი განმარტავს, რომ: „მნიშვნელოვანი პრობლემაა ისიც, რომ დღეს მოქმედი ადმინისტრაციული კანონმდებლობა დისკრიმინაციულ მოტივს არ გამოყოფს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ ერთ-ერთ გარემოებად, რაც ზრდის შესაძლებლობას, სიძულვილის მოტივით ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ფაქტები ყურადღების მიღმა აღმოჩნდეს.“<sup>282</sup> სახალხო დამცველის შეფასებით, პრობლემის აღმოსაფხვრელად აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, რომლის შედეგადაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა შეუწყნარებლობის მოტივით, შეფასდება სამართალდარღვევის მაკვალიფიცირებელ გარემოებად.<sup>283</sup>

ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზული რეგულირება წარმოადგენს მნიშვნელოვან ხელშემშლელ ფაქტორს არა მხოლოდ დანაშაულზე სათანადოდ რეაგირების დროს, არამედ ზოგადად თანასწორობის იდეის და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიმართულებით შესაბამისი პოლიტიკის წარმოებისთვის.

---

<sup>281</sup> Cogent Social Sciences, Volume 7, Issue 1, Understanding hate (crime), 2021 <<https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/23311886.2021.1902643?scroll=top&needAccess=true#abstract>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>282</sup> სახალხო დამცველის ანგარიში - სამართალდამცავთა პოზიტიური ვალდებულებები დაუცველი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის დაცვის მხრივ, 2021, გვ. 4, <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2021051415512039554.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>283</sup> სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიშზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, 2022, გვ. 38, <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2022050510285580108.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

## 5.2 დაზარალებულთან და მის მხარდაჭერასთან დაკავშირებული ხარვეზები

სსსკ-ის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად, დაზარალებული არის ის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიაღწა მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი.<sup>284</sup> დაზარალებული მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის დანაშაულის ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა, რომელთან დაკავშირებითაც არსებულ მტკიცებულებებს უდიდესი გავლენა აქვთ მართლმსაჯულების განხორციელების გზაზე, თუმცა, მას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კატეგორიის დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესის განხორციელებისთვის. უმეტეს შემთხვევაში, ამ დანაშაულის სამიზნე არის ფიზიკური პირი, რომელიც შედარებით მარტივად ხდება მსხვერპლი და მოძალადის მიერ მასზე გავლენის მოპოვება (დაშინება, იძულება და სხვა) უფრო ნაკლებ ძალისხმევას საჭიროებს. მისი ასეთი მოწყვლადობა ხშირად დამნაშავეს უიოლებს არამხოლოდ დანაშაულის ჩადენას, არამედ პასუხისმგებლობისგან თავის არიდებას, სახელმწიფოს კი აკისრებს უფრო მეტ პასუხისმგებლობას არა მხოლოდ დანაშაულის გამოძიების, არამედ მისი დაცვის უზრუნველყოფის მიმართულებით. დაზარალებული არ უნდა განიხილებოდეს პროცესის „შიშველ ობიექტად“, არამედ ის უნდა იყოს პროცესის აქტიური სუბიექტი.<sup>285</sup>

დაზარალებულის პოზიცია და სურვილი ძირითად შემთხვევაში თანხვედრაშია ბრალდების მხარის პოზიციებთან და მიმართულია ბრალდებულის დასჯისკენ, რაც არ გულისხმობს მხოლოდ სსკ-ის კონკრეტული მუხლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, არამედ დისკრიმინაციული ნიშნის აღიარებას, ამ მოტივით დანაშაულის ჩადენის კვალიფიკაციის განსაზღვრას. მიუხედავად აღნიშნულისა, პრაქტიკაში

<sup>284</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 3, ნაწილი 22.

<sup>285</sup> თუმანიშვილი გ., დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, №1, 2009, 87.

არაერთი გამოწვევა არსებობს, რომელიც აბრკოლებს ეფექტიან სამართალწარმოებას. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- ✓ **დაზარალებულის აღქმა** - ხშირ შემთხვევაში დაზარალებული პირები ვერ აღიქვამენ მათ მიმართ ჩადენილ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს, რომლის უმთავრესი მიზეზი ძირითადად არის თავად დაზარალებულ პირებში მიკერძოებული სტერეოტიპული შეხედულებების გავლენა, ცოდნის ნაკლებობა ან არქონა. ცალკეულ შემთხვევაში დაზარალებულს მიაჩნია, რომ ის ღირსია იმ ქმედების, რომელიც მის მიმართ განხორციელდა, ან მიაჩნია, რომ ქმედება, რომლის მსხვერპლიც გახდა საერთოდ არ არის დანაშაული. არის შემთხვევები, როდესაც დაზარალებული მიიჩნევს, რომ სიტუაცია არ იყო იმდენად სერიოზული ან მძიმე, რომ მიემართა პოლიციისთვის ან მოეთხოვა რეაგირება;<sup>286</sup>
- ✓ **დაზარალებულის შიში დამნაშავესთან ურთიერთობის დასრულებაზე** - ეს შიში განსაკუთრებით თვალსაჩინოა გენდერის ნიშნით ოჯახში ძალადობის შემთხვევებში, როდესაც დაზარალებულები არ რეაგირებენ მათ მიმართ განხორციელებულ დანაშაულებზე იმიტომ, რომ არ სურთ „ოჯახის ღირსების“ შელახვა, ეშინიათ ურთიერთობის დასრულების ან დანგრევის;<sup>287</sup>
- ✓ **დაზარალებულის მიერ შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენის უარყოფა** - დაზარალებული ცდილობს დაიცვას დამნაშავე (პასუხისმგებლობის შემსუბუქების ან თავიდან არიდების მიზნით), რომელიც მისი მეუღლე, ყოფილი მეუღლე ან ოჯახის წევრია. როდესაც დაზარალებული უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე, ყოველთვის უნდა

---

<sup>286</sup> გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN) ქალთა მიმართ ძალადობის კვლევა საქართველოში 2022, გვ. 139, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcgclefindmkaj/[https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated\\_vaw\\_geo\\_web4-3.pdf](https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated_vaw_geo_web4-3.pdf)> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>287</sup> იქვე.

იქნეს გამოკვლეული „ხომ არ აქვს ადგილი დაზარალებულის ნების თავისუფლებაზე კანონსაწინააღმდეგო ზემოქმედებას.“<sup>288</sup>

- ✓ **დაზარალებულის თვით დადანაშაულება** - დაზარალებული მიიჩნევს, რომ მან თავად გამოიწვია დამნაშავე დანაშაულის ჩასადენად, რომ სწორედ მისმა ქცევამ მოახდინა დამნაშავის პროვოცირება ეძალადა, დაზარალებულის წინარე ქმედება ან უმოქმედობა რომ არა, დამნაშავე დანაშაულის არ ჩაიდენდა და სხვა;
- ✓ **დაზარალებულის მძიმე ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ ემოციური მდგომარეობა** - დანაშაულის შედეგად დაზარალებულს ადგება არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიური თუ ემოციური ზიანი, რომელიც მის ქმედებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს. ხშირ შემთხვევაში, რაც უფრო ახალი ჩადენილია დანაშაული, მით უფრო რთულია ამ დანაშაულის დაზარალებულის მდგრადობა, მისი სურვილი ითანამშრომლოს საგამოძიებო უწყებებთან, მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებში, მტკიცებულებების მოპოვებაში და სხვა. რის გამოც დაზარალებული უარს ამბობს გამოძიებასთან თანამშრომლობაზე. ამასთან, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც პირიქით - გამოძიების დაწყების ეტაპზე დაზარალებული აქტიურად ერთვება ყველა მნიშვნელოვან საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებაში, თანამშრომლობს სამართალდამცავ უწყებებთან, თუმცა, ეს პროცესი მისთვის იმდენად სტრესულია, დროში გაწელილი და მატრავმირებელი, რომ ის შემდგომ ეტაპებზე უკვე უარს აცხადებს სამართალდამცავ უწყებასთან ნებისმიერი სახის თანამშრომლობასა თუ შემხებლობაზე, მეტიც მის ნაცნობებს, მეგობრებს თუ საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას, რომ „პოლიციასთან თანამშრომლობას აზრი არ აქვს“, „შედეგი არაფერი იქნება გარდა ტყუილად დაკარგული საათებისა“ და სხვა;

<sup>288</sup> კოჭლამაზაშვილი ბ., ოჯახში ძალადობის საკმეების განხილვის თავისებურებანი სასამართლოში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, №2, 2017, გვ. 51.

- ✓ **დამნაშავის მხრიდან შურისძიების შიში** - ამ კატეგორიის დანაშაულების დაზარალებულებს განსაკუთრებით ემინიათ დამნაშავეთა მხრიდან შურისძიების, აქვთ განცდა, რომ პოლიციისათვის მიმართვამ შესაძლებელია უარესი შედეგი გამოიწვიოს - დამნაშავემ შური იძიოს, მომავალში უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინოს, უფრო დიდი ზიანი მიაყენოს და სხვა. ეს ყველაფერი აიძულებს დაზარალებულს თავი შეიკავოს დახმარების თხოვნისგან, პოლიციისათვის მიმართვისგან, ან შემდგომში სასამართლოში ჩვენების მიცემისგან;<sup>289</sup> შურისძიების შიში, მოძალადეზე ეკონომიკური დამოკიდებულება და სხვა გარემოებები, დაზარალებულთა მხრიდან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის და შემდგომში ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის მიღების საფუძველი ხდება - „ოჯახის წევრის მიმართ გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ძალადობის ჩემს მიერ განხილული საქმეების თითქმის 70% შემთხვევებში დაზარალებული უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე. შესაბამისად, საქმეში რჩება მხოლოდ ირიბი მტკიცებულებები, რაც ართულებს გამამტყუნებელი განაჩენის დაყენების შესაძლებლობას, ეს განსაკუთრებით რთულია მუქარის დანაშაულზე, დაზარალებულის ჩვენების გარეშე ფაქტობრივად გამამართლებელი განაჩენი დგება“;<sup>290</sup>
- ✓ **სამართალწარმოების პროცედურული მხარის არცოდნა, ცოდნის ნაკლებობა** - მართლმსაჯულების განხორციელება საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც მრავალ საკითხს მოიცავს. სამწუხაროდ, სამართალწარმოების პროცედურების თაობაზე ინფორმაციას ყველა

<sup>289</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2კ-379აპ-23, სადაც გენდერული ნიშნით ჩადენილ ოჯახში ძალადობაში ბრალდებული პირი გამართლდა იმის გამო, რომ დაზარალებულმა ისარგებლა საქართველოს სსსკ-ის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებით და უარი განაცხადა მისი ოჯახის წევრის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე, საქმეში კი არ არსებობდა სხვა სახის პირდაპირი ჩვენება, <<https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/45254/2>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>290</sup> ინტერვიუ მოსამართლესთან (ე.ა.).

ადამიანი არ ფლობს, ცალკეულ შემთხვევებში დაზარალებულებმა ისიც კი არ იციან რა მექანიზმები არსებობს კანონის მეშვეობით თავის დასაცავად, როგორ შეატყობინონ პოლიციას მომხდარის შესახებ, ან არასწორად იციან სამართალწარმოების ეტაპები და საჭიროებები - ჰგონიათ, რომ ბევრი მტკიცებულება (განსაკუთრებით ვიდეოჩანაწერი) უნდა ჰქონდეთ იქამდე, სანამ პოლიციაში მივლენ და სხვა. დაზარალებულმა ზოგჯერ ისიც არ იცის ვის მიმართოს დახმარებისთვის;<sup>291</sup>

- ✓ მართლმსაჯულების განმახორციელებელი უწყებებისადმი ნდობის ნაკლებობა ან არქონა - ხშირ შემთხვევაში ამ კატეგორიის დანაშაულის მსხვერპლებს ერთმანეთთან აქვთ ახლო ურთიერთობა, ინფორმაციის გაცვლა, ამ დაზარალებულებმა კარგად იციან ერთმანეთის წინარე ისტორიები, პოლიციელთა არასანდო თუ არაეფექტური რეაგირების შესახებ. ისტორიები, რომელთა უშუალო მონაწილეები თავად ყოფილან, ან სხვა პირთაგან სმენიათ, აიძულებთ მათ არ გააჩნდეთ ნდობა სამართალდამცავებისადმი. შესაბამისად, როდესაც თავად ხდებიან დანაშაულის მსხვერპლები, მიაჩნიათ, რომ პოლიციისათვის მიმართვას აზრი არ აქვს, იმიტომ რომ პოლიცია ამ საქმეებს მაინც არ გამოიძიებს, „შემოდებს თაროზე“ და დატოვებს გაუხსნელს. სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა შემდეგ გარემოებას: „საქმეთა არადროული შესწავლის პირობებში, სავარაუდო დანაშაულის მსხვერპლს ეუფლება უსამართლობისა და დაუცველობის განცდა, რაც, შედეგობრივად, მნიშვნელოვნად ამცირებს სამართალდამცავი ორგანოებისადმი ნდობას.“<sup>292</sup> ამ დროს დაზარალებულს ჰგონია, რომ მასაც ისე არ

---

<sup>291</sup> გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN) ქალთა მიმართ ძალადობის კვლევა საქართველოში 2022, გვ. 139, <[chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcgclefindmkaj/https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated\\_vaw\\_geo\\_web4-3.pdf](chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcgclefindmkaj/https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated_vaw_geo_web4-3.pdf)> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>292</sup> სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 2022, გვ. 64, <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2022022413230220707.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

დაეხმარება არავინ, როგორც სხვა მსხვერპლებს.<sup>293</sup> ერთ-ერთ საქმეში დაზარალებულმა უარი განაცხადა საგამომიებო უწყებასთან თანამშრომლობაზე იმ საფუძველით, რომ გამომძიებლისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს, ამ უკანასკნელმა მას შეურაცხმყოფელი და ტრანსფობიური გამონათქვამებით მიმართ.<sup>294</sup> აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებების გამო განსაკუთრებით შემცირებულია დაზარალებულთა ნდობა, „არსებული მდგომარეობის ფონზე კი სრულიად დაკარგულია პოლიციის მიმართ ნდობა და შესაბამისად, თემის წევრებს ბევრ საქმეზე მიმართვის სურვილიც კი დაკარგული აქვთ.“<sup>295</sup> „მთავარ გამოწვევად რჩება სამართალდამცავი ორგანოების მიმართ არასაკმარისი ნდობა საზოგადოების კონკრეტული ჯგუფების მხრიდან – განსაკუთრებით კი, თუ დაზარალებული ეკუთვნის ეთნიკურ, რელიგიურ, სექსუალურ ან სხვა უმცირესობას. ნდობის დეფიციტი განპირობებულია წარსულში დაფიქსირებული არაერთი შემთხვევით, როდესაც სიძულვილით მოტივირებული დანაშაული არ იქნა აღიარებული შესაბამისი მოტივით, ან საერთოდ არ დაწყებულა გამოძიება.“<sup>296</sup> ნდობის არქონის მიზეზი შეიძლება იყოს წარსული გამოცდილებაც - „გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე ისე ეპყრობა მსხვერპლს, რომ ის ხდება ხელახალი ვიქტიმიზაციის მსხვერპლი და განმეორებითი ძალადობის შემთხვევაშიც კი უარს აცხადებს საგამომიებო უწყებისადმი მიმართვაზე.“<sup>297</sup>

---

<sup>293</sup> გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN) ქალთა მიმართ ძალადობის კვლევა საქართველოში 2022, გვ. 139, <[chrome-extension://efaidnbmninnibpcjpcglclefindmkaj/https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated\\_vaw\\_geo\\_web4-3.pdf](chrome-extension://efaidnbmninnibpcjpcglclefindmkaj/https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated_vaw_geo_web4-3.pdf)>

{უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>294</sup> საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში თანასწორობის მდგომარეობის შესახებ №9, 2024, 23, <https://ombudsman.ge/geo/190308041856angarishebi/sakartvelos-sakhalkho-damtsvelis-spetsialuri-angarishi-tanastorobis-mdgomareobis-shesakheb-n9> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>295</sup> ინტერვიუ ადვოკატთან (თ.ს.).

<sup>296</sup> ინტერვიუ ექსპერტთან (ე.ს.).

<sup>297</sup> ადვოკატთან ინტერვიუ (ე.რ.).

✓ დაზარალებულთან დაკავშირებულ დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს ასევე დაზარალებულის დაცვის სერვისების არასაკმარისობა - სახელმწიფო თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში არ არის საკმარისი სოციალური რეაბილიტაციის კომპონენტი, მსხვერპლთა დაცვით მიზნით, თავშესაფრების ტერიტორია არ არის საკმარისად გამიჯნული სხვა ტერიტორიისგან, ამასთან, ამ დაწესებულებებში არ არსებობს საკმარისი სარეაბილიტაციო თუ საგანმანათლებლო ღონისძიებები.<sup>298</sup>

დაზარალებულთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს მისი მხარდაჭერის რესურსების ნაკლებობა, არაეფექტურობა ან საერთოდ არ არსებობა. ამ კუთხით ხაზგასასმელია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, 2018 წლის 04 მაისის განხორციელებული ცვლილების შედეგად, სსსკ-ში შევიდა ცვლილება, რომლითაც მოწესრიგდა გენერალური პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან დაკავშირებული საკითხები.<sup>299</sup> სსსკ-ს დაემატა თავი VII<sup>1</sup>, რომელშიც მოცემულია ნორმები მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის პროცესში ჩართვისა და მისი უფლებამოვალეობების შესახებ, ხოლო მესამე მუხლის 22<sup>1</sup> ნაწილით განიმარტა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ცნება, ეს არის პირი, რომელიც უზრუნველყოფს მოწმის/დაზარალებულის მხარდაჭერას სამართალწარმოების პროცესში.<sup>300</sup> 2018 წლის შემდგომ, 2021 წელს კვლავ განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც შეეხებოდა

---

<sup>298</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში - საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023, გვ. 208, <chrome-extension://efaidnbnmnnibpcajpcglclefindmkaj/<https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>299</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, დოკუმენტის ნომერი: 2157-III, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4164098?publication=0> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>300</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი. 22<sup>1</sup> ნაწილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორს.<sup>301</sup>

მართლმსაჯულების პროცესში დაზარალებულის უფლებების დაცვისა და მისი ინტერესების გათვალისწინების მიზნით, 2011 წელს საქართველოს პროკურატურაში ფუნქციონირება დაიწყო მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურმა.<sup>302</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი 2019 წლიდან ამოქმედდა, თუმცა, საკანონმდებლო დონეზე ამ ინსტიტუტის აღიარება, ფუნქცია-მოვალეობების გაწერა და გენერალური პროკურატურის იმავე სამსახურისგან გამიჯვნა მხოლოდ 2021 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მოხდა.<sup>303</sup>

საქართველოს პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი 2023 წელს ჩაერთო 519 სისხლის სამართლის საქმეში, სადაც გამოიკვეთა შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენა,<sup>304</sup> 2024 წელს კი ამ რიცხვმა 521 შეადგინა.<sup>305</sup>

---

<sup>301</sup> საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, დოკუმენტის ნომერი: 663-IVმს-XXმ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5194804?publication=0> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>302</sup> მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური, <<https://pog.gov.ge/news/mowmisa-da-dazaralebulis-koordinators-samsaxuri>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>303</sup> შინაგან საქმეთა სამინისტრო, <<https://police.ge/ge/parlamentma-motsmisa-da-dazaralebulis-koordinators-samsakhuris-shesakheb-kanonproeqti-daamtkitsa/14739>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>304</sup> დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2023, გვ. 26, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/[https://www.geostat.ge/media/60697/diskriminacia\\_2023.pdf](https://www.geostat.ge/media/60697/diskriminacia_2023.pdf)> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>305</sup> დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2024, გვ. 30, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/[https://www.geostat.ge/media/68742/diskriminacia\\_2024.pdf](https://www.geostat.ge/media/68742/diskriminacia_2024.pdf)> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების საქმეებში, არამედ ოჯახში ძალადობის საქმეებშიც, ვინაიდან სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ყველაზე ხშირად შეუწყნარებლობის მოტივით ოჯახში ძალადობის / ოჯახური დანაშაულების ჩადენა ხდება, თუმცა, „სასამართლო პრაქტიკის შესწავლა მიუთითებს, რომ იშვიათად ხდება კოორდინატორის ჩართვა აღნიშნული კატეგორიის საქმეებში,“<sup>306</sup> რაზეც არაერთხელ იქნა მითითებული სასამართლოს მიერ.<sup>307</sup>

მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორი არის მოწმის და დაზარალებულის დაცვის და მხარდაჭერის ერთ-ერთი ქმედითი მექანიზმი, რომელსაც საკმაოდ ბევრი გამოწვევა აქვს, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- ✓ კოორდინატორების მცირე რაოდენობა - საქართველოს პროკურატურას სულ 16 კოორდინატორი ჰყავს,<sup>308</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს უფრო ნაკლები. ფიზიკურად მათი ყველა მნიშვნელოვან საქმეში ჩართულობა შეუძლებელია. შესაბამისად, ეს სამსახური იმაზე ნაკლებად არის ჩართული ამ კატეგორიის დანაშაულის მოწმესთან თუ დაზარალებულთან, ვიდრე ეს აუცილებელია (2023 წელს პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი ჩართული იყო სიძულვილით მოტივირებული საქმეების (სულ 1218

<sup>306</sup> ფაფიაშვილი ლ., დაზარალებულის პოზიციის გავლენა მართლმსაჯულების განხორციელებაზე (ოჯახში ძალადობის საქმეები), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, №1, 2024, გვ. 256;

<sup>307</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №856აპ-23, პარ. 21.1, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 29 იანვრის განჩინება საქმეზე №1005აპ-23, პარ.21.1 და სხვა.

<sup>308</sup> მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური, <https://pog.gov.ge/coordinator-of-the-witness-and-victim>, საქართველოს პროკურატურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ., 65, chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/[https://pog.gov.ge/uploads\\_script/resources/tmp/phpVDOUQu.pdf](https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpVDOUQu.pdf) >[უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

პირის მიმართ) 42,6% (519 საქმეში), ხოლო 2024 წელს საქმეების (სულ 1240 პირის მიმართ) 42,02% (521 საქმეში).<sup>309</sup>

- ✓ კოორდინატორების შერჩევითად ჩართულობა სისხლის სამართლის საქმეებში - საკითხზე მომუშავე ადვოკატების განმარტებით, ხშირად კოორდინატორები საქმეში ერთგვებიან მხოლოდ მას შემდეგ რაც ის გახმაურდება და მედიის ყურადღებას მიიპყრობს, სხვა შემთხვევაში კოორდინატორის ჩართულობის მაჩვენებელი ძალიან დაბალია;<sup>310</sup>
- ✓ კოორდინატორის ჩართულობის არაეფექტურობა - დაზარალებულთა და ადვოკატთან განმარტებით კოორდინატორი უმეტესად ასრულებს საკონტაქტო პირის როლს და მის ჩართულობას არანაირი შედეგი არ მოაქვს. ამასთან, კოორდინატორები უმეტესად არ არიან კომპეტენტურები, კომპეტენციის არ ქონის გამო კი ხშირ შემთხვევაში მათ მიერ მოწმისთვის ან დაზარალებულისთვის მოწოდებული ინფორმაცია არ იყო სწორი ან საკმარისი;
- ✓ საკანონმდებლო ხარვეზი - სსსკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორს არ აძლევს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს სასამართლო პროცესში (აქ იგულისხმება მოწმის, დაზარალებულის მორალური, ემოციური მხარდაჭერა, მისი გამხნეება, სხვა სახის უფლებამოსილება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორს ფაქტობრივად არ გააჩნია), ამის უფლება კანონის თანახმად მხოლოდ საქართველოს პროკურატურის მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორს შეუძლია, მაშინ

---

<sup>309</sup> დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2023, გვ. 7-26,  
<chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/  
[https://www.geostat.ge/media/60697/diskriminacia\\_2023.pdf](https://www.geostat.ge/media/60697/diskriminacia_2023.pdf)> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2024, გვ. 11-30,  
<chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/  
[https://www.geostat.ge/media/68742/diskriminacia\\_2024.pdf](https://www.geostat.ge/media/68742/diskriminacia_2024.pdf)> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>310</sup> ინტერვიუ ადვოკატთან (ე.რ.)

როდესაც მოწმესთან, დაზარალებულთან საწყის ეტაპზე ერთვება შინაგან საქმეთა სამინისტროს კოორდინატორი, რაც მას უფრო აახლოებს მოწმესთან თუ დაზარალებულთან, ის სწორედ ამ უკანასკნელთან შედის ნდობაში. სისხლის სამართლის პროცესზეც უმჯობესი იქნებოდა იმ კოორდინატორს ჰქონდეს დაშვება, რომელიც რეალურად შეასრულებს კოორდინატორის როლს და მოახდენს მოწმის თუ დაზარალებულის გაძლიერებას, თანადგომას და მხარდაჭერას.

პრობლემის აღმოსაფხვრელად აუცილებელია უწყებებმა გაზარდონ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების რაოდენობა და მოახდინონ მათი სათანადო გადამზადება, რათა იმუშაონ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მოწმესა და დაზარალებულთან. ამასთან, აუცილებელია განხორციელდეს ცვლილება, რომლის მეშვეობითაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორს მიეცემა შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის სასამართლო განხილვის ეტაპზე.

ერთობლიობაში, დაზარალებულთან დაკავშირებული ხარვეზები შედეგად იწვევს სამართალწარმოების პროცესის შეფერხებით განხორციელებას.

### **5.3 საგამოძიებო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარვეზები**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად - „სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას აწარმოებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, სპეციალური საგამოძიებო

სამსახურისა<sup>311</sup> და საქართველოს პროკურატურის სისტემის საგამოძიებო დანაყოფების გამომძიებლები.“ ს

ისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს №3 ბრძანება კი განსაზღვრავს თითოეული უწყების საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ საქმეებს.<sup>312</sup> თითოეული საგამოძიებო უწყება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს საგამოძიებო უფლებამოსილებას, სწორედ აღნიშნული უწყებების ეფექტიან საქმიანობაზე და მუშაობაზე არის მეტწილად დამოკიდებული შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირება ისხლის სამართლის საქმეებში.<sup>313</sup>

დანაშაულის ფაქტზე შეტყობინების მიღების შემდგომ საგამოძიებო უწყება იწყებს გამოძიებას, რომლის ფარგლებშიც გამომძიებელი ახდენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების და გარემოებების დადგენას, ხოლო პროკურორი ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას, საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების და მითითებების გაცემას.

გამოძიება უნდა ჩატარდეს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, აღნიშნული გარანტირებულია არა მხოლოდ სსსკ-ით, არამედ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსით და სხვა ნორმატიული დოკუმენტებით. მიუხედავად არსებული მოთხოვნებისა, პრაქტიკაში საგამოძიებო საქმიანობასთან დაკავშირებული არაერთი გამოწვევა არსებობს, რომელიც აბრკოლებს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე ეფექტიან სამართალწარმოებას, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:

---

<sup>311</sup> იხ. სქოლიო №274.

<sup>312</sup> საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს №3 ბრძანება - ისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ. იხ. სქოლიო №274.

<sup>313</sup> OSCE/ODIHR, Understanding Hate Crimes A Handbook for Ukraine, 2015, Warsaw, Poland, 15, <<https://www.osce.org/files/f/documents/4/9/208176.pdf>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

✓ შესაბამისი კვალიფიკაციის ნაკლებობა ან არქონა - დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული არ არის რიგითი, ჩვეულებრივი დანაშაული, რომლის გამოძიება იმგვარადვე უნდა ხორციელდებოდეს, როგორც მაგალითად ქურდობის ან ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების შემთხვევებზე, ეს დანაშაულები განსხვავებული სპეციფიკით ხასიათდება, რაც საჭიროებს დამატებითი ცოდნის ქონას, განსაკუთრებით შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირების კუთხით. მდგომარეობა რთულდება მაშინ, როდესაც გამოძიებას ახორციელებს იურიდიული განათლების არმქონე პირი (2018 წლის 1 სექტემბრამდე იურიდიული განათლება გამოძიების განსახორციელებლად არ იყო აუცილებელი, 2018 წლის 12 აგვისტოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებაში<sup>314</sup> განხორციელებული ცვლილებით,<sup>315</sup> გამოძიების ფუნქციის განმახორციელებელ პირს მოეთხოვა იურიდიული განათლების ქონა, თუმცა, იმ პერიოდში გამომძიებლის პოზიციაზე დასაქმებულ პირებს საგამონაკლისო წესით მიენიჭათ გამოძიების უფლებამოსილება და დღემდე აგრძელებენ აღნიშნულ პოზიციებზე ყოფნას.). აღნიშნული გარემოებები ერთობლიობაში იწვევს იმას, რომ ამ კატეგორიის დანაშაულებზე მიმდინარე გამოძიების დროს შესაძლებელია არ ჩატარდეს ყველა ის საგამომძიებო და საპროცესო მოქმედება, რომელიც აუცილებელია სრულყოფილი გამოძიების განსახორციელებლად - „ცალკეულ საქმეებში ჩანს, რომ გამოძიება არ ჩატარებულა სრულად, ყოველმხრივ

---

<sup>314</sup> შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ, დოკუმენტის ნომერი: 995, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2161567?publication=88> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>315</sup> „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, დოკუმენტის ნომერი: 79, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4261638?publication=1>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

და ობიექტურად - ერთ-ერთ საქმეში, ძალადობა განხორციელდა იტალიურ ეზოში, რომელსაც დაზარალებულის ჩვენების თანახმად, ჰყავდა შემსწრე პირები, მიუხედავად აღნიშნულისა, გამოძიების ფარგლებში არ იყო გამოკითხული არცერთი მეზობელი ან სხვა პირი, მტკიცებულებათა ნაკლებობამ საბოლოოდ გამოიწვია ნაფიც მსაჯულთა მიერ გამამართლებელი ვერდიქტის მიღება.<sup>316</sup> სწორედ ამ საკითხის პრობლემურობაზე გაამახვილა ყურადღება ევროსასამართლომ საქმეში სერგეი შევჩენკო უკრაინის წინააღმდეგ, როდესაც ეფექტიანი გამოძიების პრინციპის დარღვევად შეაფასა პოლიციელთა მიერ საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენის მიზნით გარკვეული მოქმედებების ჩაუტარებლობა.<sup>317</sup> სხვა საქმეში კი პირდაპირ პოზიტიური ვალდებულების დარღვევად შეაფასა სამართალდამცავთა მიერ თავიანთ პროფესიულ ქცევაში მაღალი დონის კომპეტენციის არქონა.<sup>318</sup> კადრების დაბალ კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები ართულებს, გარკვეულ შემთხვევებში კი შეუძლებელს ხდის გამოძიების ეტაპზე შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვლევას. „ჩემი გამოცდილებით, პოპულარული არ იყო დანაშაულის სიძულვილით ჩადენის მოტივზე ყურადღების გამახვილება. ამას მუდმივად სჭირდებოდა ვინმეს მიერ შეხსენება და მითითება, რომ გამომძიებელს დამაზუსტებელი შეკითხვები დაესვა მოწმისთვის.“<sup>319</sup> „არის შემთხვევები, როდესაც შემაკავებელ ორდერში არ არის ასახული საქმესთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაშინ როდესაც ეს ინფორმაცია ასახულია სხვა დოკუმენტებში - საგამომძიებო ექსპერიმენტის თუ გამოკითხვის ოქმებში, შესაბამისად აქ კითხვის ნიშნები ჩნდება, რომელ დოკუმენტში ასახული ინფორმაცია არის სწორი“.<sup>320</sup>

<sup>316</sup> ინტერვიუ მოსამართლესთან (ე.ა.).

<sup>317</sup> *Sergey Shevchenko v. Ukraine*, {2006}, ECHR, 72.

<sup>318</sup> *Davydov and Others v. Ukraine*, {2010}, ECHR, 268.

<sup>319</sup> ინტერვიუ ყოფილ გამომძიებელთან (თ.რ.).

<sup>320</sup> ინტერვიუ მოსამართლესთან (ა.ი.).

პრობლემურია ასევე შემთხვევები, როდესაც შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვლევა გამოძიების მიერ ხდება ხელოვნურად, რაც მერე ბრალშიც აისახება - „ცალკეულ საქმეებში ჩანს, რომ გენდერის ნიშანი სპეციალურად არის გამოკვეთილი, გამომძიებლის კითხვები მიმართული არის იქითკენ, რომ ეს მოტივი გამოიკვეთოს, თუმცა, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე დაზარალებული განმარტავს, რომ გამოკითხვის ოქმში რაც წერია „გამომძიებელმა თვითონ ჩაწერა“ და ასეთი რამ არ მომხდარა.“<sup>321</sup>

- ✓ **საგამომძიებო უწყების რესურსების სიმცირე** - კადრების სიმწირე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, არის შემთხვევები, როდესაც პოლიციის განყოფილებაში მხოლოდ ერთი გამომძიებელი იმყოფება, რომელიც საგამომძიებო უფლებამოსილებას ახორციელებს ამ განყოფილების ქვემდებარე ყველა დანაშაულზე, რაც შეიძლება იყოს თვეში 50-მდე საქმეზე გამოძიების წარმოება (ამას დამატებული წინა თვეებში დაწყებული საქმეები, რომლებზეც გამოძიება ჯერ დასრულებული არ არის), ფაქტობრივად შეუძლებელია ერთმა პირმა დროულად ჩაატაროს სრულყოფილი გამოძიება ყველა საქმეზე;
- ✓ **საგამომძიებო უწყებაში არსებული არასანდო თუ არასათანადო გარემო** - დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის დაზარალებულს უმეტეს შემთხვევაში არ აქვს სურვილი მისი საქმის დეტალები გასაჯაროვდეს ან გახმაურდეს, პირიქით, დაზარალებული ცდილობს რომ ეს ინფორმაცია არ გახდეს საჯარო, რისი არაერთი მიზეზიც არსებობს (არ სურს ვინმემ გაიგოს მისი კონკრეტული ჯგუფისადმი კუთვნილების შესახებ, აქვს შიშის ან სირცხვილის განცდა და სხვა), ამ ფონზე პოლიციის განყოფილებებში არსებული გარემო მათში იწვევს უნდობლობას, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში მათ საქმის დეტალებზე საუბარი მრავალ ადამიანთან (სხვა გამომძიებლებთან, თუ სხვა საქმის მონაწილეებთან (მოწმე, დაზარალებული თუ ბრალდებული)) ერთად

<sup>321</sup> ინტერვიუ მოსამართლესთან (ე.ა.).

უწევთ, რის გამოც ხშირად თავსაც კი იკავებენ საქმის ყველა დეტალზე საუბრისგან, რაც ართულებს სრულყოფილი საგამომიებო პროცესის მიმდინარეობას. ამ კუთხით გამოწვევას წარმოადგენს ასევე პოლიციელთა მიმართ არსებული ნდობის დაბალი ხარისხი, ერთ-ერთმა დაზარალებულმა განმარტა, რომ „იცი, პოლიციელია და ყველაფრის მკადრებელია, ზუსტად ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, და მომიწია ისევ ჩემი თავის დაცვა მე თვითონ“;<sup>322</sup>

- ✓ **გამომძიებლის დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი** - დღეს არსებული პრაქტიკის თანახმად, გამომძიებელი ყველა საგამომიებო თუ საპროცესო მოქმედების ჩატარებას ათანხმებს უშუალო ხელმძღვანელთან და საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორთან, რაც მის დამოუკიდებლობას ფაქტობრივად სპობს და აიძულებს ყველა გადაწყვეტილების (მოწმის ან დაზარალებულის გამოკითხვაზე დაბარება, საგამომიებო ექსპერიმენტის ჩატარება, ექსპერტიზის დანიშვნა და სხვა) მიღება შეათანხმოს ხელმძღვანელობასთან, რაც დროში წელავს გამოძიების პროცესს, ამასთან, დაზარალებულისთვის თუ მოწმისთვის შეუსაბამოდ იზრდება საგამომიებო ორგანოში გატარებული დრო, რაც მათ უკარგავს სურვილს შემდგომში კვლავ დაიჭირონ საქმე საგამომიებო უწყებებთან.<sup>323</sup> გადაწყვეტილების მიღების სირთულე მოტივაციას უკარგავს გამომძიებელსაც - გამოძიების დაწყების თუ ბრალდებულის დაკავების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ბიუროკრატიული (განსაკუთრებით დროში გაწელილი) სირთულეების გამო ცალკეულ შემთხვევებში გამომძიებლები ნაკლებ ძალისხმევას დებენ საქმეზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარების პროცესში, „ყოფილა შემთხვევები, როდესაც განყოფილებაში 6 საათი გაგვიტარებია ორგვერდიანი

<sup>322</sup> გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN) ქალთა მიმართ ძალადობის კვლევა საქართველოში 2022, გვ. 85, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/[https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated\\_vaw\\_geo\\_web4-3.pdf](https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated_vaw_geo_web4-3.pdf)>

{უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>323</sup> ინტერვიუ დაზარალებულებთან/მოწმეებთან (ჯ.გ. მ.ს. მ.ქ. მ.ჭ. მ.გ.)

გამოკითხვისთვის, მხოლოდ იმიტომ რომ გამოკითხვის ოქმის შინაარსი თანხმდებოდა ზედამხედველ პროკურორთან.<sup>324</sup>

✓ **საგამომძიებლო საქმიანობის განმახორციელებელ პირთა მიკერძოებული, სტერეოტიპული თუ სიძულვილის შემცველი დამოკიდებულებები** - ამ კატეგორიის დანაშაულზე საგამომძიებო უფლებამოსილების მქონე პირები, ისევე როგორც ყველა ადამიანი, შეიძლება იყოს დისკრიმინაციული, მიკერძოებული შეხედულების მქონე, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს სრულყოფილ საგამომძიებო პროცესზე. საგამომძიებო უწყებაში დისკრიმინაციულ შეხედულებების არსებობაზე საუბარია არა მხოლოდ ეროვნულ ანგარიშებში,<sup>325</sup> არამედ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებში.<sup>326</sup> ანგარიშების თანახმად, ხშირ შემთხვევაში პოლიციელები დაზარალებულების თუ სისხლის სამართლის საქმეში მოწმის სტატუსის მქონე პირების მიმართ იყენებენ ჰომოფობიურ თუ ტრანსფობიურ მიმართვებს,<sup>327</sup> რელიგიურ, კულტურულ თუ ეთნიკურ, სტერეოტიპულ, გულგრილ ან დისკრიმინაციულ ტერმინოლოგიას.<sup>328</sup> პოლიციელთა მხრიდან ჰომოფობიური კომენტარების გაკეთება, დამცინავი დამოკიდებულება და ადამიანთა დამცირება სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულების

<sup>324</sup> ინტერვიუ ადვოკატთან (ე.რ.)

<sup>325</sup> მაგალითად, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 2019, 34, <<https://ombudsman.ge/res/docs/2020030416283364211.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>326</sup> Aghdgomelashvili and Jafaridze v. Georgia, {2020}, ECHR, Mikeladze and Others v. Georgia, {2021}, ECHR.

<sup>327</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2021 სპეციალურ ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 62. სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2024, გვ. 189, <<https://ombudsman.ge/geo/190308041856angarishebi/tanastorobis-mdgomareobis-shesakheb-sakhalkho-damtsvelis-me-7-spetsialuri-angarishi>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>328</sup> ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის კვლევა „რასობრივი გამორჩევა საქართველოში, საპოლიციო სისტემაში ეთნიკური უმცირესობებისა და მიგრანტების მიმართ არსებული პოლიტიკა და პრაქტიკა“, 2021, გვ. 9, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/[https://tdi.ge/sites/default/files/rasobrivi\\_gamorcheva\\_sakartveloshi.pdf](https://tdi.ge/sites/default/files/rasobrivi_gamorcheva_sakartveloshi.pdf)> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

დარღვევად შეაფასა ევროსასამართლომ საქმეზე ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ.<sup>329</sup> „გამომძიებელთა მხრიდან დისკრიმინაციული დამოკიდებულება განსაკუთრებით პრობლემურია, როდესაც დაზარალებული ან მოწმე პოლიციის განყოფილებაში მიდის მარტო, ადვოკატის გარეშე“.<sup>330</sup>

- ✓ **პერსონალურ მონაცემთან დაუცველობა** - ცალკეულ შემთხვევებში სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები დაზარალებულთა პერსონალურ ინფორმაციას, პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას ავრცელებენ. ერთ-ერთ საქმეში გამომძიებელმა დაზარალებულის სექსუალური ორიენტაციის შესახებ, რომელსაც ეს უკანასკნელი მალავდა, აცნობა მის მშობლებს და მოუწოდა მიეხედათ თავიანთი შვილისთვის, რამაც ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა დაზარალებული, ის იძულებული გახდა დაეტოვებინა არა მხოლოდ საცხოვრებელი სახლი, არამედ ის რეგიონიც კი სადაც ცხოვრობდა.<sup>331</sup> ყოფილა შემთხვევა, როდესაც „პოლიციის თანამშრომელმა იმ თავშესაფრის კონფიდენციალური მისამართი, რომელშიც დაზარალებული იმყოფებოდა, აცნობა მოძალადეს.“<sup>332</sup>
- ✓ **ინსპექციის უფლებამოსილების მქონე დანაყოფების არასათანადო რეაგირება** - გამომძიებელთა მიერ განხორციელებულ დისციპლინურ გადაცდომებზე პასუხისმგებელ დანაყოფს უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენენ გენერალური ინსპექციის მქონე დეპარტამენტები თუ დანაყოფები. მიუხედავად ფართო უფლებამოსილების ქონისა, აღნიშნული დანაყოფების რეაგირება ხშირად არაეფექტური, უშედეგოა, მაგალითად საქმეში სადაც დაზარალებულის განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის შესახებ გამომძიებელმა

<sup>329</sup> Women’s initiatives supporting group and others v. Georgia, {2021}, ECHR, 72.

<sup>330</sup> ინტერვიუ ადვოკატთან (თ.ს.).

<sup>331</sup> ინტერვიუ ადვოკატთან (ქ.ბ.).

<sup>332</sup> ინტერვიუ ექსპერტთან (ს.რ.).

სხვა პირებს მიაწოდა ინფორმაცია, გენერალურმა ინსპექციამ გამომძიებელს მხოლოდ საყვედური გამოუცხადა.<sup>333</sup> გენერალური ინსპექციის მხრიდან დაგვიანებულ და არასათანადო რეაგირებაზე აღნიშნულია სახალხო დამცველის ანგარიშშიც - „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ინფორმაციით, შსს გენერალურ ინსპექციაში ლგბტი+ პირების მიმართ სამსახურებრივი გადაცდომის ჩადენის ფაქტზე 50 განცხადება შევიდა, საიდანაც სამსახურებრივი გადაცდომის ჩადენის ფაქტი არცერთ ფაქტზე არ დადასტურდა.“<sup>334</sup> ამავე ანგარიშის თანახმად: „შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მხრიდან შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტზე სწრაფი, ობიექტური და ჯეროვანი რეაგირება კვლავ გამოწვევად რჩება.“<sup>335</sup> ამგვარი პრაქტიკის არსებობა თავისთავად იწვევს ნდობის ნაკლებობას დანაყოფისადმი და მიმართვიანობის არარსებობას ან შემცირებას, ვინაიდან დაზარალებულებს აქვთ განცდა, რომ მიმართვას შედეგი არ მოჰყვება;

✓ **პოლიტიკური ნების არარსებობა, მხარდაჭერის ნაკლებობა** - დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა საჭიროებს სათანადო პოლიტიკური ნების არსებობას, მათ შორის სხვადასხვა უწყების, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივ ძალისხმევას, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას.<sup>336</sup>

<sup>333</sup> ინტერვიუ ადვოკატთან (ქ.ბ.).

<sup>334</sup> სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022, გვ. 206, <<https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>335</sup> სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022, გვ. 61, <<https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>336</sup> Understanding the difference The initial police response to hate crime, 2018, p. 4, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/<https://assets-hmicfrs.justiceinspectorates.gov.uk/uploads/understanding-the-difference-the-initial-police-response-to-hate-crime.pdf>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) განმარტავს, რომ „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები არ წარმოადგენს პრიორიტეტულ დანაშაულთა ჯგუფს, რაც არსებით პრობლემებს ქმნის უშუალოდ გამოძიებისას და შემდგომ, დამნაშავეთა დასჯის ეტაპზე.“<sup>337</sup> პრობლემის არსებობაზე არის აღნიშნული სახალხო დამცველის ანგარიშშიც, სადაც მითითებულია რომ ეფექტიანი გამოძიების პრობლემის არსებობა „განპირობებულია სამართალდამცავთა როგორც მწირი ცოდნით ამ საკითხების ირგვლივ, ისე ნაკლები მზაობით.“<sup>338</sup> მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველმა არაერთხელ მოუწოდა სახელმწიფო უწყებებს ქმედითი ნაბიჯები გადაედგათ თანასწორობის უფლების დაცვის მიზნით, სახელმწიფო უწყებებმა თუ პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირებმა ეს არათუ არ გაითვალისწინეს, პირიქით, გარკვეულ შემთხვევებში თავად იყვნენ დისკრიმინაციის წამხალისებლები.<sup>339</sup> ამ კუთხით გამოწვევას წარმოადგენს პოლიციელთა ქმედებები, რომლითაც ისინი ცდილობენ შეუწყნარებლობის მოტივის გამორიცხვას. სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, 2024 წლის იანვარში იეჰოვას მოწმეთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დროს, გამომძიებელი ცდილობდა დაერწმუნებინა დაზარალებული გამოკითხვის ოქმში დაეფიქსირებინა მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი და არ ესაუბრა ფიზიკურ

---

<sup>337</sup> ჯალაღანია ლ., ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის შესახებ“, 2017, გვ. 104, <<https://socialjustice.org.ge/ka/products/operatsiuli-sakhelmdzghvanelo-dokumenti-seksualuri-orientatsiisa-da-genderuli-identobis-safudzvelze-chadenili-danashaulebis-gamodziebis-shesakheb>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>338</sup> სახალხო დამცველის ანგარიში, სამართალდამცავთა პოზიტიური ვალდებულებები დაუცველი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის დაცვის მხრივ, 2021, გვ. 5, <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2021051415512039554.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>339</sup> იქვე.

ძალადობაზე, რათა არ მომხდარიყო ფაქტზე გამოძიების დაწყება.<sup>340</sup> მხარდაჭერის ნაკლებობაზე და პოლიტიკური ნების არ არსებობაზე მეტყველებს ამ კატეგორიის დანაშაულებისთვის ადმინისტრაციული შინაარსის მიცემის ტენდენცია და გამოძიების დაწყებაზე უარის თქმა - „გამომძიებელი ცდილობს მოძალადის ქმედებას მისცეს ადმინისტრაციული ხასიათი და არ დაიწყოს გამოძიება. შემოიფარგლოს გასაუბრების ოქმების შედგენით და ადმინისტრაციული რეაგირებით“.<sup>341</sup>

საგამომძიებო საქმიანობის განხორციელება ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავდროულად რთული პროცესია, რომელიც საჭიროებს სათანადო პოლიტიკური ნების, თანამშრომელთა მაღალი კვალიფიკაციის და მგრძობელობის, ასევე შესაბამისი გარემოს არსებობას. აღნიშნულმა ხარვეზებმა შეიძლება დააბრკოლოს ფაქტზე ეფექტიანი სამართალწარმოების განხორციელება.

#### 5.4 საპროკურორო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარვეზები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, პირის ბრალდებულად, დაზარალებულად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. შეუწყნარებლობის მოტივის, როგორც დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენის მტკიცება ბრალის წარდგენის თუ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, პროკურორის „ტვირთს“ წარმოადგენს. შესაბამისად, გადამწყვეტია პროკურორის როლი ამ კატეგორიის დანაშაულზე სათანადო გამოძიების (საპროკურორო ზედამხედველობის

<sup>340</sup> სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2024, გვ. 179, <[chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf](https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf)> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>341</sup> ადვოკატთან ინტერვიუ (თ.ზ.)

განხორციელების გზით) და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

პროკურორი საქმიანობის განხორციელების დროს ხელმძღვანელობს კანონით - საქართველოს კონსტიტუციით, სსსკ-ით, საქართველოს გენერალური პროკურორის №038 ბრძანებით<sup>342</sup> თუ სხვა ნორმატიული აქტებით. აღნიშნული ნორმატიული აქტები ავალდებულებს პროკურორს საპროკურორო საქმიანობის განხორციელების დროს ხელი შეუწყობს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრას,<sup>343</sup> რასაც დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე ეფექტიანი სამართალწარმოების განხორციელებისთვის უმნიშვნელოვანესი როლი აქვს.

ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებების მიუხედავად, არსებობს საპროკურორო საქმიანობასთან დაკავშირებული არაერთი ხარვეზი, რომელიც აბრკოლებს ეფექტიან სამართალწარმოებას, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- ✓ **სათანადო კვალიფიკაციის ნაკლებობა** - საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირებისგან განსხვავებით, სათანადო კვალიფიკაციის ნაკლებობა პროკურორებთან მიმართებით შედარებით ნაკლებად პრობლემურია, თუმცა, გამოწვევას მაინც წარმოადგენს. აღნიშნული განსაკუთრებით პრობლემურია იმ ფონზე, რომ თუ პროკურორი შეუწყნარებლობის მოტივს არ ასახავს ბრალდების შესახებ დადგენილებაში, შემდგომში, არსებითი განხილვის ეტაპზე, ამ მოტივით ბრალის დამძიმება შეუძლებელია.

---

<sup>342</sup> საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება №038 – საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ, დოკუმენტის ნომერი: 038, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4973795?publication=0>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>343</sup> საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება №038 – „საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“, 26.08.2020, დოკუმენტის ნომერი: 038, მუხლი 5, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4973795?publication=0>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ანგარიშის თანახმად: „სასამართლო პროცესების მონიტორინგისას გამოიკვეთა, რომ პროკურატურისთვის სირთულეს წარმოადგენს ასევე სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის კომპონენტის იდენტიფიცირება. აღნიშნული გამოწვეულია როგორც ამ მიმართულებით არასაკმარისი ცოდნით, ისე საკითხის მიმართ პროკურორთა სენსიტიურობის ნაკლებობით, რაც ხელს უშლის საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას და ბრალდებულისთვის ადეკვატური სასჯელის შეფარდებას.“<sup>344</sup>

სათანადო კვალიფიკაციის ნაკლებობა პირდაპირ იწვევს შედეგად შეუწყნარებლობის მოტივის დადგენის სირთულეს და შეფასების მიღმა მის დატოვებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურაში არსებობს ამ კატეგორიის დანაშაულებზე სპეციალიზაციის პროგრამა, შესაბამისად, საპროკურორო უფლებამოსილების განხორციელება ამ კატეგორიის დანაშაულზე მხოლოდ იმ პროკურორებს შეუძლიათ, რომლებსაც აქვთ გავლილი სპეციალიზაცია.<sup>345</sup> საქართველოს პროკურატურის 2022 წლის ანგარიშის თანახმად, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე „სპეციალიზებულია 150 თანამშრომელი, მათ შორის - 35 მენეჯერი, 97 პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი, 18 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი“.<sup>346</sup>

---

<sup>344</sup> ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში პროკურატურის წინაშე არსებული გამოწვევები, 2020, გვ. 14,

<[https://idfi.ge/public/upload/EU/politikis%20dokumenti\\_geo\\_web%20version.pdf](https://idfi.ge/public/upload/EU/politikis%20dokumenti_geo_web%20version.pdf)>

{უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>345</sup> საქართველოს პროკურატურა, 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, 2024, გვ. 70, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/[https://pog.gov.ge/uploads\\_script/resources/tmp/phuP9Bjo.pdf](https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phuP9Bjo.pdf)> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>346</sup> საქართველოს პროკურატურა, 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, 2023, გვ. 97, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/[https://pog.gov.ge/uploads\\_script/resources/tmp/pe0skz4.pdf](https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/pe0skz4.pdf)> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

2024 წელს საქართველოს პროკურატურას ეს ინფორმაცია აღარ გაუსაჯაროებია. ინფორმაცია რომელ ტერიტორიულ ერთეულში რამდენი სპეციალიზირებული პროკურორია და რა სახის გადამზადება აქვთ მათ გავლილი უცნობია, რაც ართულებს ამ საკითხის სიღრმისეულ შეფასებას, ამასთან, უცნობია რა მოიაზრება სპეციალიზაციის ქვეშ - „ნაკლოვანებაა სპეციალიზებული პროკურორების მომზადების კუთხით - სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები საჭიროებს სენსიტიურ მიდგომას და შესაბამის ცოდნას და ვფიქრობ არასაკმარისია ის გადამზადება რაც პროკურორებს აქვთ გავლილი.“<sup>347</sup> კვალიფიკაციის კუთხით პრობლემურია არა მხოლოდ სიძულვილის მოტივის დაუნახაობა, არამედ ცალკეულ შემთხვევაში ამ მოტივის ხელოვნურად გამოყენება - „ხშირად გენდერულ სიძულვილის მოტივს უყენებენ მხოლოდ და მხოლოდ ეჭვიანობის გამო, რაც ცალკე აღებული არ არის გენდერის ნიშნით სიძულვილის მოტივის სამტკიცებლად საკმარისი გარემოება.“<sup>348</sup> ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში მოტივის დასადასტურებლად საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და გარემოებებს ზედაპირულად აფასებენ - „ტენდენციურია, რომ თუ დაზარალებული არის განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის, საქმეში თითქმის ავტომატურად ჩნდება სიძულვილის მოტივი, ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც ძალადობის საფუძველი ცალსახად საყოფაცხოვრებო (ვალის დაუბრუნებლობა, თანხის გადახდაზე უარის თქმა და სხვა) გარემოება გახდა“;<sup>349</sup>

✓ **რესურსების ნაკლებობა** - საგამომიებო უფლებამოსილების მქონე პირთა მსგავსად, რესურსების ნაკლებობა პრობლემურია საპროკურორო საქმიანობის განხორციელების ნაწილშიც. 2019 წლის ინფორმაციის თანახმად, საქართველოს პროკურატურაში

<sup>347</sup> ინტერვიუ ექსპერტთან (ე.ს.)

<sup>348</sup> ინტერვიუ მოსამართლესთან (ე.ა.).

<sup>349</sup> ინტერვიუ მოსამართლესთან (ე.ა.).

დასაქმებული იყო სულ 489 ქალი თანამშრომელი და 293 კაცი თანამშრომელი, საიდანაც მთელი საქართველოს მასშტაბით საპროკურორო საქმიანობას ახორციელებდა სულ 413 პირი.<sup>350</sup> ამავდროულად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2019 წელს 64 123 შესაძლო დანაშაული იქნა რეგისტრირებული.<sup>351</sup> 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პროკურატურაში დასაქმებულია 798 პირი, რომელთაგან 438 პირი ახორციელებდა საპროკურორო საქმიანობას (155 ქალი და 283 კაცი),<sup>352</sup> ამავე წელს რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობამ კი 54177 ერთეული შეადგინა.<sup>353</sup>

სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის თანახმად, მართალია წლიდან წლამდე რეგისტრირებული დანაშაული მცირდება, თუმცა შედეგი რომ ერთ პროკურორს რამდენიმე ასეულ საქმეზე<sup>354</sup> უწევს საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელება უცვლელი რჩება, რაც თავისთავად წარმოუდგენელს ხდის თითოეულ საქმეზე სრულყოფილი და ეფექტური ზედამხედველობის განხორციელების შესაძლებლობას;

- ✓ საპროკურორო საქმიანობის განმახორციელებელ პირთა მიკერძოებული, სტერეოტიპული თუ სიძულვილის შემცველი დამოკიდებულებები - პროკურორების ნაწილი, ისევე როგორც სხვა ადამიანები, არიან სტერეოტიპული, მიკერძოებული თუ სიძულვილის

<sup>350</sup> საქართველოს პროკურატურა <<https://pog.gov.ge/policy>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>351</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>352</sup> საქართველოს პროკურატურა, 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, 2024, გვ. 89, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/[https://pog.gov.ge/uploads\\_script/resources/tmp/ph\\_puP9B\]o.pdf](https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/ph_puP9B]o.pdf)> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>353</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>354</sup> შენიშვნა: ამ ციფრს ემატება წინა წლების საქმეები, რომლებზეც არ დასრულებულა გამოძიება.

შემცველი დამოკიდებულებების მატარებლები, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს მათ წარმოებაში არსებულ საქმეებზე. ამ გამოწვევაზე აღნიშნულია ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში - „შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისა და პროკურორების ცოდნა და სენსიტიურობა, ადეკვატურად გამოავლინონ დანაშაულის ჩადენის მოტივი და შეძლონ შესაძლო სიძულვილის მოტივის გამოკვეთა საქმეზე, არსებით გამოწვევას წარმოადგენს.“<sup>355</sup> სტერეოტიპების გავლენამ შესაძლებელია გამოიწვიოს შეუწყნარებლობის მოტივის დაუნახაობა და შესაბამის სამართლებრივ დოკუმენტებში აუსახაობა. „ამკარად იკვეთება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან მიმართებით პროკურატურის გულგრილი დამოკიდებულებაც, რომელიც ბოლო პერიოდის განმავლობაში უფრო და უფრო ხილული გახდა.“<sup>356</sup>

- ✓ **პოლიტიკური ნების არარსებობა, მხარდაჭერის ნაკლებობა** - სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე საპროკურორო ზედამხედველობის დროს, მზაობის ნაკლებობა შედეგად იწვევს არასათანადო და არასრულყოფილი სამართალწარმოების განხორციელებას. ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და სრულყოფილი სამართალწარმოება მოითხოვს შესაბამისი პოლიტიკური ნების ჩვენებას, რომ შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ყველა დანაშაული იქნება გამოძიებული, მოტივი დადგენილი და დამნაშავე პასუხისგებაში მიცემული. სახალხო დამცველის განმარტებით „ამ უწყებების (საქართველოს პროკურატურა

---

<sup>355</sup> ჯალაღანია ლ., ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის შესახებ“, 2017, გვ. 27, <https://socialjustice.org.ge/ka/products/operatsiuli-sakhelmdzghvanelo-dokumenti-seksualuri-orientatsiisa-da-genderuli-identobis-safudzvelze-chadenili-danashaulebis-gamodziebis-shesakheh> > [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>356</sup> ინტერვიუ ადვოკატთან (თ.ს.)

და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო)<sup>357</sup> მხრიდან პრევენციული თუ რეაქტიული ღონისძიებების არასათანადო გატარებამ ან უმოქმედობამ, მათ შორის, იმან, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა არ იწყება, შესაძლოა, მდგომარეობა არაერთი მიმართულებით გააუარესოს.<sup>358</sup> „მზაობის ნაკლებობის შედეგია სწორი კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმა, დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმა ან დროში გაჭიანურება და სხვა. სახალხო დამცველის შეფასებით, მიხეილ მშვილდაძის და ზურაბ გირჩი ჯაფარიძის საქმეებზე კვალიფიკაციის არმეცვლით პროკურატურამ „სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვა სავარაუდო დანაშაულის დისკრიმინაციული მოტივი“.<sup>359</sup>

პროკურორის მიერ შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულის გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს მართლმსაჯულების პროცესში, რომელიც არის გარდამტეხი საფეხური ქმედების შეფასებისთვის - იყო ეს დანაშაული „ჩვეულებრივი“ დანაშაული, თუ იყო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული, აღნიშნული გარემოება კი უმნიშვნელოვანეს დატვირთვას სძენს პროკურორის ფუნქცია-მოვალეობას.

## 5.5 სამოსამართლეო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარვეზები

მოსამართლეთა მიერ სამოსამართლეო საქმიანობის დროს სახელმძღვანელო პრინციპები: დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა,

---

<sup>357</sup> იგულისხმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს პროკურატურა.

<sup>358</sup> სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 2022, გვ. 64, <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2022022413230220707.pdf>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>359</sup> სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2024, გვ. 189, <chrome-extension://efaidnbmninnipcgjlcfindmkaj/<https://ombudsman.ge/res/docs/2025040121291438156.pdf>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

ობიექტურობა, დისკრიმინაციის აკრძალვა და სხვა, აღიარებულია არაერთი საერთაშორისო დოკუმენტით<sup>360</sup> თუ შიდაეროვნული რეგულირებით.<sup>361</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „მოსამართლე წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ სახელმწიფო თანამდებობის პირს, რომლის მიერ საკუთარი ფუნქციების მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და მაღალი პროფესიონალიზმით განხორციელებაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნებისმიერ სახელმწიფოში კანონის უზენაესობის, სამართლებრივი სახელმწიფოს და, ზოგადად, დემოკრატიის არსებობა და მათი სრულყოფილი რეალიზაცია.“<sup>362</sup> მიუხედავად აღნიშნულისა, ხარვეზები, რომლებიც არსებობს სამოსამართლეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად აბრკოლებს ეფექტიან სამართალწარმოების განხორციელებას. განსაკუთრებით აღსანიშნია რამდენიმე მათგანი:

- ✓ **სათანადო კვალიფიკაციის ნაკლებობა** - როგორც უკვე აღინიშნა, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის გამოძიება და მასზე მართლმსაჯულების განხორციელება, ზოგადი იურიდიული ცოდნის მიღმა საჭიროებს სათანადო ცოდნას, რომლის ნაკლებობა დამახასიათებელია არა მხოლოდ საგამომიებო ორგანოებისთვის, არამედ სასამართლო ხელისუფლებისთვისაც. აღნიშნული განსაკუთრებით კარგად ჩანს სასამართლო განხილვების დროს, მოსამართლეთა მიერ დასმულ დისკრიმინაციულ შეკითხვებსა (მაგალითად - „თვლით რომ თქვენი ცემა არატრადიციული

---

<sup>360</sup> მაგალითად: სასამართლო ხელისუფლების შეუვალობის განმამტკიცებელი სასამართლო სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები, 2002 წლის 25-26 ნოემბერს, <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi15.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო, დასკვნა №3, 2002, <<https://rm.coe.int/opinion-no-3-of-the-consultative-council-of-european-judges-ccje-to-th/168074828d>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>361</sup> მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი და საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის წესები;

<sup>362</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის №2/5/658 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15.

ორიენტაციის გამო მოხდა?“) თუ შეფასებებში და მიღებულ გადაწყვეტილებებში (სასჯელის დანიშვნის დროს სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობა, შეუწყნარებლობის მოტივის ორგზის (ერთი როგორც ქმედების შემადგენლობის, მეორე როგორც დამამძიმებელი გარემოების) შეფასება და სხვა. „ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა მოსამართლეთა განათლების ნაკლებობა ან მათი დამოკიდებულება ადამიანის უფლებების ზოგად სტანდარტებთან და ანტიდისკრიმინაციულ ჩარჩოსთან მიმართებით.“<sup>363</sup>

- ✓ **დატვირთულობის მაღალი დონე, რესურსების სიმცირე** - სასამართლოთა მაღალი დატვირთულობა მცირე რესურსის პირობებში არის ის პრობლემა, რომელზეც სახალხო დამცველმა მიუთითა ჯერ კიდევ 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში: „ბოლო წლების განმავლობაში სასამართლო სისტემაში არსებულ ერთ-ერთ პრობლემად მოსამართლეთა არათანაბარი დატვირთულობა სახელდება.“<sup>364</sup> მაღალი დატვირთულობა აბრკოლებს სრულყოფილი სამართალწარმოების დროულად განხორციელებას;
- ✓ **სამოსამართლო საქმიანობის განმახორციელებელ პირთა მიკერძოებული, სტერეოტიპული თუ სიძულვილის შემცველი დამოკიდებულებები** - „სამწუხაროდ, მოსამართლეთა სოციალურ მედიაში განხორციელებულ აქტიურობაზე დაკვირვებამ გამოავლინა არაერთი შემთხვევა, სადაც მოსამართლეები გამოხატავდნენ სავარაუდო დისკრიმინაციულ ან სტერეოტიპულ დამოკიდებულებას სხვადასხვა ნიშნით განსაზღვრული ჯგუფების მიმართ.“<sup>365</sup>

<sup>363</sup> ინტერვიუ ექსპერტთან (ე.ს.).

<sup>364</sup> სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022, გვ. 106, <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>365</sup> უფლებები საქართველო, „მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლება სოციალურ მედიაში და მისი შესაბამისობა საერთაშორისო და ადგილობრივ კანონმდებლობასა და სამოსამართლო ეთიკის სტანდარტებთან“, 2021, გვ. 28,

„მოსამართლეთა ნაწილი სოციალურ ქსელებში აქვეყნებს დისკრიმინაციული ხასიათის პოსტებს.“<sup>366</sup> „სასამართლოს დონეზე ხშირია სტერეოტიპული მიდგომები და არასაკმარისი სენსიტიურობა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მიმართ.“<sup>367</sup> მიკერძოებულმა დამოკიდებულებამ შესაძლებელია გავლენა მოახდინოს მოსამართლის შინაგან რწმენაზე და შეფასების მიღმა დატოვოს დანაშაულის ჩადენის შესაძლო შეუწყნარებლობის მოტივი, ან მოტივი დადასტურებულად მიიჩნიოს, თუმცა, გამოიყენოს მსუბუქი პასუხისმგებლობის სახე და ზომა, აღნიშნული განსაკუთრებით პრობლემურია თუ სააპელაციო ან/და საკასაციო ინსტანცია არ ახდენს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენის გამოსწორებას;

- ✓ შედარებით მსუბუქი სასჯელის გამოყენება - ამ კატეგორიის დანაშაულზე სასამართლო უმეტეს შემთხვევაში იყენებს პირობით მსჯავრს,<sup>368</sup> რაც არის არა მხოლოდ შეუსაბამო, არამედ ახალისებს ამ კატეგორიის დანაშაულის ჩადენას. ევროსასამართლომ ეროვნული სასამართლოების მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის მიმართ არასათანადო მოპყრობის ჩამდენი პირების მიმართ მსუბუქი სანქციის გამოყენება ჩათვალა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად.<sup>369</sup> შესაბამისად, ეროვნულმა სასამართლოებმა ორ გარემოებას უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება - 1. შეფასების მიღმა არ

---

<https://drive.google.com/file/d/1OaziDQyXIuyHVAy7Vn43ludKLt3IJPf4/view> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>366</sup> უფლებები საქართველო, „მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლება სოციალურ მედიაში და მისი შესაბამისობა საერთაშორისო და ადგილობრივ კანონმდებლობასა და სამოსამართლო ეთიკის სტანდარტებთან“, 2021, გვ. 7,

<https://drive.google.com/file/d/1OaziDQyXIuyHVAy7Vn43ludKLt3IJPf4/view> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>367</sup> ინტერვიუ ექსპერტთან (ე.ს.).

<sup>368</sup> საერთო სასამართლოების განაჩენები და დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა, <https://tinyurl.com/ffhd6bhs> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>369</sup> ECHR, Ochigava v. Georgia, {2023}, 59-62. Enukidze and Girgvliani v. Georgia, {2011}, 254, 266, Vladimer Mtchedlishvili v. Georgia, {2023}.

დატოვოს შეუწყნარებლობის მოტივი და 2. გამოიყენოს პროპორციული სასჯელი;

- ✓ **სამოსამართლო საქმიანობის კანონიერად განხორციელებასთან დაკავშირებით არსებული ნდობის ნაკლებობა ან არ არსებობა** - თუ სასამართლო საზოგადოების მიერ არ აღიქმება დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და ობიექტურ ინსტიტუტად მის მიმართ ნდობის ხარისხი არის ძალიან დაბალი, რაც შედეგად იწვევს მიმართვიანობის თუ თანამშრომლობის სურვილის შემცირებას. ამგვარი ნდობის არსებობისთვის აუცილებელია „ყველა საჭირო, საკმარისი და ადეკვატური პროცედურითა თუ გარანტიით სასამართლოს აღჭურვა.“<sup>370</sup>

დანაშაულის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენის თაობაზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიმღები არის მოსამართლე, სწორედ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის საბოლოო გადაწყვეტილება, რაც ერთიორად ზრდის მოსამართლის სათანადო კვალიფიკაციის და მგრძობელობის მნიშვნელობას. დისკრიმინაციის დაუშვებლობა, მიუკერძოებლობასთან და ობიექტურობასთან ერთად არის გარანტი იმისა, რომ მოსამართლე სრულყოფილად განახორციელებს ეფექტიან მართლმსაჯულებას.

## 5.6 სხვა მნიშვნელოვანი ხარვეზები

გარდა ზემოგანხილული დამაბრკოლებელი გარემოებებისა, პრაქტიკაში არსებობს სხვა მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომლებიც აფერხებს ეფექტიან სამართალწარმოებას. მათ შორის:

- ✓ **საზოგადოების დაბალი ცნობიერება და ინფორმირებულობა** - ამ კატეგორიის დანაშაულებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერება და ინფორმირებულობა არის დაბალი, რაც ხელს უშლის

---

<sup>370</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-101.

არა მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელებას (მაგალითად, მოწმე უარს აცხადებს საგამოძიებო უწყებასთან სრულყოფილ თანამშრომლობაზე, არ საუბრობს შეუწყნარებლობის მოტივზე ან ამართლებს მოძალადის ქმედებას, რაც თავის მხრივ ამ უკანასკნელის წახალისებას იწვევს), არამედ ხელს უწყობს ახალი დანაშაულის ჩადენასაც (მიკერძოებული დამოკიდებულება, რომ კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენლები ღირსები არიან იმ ქმედებების, რომლებიც მათ მიმართ ხორციელდება, ხელს უწყობს საზოგადოების აზრის ფორმირებას, რომ ეს ასეც უნდა ხდებოდეს). სამწუხაროდ, სახელმწიფოს არ აქვს სტრატეგია, როგორ იბრძოლოს სიძულვილის წინააღმდეგ, პირიქით, დღეს არსებული მოცემულობა სიძულვილისთვის და დაპირისპირებისთვის ყველაზე ხელსაყრელ გარემოს ქმნის. „მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საზოგადოების დიდი ნაწილის წინასწარგანწყობები და ინფორმირებულობის დაბალი დონე ქმნის ნოყიერ ნიადაგს სიძულვილის ენისთვისა და შესაბამისი ძალადობისთვის, ხოლო სახელმწიფო არ ახორციელებს კოორდინირებულ და ღირებულებებზე დაფუძნებულ განათლებასა და ცნობიერების ამაღლებას. ამასთან, სახელმწიფო ორგანოები პროაქტიულად არ თანამშრომლობენ ამ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან ანდა დაზარალებულ ჯგუფებთან“;<sup>371</sup>

- ✓ შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების თაობაზე პოლიტიკური ლიდერების, მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი პირების გაუცნობიერებლობა, მათ მიერ დისკრიმინაციის თუ ძალადობის წახალისება - ცალკეულ შემთხვევებში პოლიტიკური ლიდერის,<sup>372</sup>

<sup>371</sup> ინტერვიუ ექსპერტთან (ე.ს.)

<sup>372</sup> იმ დროინდელი პრემიერ მინისტრის ი. ღარიბაშვილის განცხადება, <<https://www.facebook.com/TVFormula/videos/1409320152770600>>[უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

პარლამენტარების,<sup>373</sup> ჟურნალისტების<sup>374</sup> თუ საზოგადოებისთვის ცნობილი პირების<sup>375</sup> საჯარო განცხადებები შეიცავს სიძულვილის და დისკრიმინაციის წახალისებას. სახალხო დამცველის განმარტებით „პოლიტიკური თანამდებობის პირები ხშირად ხელს უწყობენ დაუცველი ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციის წახალისებას.“<sup>376</sup> განცხადებები, რომლებიც ყოველდღიურად კეთდება სხვადასხვა პლატფორმაზე (მედია საშუალებების მეშვეობით, სოციალური ქსელების მეშვეობით და სხვა) ახალისებს არა მხოლოდ დისკრიმინაციას, არამედ აღნიშნულის საფუძველზე ახდენს ჩაგვრის, დანაშაულის ჩადენის ნორმალიზებას. „სისტემურ დონეზე, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს სუსტი და ფრაგმენტული სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ვერ პასუხობს საზოგადოების საჭიროებებს და ვერ უზრუნველყოფს უმცირესობების დაცვას.

---

<sup>373</sup> ბექა ოდიშარიას განცხადება ნატალია საბანაძის გამოსვლასთან დაკავშირებით <<https://www.interpressnews.ge/ka/article/802257-beka-odisharia-tvals-vadevnebd-kongresshi-mosmenas-da-dilamde-qurshi-chamesmoda-ha-shen-kiku-tumani-da-gaixade-gaixades-sulgaqidulma-adamianebma-romlebic-itxoven-sakartvelos-sakutari-tanamemamuleebis-dasankcirebas/>> ირაკლი ბერაიას განცხადება თეონა აქუბარდიასთან დაკავშირებით, ალუდა ლუდუშაურის განცხადება ანა წითლიძესთან დაკავშირებით, <<https://tabula.ge/ge/news/709557-ghudushauri-citlidzes-parchaki-bandzi-adamiani>> <<https://tabula.ge/ge/news/709566-beraia-akubardiaz-grdzeli-qvelgan-namqopi-enit>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>374</sup> ჟურნალისტის არმენოფობიური შეკითხვები მამუკა ხაზარაძეს - <<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%90-%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9D/33158966.html>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>375</sup> ლ. ვასაძის განცხადება <<https://netgazeti.ge/news/372545/>> <<https://publika.ge/homofobiuri-da-muqaris-shemcveli-gdi-levan-vasadzis-gushindel-ganckhadebaze/>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>376</sup> სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ, 2021, 5, <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2020060315304547189.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

საგანგაშოა, რომ ზოგჯერ თვითონ სახელმწიფო იჩენს დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას კონკრეტული ჯგუფების მიმართ“;<sup>377</sup>

✓ **სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოებული სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის განუხორციელებლობა** - მართლმსაჯულების განმახორციელებელი უწყებები 2020 წლიდან ახორციელებენ შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას და გამოქვეყნებას, თუმცა, არ ახდენენ ამ მონაცემების გაანალიზებას და მის საფუძველზე შესაბამისი პოლიტიკის დაგეგმვას. „არ არსებობს საკმარისი სტატისტიკა და მონაცემთა ანალიზი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ, რაც აფერხებს ეფექტიანი პრევენციული ზომების დაგეგმვას“;<sup>378</sup> „გარდა ამისა, გაუმჯობესებას საჭიროებს მონაცემები, რომლებიც ქვეყნდება დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ მემორანდუმის ფარგლებში .... უკეთესი და უფრო ზუსტი იქნებოდა, რომ კონკრეტული მუხლით კვალიფიცირებული საქმეები ჩაიშალოს, მაგალითად, ნიშნისა და მსხვერპლს/ჩამდენს შორის სოციალური კავშირის მიხედვით.“<sup>379</sup>

✓ **ცალკეული სახელმწიფო უწყებების გაუმართავი ფუნქციონირება** - ამ კუთხით განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ორ უწყებაზე - საექსპერტო და სათარჯიმნო მომსახურების გამწვევ უწყებებზე. ექსპერტიზის ჩატარების კუთხით პრობლემურია, როგორც

<sup>377</sup> ინტერვიუ ექსპერტთან (ე.ს.).

<sup>378</sup> ინტერვიუ ექსპერტთან (ე.ს.).

<sup>379</sup> სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის ანგარიშზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), 2024, 43-44. <chrome-extension://efaidnbmninnnibpcajpcglclefindmkaj/<https://ombudsman.ge/res/docs/2024102811372276414.pdf>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

კადრების სიმცირე,<sup>380</sup> ისე არასაკმარის სამუშაო დრო.<sup>381</sup> სათარჯიმნო მომსახურების ნაწილში პრობლემურია თარჯიმანთა კომპეტენცია (არის შემთხვევები, როდესაც თარჯიმნები ვერ ახდენენ სწორად და სრულყოფილად თარგმანის განხორციელებას) და გადატვირთულობა (დროის მცირე მონაკვეთში და შეუსვენებლად არაერთ საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობა, სახელმწიფო უწყებებში მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელება).

აღნიშნული ხარვეზები ერთობლიობაში წარმოადგენს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე ეფექტიანი სამართალწარმოების დამაბრკოლებელ გარემოებებს.

---

<sup>380</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თანასწორობა ჩვენი უფლებაა და უნდა იყოს ჩვენი მომავალი, ქალთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, 2022, გვ. 7, <<chrome-extension://efaidnbnmnnibpcajpcglclefindmkaj/https://gyla.ge/files/8%20%e1%83%9b%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%a1%20%e1%83%92%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%aa%e1%83%ae%e1%83%90%e1%83%93%e1%83%94%e1%83%91%e1%83%90.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>381</sup> სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ, 2021, გვ. 14; 68, <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2020060315304547189.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

## თავი VI. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების თაობაზე მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და გამოქვეყნების მნიშვნელობა<sup>382</sup>

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის თაობაზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ამ კატეგორიის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულების პირნათლად შესრულების გზაზე.

სტატისტიკური მონაცემების წარმოების აუცილებლობაზე და აღნიშნული მონაცემების ანალიზის მნიშვნელობაზე ხაზგასმულია არაერთ დოკუმენტში, მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომისიის (ECRI) მიერ 2016 წელს საქართველოსთვის მომზადებული რეკომენდაციები, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება სრულად აღნუსხოს იმ დანაშაულთა რაოდენობა, რომლებშიც იკვეთება დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი.<sup>383</sup> აღსანიშნავია, რომ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია (ECRI) ჯერ კიდევ 1998 წელს განმარტავდა, რომ ამ კატეგორიის დანაშაულზე სტატისტიკის წარმოება მნიშვნელოვანია მის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმის

---

<sup>382</sup> აღნიშნულ საკითხზე თემატური სტატიები იხ.: გელოვანი ნ., „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული და ამ კატეგორიის დანაშაულზე ეფექტიანი სამართალწარმოების დამაბრკოლებელი გარემოებები“, სტატიათა კრებული: „ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება“, 2022, გვ. 48-76. <https://georgia.un.org/sites/default/files/2022-12/KREBULI%2BKDA.pdf> გელოვანი ნ., „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი, 2020 (ოქტომბერ-დეკემბერი) წლის ანგარიშის ანალიზი“, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, 2022, 8 (2), გვ. 35-55. <<https://lawandworld.ge/index.php/law/article/view/304/271>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>383</sup> ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, მოხსენება საქართველოს შესახებ, 2016, 48-ე პუნქტი, <<https://bit.ly/3Ho59Oi>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

შესამუშავებლად,<sup>384</sup> ასევე იმ კანონმდებლობის ეფექტიანობის შესაფასებლად, რომელიც ქვეყანაში არსებობს ამ კატეგორიის დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად.<sup>385</sup> გარდა ECRI-ს რეკომენდაციებისა, სტატისტიკის წარმოების ვალდებულებას ითვალისწინებს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მინისტრთა საბჭოს 2009 წლის (9/09) გადაწყვეტილება.<sup>386</sup> ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს აღნიშნულ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის და თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.<sup>387</sup>

სტატისტიკური მონაცემების ქონა სახელმწიფო უწყებებს აძლევს შესაძლებლობას სრულყოფილად შეისწავლონ საკითხი, ჩაატარონ სიღრმისეული კვლევები და ანალიზები აღნიშნული დანაშაულის გავრცელების მასშტაბების, ხასიათისა და ბუნების, ზემოქმედების ხარისხის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიის დანაშაული ხასიათდება დაბალი მიმართვიანობით, რაც თავის მხრივ ხელს უშლის მის აღრიცხვიანობას. მიმართვიანობის დამაბრკოლებელ ფაქტორებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს რამდენიმე გარემოება, მათ შორის:

- დაცული ნიშნის მატარებელი ჯგუფისადმი იდენტიფიცირების შიში - მსხვერპლს აქვს გაცდა, რომ დანაშაულზე მიმართვის შემთხვევაში მოხდება მისი ამ ჯგუფისადმი გაიგივება, ასოცირება ანდა მიკუთვნებულობა;

---

<sup>384</sup> Council of Europe, European Commission against Racism and Intolerance (ECRI), General Policy Recommendation (GPR) No. 4 On the National Surveys on the Experience and Perception of Discrimination and Racism from the Point of View of Potential Victims, 06/03/1998, 3.

<sup>385</sup> European Commission, Measuring Discrimination—Data Collection and EU Equality Law, 2006, 6.

<sup>386</sup> OSCE Ministerial Council, Decision No. 9/09 on Combating Hate Crimes, OSCE Ministerial Council, Athens, 2009, 2-3, <<https://www.osce.org/cio/40695>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>387</sup> ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), საქართველო <<https://hatecrime.osce.org/georgia>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

- სახელმწიფო უწყებებისადმი უნდობლობა, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს წინარე ცუდი გამოცდილებით;
- დაუცველობის განცდა, შიში, რომ სახელმწიფო უწყებებისათვის მიმართვიანობამ შეიძლება უარესი შედეგი გამოიწვიოს და სხვა.

არ გარემოებების ფონზე მით უფრო მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გამოიყენოს მიმართვიანობის შემთხვევები და გაანალიზოს სტატისტიკური მონაცემები არა მხოლოდ ციფრების მეშვეობით, არამედ შინაარსობრივი კუთხითაც.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი არ წარმოადგენს რომელიმე კონკრეტული ერთი ქვეყნის პრობლემას, ყველაზე პროგრესულ ქვეყნებსაც აქვთ გამოწვევები, ფაქტობრივად ყოველდღიურად მიმდინარეობს არსებული მეთოდის თუ პრაქტიკის დახვეწა და გაუმჯობესება. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვთ ევროპის ქვეყნებს, კერძოდ: შვედეთს, გაერთიანებული სამეფოს, ხორვატიას, ნორვეგიას.

## 6.1 საქართველო

საქართველომ ბოლო წლებში არაერთი ნაბიჯი გადადგა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კატეგორიის დანაშაულზე სტატისტიკის წარმოება დიდი ხანია წარმოადგენს გამოწვევას. სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2018 წელს ზოგადი წინადადებით მიმართა საქართველოს პროკურატურასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეწარმოებინათ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სტატისტიკა დისკრიმინაციისგან დაცული საფუძვლის მითითებით.<sup>388</sup> აღნიშნული

<sup>388</sup> სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე, 2018, გვ. 12, <<https://ombudsman.ge/geo/zogadit-sinadadeba/saxalxo-damcvelma-diskriminaciuli-motivit-chadenili-danashaulebis-gamodziebis-xarvezebtan-dakavshirebit-sagamodziebo-organoebis-mimarta>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

ზოგადი წინადადება არ მოიაზრებდა ამ სტატისტიკური ციფრების მხოლოდ მშრალად წარმოების რეკომენდაციას, არამედ მოუწოდებდა სახელმწიფო უწყებებს სტატისტიკის წარმოებისთვის სპეციალური, გამართული მოდელის შემუშავებას, რომელიც პრაქტიკაში არსებული პრობლემების და სირთულეების დადგენის მიზნით მოახდენდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამომწვევი გარემოებების, მიზეზების და ფაქტორების დადგენას, მისი გამოვლენის დამაბრკოლებელი გარემოებების გამოვლენას, გაანალიზებას და შემდგომში მის წინააღმდეგ ეფექტური რეაგირების სამოქმედო გეგმის შემუშავებას.<sup>389</sup>

საქართველომ ვალდებულების შესრულება 2020 წელს დაიწყო, როდესაც სახელმწიფო უწყებებს (შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურა, უზენაესი სასამართლო, სტატისტიკის ეროვნული სამსახური) შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ (შემდგომში მემორანდუმი).<sup>390</sup> 2023 წლიდან აღნიშნული მემორანდუმის მონაწილე გახდა სპეციალური საგამომიებო სამსახურიც.<sup>391</sup>

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, 2021 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, რომელიც შეეხებოდა „იდენტობას ჯგუფის“<sup>392</sup> საქმეებს, დადებითად შეაფასა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის

---

<sup>389</sup> სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე, 2018, გვ. 12, <<https://ombudsman.ge/geo/zogadi-tsinadadeba/saxalxo-damcvelma-diskriminaciuli-motivit-chadenili-danashaulebis-gamodziebis-xarvezebtan-dakavshirebit-sagamodziebo-organoebis-mimarta>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>390</sup> თანამშრომლობის მემორანდუმი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/<https://www.geostat.ge/media/57913/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98---GEO-.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>391</sup> იხ. სქოლიო №274.

<sup>392</sup> ამ სახელის ქვეშ მოიაზრება საქმეები, რომელიც განხორციელდა კერძო პირების მიერ ლგბტი+ აქტივისტების (2012 და 2013 წლებში) და იეჰოვას მოწმეების (1999-2001 წლებში ძალადობრივი შეხვედრების დროს) მიმართ.

სტატისტიკის წარმოების ახალი სისტემა, თუმცა, სახელმწიფოს მოუწოდა ეს მექანიზმი გაეუმჯობესებინა სტატისტიკური მონაცემების ანალიტიკური კომპონენტის გაძლიერების გზით.<sup>393</sup> 2025 წლის 4-6 მარტს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა კიდევ ერთხელ იმსჯელა მოცემულ საკითხზე და განმარტა, რომ სპეციალური საგამომიებო სამსახურის მიერთება სტატისტიკის წარმოების მემორანდუმზე არის დადებითი ნაბიჯი, თუმცა, თავად სტატისტიკის წარმოების მოქმედი მოდელი ვერ პასუხობს არსებულ მოთხოვნებს - „როგორც უკვე აღინიშნა წინა შეფასების დროს, აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით შეუძლებელია რაიმე მნიშვნელოვანი ტენდენციების დადგენა“.<sup>394</sup>

სტატისტიკური მონაცემების არსებობა მნიშვნელოვანია, თუმცა მათი სათანადო ანალიზის გარეშე მხოლოდ ციფრები არ არის საკმარისი სწორი დასკვნების გასაკეთებლად. სწორედ ამ ანალიტიკური კომპონენტის გაძლიერების საკითხზე ამხვილებს ყურადღებას საქართველოს სახალხო დამცველიც, როდესაც აღნიშნავს, რომ აუცილებელია სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, რათა მოხდეს შეუწყნარებლობის მიზეზების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრა.<sup>395</sup> სახალხო დამცველი განმარტავს ასევე, რომ სახელმწიფო „არ აანალიზებს ლგბტ ჯგუფის მიმართ საზოგადოებრივ დამოკიდებულებებს და არ იკვლევს დისკრიმინაციის ძირითად გამომწვევ მიზეზებს.“<sup>396</sup> 2023 წელს საქართველოს სახალხო

---

<sup>393</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (2021, 2 დეკემბერი) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2021 წლის 2 დეკემბრის №73235/12 გადაწყვეტილება, <[https://hudoc.exec.coe.int/eng#f%22execidentifier%22:%22CM/Del/Dec\(2021\)1419/H46-14E%22](https://hudoc.exec.coe.int/eng#f%22execidentifier%22:%22CM/Del/Dec(2021)1419/H46-14E%22)> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>394</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (2025, 4-6 მარტი), ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2025 წლის 4-6 მარტის №73235/12 გადაწყვეტილება, <<https://hudoc.exec.coe.int/#f%22execidentifier%22:%222004-5894%22>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>395</sup> სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიშზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, 2022, 7, <<https://bit.ly/3J4OpNc>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>396</sup> სახალხო დამცველის 2021 წლის ოქტომბრის კომუნიკაცია იდენტობის ჯგუფის საქმეების შესახებ, 4, <<https://bit.ly/3OICdb3>> ასევე, სახალხო დამცველის ანგარიში, „ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში“, 2021.

დამცველმა ევროპის მინისტრთა კომიტეტს წარუდგინა ახალი კომუნიკაციები „იდენტობის ჯგუფის“ საქმეებზე ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მიმდინარეობის შესახებ, სადაც ყურადღება გაამახვილა ამ კატეგორიის დანაშაულზე სტატისტიკის წარმოების მნიშვნელობაზე და არსებული მექანიზმის ხარვეზებზე: „სტატისტიკური მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესაძლო მიზეზების ანალიზს და იმ სირთულეების შეფასებას, რომელიც დაკავშირებულია სიძულვილის მოტივის გამოვლენასთან.“<sup>397</sup> ანალოგიურ გარემოებებზე საუბრობს სახალხო დამცველი თავის 2024 წლის კომუნიკაციაში „თხელიძის ჯგუფის“<sup>398</sup> საქმეებზე ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მიმდინარეობის შესახებ. დამატებით უთითებს, რომ სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოებული „ანგარიში არ აკავშირებს განსხვავებულ ცვლადებს ისე, რომ შესაძლებელი იყოს დანაშაულის მიზეზების, გავრცელების მასშტაბების ან ბუნების ანალიზი.“<sup>399</sup>

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (ეუთო), რომელსაც აწვდის სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებულ სტატისტიკურ

---

<https://ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/lgbt-jgufis-uflebrivi-mdgomareobis-shefaseba-sakartveloshi> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>397</sup> სახალხო დამცველის 2023 წლის 19 თებერვლის კომუნიკაცია იდენტობის ჯგუფის საქმეების შესახებ, 8, 17, <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsvelma-evropis-sabchos-ministrta-komitets-identobis-jgufis-sakmeebze-adamianis-uflebata-evropuli-sasamartlos-gadatsqvetilebebis-aghsrulebis-mdgomareobis-shesakheb-komunikatsia-tsarudgin> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>398</sup> ეს საქმეები ეხება 2014-2017 წლებში საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე სახელმწიფოს მიერ არაეფექტური პრევენციული ღონისძიების განხორციელების შემთხვევებს: A და B საქართველოს წინააღმდეგ, გაიდუკვირი საქართველოს წინააღმდეგ, თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ.

<sup>399</sup> სახალხო დამცველის 2024 წლის ოქტომბრის კომუნიკაცია თხელიძის ჯგუფის საქმეების შესახებ, 8, 19, <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelma-sakartvelos-parlaments-evropuli-sasamartlos-mier-sakartvelos-mimart-gamotanili-gadatsqvetilebebis-aghsrulebis-mdgomareobis-shesakheb-alternatiuli-angarishi-tsarudgina> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

მონაცემებს. 2020 წლამდე სწორედ ეუთოს ვებ-გვერდზე იყო შესაძლებელი გარკვეული სახის სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება.<sup>400</sup>

2020 წელს ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით სახელმწიფო უწყებებს შორის გაფორმებული მემორანდუმი დანართების სახით დეტალურად განსაზღვრავს იმ სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების ვალდებულებას, რაც გათვალისწინებულია თითოეული უწყებისთვის. დანართით ცალ-ცალკეა განსაზღვრული რა ინფორმაციას აგროვებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სპეციალური საგამომძიებო სამსახური, გენერალური პროკურატურა და უზენაესი სასამართლო.

მემორანდუმს ორი მიზანი აქვს:<sup>401</sup>

- „შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემების შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავებისა და გამოქვეყნების სფეროში მემორანდუმის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობის პრინციპის, სტანდარტისა და წესების განსაზღვრა“;
- „შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემების შეგროვების, დამუშავების, ანალიზის, ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავებისა და გამოქვეყნების წესების განსაზღვრა.“

მემორანდუმი ავალდებულებს მხარეებს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებული კონკრეტული, სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, უწყებებს შორის გაცვლას და გამოქვეყნებას. მემორანდუმის თანახმად: შინაგან საქმეთა

---

<sup>400</sup> ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), საქართველო <<https://hatecrime.osce.org/georgia>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>401</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2020). თანამშრომლობის მემორანდუმი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ, 2020, 2, მუხლი 1.1. და მუხლი 1.2. <chrome-extension://efaidnbnmnnibpcajpcglcfindmkaj <https://www.geostat.ge/media/57913/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98---GEO-.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

სამინისტრო, სპეციალური საგამომიებო სამსახური, გენერალური პროკურატურა და უზენაესი სასამართლო საანგარიშო წლის განმავლობაში მემორანდუმის დანართით განსაზღვრული მონაცემების საწარმოებლად საჭირო ინფორმაციას ოთხჯერ ცვლიან ერთმანეთში - 15 აპრილის, 31 ივლისის, 15 ოქტომბერს და საანგარიშო პერიოდის მომდევნო წლის 31 იანვარს, რის შემდეგაც უწყებები ახორციელებენ აღნიშნული მონაცემების შესწავლა - შედარებას და დამუშავებას.

ინფორმაციების გაცვლის შემდგომ, მემორანდუმის მონაწილე უწყებები წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 20 თებერვლისა, მთელი წლის (1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით) სტატისტიკურ მონაცემებს აწვდიან საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენაზე, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია აღნიშნული მონაცემები არაუგვიანეს 1 მარტისა გამოაქვეყნოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე.<sup>402</sup>

თანამშრომლობის მემორანდუმის წევრი არის მართლმსაჯულების განმახორციელებელი ოთხი მთავარი უწყება, თუმცა, ის არ არის სრულყოფილი, ვინაიდან მისი ხელმომწერია არ არის ყველა ის სახელმწიფო უწყება, რომელსაც საგამომიებო უფლებამოსილება აქვს, მათ შორის: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. მართალია აღნიშნული უწყებები შედარებით ნაკლებ საქმეზე ახორციელებენ საგამომიებო უფლებამოსილებას, თუმცა, საქართველოს სსკ-ის ზოგიერთი დანაშაული, რომელიც თავისი არსით სრულად დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ხორციელდება (მაგალითად სსკ-ის 142-ე, 142<sup>1</sup>-ე, მუხლები) ექცევა მაგალითად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის

---

<sup>402</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2020). თანამშრომლობის მემორანდუმი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ, 2020, გვ. 2-3, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/  
<https://www.geostat.ge/media/57913/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98---GEO-.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

საგამოძიებო ქვემდებარეობის ქვეშ,<sup>403</sup> შესაბამისად, თუნდაც მონაცემების სრულყოფილად წარმოების მიზნით, აუცილებელია მემორანდუმის მონაწილე იყოს ყველა საგამოძიებო უფლებამოსილების მქონე უწყება.

#### **6.1.1 შინაგან საქმეთა სამინისტროს და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 404 მიერ წარმოებული სტატისტიკური ინფორმაცია**

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებს აგროვებს და აქვეყნებს ორი უწყება - შინაგან საქმეთა სამინისტრო და სპეციალური საგამოძიებო სამსახური (2023 წლიდან). აღნიშნული უწყებები, სხვა უწყებებთან შედარებით ყველაზე მცირე ინფორმაციას აგროვებენ და აქვეყნებენ, კერძოდ: გამოძიების დაწყების საერთო რაოდენობას, ტერიტორიულ განფენილობას (საქართველოს რომელ რეგიონში რამდენ ასეთ დანაშაულზე დაიწყო გამოძიება), დისკრიმინაციის კონკრეტულ ნიშნით დაწყებული გამოძიებების რაოდენობას, სსკ-ის რომელი მუხლით რამდენ საქმეზე დაიწყო გამოძიება და საქართველოს თითოეულ რეგიონში დისკრიმინაციის თითოეულ ნიშანზე რამდენ საქმეზე დაიწყო გამოძიება, ასევე მონაცემებს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობასთან დაკავშირებით.<sup>405</sup>

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ყოველწლიურად იზრდება ამ კატეგორიის დანაშაულებზე გამოძიების დაწყების ჯამური რაოდენობა, თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ იზრდება დისკრიმინაციის ყველა ნიშანზე გამოძიების დაწყების მაჩვენებელი.

---

<sup>403</sup> საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს №3 ბრძანება - სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ, 4.

<sup>404</sup> იხ. სქოლიო №274.

<sup>405</sup> აღსანიშნავია, რომ მართალია მემორანდუმში შინაგან საქმეთა სამინისტროს და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მითითებული აქვთ ამ მონაცემების წარმოების ვალდებულებაზე, თუმცა ანგარიშში ამ სტატისტიკაზე ინფორმაცია არ მოიპოვება.

გამოძიების დაწყების სტატისტიკა წლების მიხედვით:<sup>406</sup>

დისკრიმინაციის ნიშანი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
საერთო რაოდენობა	1703	1802	1824	2002
შეზღუდული შესაძლებლობა	18	10	10	22
რელიგია	19	6	4	17
გენდერული იდენტობა	48	38	25	14
რასა <sup>407</sup>	53	50	40	43
სექსუალური ორიენტაცია	58	36	19	13
პოლიტიკური ან სხვა შეხედულება	69	44	27	107
გენდერი	1394	1579	1667	1732
სხვა ნიშნები და მათი ერთობლიობა	107	39	32	54

ყველაზე ხშირად გამოძიება იწყება გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, სტატისტიკურად შემდგომ მოდის პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ნიშნით დანაშაულის შესაძლო ჩადენა, მაღალია ასევე რასის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნებით გამოძიების დაწყების მაჩვენებელი.

2024 წელს წინა საანგარიშო წლებთან შედარებით შემცირებულია გენდერის, რასის, გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოძიების დაწყების მაჩვენებლები, ხოლო, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით გამოძიების დაწყების მაჩვენებლები გაზრდილია.

ტერიტორიულ განფენილობას რაც შეეხება, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ხშირად ამ

<sup>406</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა, <<https://tinyurl.com/ffhd6bhs>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>407</sup> აღსანიშნავია, რომ მემორანდუმის მხარეები რასის ნიშნის ქვეშ აერთიანებენ დისკრიმინაციის რამდენიმე ნიშანს - რასა, კანის ფერი, ენა, მოქალაქეობა, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილება, წარმოშობა.

კატეგორიის დანაშაულზე გამოძიება იწყება თბილისის, აჭარის, იმერეთის და ქვემო ქართლის ტერიტორიულ ერთეულში.<sup>408</sup>

ტერიტორიული განფენილობა	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
საერთო რაოდენობა	1703	1802	1824	2002
თბილისი	520	595	539 <sup>409</sup>	567 <sup>410</sup>
აფხაზეთი	1	-	0	1
აჭარა	285	274	270	314
კახეთი	80	93	95	122
შიდა ქართლი	41	56	78	93
ქვემო ქართლი	206	218	254	251
იმერეთი	246	243	258 <sup>411</sup>	312 <sup>412</sup>
გურია	74	57	40	36
სამეგრელო და ზემო სვანეთი	72	31	53	80
სამცხე-ჯავახეთი	41	55	62	48
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4	10	7	2
მცხეთა-მთიანეთი	24	37	61	50
საპატრულო პოლიცია	109	133	106	111
ცკპდ <sup>413</sup>	0	0	0	6
სასაზღვრო პოლიცია	0	0	0	-

აუცილებელია აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ გამოძიების დაწყების დროს მინიჭებული კვალიფიკაციის მიხედვით ყველაზე ხშირად

<sup>408</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა, <<https://tinyurl.com/ffhd6bhs>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>409</sup> იგულისხმება შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები (527) + სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მონაცემები (აღმოსავლეთ საქართველო 12, აღნიშნული უწყება უფრო ჩაშლილად არ აწარმოებს მონაცემებს);

<sup>410</sup> იგულისხმება შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები (498) + სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მონაცემები (აღმოსავლეთ საქართველო 69, აღნიშნული უწყება უფრო ჩაშლილად არ აწარმოებს მონაცემებს);

<sup>411</sup> იგულისხმება შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები (255) + სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მონაცემები (დასავლეთ საქართველო 3, აღნიშნული უწყება უფრო ჩაშლილად არ აწარმოებს მონაცემებს);

<sup>412</sup> იგულისხმება შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები (295) + სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მონაცემები (დასავლეთ საქართველო 17, აღნიშნული უწყება უფრო ჩაშლილად არ აწარმოებს მონაცემებს);

<sup>413</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი იკვეთება ოჯახში ძალადობის და ძალადობის დანაშაულებზე გამოძიების დაწყების დროს.

გამოძიების შეწყვეტის სტატისტიკა:<sup>414</sup>

დისკრიმინაციის ნიშანი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
საერთო რაოდენობა	90	60	43	84

სამწუხაროდ, ანგარიშში არ არის მოცემული სიღრმისეული ინფორმაცია დისკრიმინაციის რომელი ნიშნით დაწყებულ საქმეებზე წყდება გამოძიება. რაც შეეხება, ტერიტორიული განფენილობას, ამ შემთხვევაშიც წამყვანი ადგილები უკავიათ თბილისის, აჭარის და კახეთის რეგიონებს.

### 6.1.2 საქართველოს პროკურატურის მიერ წარმოებული სტატისტიკური ინფორმაცია

საქართველოს პროკურატურა მემორანდუმის ფარგლებში ყველაზე მეტ ინფორმაციას აგროვებს და აქვეყნებს, კერძოდ: სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან, არ დაწყებასთან თუ შეწყვეტასთან დაკავშირებულ ჩაშლილ სტატისტიკურ მონაცემებს, განრიდებასთან და გამოძიების შეწყვეტასთან დაკავშირებულ მონაცემებს, დაზარალებულთან და ბრალდებულთან, ასევე მათ შორის არსებულ სოციალურ კავშირებთან დაკავშირებულ მონაცემებს და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობასთან დაკავშირებულ მონაცემებს.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ბოლო წლებში საგრძნობლად მომატებულია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მონაცემები.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების სტატისტიკა<sup>415</sup>

დისკრიმინაციის ნიშანი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
-----------------------	-----------	-----------	-----------	-----------

<sup>414</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა, <<https://tinyurl.com/ffhd6bhs>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>415</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა, <<https://tinyurl.com/ffhd6bhs>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<b>საერთო რაოდენობა</b>	<b>834</b>	<b>1172</b>	<b>1218</b>	<b>1240</b>
რელიგია	3	2	1	6
შეზღუდული შესაძლებლობა	7	8	8	10
რასა	9	12	10	7
პოლიტიკური ან სხვა შეხედულება	10	3	3	1
სექსუალური ორიენტაცია	12	37	7	6
გენდერული იდენტობა	24	18	13	5
გენდერი	724	1065	1164	1185
სხვა ნიშნები და მათი ერთობლიობა	45	27	14	20

სტატისტიკური მონაცემების თანახმად სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ტერიტორიული განფენილობა ემთხვევა გამოძიების მონაცემებს. დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ამ შემთხვევაშიც მოდის თბილისზე, აჭარაზე და დასავლეთ საქართველოზე. იგივე ტენდენცია არის შენარჩუნებული დისკრიმინაციის ნიშნთან მიმართებით.

**ტერიტორიული განფენილობა:<sup>416</sup>**

<b>ტერიტორიული განფენილობა</b>	<b>2021 წელი</b>	<b>2022 წელი</b>	<b>2023 წელი</b>	<b>2024 წელი</b>
<b>საერთო რაოდენობა</b>	<b>834</b>	<b>1172</b>	<b>1218</b>	<b>1240</b>
თბილისი	294	423	368	372
აფხაზეთი	0	0	0	1
აჭარა	118	179	190	196
კახეთი	22	65	72	82
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	42	79	111	103
ქვემო ქართლი	114	192	205	169
დასავლეთ საქართველო	178	169	195	228
სამეგრელო და ზემო სვანეთი	42	32	34	54
სამცხე-ჯავახეთი	24	33	43	35

საქართველოს პროკურატურა აგროვებს და აქვეყნებს ინფორმაციას დაკავშირებულს ბრალდებულთა და დაზარალებულთა სქესთან დაკავშირებით, ასევე სოციალურ კავშირებთან დაკავშირებით. მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას ამ დანაშაულში ბრალდებული უმრავლეს

<sup>416</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა, <<https://tinyurl.com/ffhd6bhs>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

შემთხვევაში არის სრულწლოვანი კაცი, დაზარალებული კი 18-დან 60 წლამდე ქალი.<sup>417</sup>

ბრალდებული	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
<b>საერთო რაოდენობა</b>	<b>834</b>	<b>1172</b>	<b>1218</b>	<b>1240</b>
ქალი	7	36	26	22
კაცი	827	1136	1192	1218
14-დან 18 წლამდე	3	15	14	7
18 წლიდან ზევით	831	1157	1204	1233
<b>დაზარალებული</b>				
<b>საერთო რაოდენობა</b>	<b>895</b>	<b>1208</b>	<b>1237</b>	<b>1275</b>
ქალი	757	1102	1178	1224
კაცი	136	105	43	42
ტრანსგენდერი ქალი	-	-	16	7
18 წლამდე	90	78	66	86
18-დან 60 წლამდე	778	1086	1137	1153
60 წლიდან ზევით	25	43	34	34

ბრალდებულის დაზარალებულთან არსებული სოციალური კავშირის შეფასების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ამ დანაშაულს უცნობი ადამიანები იშვიათად ახორციელებენ, ძირითადად ბრალდებული დაზარალებულის მეუღლე ან სხვა ოჯახის წევრია.<sup>418</sup>

სოციალური კავშირი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
მეუღლე	561	780	847	841
მშობელი	39	62	47	59
შვილი	15	32	14	24
მეურვე	0	0	0	0
დამოკიდებული პირი	0	0	0	0
ოჯახის სხვა წევრი	51	79	69	57
ნაცნობი	74	83	100	113
უცნობი	82	119	75	57
ინტიმური პარტნიორი	43	109	137	149

<sup>417</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა, <<https://tinyurl.com/ffhd6bhs>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>418</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა, <<https://tinyurl.com/ffhd6bhs>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

საქართველოს პროკურატურა სხვა სახელმწიფო უწყებებისგან განსხვავებით, გარკვეული პერიოდულობით აქვეყნებს დისკრიმინაციის ცალკეული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებულ ანგარიშებს,<sup>419</sup> თუმცა, აღნიშნული ანგარიშები უმეტესწილად მოიცავს სტატისტიკურ მონაცემებს მშრალად - ცხრილების და გრაფიკების სახით, ნაკლებად არის გაანალიზებული პრობლემური საკითხები, გამომწვევი მიზეზები და არსებული გამოწვევები. ამ ნაწილში აქცენტი უფრო მეტად გაკეთებულია იმაზე თუ რა აქტივობებს და ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს პროკურატურა და რას გეგმავს სამომავლოდ.

### 6.1.3 უზენაესი სასამართლოს მიერ წარმოებული სტატისტიკური ინფორმაცია

საქართველოს უზენაესი სასამართლო აგროვებს მემორანდუმით გათვალისწინებულ მონაცემებს საქართველოს საერთო სასამართლოებისგან. შეგროვებული და გამოქვეყნებული მონაცემები შეეხება შემდეგ საკითხებს: საერთო სასამართლოებში შესული სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა, საანგარიშო პერიოდში განხილული საქმეების რაოდენობა, სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულებისათვის სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი და გამამტყუნებელი განაჩენების რაოდენობა, შესაბამისად გამართლებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა, სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელების სახეები, ასევე სასამართლოთა მიერ სსკ-ის 53<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების მაჩვენებელი.

---

<sup>419</sup> რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულები - 2022-2024 წლები, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/  
[https://pog.gov.ge/uploads\\_script/resources/tmp/phphhCXC6.pdf](https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phphhCXC6.pdf)> შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების ანალიზი, 2023 წელი, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/  
[https://pog.gov.ge/uploads\\_script/resources/tmp/phpfkV7AW.pdf](https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpfkV7AW.pdf)> და სხვა.  
<<https://pog.gov.ge/Crimes-motivated-by-intolerance>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

საერთო სასამართლოების სტატისტიკური მონაცემები:<sup>420</sup>

სტატუსი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
საანგარიშო პერიოდში სასამართლოს მიერ განხილული საქმეების რაოდენობა	463	805	1061	1054
საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებული პირების რაოდენობა	321	585	756	697
საანგარიშო პერიოდში გამართლებული პირების რაოდენობა	63	96	139	182

სასამართლოს მონაცემები ტერიტორიულ განფენილობასთან, დისკრიმინაციის ნიშნთან, დანაშაულის კონკრეტულ სახესთან თუ ფორმასთან, პირდაპირპროპორციულად დაკავშირებულია საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებთან. ვინაიდან სასამართლო შეზღუდულია ბრალდების ფორმულირებით, შესაბამისად, ეს მონაცემები უმეტესწილად თანხვედრაშია საქართველოს პროკურატურის მონაცემებთან.

საგულისხმოა, რომ წლიდან წლამდე იზრდება გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა, სამწუხაროდ, უზენაესი სასამართლო არ ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას იმ გარემოებების თაობაზე, რაც საფუძვლად უდევს გამამართლებელი განაჩენების ზრდას (მტკიცებულებათა სიმცირე, არასაკმარისობა, დაზარალებულთა მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა თუ სხვა), რაც მნიშვნელოვანი იქნებოდა როგორც ბრალდების ისე დაცვის მხარისთვის შემდგომი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

#### 6.1.4 სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

უწყებების მიერ მემორანდუმის საფუძველზე შეგროვებული და გამოქვეყნებული მონაცემები ერთმანეთთან შედარებული, დაკავშირებული

<sup>420</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა, <<https://tinyurl.com/ffhd6bhs>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

ან შეფასებული არ არის და მოიცავს მხოლოდ ციფრებს, მაგალითად სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე დაწყებული გამოძიების რაოდენობა, ამ კატეგორიის დანაშაულის ტერიტორიული განფენილობა რეგიონების მიხედვით და სხვა.

2023 წელს ევროპის საბჭოს მხარდაჭერით მომზადდა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანალიზი, რომლითაც გაანალიზდა 2021 და 2022 წლების სტატისტიკური მონაცემები. დოკუმენტის თანახმად, 2021-2022 წლებში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ყველაზე ხშირად გამოიკვეთა ოჯახური დანაშაულისთვის გამოძიების/სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და სასამართლო განხილვის ეტაპებზე. ყველაზე ხშირად იკვეთება გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირების შემთხვევები, რომელთა ჩადენის ტერიტორიული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია თბილისის, აჭარის, ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონებში. დანაშაულის ჩამდენი პირები უმეტესად არიან დაზარალებულთა მეუღლეები - სრულწლოვანი კაცები, დაზარალებულები კი ასევე სრულწლოვანი ქალები. ყველაზე ხშირად ამ კატეგორიის დანაშაულისთვის სასამართლო სასჯელის სახით იყენებს თავისუფლების აღკვეთას, ასევე მაღალია პირობითი მსჯავრის გამოყენების მაჩვენებელი.<sup>421</sup> აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დოკუმენტი შეაფასა ასევე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, რომელმაც განმარტა, რომ „დოკუმენტი არ იძლევა ყოვლისმომცველ და სრულფასოვან ანალიზს [სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით], ვინაიდან ის უბრალოდ შეიცავს ციფრულ ცვლილებებს საანგარიშო პერიოდში შეგროვებული მონაცემების პროცენტებში.“<sup>422</sup>

<sup>421</sup> ევროპის საბჭო, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანალიზი, საანგარიშო პერიოდი 2021-2022, 2023, 38-39. <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://pog.gov.ge/uploads\_script/resources/tmp/ph\_pma91sr.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>422</sup> სახალხო დამცველის 2024 წლის ოქტომბრის კომუნიკაცია თხელიძის ჯგუფის საქმეების შესახებ, 9, 20 <<https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelma-sakartvelos->

თითოეული უწყება, აღებული პასუხისმგებლობის ფარგლებში, აქვეყნებს სტატისტიკურ ინფორმაციებს, მიუხედავად იმისა, რომ 2023 წელს გარკვეული გაუმჯობესებები განხორციელდა ანგარიშზე მუშაობის თვალსაზრისით, არსებული რეგულირება არ იძლევა სრულყოფილ სურათს საქართველოში ამ კატეგორიის დანაშაულების მასშტაბების, გავრცელების კონკრეტული არეალის, დანაშაულის ჩადენის ხასიათის თუ სხვა მნიშვნელოვანი დეტალის შესახებ, რაც სამომავლოდ შექმნიდა ეფექტურ საფუძველს უფრო ქმედითი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისთვის.

აუცილებელია სახელმწიფო უწყებების მიერ ერთიანად გაანალიზდეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, მაგალითად კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში რომელი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ხდება დანაშაულის ჩადენა, რა სოციალური კავშირი არსებობს დამნაშავესა და მსხვერპლს შორის, რა კატეგორიის (ნაკლებად მძიმე, მძიმე, განსაკუთრებით მძიმე) ძალადობრივი თუ არაძალადობრივი დანაშაულის ჩადენა ხდება, რა მიზეზით ხდება ამ დანაშაულების ჩადენა და სხვა. ამ მონაცემების ერთობლივი და სიღრმისეული ანალიზი მრავალგვარი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემდა, მაგალითად: პირობითად თბილისში ყველაზე ხშირად გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ხდება დანაშაულის ჩადენა ოჯახის წევრებს შორის, დანაშაულის ჩადენის ხერხი არის ფიზიკური ძალადობა, დამნაშავე უმეტესად არის სრულწლოვანი კაცი, რომელიც არის დაზარალებულის - ასევე სრულწლოვანი ქალის, ოჯახის წევრი, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიუხედავად, გარკვეულ შემთხვევებში, სასამართლოში დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის გამო, დგება გამამართლებელი განაჩენი. შესაბამისად, აუცილებელია არა მხოლოდ მოტივის იდენტიფიცირების საკითხზე მართლმსაჯულების განმახორციელებელ პირთა შესაძლებლობის

---

[parlaments-evropuli-sasamartlos-mier-sakartvelos-mimart-gamotanili-gadatsqvetilebebis-aghshrulebis-mdgomareobis-shesakheb-alternatiuli-angarishi-tsarudgina>](#)  
[უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

გაძლიერება, არამედ საზოგადოების ცნობიერების გაზრდა ამ მიმართულებით.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიან ანგარიშში მოცემულია მხოლოდ ციფრები, კონკრეტული ანალიზის თუ შეფასების გარეშე. რიგითი მოქალაქისთვის ანგარიშის სტრუქტურა არ არის მარტივად აღქმადი, საჭიროებს დამატებით ინფორმაციის მოძიებას და შედარებას, რამაც შეიძლება განსხვავებული ინტერპრეტაციების წინაპირობა შექმნას, სწორედ აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად არის აუცილებელი სტატისტიკის მწარმოებელმა უწყებებმა ერთობლივად განახორციელონ მონაცემების ანალიზი და შეფასებითი (ნარატიული - აღწერილობითი) დოკუმენტის მომზადება, რომელიც იქნება დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის განუყოფელი ნაწილი.

## **6.2 საზღვარგარეთის საუკეთესო პრაქტიკა**

საქართველოს არ აქვს დიდი ხნის გამოცდილება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე სტატისტიკის შეგროვებისა და ანალიზის მიმართულებით, თუმცა, აღნიშნული არაერთი ქვეყნისთვის წარმოადგენს პრიორიტეტულ საკითხს. არსებული მოდელის დახვეწისა და გაუმჯობესებისთვის აუცილებელია ამ მიმართულებით საუკეთესო გამოცდილების მქონე ქვეყნების პრაქტიკის შესწავლა და გაზიარება.

სტატისტიკის წარმოების, ანალიზის და შეფასების კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპული ქვეყნების გამოცდილება, მათ შორის შვედეთის, გაერთიანებული სამეფოს, ხორვატიისა და ნორვეგიის.

### **6.2.1 შვედეთი**

შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ცალკეულ დანაშაულებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია სიძულვილით

მოტივირებულ ქმედებებთან, მაგალითად სიძულვილის ენა<sup>423</sup>, უკანონო დისკრიმინაცია და სხვა. შვედეთის კანონმდებლობა, საქართველოს კანონმდებლობასთან შედარებით, უფრო ვიწრო ჩამონათვალს შეიცავს დისკრიმინაციის ნიშნების, კერძოდ: რასა, კანის ფერი, ეროვნული თუ ეთნიკური კუთვნილება, რელიგია, სექსუალური ორიენტაცია ან გენდერული იდენტობა თუ გამოხატულება და სხვა მსგავსი მოტივი.<sup>424</sup> თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობის მსგავსად შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ზოგად ნორმას, რომლითაც ყველა დანაშაულისთვის დამამძიმებელ გარემოებად აფასებს მის ჩადენას დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით.<sup>425</sup>

სტატისტიკური მონაცემების შეგროვებაც სწორედ ამ ნიშნების მიხედვით ხორციელდება. შვედეთში ფუნქციონირებს იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი საჯარო უწყება - შვედეთის სისხლის სამართლის დანაშაულთა პრევენციის ეროვნული საბჭო, სწორედ ეს უკანასკნელი არის პასუხისმგებელი ამ კატეგორიის დანაშაულების მონაცემთა შეგროვებაზე, ანალიზზე და გამოქვეყნებაზე.<sup>426</sup>

აღსანიშნავია, რომ შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო ატარებს ვიქტიმიზაციის კვლევებს, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს კითხვებს სიძულვილით გამოწვეული დანაშაულების შესახებ, კერძოდ: შვედეთის დანაშაულის კვლევა, პოლიტიკოსთა უსაფრთხოების კვლევა და სკოლაში დანაშაულის შესახებ კვლევა. კვლევის

---

<sup>423</sup> შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსი, თავი 16 ნაწილი 8 [მუქარები], <<https://hatecrime.osce.org/hate-crime-legislation-sweden>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>424</sup> შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსი, თავი 29 ნაწილი 2, <<https://hatecrime.osce.org/hate-crime-legislation-sweden>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>425</sup> შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსი, თავი 29, ნაწილი 2, პუნქტი 7. <<https://hatecrime.osce.org/hate-crime-legislation-sweden>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>426</sup> National frameworks to address hate crime in Sweden, <<https://hatecrime.osce.org/national-frameworks-sweden>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

მიგნებების გამოყენება კი შემდგომში ხდება პრევენციული ღონისძიებების დასაგეგმად.<sup>427</sup>

სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას და ანალიზს რამდენიმე მიზანი აქვს, მათ შორის - დადგინდეს ამ კატეგორიის დანაშაულის ჩადენის არეალი, მასშტაბები, გაანალიზდეს დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ინფორმაციები: მიკერძოების მოტივი (ქსენოფობიური, ჰომოფობიური, ტრანსფობიური და სხვა), მსხვერპლის გენდერი (კაცი, ქალი, უცნობია), დანაშაულის ადგილი (ქუჩა, ტრანსპორტი, დაწესებულება და სხვა), ურთიერთობა მსხვერპლსა და მოძალადეს შორის (ოჯახის წევრი, მეზობელი, უცნობი და სხვა) და სხვა. 2022 წლის მონაცემების თანახმად, შვედეთის პოლიციამ 4788 სიძულვილით მოტივირებული დანაშაული დააფიქსირა, რომელიც წინა საანგარიშო წელთან შედარებით ნაკლებია - 2020 წელს ეს მონაცემი იყო 6301.<sup>428</sup>

შვედეთის სისხლის სამართლის დანაშაულთა პრევენციის ეროვნული საბჭო დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვან ინფორმაციას აქვეყნებს სხვადასხვა სახის ანგარიშების და კვლევების მეშვეობით, შესაძლებელია ამ დოკუმენტების გარკვეულწილად დაჯგუფება, კერძოდ:

1. ეროვნული უსაფრთხოების კვლევები - ტარდება ყოველწლიურად, მონაწილეობას იღებს 65 000 ადამიანი, რომლებიც საფოსტო და ონლაინ გამოკითხვების საშუალებით პასუხობენ კითხვებს სამართლებრივი სისტემისადმი ნდობის, დაუცველობის და უსაფრთხოების

---

<sup>427</sup> National frameworks to address hate crime in Sweden, <<https://hatecrime.osce.org/national-frameworks-sweden>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>428</sup> შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო, 2022 წელს პოლიციაში მოხსენებული სიძულვილის დანაშაულები. საქმეების კრებული, რომლებიც პოლიციის მიერ იყო კლასიფიცირებული, როგორც სიძულვილის დანაშაული, <chrome-extension://efaidnbmninnipocajpcgiclfndmkaj/https://bra.se/download/18.1537f1c6192bd251bfc3d aa/1730206186687/2023\_16\_Hate-crimes-reported-to-the-police-in-2022.pdf> <<https://bra.se/english/publications/archive/2023-12-14-hate-crimes-reported-to-the-police-in-2022>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

განცდებთან და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან დაკავშირებით. და იურიდიულ სისტემასთან კონტაქტების შესახებ;<sup>429</sup>

2. წლიური ანგარიშები, სადაც მოცემულია ინფორმაცია შეტყობინებული დანაშაულების შესახებ. აღნიშნული ანგარიშებში მოცემულია ინფორმაცია დანაშაულის ჩადენის ადგილის (რეგიონი, მუნიციპალიტეტი) და დროის შესახებ, გამოვლენილი შეუწყნარებლობის მოტივის შესახებ, დანაშაულის სიმძიმის შესახებ, დამნაშავის და დაზარალებულის სქესის შესახებ და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია;<sup>430</sup>
3. კონკრეტულ დისკრიმინაციის ნიშანთან დაკავშირებული ანგარიშები - მაგალითად, ანგარიში ანტისემიტური სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების თაობაზე,<sup>431</sup> ანგარიში ისლამოფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების თაობაზე,<sup>432</sup> ანგარიში სიძულვილის დანაშაულები ციფრულ გარემოში<sup>433</sup> და სხვა, აღნიშნული კვლევების ფარგლებში შეისწავლება მთელი რიგი გარემოებები: ვინ ხდება ამ დანაშაულის მსხვერპლი, რა კატეგორიების დანაშაულების ჩადენა ხდება, ვინ არიან ამ დანაშაულის ჩამდენი პირები და სხვა;

---

<sup>429</sup> შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო, ეროვნული უსაფრთხოების კვლევა 2022, <<chrome-extension://efaidnbnmnibpcajpcglclefindmkaj> [https://bra.se/download/18.366598ab19270941a1c186c/1728986655787/2022\\_7\\_Afrophobic%20hate%20crime.pdf](https://bra.se/download/18.366598ab19270941a1c186c/1728986655787/2022_7_Afrophobic%20hate%20crime.pdf)> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>430</sup> შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების დამუშავება. გამოძიების და დევნის გადაწყვეტილებები გამოვლენილი სიძულვილის დანაშაულის მოტივით 2013–2016 და 2018 წლებში. 2021, <<https://bra.se/english/publications/archive/2021-02-17-processed-hate-crimes>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>431</sup> შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო, ანტისემიტური სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულები, 2019, <<https://bra.se/english/publications/archive/2019-06-24-antisemitic-hate-crime>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>432</sup> შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო, ისლამოფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, 2021, <<https://bra.se/english/publications/archive/2021-04-30-islamophobic-hate-crime>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>433</sup> შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო, 2022, სიძულვილის დანაშაულები ციფრულ გარემოში, <<https://bra.se/english/publications/archive/2022-12-21-hate-crime-in-digital-environments>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

4. სიღრმისეული კვლევები - თვით-შეტყობინებული დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები.<sup>434</sup>

აღნიშნული ანგარიშების საფუძველზე მზადდება სტატისტიკური ცხრილები დანაშაულის ჩადენის მოტივთან და მის პროცენტულ გადანაწილებასთან, ჩადენილი დანაშაულის სახესთან, დამნაშავეთა და მსხვერპლთა გენდერთან და სხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. შემუშავებული დოკუმენტების საფუძველზე კი ხდება შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, მათ შორის პოლიტიკის წარმოება ამ დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად.

### 6.2.2 გაერთიანებული სამეფო

გაერთიანებულ სამეფოში, 2007 წლიდან არსებობს საკანონმდებლო დეფინიცია, რომლის თანახმად დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული განიმარტება, როგორც „ნებისმიერი სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც აღიქმება მსხვერპლის ან სხვა პირის მიერ, მოტივირებულია ვინმეს მიმართ მტრობით ან ცრურწმენით, პირადი მახასიათებლის საფუძველზე“.<sup>435</sup>

გაერთიანებულ სამეფოში არსებობს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ხუთი ცენტრალიზებული მიმართულება:<sup>436</sup>

- „რასობრივი“ ან ეთნიკური წარმომავლობა;
- რელიგია ან რწმენა;
- სექსუალური ორიენტაცია;
- შეზღუდული შესაძლებლობა;
- ტრანსგენდერული იდენტობა.

---

<sup>434</sup> შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო, სიძულვილის დანაშაულების მიმართ თვითშეტყობინებების მოწყვლადობის ანალიზი ეროვნული უსაფრთხოების 2006–2017 წლების კვლევის საფუძველზე, <<https://bra.se/english/publications/archive/2020-12-10-self-reported-exposure-to-hate-crime>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>435</sup> National frameworks to address hate crime in the United Kingdom, <<https://tinyurl.com/ycrvyvc>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>436</sup> იქვე.

თითოეული დანაშაულის აღრიცხვის დროს გაერთიანებული სამეფოს პოლიციას შეუძლია აღნიშნული ხუთი ჯგუფიდან ერთ-ერთ ჯგუფს მიაკუთვნოს დანაშაული, ან რამდენიმე მათგანს ერთდროულად, მაგალითად რასობრივი და რელიგიური ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივებით დანაშაულის ჩადენა. ამასთან, შესაძლებელია დანაშაული ჩადენილი იყოს „არაცენტრალიზებული მოტივით“, მაგალითად ასაკი, სქესი და სხვა, პოლიციამ, ოპერატიულად, აღნიშნული დანაშაული შეიძლება მაინც გამოიძიოს, როგორც დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების თაობაზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, ანალიზი და გამოქვეყნება ხორციელდება ყოველწლიურად.<sup>437</sup>

გაერთიანებული სამეფოს პოლიციების (ინგლისი, უელსი, ჩრდილოეთი ირლანდია (43 ტერიტორიული პოლიცია და დიდი ბრიტანეთის სატრანსპორტო პოლიცია) მიერ შეგროვებული ინფორმაციები თავს იყრის შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომელიც არის პასუხისმგებელი ამ ინფორმაციის შეგროვებაზე. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაანერგა მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესებული სისტემა სახელწოდებით Home Office Data Hub, რომელიც ამარტივებს ამ კატეგორიის დანაშაულის აღრიცხვას ე.წ. „დროშების“ გამოყენების საშუალებით.<sup>438</sup>

პროკურატურის მონაცემებს აგროვებს და აქვეყნებს ინგლისისა და უელსის სამეფო პროკურატურის სამსახური, ჩრდილოეთ ირლანდიის საჯარო პროკურატურის სამსახური და შოტლანდიის ფისკალური პროკურორი. გაერთიანებულ სამეფოს აქვს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სამოქმედო გეგმა

---

<sup>437</sup> 1. Hate Crime Report, 2018-19, Crown Prosecution Service Delivering justice, <<https://bit.ly/3XOuuWW>> 2. Hate Crime Report, 2017-18, Crown Prosecution Service Delivering justice, <<https://bit.ly/2OqTZi6>> 3. Hate crime, England and Wales, 2016/17, <<https://bit.ly/2HsuSXL>> 4. Hate crime, England and Wales, 2021 to 2022, <<https://bit.ly/3D61K44>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>438</sup> Hate crime, England and Wales, 2021 to 2022, <<https://bit.ly/3wkSR2X>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

ინგლისისა და უელსისთვის. გაერთიანებული სამეფოს მთავრობა მჭიდროდ თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათ შორის ინფორმაციის გაზიარების შეთანხმებების მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული სამეფოს პოლიციამ და ორმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ, რომელიც მონაწილეობს სიძულვილის ინციდენტების მონიტორინგში (Community Security Trust and Tell MAMA) დადო ინფორმაციის გაზიარების შეთანხმებები, რითაც შესაძლებელი გახდა თითოეული ორგანიზაციის მიერ დაფიქსირებული ინციდენტების შესახებ მონაცემების გაცვლა და ამ კატეგორიის დანაშაულის უფრო ფართო სურათით წარმოჩენა/შეფასება. ჩაწერილი ინციდენტების შესახებ მონაცემების გაცვლა ხდება რეგულარულად.<sup>439</sup>

გარდა სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისა, გაერთიანებული სამეფოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური ატარებს კვლევას დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესაფასებლად, სწორედ ამ კვლევებზე დაყრდნობით აფასებს ამ კატეგორიის დანაშაულების ზრდის გამომწვევ შესაძლო მიზეზებს. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ გაერთიანებული სამეფო აქვეყნებს ინფორმაციას დაკავშირებულს: შეუწყნარებლობის მოტივთან და მოტივების პროცენტულ გადანაწილებასთან, ამ კატეგორიის დანაშაულის ჩადენის ადგილთან, დროსთან, დანაშაულის სახესთან და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.<sup>440</sup>

გაერთიანებული სამეფო აღრიცხავს ამ კატეგორიის დანაშაულების გავრცელების მასშტაბებსა და ცალკეულ ტენდენციებს, მაგალითად დანაშაულის ჩადენის მოტივს ჩაშლილი სახით (მაგ. რელიგია - ხდება დიფერენცირებული აღრიცხვა კონკრეტული რელიგიების მიხედვით: ბუდიზმის, ქრისტიანობის, ისლამის და სხვა) დანაშაულის ჩადენის ადგილს,

---

<sup>439</sup> National frameworks to address hate crime in the United Kingdom, <<https://tinyurl.com/ycyrvxc>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>440</sup> იქვე.

დანაშაულის ჩადენის ოდენობას თვეების მიხედვით, ამ კატეგორიის დანაშაულის მსხვერპლის მიხედვით (ფიზიკური პირი გახდა სამიზნე, ქონება თუ ნივთი) და სხვა.<sup>441</sup>

გაერთიანებული სამეფო სტატისტიკური ცხრილებისგან დამოუკიდებლად აქვეყნებს ინფორმაციულ ბუკლეტს (საინფორმაციო ფურცელს) ამ დანაშაულის შესახებ, სადაც მითითებულია ინფორმაცია რამდენ საქმეზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, რამდენი პირის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი და რამდენ პირს დაუმძიმდა სასჯელი დანაშაულის ჩადენის მოტივის გამო, ასევე ქვეყნდება ინფორმაცია განხორციელებული აქტივობების შესახებ და სხვა.<sup>442</sup>

### 6.2.3 ხორვატია

ხორვატიის სისხლის სამართლის კოდექსის 87-ე მუხლის 21-ე პუნქტის თანახმად დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული არის: „სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც ჩადენილია პირის რასის, კანის ფერის, რელიგიის, ეროვნების ან ეთნიკური წარმომავლობის, შეზღუდული შესაძლებლობის, გენდერის, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო.“ ხორვატიაში 2013 წლამდე დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკა არ საჯაროვდებოდა, 2015 წელს კი დაიწყო მონაცემების ჩაშლილი სახით გამოქვეყნება.<sup>443</sup> პოლიციისა და სხვა ორგანოების მიერ ამ კატეგორიის დანაშაულების აღრიცხვა რეგულირდება 2011 წლის „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ჩადენის საპროცესო პროტოკოლით“, რომელიც 2021 წელს განახლდა (No43/2021).

ხორვატიის ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ოფისი (OHRRNM) პასუხისმგებელია დისკრიმინაციის ნიშნით

<sup>441</sup> Hate crime statistics, 2024, <<https://bit.ly/3HwB4fL>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>442</sup> 1. Hate crime statistics, 2024, <<https://bit.ly/3XuxlVe>> 2. CPS Hate Crime Newsletter 29, October 2021, <<https://bit.ly/3Ws940S>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>443</sup> Hate crime recording and data collection practice across the EU, 2018, <<https://bit.ly/3J5HVh6>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემების შეგროვებასა და გამოქვეყნებაზე.<sup>444</sup>

პოლიციის თანამშრომლები დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების იდენტიფიცირებას და აღრიცხვას ახორციელებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო სისტემაში არსებული ელექტრონული ფორმების საშუალებით, რომლებიც გამოიყენება ყველა სისხლის სამართლის საქმის მონიტორინგისთვის. ამასთან, პროკურატურა ვალდებულია აწარმოოს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ყველა შემთხვევა. სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა დეპარტამენტები პასუხისმგებელი არიან ამ კატეგორიის დანაშაულების ცალკე აღრიცხვაზე, საქმის რაოდენობის, მათი შედეგების, ბრალდებულთა რაოდენობისა და სასამართლო პროცესისა და სასჯელების შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე. როდესაც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულად მონიშნული საქმე შედის სასამართლოს საქმისწარმოების სისტემაში, იგი მონიშნულია, როგორც ასეთი დანაშაული, რათა მოხდეს საქმის ამოღება და შეჯამება საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ოფისს (OHRRNM), პოლიცია და სხვა უწყებები 6 თვეში ერთხელ აწვდიან სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელსაც ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ოფისი აერთიანებს და აქვეყნებს თავის ვებსაიტზე.<sup>445</sup> ხორვატიის ყოველწლიური სტატისტიკური მონაცემები ქვეყნდება ასევე ეუთოს ოდირის ვებ-გვერდზე.<sup>446</sup>

---

<sup>444</sup> Combating hate crimes, <<https://bit.ly/3ZShdP2>> <<https://hatecrime.osce.org/croatia>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>445</sup> ხორვატიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო <<https://mup.gov.hr/>> <<https://hatecrime.osce.org/national-frameworks-croatia#capacityBuilding>> <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://pravamanjina.gov.hr/UserDocsImages/dokumenti/PROTOCOL%20FOR%20PROCEDURE%20IN%20CASES%20OF%20HATE%20CRIME.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>446</sup> Hate crime data collection in Croatia - <<https://hatecrime.osce.org/croatia?year=2019>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

წელი	გამოძიების რიცხვი	სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების რიცხვი	მსჯავრდებული
2023	85	33	9
2022	80	24	14
2021	101	57	11
2020	87	138	18
2019	48	117	10

#### 6.2.4 ნორვეგია

ნორვეგიის კანონმდებლობის თანახმად სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები განიმარტება, როგორც დანაშაულები, რომლებიც მოტივირებულია პირის რელიგიით ან რწმენით, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობით, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული გამოხატვის, შეზღუდული შესაძლებლობის ან დაცვის განსაკუთრებული საჭიროების მქონე ჯგუფებთან დაკავშირებული სხვა გარემოებებით.<sup>447</sup> აღსანიშნავია, რომ ნორვეგიის სისხლის სამართლის კოდექსი საქართველოს მსგავსად კონკრეტული დანაშაულებისთვის ცალკე დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს დისკრიმინაციული მოტივით მის ჩადენას, მაგალითად, სხეულის მძიმე დაზიანება (274-ე მუხლი).

სკანდინავიის ქვეყნების უმრავლესობა დისკრიმინაციის ნიშით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სტატისტიკურ მონაცემებს აგროვებს ამ ტიპის დანაშაულების წინააღმდეგ ცოდნის და ინფორმაციის გაზრდის მიზნით, რათა გააჩნდეთ ერთიანი სურათი და დაგეგმონ მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ღონისძიებები და სამოქმედო გეგმები.<sup>448</sup> ნორვეგიის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი (NIM) სხვადასხვა გზით მუშაობს ამ კატეგორიის დანაშაულის

<sup>447</sup> ნორვეგიის სისხლის სამართლის კოდექსი, 77-ე მუხლი.

<sup>448</sup> hate crimes targeting LGBTI people in the Nordic countries, a survey of strategies, methods and initiatives, 2021, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.gu.se/sites/default/files/2024-09/Hate-%20Crimes-Targeting-LGBTIpeople.pdf> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

წინააღმდეგ საბრძოლველად, მათ შორის საზოგადოების ცნობიერების, ინფორმირებულობის და მგრძობელობის ამაღლების კუთხით.

ნორვეგიის პოლიციის ეროვნული დირექტორატი პოლიციის საინფორმაციო სისტემებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშებს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის გავრცელების მასშტაბების თაობაზე. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას თუ რა სახის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული არის მომხდარი, სად მოხდა მისი ჩადენა, ვინ არის მსხვერპლი და სხვა. ოსლოს პოლიცია კი მოცემულ დანაშაულთან დაკავშირებით აქვეყნებს საკუთარ ყოველწლიურ ანგარიშს, ამასთან, ტარდება სხვადასხვა სახის კვლევები, მაგალითად ლგბტ პირთა გამოცდილებებთან დაკავშირებით და სხვა.<sup>449</sup> ნორვეგიის პოლიციის ეროვნული დირექტორატი ატარებს ყოველწლიურ ვიქტიმიზაციის გამოკითხვებს, რომელიც მოიცავს კითხვებს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ, რათა შეაფასოს სიძულვილით გამოწვეული დანაშაული.<sup>450</sup>

ყოველწლიურად მზარდი მონაცემები:<sup>451</sup>

წელი	გამოძიების რიცხვი	სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების რიცხვი	მსჯავრდებული
2023	1,090	310	250
2022	923	263	203
2021	959	54	17
2020	744	804	67
2019	761	70	37

<sup>449</sup> hate crimes targeting LGBTI people in the Nordic countries, a survey of strategies, methods and initiatives, 2021, <<https://www.gu.se/sites/default/files/2024-09/Hate-Crimes-Targeting-LGBTIpeople.pdf>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>450</sup> National frameworks to address hate crime in Norway, <<https://hatecrime.osce.org/norway>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>451</sup> Hate crime data collection in Norway, <<https://hatecrime.osce.org/norway>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

ანალიზის და შეფასების მიმართულებით ნორვეგიის მოდელი შეიძლება მიჩნეულ იქნეს ერთ-ერთ ყველაზე კარგ მოდელად.

### **6.3 დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების თაობაზე მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და გამოქვეყნების შესახებ არსებული მოდელების ერთობლივი ანალიზი**

ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების თაობაზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, ანალიზი და გამოქვეყნება რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს აერთიანებს:

- მონაცემების სეგრეგირება დისკრიმინაციის ნიშნების მიხედვით დამოკიდებულია ეროვნულ კანონმდებლობაზე;
- მონაცემებს აგროვებენ მართლმსაჯულების განმახორციელებელი უწყებები (პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო), ხოლო ანალიზს ახორციელებს ან თავად ინფორმაციის შემგროვებელი უწყება ან სხვა უწყება, რომელსაც ეგზავნება ეს ინფორმაცია;
- დეტალურად ხდება გაანალიზება დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის არსებული კავშირებისა, ასევე დანაშაულის ჩადენის ადგილისა და დროისა;
- ტარდება სიღრმისეული კვლევები დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით (შესაძლო გამომწვევი მიზეზების, დანაშაულის გამოვლენის ხელის შემშლელი გარემოებების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ანალიზის მეშვეობით).

სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს, რომ საუკეთესო მოდელი გულისხმობს სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, სეგრეგირებას, ამ მონაცემებზე დაყრდნობით ანალიზების, შეფასებების, ანგარიშების შემუშავებას და სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად გამოქვეყნებას, ასევე საზოგადოების ინფორმირებულობის

უზრუნველყოფას. სწორედ ამგვარი დოკუმენტი უზრუნველყოფს შემდგომში ამ კატეგორიის დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის თაობაზე სამოქმედო გეგმის/სტრატეგიის თუ სხვა სახის დოკუმენტის შემუშავებას.

საქართველოში დღეს არსებული მოდელის თანახმად, სახელმწიფო უწყებები აქვეყნებენ მხოლოდ და მხოლოდ მშრალ ციფრებს, კონკრეტული ანალიზის თუ შეფასების გარეშე. აღნიშნული რეგულირება საჭიროებს ანალიტიკური კომპონენტის შემუშავებას, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს განსხვავებულ ცვლადებს ისე, რომ შესაძლებელი იქნება გაანალიზდეს ამ კატეგორიის დანაშაულის ხასიათი, ბუნება, მიზეზები და გავრცელების მასშტაბები, ასევე, დანაშაულის გამოვლენის ხელისშემშლელი ფაქტორები, შემდგომში კი აღნიშნული ნარატიული ნაწილი გამოქვეყნდეს სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება ამ მექანიზმის ეფექტურობაზე მსჯელობა.

## თავი VII. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე ეფექტიანი სამართალწარმოების ჩატარებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი ინსტიტუტები და სტანდარტები<sup>452</sup>

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულება, აღიარებულია არაერთი საერთაშორისო დოკუმენტით, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნია: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია,<sup>453</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია,<sup>454</sup> პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ,<sup>455</sup> გაეროს კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ,<sup>456</sup> 2008 წელს მიღებული ევროკავშირის ჩარჩო გადაწყვეტილება რასისტული და ქსენოფობიური დანაშაულის შესახებ,<sup>457</sup> ევროკავშირის მსხვერპლთა დირექტივა<sup>458</sup> და სხვა დოკუმენტები.

საქართველო ფაქტობრივად ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტის ხელმომწერი ქვეყანაა, რაც ავალდებულებს მას იმ

---

<sup>452</sup> აღნიშნულ საკითხზე თემატური სტატიები იხ.: გელოვანი ნ., „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული და ამ კატეგორიის დანაშაულზე ეფექტიანი სამართალწარმოების დამაბრკოლებელი გარემოებები“, სტატიათა კრებული: „ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება“, 2022, გვ. 48-76, <https://georgia.un.org/sites/default/files/2022-12/KREBULI%2BKDA.pdf> გელოვანი, ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ინდიკატორები, 2023, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №4 (80) 23, გვ. 138-156 <chrome-extension://efaidnbnmnnibpcajpcglcfindmkaj/[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/476982/5/Martlmsajuleba\\_Da\\_Kanoni\\_2023\\_N4.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/476982/5/Martlmsajuleba_Da_Kanoni_2023_N4.pdf)> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>453</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948, მუხლი 2 („ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა...“).

<sup>454</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950, მუხლი 14;

<sup>455</sup> პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1960, მუხლი 2 („წინამდებარე პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, პატივი სცეს და მისი ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირი უზრუნველყოს წინამდებარე პაქტით აღიარებული უფლებებით, რაიმე განსხვავების...“).

<sup>456</sup> გაეროს კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1966.

<sup>457</sup> ევროკავშირის მიერ 2008 წლის 28 ნოემბრის მიღებული ჩარჩო გადაწყვეტილება №2008/913/JHA.

<sup>458</sup> ევროპული პარლამენტის და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა №2012/29/EU.

მოთხოვნების შესრულებას, რომლებიც ამ დოკუმენტებით არის გარანტირებული. ვალდებულებების შესრულების კონტროლის მექანიზმს კი წარმოადგენს საერთაშორისო ინსტიტუტების წინაში ანგარიშგების ვალდებულება და ამ ინსტიტუტების მიერ რეკომენდაციების გაცემის ბერკეტი.

ამ კატეგორიის დანაშაულზე სათანადოდ სამართალწარმოების ჩატარების ვალდებულებები აქვთ აღებული ასევე ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებს.<sup>459</sup> ეუთოს მინისტრთა საბჭოს 2009 წლის (9/09) გადაწყვეტილება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვან ვალდებულებებს ითვალისწინებს სახელმწიფოთათვის, კერძოდ: შესაბამისი კანონმდებლობის ქონა, ეფექტიანი სასჯელის უზრუნველყოფა, ამ კატეგორიის დანაშაულზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და გასაჯაროება, მკაცრი პოლიტიკის გატარება ამ კატეგორიის დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად და ეფექტიანად გამოსაძიებლად.<sup>460</sup>

აღსანიშნავია, რომ საქართველომ ჯერ კიდევ 1994 წელს გამოავლინა პოლიტიკური ნება ებრძოლა ქალთა მიმართ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის წინააღმდეგ, სწორედ ამ მიზნით ქვეყანა შეუერთდა გაეროს კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (შემდგომში CEDAW კონვენცია),<sup>461</sup> რომელიც ქალთა მიმართ დისკრიმინაციის წინააღმდეგ მოქმედ ერთ-ერთ ყველაზე ქმედით საერთაშორისო სამართლებრივ მექანიზმად მიიჩნევა. CEDAW კონვენციის ძალაში შესვლამ საქართველოს მთელი რიგი ვალდებულებების შესრულება

---

<sup>459</sup> OSCE/ODIHR, Understanding Hate Crimes A Handbook for Ukraine, 2015, Warsaw, Poland, 13, <<https://www.osce.org/files/f/documents/4/9/208176.pdf>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>460</sup> ევროპის მინისტრთა საბჭოს 2009 წლის (9/09) გადაწყვეტილება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ, <<https://www.osce.org/cio/40695>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

<sup>461</sup> კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5691899?publication=0>> {უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025}.

დააკისრა, მათ შორის: „კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების მეშვეობით უზრუნველყონ დისკრიმინაციის ნებისმიერი აქტისაგან ქალის ეფექტური დაცვა.“<sup>462</sup> ამავე კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად, სახელმწიფოებს ორი მნიშვნელოვანი ვალდებულება ეკისრებათ: თავად არ უნდა განახორციელონ რაიმე სახის დისკრიმინაცია და უზრუნველყონ სახელმწიფო უწყებების მიერ ამ ვალდებულების შესრულება და მეორე, მიიღონ ყველა ზომა ნებისმიერი პირისგან დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის. CEDAW კონვენციის აღმასრულებელმა ორგანომ, გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა, მიიღო საქართველოსთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, სადაც განმარტა, რომ: „სახელმწიფოები შესაძლოა პასუხისმგებელი იყვნენ კერძო ქმედებებისთვის, თუ ისინი სათანადოდ ვერ იმოქმედებენ, რათა აღკვეთონ უფლებათა დარღვევა ან გამოიძიონ და დასაჯონ ძალადობის განმახორციელებელი პირები, ხოლო დაზარალებულს მიაკუთვნონ კომპენსაცია.“<sup>463</sup> CEDAW კონვენციის საფუძველზე მოქმედი კომიტეტი მხოლოდ ფაქტების მშრალად დადგენას არ ახდენს, საკუთარ გადაწყვეტილებებში ის საუბრობს იმ სავალდებულო რეკომენდაციებზე, რომლებიც უნდა შეასრულოს ქვეყანამ. ზოგადი რეკომენდაციის სიმრავლით არც წინამდებარე გადაწყვეტილება იყო გამონაკლისი, რომლითაც საქართველოს მთელი რიგი რეკომენდაციების შესრულება დაეკისრა, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია რამდენიმე მათგანი: ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოების თანამშრომელთა (გამომძიებელთა, პროკურორთა და მოსამართლეთა) გადამზადება, მათთვის ტრენინგების ჩატარება ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის და გენდერული სტერეოტიპების

<sup>462</sup> კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1979, მუხლი 2, C პუნქტი.

<sup>463</sup> X and Y v. Georgia, [2015], CEDAW, 9.

თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ამავე გადაწყვეტილებით დაეკისრა საქართველოს სახელმწიფოს სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებაც.<sup>464</sup> შეიძლება ითქვას, რომ თითოეული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს არა მხოლოდ მსხვერპლის ანდა მისი ოჯახის წევრების მდგომარეობაზე, არამედ აქვს ზოგადი პრევენციის ეფექტიც - საკანონმდებლო ცვლილებების თუ პოლიტიკური ნების გამოვლენის/გამლიერების კუთხით.

CEDAW კონვენცია ავალდებულებს მონაწილე მხარეს როგორც პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, ისე ეფექტური სამართალწარმოების ჩატარებას. საქართველოსთან მიმართებით ბოლოს მიღებულ გადაწყვეტილებაში, კომიტეტმა კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება სახელმწიფოს მიერ მსხვერპლის არაეფექტურ დაცვაზე, ასევე განმარტა, რომ საქართველოს სახელმწიფომ დაარღვია ვალდებულება გამოეძიებინა და სათანადოდ დაესაჯა პირები, რომლებმაც განახორციელეს დაზარალებულზე თავდასხმა და პასუხისმგებლები იყვნენ მის გარდაცვალებაზე. გადაწყვეტილებაში პირდაპირ იქნა განმარტებული, რომ მსხვერპლი “გახდა ეთნიკურ კუთვნილებასთან და პოლიციისა და სასამართლო სისტემის სტერეოტიპულ დამოკიდებულებებთან დაკავშირებული ჯვარედინი დისკრიმინაციის მსხვერპლი.”<sup>465</sup>

შემდეგი მნიშვნელოვანი მექანიზმი არის გაეროს კომიტეტი რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CERD), რომელიც ახორციელებს სახელმწიფოების მიერ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის შესრულების მონიტორინგს. ამ მიზნით კომიტეტი შეისწავლის შესაძლო რასობრივი დისკრიმინაციის ფაქტებს, შემთხვევებს და სამართლებრივ რეგულირებას, ასევე აფასებს სახელმწიფოთა მიერ წარდგენილ ანგარიშებს და აძლევს შესაბამის რეკომენდაციებს.<sup>466</sup>

<sup>464</sup> X and Y v. Georgia, {2015}, CEDAW, 33.

<sup>465</sup> Khanum Jeyranova v. Georgia, {2021}, CEDAW.

<sup>466</sup> Committee on the Elimination of Racial Discrimination, <<https://www.ohchr.org/en/treaty-bodies/cerd/introduction>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი (CCPR) არის 18 დამოუკიდებელი ექსპერტისაგან შემდგარი ორგანო, რომელიც მონიტორინგს უწევს მონაწილე სახელმწიფოების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის შესრულებას. მონაწილე ქვეყნები ვალდებული არიან ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ წარადგინონ კონვენციის მოთხოვნების შესრულების თაობაზე ანგარიში. კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს ადამიანის უფლებათა დარღვევებთან დაკავშირებული საჩივრები, ასევე სახელმწიფოთაშორისი საჩივრები, გასცეს რეკომენდაციები და სხვა.<sup>467</sup> აღსანიშნავია, რომ 2004 წელს გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტმა 31-ე ზოგად რეკომენდაციაში მოუწოდა სახელმწიფო უწყებებს შეასრულონ ზოგადი მოვალეობა და შესაძლო უფლებადარღვევის შესახებ მიღებული შეტყობინება გამოიძიონ სრულად, სწრაფად, მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და ეფექტიანად.<sup>468</sup>

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC) არის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების (ცნობილი, როგორც „რომის წესდების“)<sup>469</sup> საფუძველზე შექმნილი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას გენოციდის, ომის დანაშაულისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩამდენი პირების მიმართ, ფუნქციონირებს 2002 წლიდან.<sup>470</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო განსაკუთრებით მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს სიძულვილით მოტივირებული

---

<sup>467</sup> Human Rights Committee, <<https://www.ohchr.org/en/treaty-bodies/ccpr>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>468</sup> სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე, 2018, გვ. 8. <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/<https://ombudsman.ge/res/docs/2019040915215164046.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>469</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, 1998, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/<http://www.humanrights.ge/files/Rome%20Statute.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>470</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, <<https://www.icc-cpi.int/>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

დანაშაულის ყველაზე მძიმე ფორმის - გენოციდის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. 2001 წელს საქართველომ მიიღო საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“,<sup>471</sup> თუმცა, რატიფიკაცია ჯერ კიდევ არ მომხდარა, შესაბამისად, საქართველო არ არის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ხელმძღვრე ქვეყანა.

მნიშვნელოვან საერთაშორისო მექანიზმებს წარმოადგენენ ამერიკის ადამიანის უფლებათა კომისია (Inter-American Commission on Human Rights, IACHR)<sup>472</sup> და ამერიკის ადამიანის უფლებათა სასამართლო (Inter-American Court of Human Rights).<sup>473</sup> მართალია საქართველო არ არის არცერთი მათგანის იურისდიქციის ქვეშ მყოფი სახელმწიფო, თუმცა, აღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმებს უდიდესი წვლილი შეაქვთ მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვისა და განვითარების გზაზე.

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულმა კომისიამ (ECRI) 2016 წელს გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოს შესახებ, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვან რეკომენდაციას ითვალისწინებს, მათ შორის: სისხლის სამართლის კანონმდებლობაში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, სამართალდამცავთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგების და ღონისძიებების ჩატარებას, ამ კატეგორიის დანაშაულზე მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნას, სპეციალური საპოლიციო დანაყოფის შექმნას, რომელიც ამ კატეგორიის დანაშაულზე იმუშავებს და სხვა.<sup>474</sup>

---

<sup>471</sup> საქართველოს კანონი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ, 2003, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/12922?publication=10>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>472</sup> ამერიკის ადამიანის უფლებათა კომისია, <<https://www.oas.org/en/iachr/>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>473</sup> ამერიკის ადამიანის უფლებათა სასამართლო, <<https://www.oas.org/en/iachr/Default.asp>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>474</sup> ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, მოხსენება საქართველოს შესახებ, 2016, პარაგრაფი 7, <<https://rm.coe.int/fourth-report-on-georgia-georgian-translation-/16808b5775>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

საქართველოს მიერ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ბოლოს მიღებული საერთაშორისო დოკუმენტი „სტამბოლის კონვენცია“,<sup>475</sup> რომელიც ძალაში 2017 წელს შევიდა, თუმცა, იქამდე სარატიფიკაციო ორ ეტაპიანი პროცესი გაიარა - პირველი ეტაპი დასრულდა 2014 წელს, რასაც საწყის ეტაპზე 11 სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში მოჰყვა ცვლილებები, შემდგომი ეტაპი კი 2017 წელს დასრულდა, როდესაც 24 საკანონმდებლო აქტში განხორციელდა ცვლილებები.<sup>476</sup> აღნიშნულმა კონვენციამ ხელი შეუწყო მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას და საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაუმჯობესებას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საერთო სასამართლოები განაჩენებში ხშირად ახდენენ სტამბოლის კონვენციაზე მითითებას და მის გამოყენებას დასაბუთებისთვის.<sup>477</sup>

- საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტებზე საუბრის დროს, შეუძლებელია შეფასების მიღმა დარჩეს ევროკონვენცია, რომელიც საქართველომ 1994 წელს მიიღო და ძალაში შევიდა 1999 წლიდან.<sup>478</sup> აღსანიშნავია, რომ საქართველოს საერთო სასამართლოები საკუთარი გადაწყვეტილებების დასაბუთებაში (იქნება ეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განჩინება (მაგალითად პირის მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის ამ მტკიცებულებათა განადგურების

---

<sup>475</sup> ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>476</sup> თემატური მოკვლევის ანგარიში „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) ვალდებულებების კანონმდებლობაში ასახვის და მათი აღსრულების ეფექტიანობის შესახებ - საქართველოს პარლამენტი, 2022, გვ. 3.

<chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/  
<https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/tematuri-mokvleva/genderuli/dzaladoba/angarishi.pdf> > [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

<sup>477</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 აპრილის განაჩენი.

<sup>478</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

საფრთხეების დასაბუთება საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით)<sup>479</sup>, ჩხრეკის თუ ამოღების კანონიერების შემოწმება (ჩხრეკის კანონიერად ცნობის ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლის დასაბუთებისას)<sup>480</sup>, განაჩენი (დისკრიმინაციის ნიშნის დადასტურების ან გამორიცხვის დასაბუთებლად)<sup>481</sup>) ძალიან ხშირად იყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში ევროსასამართლო) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რაც თავის მხრივ კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ მექანიზმის მნიშვნელობას ქვეყნის ეროვნულ დონეზე.

- ევროკონვენციის პირველი მუხლი მესამე მუხლთან ერთობლიობაში სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, რომ მესამე მუხლით აკრძალული ფიზიკური ძალადობისგან დაიცვას მის იურისდიქციაში მყოფი ნებისმიერი პირი, იმ შემთხვევაშიც, თუ ამგვარ ძალადობას კერძო პირ(ებ)ი ახორციელებენ.<sup>482</sup> ევროკონვენციის მეორე და მესამე მუხლებით განსაზღვრული ვალდებულებების პროცედურულ მხარეს წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულება გამოიძიოს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივსა და ძალადობის ფაქტს შორის სავარაუდო კავშირი.<sup>483</sup> ამასთან, „ძალადობრივ ინციდენტებს მიღმა არსებული შესაძლო დისკრიმინაციული საფუძვლის გამოვლენის ვალდებულება ნაგულისხმებია კონვენციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობებში.“<sup>484</sup>

<sup>479</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 7 დეკემბრის №10ა/7009 განჩინება.

<sup>480</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 5 თებერვლის №11ბ/2430-25 განჩინება.

<sup>481</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 მარტის განაჩენი, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2018 წლის 20 დეკემბრის №1/49-18 განაჩენი, გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 23 სექტემბრის №1/65-21 განაჩენი, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 28 ივლისის №1/146-21 განაჩენი, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 3 ივნისის №1/130-20 განაჩენი, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 19 თებერვლის №1/60-20 განაჩენი.

<sup>482</sup> A. v. the United Kingdom, {1998}, ECHR, 22.

<sup>483</sup> B.S. v. Spain, {2012}, ECHR, 59-63.

<sup>484</sup> Begheluri and Others v. Georgia, {2014}, ECHR, 173.

- ევროკონვენცია მთელ რიგ ვალდებულებებს ითვალისწინებს სახელმწიფოთათვის, მათ შორის განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს, რაც გულისხმობს რომ „პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია თავი შეიკავოს უფლებაში არასანქციონირებული ან გადამეტებული ჩარევისგან და უზრუნველყოს სხვა პირთა მხრიდან უფლებაში ჩარევის პრევენცია ან/და ჩარევის შემთხვევაში შესაბამისი პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება.“<sup>485</sup> სახელმწიფომ აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად პირველ რიგში უნდა განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები ძალადობის თავიდან ასაცილებლად (იგულისხმება, როგორც ძალადობა, რომელიც წინასწარ იცოდა სახელმწიფომ, ისე ძალადობა, რომელზეც ინფორმაცია უნდა ჰქონოდა სახელმწიფოს) და მეორე - უნდა დაიცვას პირ(ებ)ი მესამე პირთა მხრიდან განხორციელებული დანაშაულებისგან.<sup>486</sup> პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხერხად უნდა შეფასდეს ასევე სახელმწიფოთა ვალდებულება „დანერგონ საზოგადოების დემოკრატიული ხედვა, რომელშიც მრავალფეროვნება აღიქმება არა საფრთხედ, არამედ სიმდიდრის წყაროდ.“<sup>487</sup>

შეუძლებელია მტკიცება, რომ ამ კატეგორიის ყველა დანაშაულების ჩადენის თავიდან აცილება ყოველთვის შესაძლებელია, თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს აღნიშნულს, მას ეკისრება ვალდებულება მომხდარზე განახორციელოს სათანადო რეაგირება. ევროსასამართლომ არაერთხელ გაამახვილა ყურადღება ამ კატეგორიის დანაშაულებზე სახელმწიფოს მიერ სათანადო გამოძიების ვალდებულებაზე. სახელმწიფოს ვალდებულება ჩაატაროს ეფექტიანი, მიუკერძოებელი და ყოვლისმომცველი გამოძიება ვრცელდება

<sup>485</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლექტივი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., 2015, გვ. 48.

<sup>486</sup> T.M. and C.M. v. the Republic of Moldova, {2014}, ECHR, 38.

<sup>487</sup> Nachova and Others v. Bulgaria, {2006}, ECHR, 145.

დისკრიმინაციის ნებისმიერი ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე, განურჩევლად რაიმე გამონაკლისისა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ევროკონვენციით აღებული ვალდებულების შესრულებად ვერ ჩაითვლება კონკრეტულ ფაქტზე მხოლოდ გამოძიების დაწყება. „სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება განსაკუთრებული ძალისხმევით აწარმოოს გამოძიება, როდესაც საქმე ეხება სიცოცხლის მოსპობას დისკრიმინაციული მოტივით.“<sup>488</sup> გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათის ე.წ. ფორმა №1-ს აღება და შემდგომ გამოძიების დროში შეუსაბამოდ გაწელვა ან მნიშვნელოვანი და დროული საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებების ჩაუტარებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობის დარღვევას. აუცილებელია გამოძიების დაწყებას თან ახლდეს აუცილებელი, სწრაფი და გადაუდებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება.<sup>489</sup>

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სათანადო გამოძიების ვალდებულებაზე საუბრობს ევროსასამართლო საქართველოსთან მიმართებით მიღებულ არაერთ გადაწყვეტილებაში, მათ შორის საქმეზე - „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“.<sup>490</sup> აღნიშნულ საქმეში სასამართლომ განმარტა რომ: „მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულება, რომ გამოიძიოს ძალადობრივი აქტის შესაძლო დისკრიმინაციული საფუძველი, არის გამოსაძიებლად ყველა ღონისძიების გატარების ვალდებულება და არ არის აბსოლუტური ვალდებულება. ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს მოცემულ გარემოებაში ყველა გონივრული საშუალება, რომ შეაგროვოს და დაიცვას მტკიცებულებები. მან უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა სიმართლის დასადგენად, და საქმეზე გამოიტანოს დასაბუთებული, მიუკერძოებელი და ობიექტური გადაწყვეტილებები, საეჭვო ფაქტების დაფარვის გარეშე,

<sup>488</sup> კორკელია კ., სიცოცხლის უფლების დაცვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველო, თბ., 2025, გვ. 235.

<sup>489</sup> Davtani v. Georgia, [2006], ECHR, 46.

<sup>490</sup> Identoba and Others v. Georgia, [2015], ECHR.

რომლებიც მიუთითებს ძალადობის რასობრივი თუ რელიგიური შეუწყნარებლობის, ან გენდერული დისკრიმინაციის საფუძველზე ჩადენაზე.<sup>491</sup> იგივე განმარტება გააკეთა ევროსასამართლომ საქმეზე „მიქელაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“,<sup>492</sup> ხოლო საქმეზე „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ ევროსასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოს ვალდებულება ეფექტიანი გამოძიების ჩატარების თაობაზე მიემართება არა მისაღწევ შედეგებს, დასკვნებს, არამედ გამოსაყენებელ საშუალებებს.<sup>493</sup>

შეუწყნარებლობის მოტივის მოკვლევა არ წარმოადგენს აბსოლუტურ ვალდებულებას და არ გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გამოკვეთოს (დადასტურდეს ან გამოირიცხოს) დანაშაულის რომელიმე ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენა და დამნაშავე პირი დაადგინოს, უმთავრესია, სახელმწიფომ ყველა ობიექტური საშუალება გამოიყენოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოების გამოსაძიებლად. თუ სახელმწიფომ მის ხელთ არსებული ყველა მექანიზმი/საშუალება გამოიყენა და ობიექტურად ვერ შეძლო მოტივის თუ დამნაშავეს დადგენა, აღნიშნული ვერ შეფასდება სახელმწიფოს მიერ ვალდებულების შეუსრულებლობად. აღნიშნულს ადასტურებს არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის პრინციპები და საერთაშორისო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, არამედ, ეროვნული რეგულაციები თუ ანგარიშები. მაგალითად, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, სადაც განმარტებულია, რომ „სახელმწიფოს ვალდებულება, გამოიძიოს ძალადობრივი აქტის შესაძლო დისკრიმინაციული საფუძველი, არ არის აბსოლუტური და გულისხმობს, რომ საგამოძიებო ორგანოებმა ყველა შესაბამის საგამოძიებო მოქმედებას

---

<sup>491</sup> *Identoba and Others v. Georgia*, {2015}, ECHR, 67. *Mikeladze and Others v. Georgia*, {2021}, ECHR, 60.

<sup>492</sup> *Mikeladze and Others v. Georgia*, {2021}, ECHR.

<sup>493</sup> *Women's Initiatives Supporting Group and Others v. Georgia*, {2021}, ECHR, 62. *Aghdgomelashvili and Japaridze v. Georgia*, {2021}, ECHR, 37.

უნდა მიმართონ, რომელიც უზრუნველყოფს სავარაუდო სიძულვილის მოტივის გამოკვეთას.<sup>494</sup>

დაუშვებელია სახელმწიფომ უარი განაცხადოს ან არასათანადო ყურადღებით მიუდგეს ამ კატეგორიის არა მხოლოდ დანაშაულებს, არამედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებსაც კი. სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულმა უყურადღებობამ ან არასათანადო ყურადღებამ/რეაგირებამ შესაძლებელია წახალისოს ამ კატეგორიის უფრო მძიმე დანაშაულების ჩადენა, სწორედ ამ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას ევროსასამართლო საქართველოსთან დაკავშირებით მიღებულ ერთ-ერთ საქმეზე - ა და ბ საქართველოს წინააღმდეგ, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ „სამართალდამცავი ორგანოების ზოგად და დისკრიმინაციულ პასიურობას ოჯახში ძალადობის შესახებ შეუძლია შექმნას კლიმატი, რომელიც ხელს შეუწყობს მსხვერპლთა მიმართ ჩადენილი ძალადობის შემდგომ გავრცელებას მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქალები არიან. სხვადასხვა დამცავი ზომების უგულვებელყოფით, რომლებიც პირდაპირ ხელმისაწვდომი იყო, ხელისუფლებამ არ აღკვეთა გენდერული ძალადობა მომჩივანთა ახლობლების მიმართ, რისი კულმინაციაც იყო სიკვდილი.“<sup>495</sup>

ევროსასამართლო დიდ ყურადღებას უთმობს ასევე კვალიფიკაციის სწორად განსაზღვრის საკითხს და გამოყენებული სანქციების შესაბამისობას, შესაძლებელია სახელმწიფომ ჩაატაროს გამოძიება, დაადგინოს ქმედების ამსრულებელი პირი და გამოიყენოს კიდევ მის მიმართ სანქცია, თუმცა, თუ გამოყენებული სანქცია არ არის ჩადენილი დანაშაულის პროპორციული, ევროსასამართლო აუცილებლად გაამახვილებს მასზე ყურადღებას და დაადგენს დარღვევას. მაგალითად, 2015 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში, საქმეზე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“,<sup>496</sup>

<sup>494</sup> სახალხო დამცველის ანგარიში, სამართალდამცავთა პოზიტიური ვალდებულებები დაუცველი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის დაცვის მხრივ, 2021, 6.

<sup>495</sup> A and B v. Georgia, [2022], ECHR, 49.

<sup>496</sup> Identoba and Others v. Georgia, [2015], ECHR.



საქართველო არ არის ყველა იმ საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულების ხელმომწერი ქვეყანა, რომელიც დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ იბრძვის, თუმცა, განვითარების ის გზა, რომელმაც საქართველო გახადა მთელი რიგი დოკუმენტის მონაწილე, მოითხოვს სახელმწიფომ პრევენციულად იზრუნოს ყველაზე პროგრესული და ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული სამართლებრივი პრინციპების დაკმაყოფილებაზე, ცვლილებების განხორციელებაზე, სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე და შემდგომ შესაბამისი ხელშეკრულების რატიფიცირებაზე. არსებული შიდა რეგულირების და მექანიზმების გაუმჯობესებაში უდიდესი წვლილი შეაქვთ საერთაშორისო სასამართლოების/კომიტეტების მიერ კონკრეტულ საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, ამ კუთხით საქართველოსთან მიმართებით მნიშვნელოვან განმარტებებს და რეკომენდაციებს იძლევა ორი ასეთი საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმი - ევროსასამართლო და CEDAW კომიტეტი. ეფექტიანი გამოძიების წარმოების ფარგლებში სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება სრულყოფილად შეისწავლოს მომხდართან დაკავშირებული ყველა საეჭვო ფაქტი თუ გარემოება, ეს ვალდებულება არ გულისხმობს დამნაშავის აუცილებლად იდენტიფიცირებას ან შეუწყნარებლობის მოტივის აუცილებლად გამოკვეთას. აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში სახელმწიფო ყველა შესაძლო ღონისძიებას მიმართავს ჭეშმარიტების დასადგენად. შესაძლებელია გამოძიების ფარგლებში შეუწყნარებლობის მოტივი სრულიად გამოირიცხოს და რა თქმა უნდა ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ დაარღვია ეფექტიანი გამოძიების წარმოების ვალდებულება. მთავარია გამოიკვეთოს, რომ სახელმწიფომ ობიექტურად ყველა კანონიერი შესაძლებლობა გამოიყენა საკითხის სრულყოფილად შესასწავლად და გამოსადიებლად.

---

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების შუალედური რეზოლუცია CM/ResDH(2025)31, ჯგუფი იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 2025, 6 მარტი, <[https://search.coe.int/cm/#{%22CoEIdentifier%22:\[%220900001680b499f5%22\],\[%22sort%22:\[%22CoEValidationDate%20Descending%22\]}](https://search.coe.int/cm/#{%22CoEIdentifier%22:[%220900001680b499f5%22],[%22sort%22:[%22CoEValidationDate%20Descending%22]})> [უკანასკნელად გადამოწმდა: 12.07.2025].

საერთაშორისო სამართლის პრინციპების, სამართლებრივი მექანიზმების (კომიტეტების, საერთაშორისო სასამართლოების) და მიღებული გადაწყვეტილებების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე აუცილებელი მახასიათებელი, რომელთა არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება გამოძიების ეფექტიანობის შეფასება, მათ შორის არის: დროულობა („ამ კუთხით სასამართლო ითვალისწინებს გამოძიებების დაწყების, ჩვენებების დაგვიანებით მიღების შემთხვევებსა და წინასწარი გამოძიების ხანგრძლივობას.“<sup>500</sup>), დამოუკიდებლობა,<sup>501</sup> ადეკვატურობა,<sup>502</sup> ოპერატიული,<sup>503</sup> ყოველმხრივობა.<sup>504</sup> აღნიშნული გარემოებების არარსებობის პირობებში შეუძლებელი იქნება ამ კატეგორიის დანაშაულზე ჩატარებული გამოძიება შეფასდეს, როგორც ეფექტური. სტანდარტი, რომელიც ითვალისწინებს გამოძიების დროულობას, დამოუკიდებლობას, ოპერატიულობასა და ყოვლისმომცველობას, გულისხმობს იმ შემთხვევასაც, როდესაც აუცილებელი არ არის, რომ სახელმწიფომ დაამტკიცოს კონკრეტული სიძულვილის მოტივის არსებობა, თუმცა, გულისხმობს ყველა შესაძლებლობის გამოყენებას საქმის სრულყოფილად შესასწავლად.

თითოეული სახელმწიფო, აღებული პასუხისმგებლობის ფარგლებში, ვალდებულია შეასრულოს ის მინიმალური მოთხოვნები, რაც ეფექტური გამოძიების სტანდარტის დაკმაყოფილებისთვის არის აუცილებელი.<sup>505</sup> ამისთვის სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის

---

<sup>500</sup> Aghdgomelashvili and Japaridze v. Georgia, {2021}, ECHR, 37; Bouyid v. Belgium, {2015}, ECHR, 116-123; Mocanu and Others v. Romania, {2014}, ECHR, 323; 97; members of the Gldani congregation of Jehovah's Witnesses and 5 others v. Georgia, {2007}, ECHR, 97.

<sup>501</sup> Armani Da Silva v. the United Kingdom, {2016}, ECHR, 232.

<sup>502</sup> Ramsahai and Others v. the Netherlands, {2007}, ECHR, 324.

<sup>503</sup> Giuliani and Gaggio v. Italy {2011}, ECHR, 305.

<sup>504</sup> იხ.: ბალავაძე მ., ხურციძე დ., „გამოძიების ეტაპზე დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთის ვალდებულება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით“, სტატიათა კრებული: „ადამიანის უფლებათა დაცვა, პანდემია და სამართლის უზენაესობა“, თბ., 2021, გვ. 185-195.

<sup>505</sup> Stoica v. Romania, {2009}, ECHR, 67.

მოტივით ჩადენილი დანაშაულისთვის პირის პასუხისმგებლობის მატერიალურ საფუძველს შექმნის და უნდა გააჩნდეს სათანადო პოლიტიკური ნება, რათა დაგეგმოს და განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები ამ დანაშაულების თავიდან ასაცილებლად, ჩადენის შემთხვევაში კი სათანადო გამოძიების და სამართალწარმოების ჩასატარებლად. საერთაშორისო ხასიათის სამართლებრივი დოკუმენტების რატიფიცირებას, ძალაში შესვლას და შემდგომ ამ დოკუმენტების აღმასრულებელი უწყებების (კომიტეტების თუ სასამართლოების) მიერ გადაწყვეტილებების მიღებას უდიდესი გავლენა აქვს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების, შუალედური თუ შემაჯამებელი გადაწყვეტილებების შინაარსის განსაზღვრისთვის და დასაბუთებისთვის, ასევე სხვადასხვა პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისთვის.

ყველა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი და მისი აღმასრულებელი ორგანო მოითხოვს სახელმწიფოსგან პოლიტიკური ნების გამოვლენას - სამართლებრივი ინსტიტუტები არ ითხოვენ გარკვეული რიცხობრივი რაოდენობის პატიმრების ყოლას, ან სიძულვილის მოტივ გამოვლენილ ათეულ თუ ასეულ საქმეს, მთავარი მოთხოვნა არის ის, რომ სახელმწიფომ ყველა სამართლებრივი და კანონიერი ბერკეტი გამოიყენოს იმისთვის, რომ პირველი - მოახდინოს ამ კატეგორიის ქმედებების პრევენცია, თავიდან აცილება, მეორე - პრევენციის შეუძლებლობისა და დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დაადგინოს ჭეშმარიტება, გამოიძიოს ჩადენილი დანაშაულის მოტივი იყო თუ არ იყო სიძულვილი, ფაქტის დადგენის შემდგომ კი დამნაშავის მიმართ გამოიყენოს სამართლებრივი მექანიზმები - შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე შეუფარდოს სათანადო სასჯელი/საჩქცია. სწორედ ეს არის ის მთავარი ღონისძიებები რაც უნდა განახორციელოს სახელმწიფომ, რათა ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ჩაითვალოს და უზრუნველყოს თანასწორუფლებიანობის, უსაფრთხოების და კანონიერების პრინციპების დაცვა.

## დასკვნა

დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის თავიდან აცილება და მასზე ეფექტიანი რეაგირება საჭიროებს გამართული ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბებასა და სისტემური გამოწვევების გათვალისწინებით, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას.

საქართველოს კანონმდებლობა ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის არასრულყოფილ, თუმცა, საკმაოდ ქმედით ბერკეტებს ითვალისწინებს, რომლებიც საჭიროებს დახვეწა-გაუმჯობესებას საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების და შესაბამისი სამოქმედო პოლიტიკის (policy for action) შემუშავების გზით.

საქართველოს საკანონმდებლო რეგულირების შეფასებისა და არსებული პრაქტიკული საკითხების შესწავლის და ანალიზის საფუძველზე, შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს არა მხოლოდ ამ კატეგორიის დანაშაულზე გამოძიების ხარისხის გაუმჯობესებას, არამედ, დაზარალებულთა მიმართ სახელმწიფოს მხარდამჭერი რეაგირების ადეკვატურ, ყოვლისმომცველ უზრუნველყოფას და საზოგადოებრივი ცნობიერების და ინფორმირებულობის გაზრდას. ამ მიზნით, აუცილებელია შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებების, ზოგადი და სტრატეგიული, ასევე პროფესიულ და ინსტიტუციურ განვითარებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების შესრულება.

### **საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები:**

1. დისკრიმინაციის ნიშნების - „გენდერის“ და „გენდერული იდენტობის“ საკანონმდებლო სივრცეში დაბრუნება და მათ სახელდებით მითითება დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალში - იმ მდგომარეობით, რომელიც არსებობდა 2025 წლის 2 აპრილის ცვლილებებამდე;
2. ვინაიდან მოქმედი სსკ ყველა დანაშაულისათვის არ ითვალისწინებს დისკრიმინაციულ მოტივს დამამძიმებელ გარემოებად ან ქმედების შემადგენლობის ნაწილად, გამოძიებისას საკანონმდებლო

თვალსაზრისით ვერ ხერხდება ამ კატეგორიის ყველა დანაშაულის ჩადენისას მოტივზე მითითება (მაგალითად პირის ცემა წოდებრივი მდგომარეობის გამო - დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 126-ე მუხლით). ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში დანაშაულის შემადგენლობა მოიცავს დისკრიმინაციულ მოტივს და რთულდება მისი გამიჯვნა სხვა მომიჯნავე დანაშაულებისაგან, შესაბამისად, ხარვეზების აღმოსაფხვრელად აუცილებელია:

2.1. სსკ-ს დაემატოს ზოგადი შინაარსის 11<sup>2</sup> მუხლი, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობას დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულისათვის, კერძოდ:

„მუხლი 11<sup>2</sup>. პასუხისმგებლობა დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისთვის

1. დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია პირის რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის, პოლიტიკური ან სხვ შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის გამო.

2. დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით.“;

ამასთან, აღნიშნული მუხლის არსებობა ხელს შეუწყობს სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებას და დამუშავებას;

2.2. დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნების იმ მუხლებიდან იმ ქვეპუნქტების ამოღება, რომლებიც ამ ნიშანს ითვალისწინებს როგორც დანაშაულის დამამძიმებელ, მაკვალიფიცირებელ გარემოებას და ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, კერძოდ:

სსკ-ის 109-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით“;

სსკ-ის 115-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით“;

სსკ-ის 117-ე მუხლის მესამე ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით“;

სსკ-ის 126-ე მუხლის მეორე ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით“;

სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით“;

144<sup>3</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით“; 258-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით“;

ამასთან, სსკ-ის 109-ე მუხლიდან ამოღებულ იქნას „თ“ ქვეპუნქტი, ასევე სსკ-ის 117-ე მუხლის მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნას „კ“ ქვეპუნქტი.

დამამძიმებელი გარემოება - „დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით“ - დაფარავს დისკრიმინაციის ნებისმიერ ნიშანს, ამასთან, ცვლილებით მოხდება დისკრიმინაციის ნიშნების მხოლოდ

ერთ - ზოგად მუხლში თავმოყრა და მასზე, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებაზე მითითება ამ მოტივით სსკ-ით გათვალისწინებული ნებისმიერი განზრახი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში;

3. სსკ-ით გათვალისწინებულ იმ დანაშაულებში, რომლებიც ქმედების შემადგენლობად ითვალისწინებს დისკრიმინაციის ნიშანს შევიდეს ცვლილება სასჯელის ნაწილში და ამ დანაშაულებისთვის გათვალისწინებული სასჯელის მინიმალური ვადა განისაზღვროს იმგვარად, რომ ის შესაბამისობაში მოვიდეს სსკ-ის 53<sup>1</sup> მუხლით დადგენილ სტანდარტთან - გამორიცხავდეს სასჯელის სახით ერთი წლისა და 6 თვის ვადაზე ნაკლები ვადით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას;

4. ცვლილება შევიდეს სსკ-ის 53<sup>1</sup> მუხლში და ის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. დანაშაულის ჩადენა დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, არასრულწლოვნის მიმართ ან მისი თანდასწრებით, განსაკუთრებული სისასტიკით, იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისთვის.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას, დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

3. თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილში მითითებულია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებაზე, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანზე, აგრეთვე ამ კოდექსის 55-ე მუხლით ან 63-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესი.“;

5. სსსკ-ში განხორციელდეს შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებები:

5.1. ცვლილება შევიდეს სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილში რომელიც საერთაშორისო სტანდარტების და ქართული კონტექსტის მხედველობაში მიღებით, გაითვალისწინებს სიძულვილის მოტივის ინდიკატორების სახელდებით და ღია („და სხვა გარემოებაზე“ მითითებით) ჩამონათვალს. მტკიცებულების ცნების ზოგადი, უნივერსალური ჩარჩოს ადაპტირება კონკრეტულ შემთხვევებზე - მათ შორის დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ ტიპის დანაშაულების ეფექტიან გამოკვლევას და მტკიცების პროცესის სრულყოფილად განხორციელებას, შესაბამისად:

„კანონით დადგენილი წესით დაზარალებულთან, ბრალდებულთან, დანაშაულის ჩადენის დროსთან და ადგილთან ანდა სხვა საკითხთან დაკავშირებული, სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, მათ შორის მოტივებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი, მოტივი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, მათ შორის მოტივებს, რომლებიც გავლენას ახდენს

ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.“

5.2. შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორს მიეცეს შესაძლებლობა, დაესწროს მოწმისა და დაზარალებულის სასამართლოში დაკითხვას და მათი მონაწილეობით მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესს სასამართლო სხდომებზე. ამასთან, დაზარალებულის უფლებებში დაემატოს უფლება - მოითხოვოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვა მართლმსაჯულების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე;

5.3. სსსკ-ის 220-ე მუხლში შევიდეს ცვლილება, რომელიც წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს მისცემს უფლებამოსილებას ალბათობის მაღალი ხარისხის მტკიცებითი სტანდარტის არარსებობის შემთხვევაში განჩინებით შეძლოს კვალიფიკაციის ცვლილება - დამამძიმებელი გარემოების (მათ შორის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის) ამორიცხვა ბრალიდან და საქმის ისე გადაცემა არსებითი განხილვისთვის. შესაბამისად

219-ე მუხლის მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თუ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა, ან არ იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დანაშაული დამამძიმებელ გარემოებებში ჩაიდინა - წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განჩინებით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას

სრულად, ან იმ ნაწილში, რომელიც არ დასტურდება ალბათობის მაღალი ხარისხის მტკიცებულებებით. განჩინება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 5 დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში. მოსამართლე საჩივარს ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე განიხილავს. წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განჩინების გაუქმების შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია საქმეს უბრუნებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმის მიღებიდან 5 დღის ვადაში უბრუნველყოფს წინასასამართლო სხდომის გამართვას ამ კოდექსის 220-ე მუხლით გათვალისწინებული საკითხების გადასაწყვეტად.

6. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელდეს ცვლილება, რომელიც შესაძლებელს გახდის პირის პასუხისმგებლობის დამამძიმებას სამართალდარღვევის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენის შემთხვევაში, კერძოდ:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 35-ე მუხლს (ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი) დაემატოს შემდეგი შინაარსის მეშვიდე ნაწილი:

„სამართალდარღვევის ჩადენა პირის რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, რწმენის ან აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, პროფესიის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით.“

საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების პარალელურად აუცილებელია სამოქმედო პოლიტიკის (policy for action) შემუშავება.

საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწის, ამ კატეგორიის მსხვერპლთა ეფექტიან დაცვისა და მართლმსაჯულების სისტემისადმი საზოგადოების ნდობის გაძლიერების და მტკიცების პროცესის დროს არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, აუცილებელია სახელმწიფომ განახორციელოს ზოგადი და სტრატეგიული მნიშვნელობის, ასევე პროფესიულ და ინსტიტუციურ განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები, კერძოდ:

**ზოგადი საზოგადოებრივი და სტრატეგიული მნიშვნელობის რეკომენდაციები:**

- 1. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და დისკრიმინაციულ სტერეოტიპებთან ბრძოლა** - აუცილებელია საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების დაძლევა განათლების, საინფორმაციო კამპანიებისა და ტოლერანტობის ამაღლებაზე ორიენტირებული ღონისძიებების მეშვეობით, რასაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორს შორის კოორდინაციის გაძლიერება და ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვა - განხორციელება;
- 2. ადამიანის უფლებათა ეროვნულ სამოქმედო გეგმაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების და ღონისძიებების სათანადო სახით გათვალისწინება** - აუცილებელია აღნიშნული სამოქმედო გეგმა უზრუნველყოფდეს სისტემური, კოორდინირებული და მდგრადი ზომების განხორციელებას, რაც აუცილებელია როგორც პრევენციისთვის, ისე არსებული დისკრიმინაციული პრაქტიკების დაძლევისთვის. აღნიშნული სახელმწიფოს მისცემს შესაძლებლობას უფრო თანმიმდევრულად და შედეგზე ორიენტირებულად დაგეგმოს მოქმედებები, გააძლიეროს უწყებათაშორისი თანამშრომლობა და უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში რეალური პროგრესის მიღწევა;
- 3. ამ დანაშაულის დაზარალებულთა დაცვის/მხარდაჭერის მექანიზმების და სერვისების შექმნა, არსებულის გაძლიერება** - მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ უზრუნველყოს დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი

დანაშაულის დაზარალებულთა ფსიქოლოგიური, იურიდიული და სოციალური მხარდაჭერა. ამისთვის საჭიროა დაზარალებულზე ორიენტირებული სერვისების შექმნა და ხოლო არსებულის (მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური) გაუმჯობესება და გაძლიერება;

**4. სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი** - აუცილებელია სახელმწიფო უწყებების მიერ დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე სეგრეგირებული სტატისტიკის შეგროვების არსებული მოდელის დახვეწა და გაუმჯობესება, რომელიც შესაძლებელს გახდის მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანალიზის საფუძველზე შემდგომი პრევენციული პოლიტიკის განხორციელებას;

**5. დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის გამომწვევი მიზეზების კვლევა და პრევენციული სამუშაო გეგმის შემუშავება** - დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების თავიდან აცილებისა, ხოლო ჩადენის შემთხვევაში მასზე რეაგირების გასაუმჯობესებლად აუცილებელია განისაზღვროს მათი გამომწვევი რისკ-ფაქტორები, საფუძველები და ის გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის ამ დანაშაულზე ეფექტიან სამართალწარმოებას, შემდგომ კი ამ ანალიზის დოკუმენტზე დაყრდნობით შემუშავდეს მიზნობრივი პრევენციული პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნულ პროცესში აუცილებელია ყველა უწყების (საგამომიებო, საპროკურორო და სასამართლო) მიერ კოორდინირებული და ერთობლივი სამუშაოების განხორციელება;

**6. მკაცრი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, ეთიკური და დისციპლინური მექანიზმების გაძლიერება** - სახელმწიფომ უნდა გამოავლინოს პოლიტიკური ნება და განახორციელოს მკაცრი პოლიტიკა დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ, ამასთან, მკაცრი და შეუწყნარებელი პოლიტიკა გაატაროს მართლმსაჯულების განმახორციელებელი უწყებების წარმომადგენელ

იმ პირთა მიმართ, რომლებმაც სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს გამოიყენეს სიძულვილის ენა ან ჩაიდინეს სიძულვილით მოტივირებული ადმინისტრაციული გადაცდომა თუ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული;

**პროფესიულ და ინსტიტუციურ განვითარებაზე ორიენტირებული რეკომენდაციები:**

1. მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მონაწილე პირთა პროფესიული განვითარება - დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი გამომიება საჭიროებს არა მხოლოდ სამართლებრივი მექანიზმების სრულყოფას, არამედ სამართალდამცავთა ცნობიერების ამაღლებას, რათა მათ შეეძლოთ დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების იდენტიფიცირება, ადეკვატურად კვალიფიცირება, მტკიცებულებების მოპოვება, ბრალის წარდგენა და განაჩენის გამოტანა შესაბამისი სტანდარტების დაცვით. ამ მიზნით აუცილებელია სამართალდამცავი უწყებების ყველა რგოლის წარმომადგენლის განგრძობადი და სისტემური გადამზადება, რაც მოიცავს როგორც ამ დანაშაულების იდენტიფიცირების უნარების განვითარებას, ისე დისკრიმინაციისა და სტერეოტიპული დამოკიდებულებების წინააღმდეგ ბრძოლას, ამასთან აუცილებელია გადამზადება განხორციელდეს ერთიანი მეთოდოლოგიით;
2. სპეციალიზებული სტრუქტურების ჩამოყალიბება - შინაგან საქმეთა სამინისტროში, გენერალურ პროკურატურასა და სასამართლო სისტემაში უნდა შეიქმნას სპეციალიზებული ერთეულები ან ჯგუფები, რომელთა მთავარი სამსახურეობრივი მოვალეობა იქნება დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე სამართალწარმოება. ამასთან, მნიშვნელოვანია არსებობდეს გამომიების პროცესის ხარისხზე მონიტორინგის ერთიანი სისტემა,

რომელიც შემუშავებული იქნება საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე და უზრუნველყოფს აღნიშნული სტანდარტების დაცვას;

**3. სპეციალიზირებული სახელმძღვანელო წესების და სამუშაო დოკუმენტების შემუშავება შიდა მოხმარებისთვის** - საგამოძიებო და საპროკურორო უწყებების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა, ასევე, საზღვარგარეთის საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის და ანალიზის, საერთო სასამართლოების შემთხვევაში კი საზღვარგარეთის საუკეთესო პრაქტიკის და ეროვნული განაჩენების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, შემუშავდეს შიდაუწყებრივი გაიდლაინები და რეკომენდაციები. აღნიშნული დოკუმენტები ხელს შეუწყობს ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, ორმაგი სტანდარტების აღმოფხვრას, ორაზროვნების თავიდან აცილებასა და სამართალწარმოების პროცესის გამართულობას;

არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად აუცილებელია სახელმწიფომ გამოავლინოს პოლიტიკური ნება და უზრუნველყოს კოორდინირებული მოქმედება, როგორც სახელმწიფო უწყებებს შორის, ისე არასამთავრობო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან. აღნიშნული ერთიანი და მიზანმიმართული ძალისხმევა ხელს შეუწყობს სამართლებრივი და პრაქტიკული ზომების ეფექტიან განხორციელებას და შექმნის თავისუფალ გარემოს, სადაც ყველას ექნება თანასწორი უფლებები და შესაძლებლობები, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

## ბიბლიოგრაფია

### ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მეხუთე გამოცემა, რედ.: ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ., 2024;
2. აქუბარდია ი., დაცვის ხელოვნება, თბ., 2011;
3. ბალავაძე მ., ხურციძე დ., „გამომიების ეტაპზე დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთის ვალდებულება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით“, სტატიათა კრებული: „ადამიანის უფლებათა დაცვა, პანდემია და სამართლის უზენაესობა“, თბ., 2021;
4. ბოხაშვილი ი., წინასასამართლო სხდომა სისხლის სამართლის პროცესში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, 2017;
5. ბოხაშვილი ი., საპროცესო შეთანხმების პრაქტიკული ასპექტები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, 2023, №1;
6. ბრაჭველი ს., გეგელია თ., გელაშვილი თ., მელაძე გ., სისხლის სამართლის მოქმედების ფარგლები, თბ., 2021;
7. გაბისონია ი., გაბელაია ჯ., დარსანია თ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, თბ., 2018;
8. გაბუნია მ., დანაშაულობის პრევენციის კრიმინოლოგიური ასპექტები, 2019, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №2 (62) 19;
9. გელოვანი ნ., „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი, 2020 (ოქტომბერ-დეკემბერი) წლის ანგარიშის ანალიზი“, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, 2022, 8 (2);
10. გელოვანი ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისთვის პირის პასუხისგებაში მიცემისთვის საკმარისი მტკიცებულებათა ერთობლიობა და ამ მოტივის მნიშვნელობა სასჯელის განსაზღვრის დროს, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, 2022, 8(4);
11. გელოვანი, ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული ქართულ სისხლის სამართალში, 2022, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №2 (74) 22;
12. გელოვანი ნ., „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული და ამ კატეგორიის დანაშაულზე ეფექტიანი სამართალწარმოების დამაბრკოლებელი გარემოებები“, სტატიათა კრებული: „ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება“, 2022;
13. გელოვანი, ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცების პროცესი და სტანდარტები, 2023, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №1 (77) 23;

14. გელოვანი, ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ინდიკატორები, 2023, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №4 (80) 23;
15. დვალაძე ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008;
16. დვალაძე ი., ხარანაული ლ., თუმანიშვილი გ., წიქარიშვილი კ., ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართალი კოდექსის მიხედვით, თბ., 2019;
17. თუმანიშვილი გ., დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, №1, 2009;
18. თოდუა ნ., ივანიძე მ., აქუბარდია ი., ხერხეულიძე ი., სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, თბ. 2020;
19. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014;
20. თუმანიშვილი გ., ბრალდება და მისგან გადახრა სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, №1, 2016;
21. ივანიძე მ., რელიგიური დანაშაულები ძველი ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით, 2010, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №3 (26) 10;
22. კიკნაძე დ., სამართლის ცოდნა და მართლშეგნება, ჟურნალი “მაცნე”, სამართლის სერია, 1993;
23. კორკელია კ., სიცოცხლის უფლების დაცვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველო, თბ., 2025;
24. კოჭლამაზაშვილი ბ.ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვის თავისებურებანი სასამართლოში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, №2, 2017;
25. კოჭლამაზაშვილი ბ., მხარის მიერ თავისი მტკიცებულების სადავოდ გახდომისა და გამოკვლევის შესაძლებლობა სისხლის სამართლის პროცესში, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, 2023, №3 (79);
26. ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019;
27. ლეონენკო ტ., რელიგიური სიძულვილის ან ქიშპობის, როგორც დანაშაულებრივი ქმედებების პიროვნული მოტივაციის არსი, შინაარსი და მისი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა, 2014, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №2 (41) 14;
28. მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), თბ., 2014;

29. მსხილაძე ლ., სასამართლოს როლი სასჯელის განსაზღვრისას, 2018, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №1 (57) 18;
30. მსხილაძე ლ., მტკიცების სტანდარტი ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე, 2023, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №1 (77) 23;
31. ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011;
32. ნაჭყებია გ., ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ., 2010;
33. ნიპარიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებული გაჭიანურება, 2019, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №3 (63) 19;
34. ნიპარიშვილი ბ., არჩევანი ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემისა და დუმილის უფლებებს შორის, 2019, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №1 (65) 20;
35. ოშხარელი მ., მტკიცების არსი სისხლის სამართლის პროცესში და მისი მნიშვნელობა, 2018, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №1 (57) 18;
36. ოშხარელი მ., წინასასამართლო სხდომის არსი და ადგილი სისხლის სამართლის პროცესის სტადიათა სისტემაში, 2020, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №4 (68) 20;
37. სტროგოვიჩი მ.ს., სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 1948;
38. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლექტივი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., 2015;
39. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, წიგნი I, ნაწილი პირველი, მერვე გამოცემა, რედ.: თოდუა ნ., თბ., 2023;
40. Sotiriadis, KJ 2014;
41. ტატიშვილი მ., მოწმის იმუნიტეტის სისხლის სამართლის პროცესში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, №1, 2019;
42. ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010;
43. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011;
44. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013;
45. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, ტომი III-IV-ე, თბ., 1998;
46. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 2006;
47. ფაფიაშვილი ლ., დაზარალებულის პოზიციის გავლენა მართლმსაჯულების განხორციელებაზე (ოჯახში ძალადობის საქმეები), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, №1, 2024;
48. ყუშიტაშვილი მ., მტკიცების პროცესის სუბიექტების პრობლემატიკა სისხლის სამართლის პროცესში, 2018, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №2 (58) 18;

49. ჩომახაშვილი ქ., თომაშვილი თ., ძებნიაური გ., ოსეფაშვილი გ., პატარიძე მ., მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, ფონდი: „ღია საზოგადოება - საქართველო“ თბ., 2016;
50. ცეციტიშვილი თ., მოტივი და მისი მნიშვნელობა სისხლის სამართალში, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2021;
51. ჭიკაძე მ., ჯოჯუა ი., არაპირდაპირი მტკიცებულებები – გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი?!, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, თბ., №2, 2023;
52. ხაჭვანი თ, შეჯიბრებითობის პრინციპი (შედარებითი ანალიზი), 2012, სამართლის ჟურნალი - „მართლმსაჯულება და კანონი“, №2 (33) 12;
53. ჯალაღანია ლ., სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კონცეფცია და მისი რეგულირების მექანიზმები, სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2019;
54. ჯიშკარიანი ბ., „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები“ გერმანულ სისხლის სამართალში, სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2019.

#### უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა:

1. Berk, R. A., Boyd, E. A., & Hammer, K. M. (2003). Thinking more clearly about hate-motivated crimes. In B. Perry (Ed.), *Hate and bias crime: A reader* (pp. 123–15);
2. Brudholm, T. 2020. What is hate? In R. Sternberg (Ed.), *Perspectives on hate: How it Originates, develops, manifests and spreads*, American Psychological Association;
3. Cogent Social Sciences, Volume 7, Issue 1, Understanding hate (crime), Jennifer Schweppe. "What is a hate crime?", *Cogent Social Sciences*, 2021 <<https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/23311886.2021.1902643?scroll=top&needAccess=true#abstract>>;
4. Frederick, Bruce, and Stemen, Don. 2012. *Anatomy of Discretion: An Analysis of Prosecutorial Decision Making—Summary Report*. NY: Vera Institute of Justice;
5. Iganski, P. (2008). *Hate Crime and the City*;
6. Haynes, A., & Schweppe, J. 2017a. *LGB and T? The specificity of anti-transgender hate crime*. In A. Haynes, J. Schweppe, & S. Taylor (Eds.), *Critical perspectives on hate crime: Contributions from the Island of Ireland*, Palgrave Macmillan;
7. Hörnle, Tatjana, *Tatproportionale Strafzumessung*, 1999;
8. Hall, N. (2013). *Hate crime* (2nd ed.);
9. Jenness, Valerie, and Grattet, Ryken. 2001. *Making Hate a Crime: From Social Movement to Law Enforcement*. New York: Russell Sage Foundation;
10. Karen Hughes, the criminalization of female genital multinarion in the united states, 4 J.L POL'Y 321. 1995;
11. OSCE Ministerial Council, Decision No. 9/09 on Combating Hate Crimes;
12. OSCE Ministerial Council, Athens, 2009;
13. OSCE/ODIHR (2010) *Hate Crime Caws a Practical Guide*, ODIHR Publishing, Warsaw, Poland, 2009;

14. OSCE/ODIHR, Prosecuting Hate Crimes A Practical Guid, 2014, Warsaw;
15. OSCE/ODIHR, Hate Crime Reporting, <<https://hatecrime.osce.org/>>;
16. OSCE/ODIHR, Hate Crime Reporting, <<https://hatecrime.osce.org/>>;  
<<https://www.osce.org/files/f/documents/7/7/579391.pdf>>;
17. OSCE/ODIHR, Understanding Hate Crimes A Handbook for Ukraine, 2015, Warsaw, Poland, <https://www.osce.org/files/f/documents/4/9/208176.pdf>
18. OSCE/ODIHR, Using Bias Indicators: A Practical Tool for Police, 2019, [https://www.osce.org/files/f/documents/8/9/419897\\_0.pdf](https://www.osce.org/files/f/documents/8/9/419897_0.pdf)
19. OSCE/ODIHR, Hate Crime Prosecution at the Intersection of Hate Crime and Criminalized ‘Hate Speech’ A PRACTICAL GUIDE, Warsaw, 2024, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/>;
20. Perry, B. (2001). In the Name of Hate;
21. Perry, B., & Alvi, S. (2012). ‘We are all vulnerable’. International Review of Victimology, 18(1), 57;
22. Policy Press, Paterson, J., Walters, M. A., Brown, R., & Fearn, H. 2018, The sussex hate crime project: Final report, University of Sussex;
23. See Lu-in Wang, “The Complexities of Hate”, Ohio State Law Journal, Vol. 60, 1999;
24. Streissguth, Hate Crimes, 2003;
25. Stephen D Johnson, Bryan D Byers, Attitudes toward hate crime laws, Journal of Criminal Justice, May–June 2003;
26. Study Requested by the LIBE committee, Hate speech and hate crime in the EU and the evaluation of online content regulation approaches, Policy Department for Citizens’ Rights and Constitutional Affairs Directorate-General for Internal Policies, 2020;
27. Right to education: the cultural dimensions of the right to education, or the right to education as a cultural right Report of the Special Rapporteur on the right to education, Koumbou Boly Barry, 2021, A/HRC/47/32, 76, a, <<https://docs.un.org/en/A/HRC/47/32>>;
28. Ryan D. King, Besiki L. Kutateladze, A higher bar: Institutional impediments to hate crime prosecution, Published online by Cambridge University Press: 01 January 2024;
29. Wolfe, L., & Copeland, L. 1994. Violence against women as bias-motivated hate crime: Defining the issues in the USA. In M. Davies (Ed.), Women and violence, Zed Books;

**საქართველოს კანონმდებლობა და შიდაუწყებრივი აქტები:**

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
4. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, დოკუმენტის ნომერი: 4007-რს;
5. 2018 წლის 4 მაისის საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ;

6. 2021 წლის 22 ივნისის საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ;
7. საქართველოს კანონი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ, 2003;
8. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 27.06.2014;
9. საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;
10. 2019 წლის 19 თებერვლის საქართველოს კანონი - „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, დოკუმენტის ნომერი: 4281-III;
11. 2020 წლის 15 ივლისის საქართველოს კანონი - „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, დოკუმენტის ნომერი: 6877-რს;
12. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ განმარტებითი ბარათი, 2014;
13. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ;
14. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, მიღების თარიღი: 02.04.2025, დოკუმენტის ნომერი: 431-IIმს-XIმპ;
15. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 02.04.2025;
16. საქართველოს კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ, 28.05.2024;
17. საქართველოს კანონი უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი, 02.04.2025, №399-IIმს-XIმპ;
18. საქართველოს კანონი საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ, დოკუმენტის ნომერი №3772-Is;
19. საქართველოს კანონი საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტის ნომერი №763-III;
20. საქართველოს კანონი საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტის ნომერი №5925-Is;
21. საქართველოს კანონი საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტის ნომერი №3772-Is;
22. გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონი;
23. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონი;

24. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი;
25. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი;
26. საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის წესები;
27. საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს №3 ბრძანება - სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო და ტერიტორიული საგამომიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ;
28. შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ;
29. საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს №3 ბრძანება - სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო და ტერიტორიული საგამომიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ;
30. საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება №038 – „საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“, 26.08.2020, დოკუმენტის ნომერი - 038;
31. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, 12.07.2018. დოკუმენტის ნომერი №79;
32. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 23 დეკემბრის №47 ბრძანება;
33. საქართველოს ორგანული კანონი - „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, დოკუმენტის ნომერი - 693-IIმს-XIმპ.

**საერთო სასამართლოების განაჩენები/განჩინებები:**

**პირველი ინსტანცია:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 5 თებერვლის №118/2430-25 განჩინება;
2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 13 დეკემბრის №1-865/24 განაჩენი;
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 7 დეკემბრის №10ა/7009 განჩინება;
4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 25 სექტემბრის №1-1324/24 განაჩენი;
5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 13 თებერვლის განაჩენი;
6. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 30 იანვრის №1-9/24 განაჩენი;
7. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 12 დეკემბრის №1-1727/23 განაჩენი;
8. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 17 ნოემბრის №28246 განჩინება;

9. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 25 აპრილის №1-443/23 განაჩენი;
10. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 17 მარტის №1-1416/22 განაჩენი;
11. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 აპრილის განაჩენი;
12. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 17 მარტის №1-130/23 განაჩენი;
13. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 21 ნოემბრის №1-1387/22 განაჩენი;
14. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 26 ოქტომბრის №1-904/22 განაჩენი;
15. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 მაისის №1-484/22 განაჩენი;
16. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 12 აპრილის №1-277/22 განაჩენი;
17. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 15 თებერვლის №1-75/22 განაჩენი;
18. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 მარტის განაჩენი;
19. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 21 ივლისის №1-779/22 განაჩენი;
20. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 18 ოქტომბრის №1/3643-21 განაჩენი;
21. ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2021 წლის 7 აპრილის №1-172/21 განაჩენი;
22. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 21 სექტემბრის 1-937/21 განაჩენი;
23. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 01 აპრილის განაჩენი;
24. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 25 აგვისტოს განაჩენი;
25. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 5 თებერვლის განაჩენი;
26. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 24 სექტემბრის №1/3392-20 განაჩენი;
27. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 18 ნოემბრის №1/3128-20 განაჩენი;
28. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 5 ნოემბრის განაჩენი;
29. ბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 3 ნოემბრის №1/1518-20 განაჩენი;
30. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 30 დეკემბრის განაჩენი;
31. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 05 სექტემბრის განაჩენი;
32. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 29 ნოემბრის №1/273-18 განაჩენი;
33. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2018 წლის 20 დეკემბრის №1/49-18 განაჩენი;
34. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 18 სექტემბრის №1/3333-18 განაჩენი;

35. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 31 იანვრის განაჩენი საქმეზე №1/1354-16;
36. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 4 დეკემბრის განაჩენი საქმეზე №1/4595-17;
37. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 მაისის №1/2290-16 განაჩენი.

**მეორე ინსტანცია:**

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2023 წლის 21 ნოემბრის №1გ/1625/23 განჩინება;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 18 იანვრის №1გ/79-17 განჩინება;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 20 ოქტომბრის №1გ/1614-16 განჩინება;
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 16 სექტემბრის განჩინება №1გ/1389;
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 30 აპრილის №1გ/522 განჩინება;
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 22 აპრილის განჩინება №1გ/730-16;
7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის №1/ბ-139-13 განჩინება.

**მესამე ინსტანცია:**

1. საქართველო უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 13 მარტის განაჩენი საქმეზე №959აპ-23;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 29 იანვრის განჩინება საქმეზე №1005აპ-23;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2კ-379აპ-23;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №856აპ-23;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-247-235-2017;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 25 მაისის განაჩენი საქმეზე N493აპ-14.

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:**

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე - თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის

- პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე;
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის №2/5/658 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
  3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
  4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №1/8/594 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
  5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/1/548 „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
  6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
  7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ;
  8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №4/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
  9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“;
  10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
  11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის №2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

### **სახალხო დამცველის და სხვა სახელმწიფო უწყებების ანგარიშები:**

1. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2021;
2. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2022;
3. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2023;
4. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2024;
5. თანამშრომლობის მემორანდუმი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ, 2020;
6. თემატური მოკვლევის ანგარიში „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბულის კონვენცია) ვალდებულებების კანონმდებლობაში ასახვის და მათი აღსრულების ეფექტიანობის შესახებ - საქართველოს პარლამენტი, 2022;
7. საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება ვიტალი საფაროვის სისხლის სამართლის საქმეზე;
8. სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე, 2018;
9. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 2019;
10. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება, 2019;
11. სახალხო დამცველის ანგარიში - სამართალდამცავთა პოზიტიური ვალდებულებები დაუცველი ჯგუფების თანასწორობის დაცვის მხრივ, 2021;
12. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 სპეციალურ ანგარიში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“;
13. სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიშზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, 2022;
14. სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ, 2021;
15. სახალხო დამცველის 2021 წლის ოქტომბრის კომუნიკაცია იდენტობის ჯგუფის საქმეების შესახებ; სახალხო დამცველის ანგარიში, „ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში“, 2021;

16. სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“, 2022;
17. სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022;
18. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში - საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023;
19. სახალხო დამცველის 2023 წლის 19 თებერვლის კომუნიკაცია იდენტობის ჯგუფის საქმეების შესახებ;
20. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში თანასწორობის მდგომარეობის შესახებ №9, 2024;
21. სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, 2024;
22. სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის ანგარიშზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ ( მიმდინარე საქმეები), 2024;
23. სახალხო დამცველის 2024 წლის ოქტომბრის კომუნიკაცია თხელიძის ჯგუფის საქმეების შესახებ;
24. საქართველოს პროკურატურა, 2024 წლის საქმიანობის ანგარიში, 2025;
25. საქართველოს პროკურატურა, 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, 2024;
26. საქართველოს პროკურატურა, 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, 2023;
27. რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულები - 2022-2024 წლები, საქართველოს პროკურატურა;
28. საქართველოს უზენაესი სასამართლო, კვლევისა და ანალიზის ცენტრი, დისკრიმინაცია, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები და სიძულვილის ენა საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, 2019;
29. შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების ანალიზი, 2023 წელი, საქართველოს პროკურატურა.

**ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები:**

1. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში პროკურატურის წინაშე არსებული გამოწვევები, 2020;
2. მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, ფონდი: „ღია საზოგადოება - საქართველო“ თბ., 2016;

3. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თანასწორობა ჩვენი უფლებაა და უნდა იყოს ჩვენი მომავალი, ქალთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, 2022;
4. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის კვლევა „რასობრივი გამორჩევა საქართველოში, საპოლიციო სისტემაში ეთნიკური უმცირესობებისა და მიგრანტების მიმართ არსებული პოლიტიკა და პრაქტიკა“, 2021;
5. უფლებები საქართველო, „მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლება სოციალურ მედიაში და მისი შესაბამისობა საერთაშორისო და ადგილობრივ კანონმდებლობასა და სამოსამართლო ეთიკის სტანდარტებთან“, 2021;
6. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) მიერ განხორციელებულ კვლევაში - „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტი პირთა მიმართ გამოწვევები და პერსპექტივები“, 2016;
7. ჯალაღანია ლ., ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის შესახებ“, 2017.

**საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და დოკუმენტები:**

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950;
2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948;
3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950;
4. გაეროს კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1966;
5. კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1979;
6. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, 1998;
7. სასამართლო ხელისუფლების შეუვალობის განმამტკიცებელი სასამართლო სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები, 2002;
8. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო, დასკვნა №3, 2002;
9. ევროკავშირის მიერ 2008 წლის 28 ნოემბრის მიღებული ჩარჩო გადაწყვეტილება №2008/913/JHA;
10. ევროპის მინისტრთა საბჭოს 2009 წლის (9/09) გადაწყვეტილება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის შესახებ;
11. ევროპული პარლამენტის და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა №2012/29/EU;
12. ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, მოხსენება საქართველოს შესახებ, 2016;
13. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2021 წლის 2 დეკემბრის №73235/12 გადაწყვეტილება;

14. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, 2022;
15. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რეკომენდაციის დანართი - პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები სიძულვილის ენასთან ბრძოლის ყოვლისმომცველი მიდგომის შესახებ, 2022; გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN) ქალთა მიმართ ძალადობის კვლევა საქართველოში 2022;
16. ევროპის საბჭო, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანალიზი, საანგარიშო პერიოდი 2021-2022, 2023;
17. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2025 წლის 4-6 მარტის №73235/12 გადაწყვეტილება;
18. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების შუალედური რეზოლუცია CM/ResDH(2025)31, ჯგუფი იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 2025, 6 მარტი;
19. ვენეციის კომისია. სასწრაფო მოსაზრება კანონზე უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ, 2024, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2024)013-geo>;
20. ვენეციის კომისია. მოსაზრება კანონის პროექტზე ოჯახური ფასეულობებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, 2024, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2024)021-geo>;
21. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, 2011;
22. პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1960;
23. Council of Europe, European Commission against Racism and Intolerance (ECRI), General Policy Recommendation (GPR) No. 4 On the National Surveys on the Experience and Perception of Discrimination and Racism from the Point of View of Potential Victims, 06/03/1998;
24. Council of Europe, Recommendation CM/Rec(2024)4 of the Committee of Ministers to member States on combating hate crime, 2024;
25. Council of Europe, Policing Hate Crime against LGBTI persons: Training for a Professional Police Response, 2025;
26. European Commission, Measuring Discrimination – Data Collection and EU Equality Law, 2006;
27. Explanatory Memorandum of the Recommendation CM/Rec(2010)5, document CM(2010)4 add3 final, 31 March 2010;
28. Recommendation CM/Rec(2010)5 of the Committee of Ministers to member states on measures to combat discrimination on grounds of sexual orientation or gender identity;

29. Understanding the difference The initial police response to hate crime, 2018.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის გადაწყვეტილებები:

1. Barbera v. Spain, {1988}, ECHR;
2. Vidal v. Belgium, {1992}, ECHR;
3. Edwards v. the United Kingdom, {1992}, ECHR;
4. A. v. the United Kingdom, {1998}, ECHR;
5. Telfner v. Austria, {2001}, ECHR;
6. Willis v. the United Kingdom, {2002}, ECHR;
7. Sergey Shevchenko v. Ukraine, {2006}, ECHR;
8. Davtani v. Georgia, {2006}, ECHR;
9. Nachova and Others v. Bulgaria, {2006}, ECHR;
10. Patsuria v. Georgia, {2007}, ECHR;
11. Members of the gldani congregation of jehovah's witnesses and 5 others v. Georgia, {2007}, ECHR;
12. Ramsahai and Others v. the Netherlands, {2007}, ECHR;
13. Stoica v. Romania, {2009}, ECHR;
14. Lisica v. Croatia, {2010}, ECHR;
15. Davydov and Others v. Ukraine, {2010}, ECHR;
16. Ehlukidze and Girgvliani v. Georgia, {2011}, ECHR;
17. Giuliani and Gaggio v. Italy {2011}, ECHR
18. Milanovic v. Serbia, {2011}, ECHR;
19. B.S. v. Spain, {2012}, ECHR;
20. Mudric v. The republic of Moldova, {2013}, ECHR;
21. Begheluri and Others v. Georgia, {2014}, ECHR;
22. Mocanu and Others v. Romania, {2014}, ECHR;
23. T.M. and C.M. v. the Republic of Moldova, {2014}, ECHR;
24. Bouyid v. Belgium, {2015}, ECHR;
25. Identoba and Others v. Georgia, {2015}, ECHR;
26. X and Y v. Georgia, {2015}, CEDAW;
27. Balázs v. Hungary {2015}, ECHR;
28. Armani Da Silva v. the United Kingdom, {2016}, ECHR;
29. Tsartsidze and other v. Georgia, {2017}, ECHR;
30. Grigoryan and Sergyeva v. Ukraine, {2017}, ECHR;
31. Škorjanec v. Croatia, {2017}, ECHR;
32. Aghdgomelashvili and Jafaridze v. Georgia, {2020}, ECHR;
33. Mikeladze and Others v. Georgia, {2021}, ECHR;
34. Women's initiatives supporting group and others v. Georgia, {2021}, ECHR;
35. Tkheidze v. Georgia, {2021}, ECHR;
36. Khanum Jeyranova v. Georgia, {2021}, CEDAW.
37. A and B v. Georgia, {2022}, ECHR;
38. Ochigava v. Georgia, {2023}, ECHR;

39. Vladimer Mtchedlishvili v. Georgia, {2023}, ECHR.

**შედარებული ქვეყნების კანონმდებლობა და ანგარიშები:**

1. შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსი;
2. ხორვატიის სისხლის სამართლის კოდექსი;
3. ნორვეგიის სისხლის სამართლის კოდექსი;
4. დიდი ბრიტანეთის სისხლის სამართლის კოდექსი;
5. შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო, ეროვნული უსაფრთხოების კვლევა 2022;
6. შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების დამუშავება. გამოძიების და დევნის გადაწყვეტილებები გამოვლენილი სიძულვილის დანაშაულის მოტივით 2013–2016 და 2018 წლებში, 2021;
7. შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო, ანტისემიტური სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულები, 2019;
8. შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო, ისლამოფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, 2021;
9. შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო, 2022, სიძულვილის დანაშაულები ციფრულ გარემოში;
10. შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო, სიძულვილის დანაშაულების მიმართ თვითშეტყობინებების მოწყვლადობის ანალიზი ეროვნული უსაფრთხოების 2006–2017 წლების კვლევის საფუძველზე;
11. ხორვატიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო <<https://mup.gov.hr/>>;
12. National frameworks to address hate crime in the United Kingdom, <<https://tinyurl.com/ycryvxc>>;
13. Hate Crime Report, 2018-19, Crown Prosecution Service Delivering justice, <<https://bit.ly/3XOuuWW>>;
14. Hate crime, England and Wales, 2016/17;
15. Hate crime, England and Wales, 2021 to 2022, <<https://bit.ly/3D61K44>>;
16. National frameworks to address hate crime in the United Kingdom, <<https://tinyurl.com/ycryvxc>>;
17. Hate crime statistics, 2024;
18. CPS Hate Crime Newsletter 29, October 2021, <<https://bit.ly/3Ws940S>>;
19. Hate crime recording and data collection practice across the EU, 2018, <<https://bit.ly/3J5HVh6>>;
20. Combating hate crimes, <<https://bit.ly/3ZShdP2>>;
21. Hate crime data collection in Croatia - <<https://hatecrime.osce.org/croatia?year=2019>>;
22. hate crimes targeting LGBTI people in the Nordic countries, a survey of strategies, methods and initiatives, 2021, <chrome-extension://efaidnbmninnibpcjpcglclefindmkaj/https://www.gu.se/sites/default/files/2024-09/Hate-%20Crimes-Targeting-LGBTIpeople.pdf>;

23. National frameworks to address hate crime in Norway, <<https://hatecrime.osce.org/norway>>;
24. Committee on the Elimination of Racial Discrimination, <<https://www.ohchr.org/en/treaty-bodies/cerd/introduction>>;
25. Human Rights Committee, <<https://www.ohchr.org/en/treaty-bodies/ccpr>>;
26. ამერიკის ადამიანის უფლებათა კომისია, <<https://www.oas.org/en/iachr/>>;
27. ამერიკის ადამიანის უფლებათა სასამართლო.

**ინტერნეტ წყაროები:**

1. რადიო თავისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, 23.12.2024. <<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/33250263.html>>;
2. ტელეკომპანია რუსთავი 2-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, 16.11.2020. <<https://rustavi2.ge/ka/news/182312>>;
3. არასრულწლოვანის შესაძლო ქორწინების იძულების ფაქტზე დედის მიმართ გამოყენებულ იქნა პატიმრობა - <<https://pog.gov.ge/news/prokuraturam-qorwinebis-iZulebis-factze-arasrulwlovani-gogonas-dedas-braldeba-warudgina>>;
4. გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის გამო ჩადენილი შესაძლო დანაშაულისთვის გამოყენებულ იქნა პატიმრობა <<https://www.radiotavisupleba.ge/a/30145827.html>>;
5. ოჯახის წევრის მიმართ გენდერის ნიშნით და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი შესაძლო განზრახ მკვლელობისთვის გამოყენებულ იქნა პატიმრობა - <<https://pog.gov.ge/news/prokuraturam-meurlis-gansakuTrebuli-sisastikiT-mkvleobis-factze-dakavebuls-braldeba-warudgina>>;
6. სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, 04.12.2023, <<https://socialjustice.org.ge/ka/products/sotsialuri-samartlianobis-tsentri-samira-bairamovas-solidarobas-utskhadabs>>;
7. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური, <<https://pog.gov.ge/news/mowmisa-da-dazaralebulis-koordinatoris-samsaxuri>>; მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური, <<https://pog.gov.ge/news/mowmisa-da-dazaralebulis-koordinatoris-samsaxuri>>;

8. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური, <<https://pog.gov.ge/coordinator-of-the-witness-and-victim>>; მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური, <<https://pog.gov.ge/coordinator-of-the-witness-and-victim>>;
9. შინაგან საქმეთა სამინისტრო, <<https://police.ge/ge/parlamentma-motsmisa-da-dazaralebulis-koordinators-samsakhuris-shesakheb-kanonproeqti-daamtkitsa/14739>>;
10. საქართველოს პროკურატურა <<https://pog.gov.ge/policy>>;
11. ი. ლარიბაშვილის განცხადება, <<https://www.facebook.com/TVFormula/videos/1409320152770600>> ;
12. ბექა ოდიშარიას განცხადება ნატალია საბანადის გამოსვლასთან დაკავშირებით <<https://www.interpressnews.ge/ka/article/802257-beka-odisharia-tvals-vadevnebdikongresshi-mosmenas-dadilamde-qurshichamesmoda-hashen-kikutumani-dagaixadegaixades-sulgaqidulmadamianebrmlebic-itxoven-sakartvelos-sakutari-tanamemamuleebisdasankcirebas/>>;
13. ირაკლი ბერიას განცხადება თეონა აქუბარდიასთან დაკავშირებით, ასევე, ალუდა ლუდუშაურის განცხადება ანა წითლიძესთან დაკავშირებით, <<https://tabula.ge/ge/news/709557-ghudushauri-citlidzes-parchaki-bandzi-adamiani><, <<https://tabula.ge/ge/news/709566-beraia-akubardiazegrdzeli-qvelgan-namqopi-enit>>;
14. ჟურნალისტის არმენოფობიური შეკითხვები მამუკა ხაზარაძეს - <<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9D/33158966.html>>;
15. ლ. ვასაძის განცხადება <<https://netgazeti.ge/news/372545/>> <<https://bit.ly/2o9s36p>>;
16. Pyramid of hate, <<https://www.queensu.ca/hreo/resources/antisemitism/pyramid-hate>>;
17. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომა, <<https://www.parliament.ge/media/news/iuridiul-sakitkhta-komitetma-prokuraturis-shesakheb-organul-kanonshi-tsvlilebis-shetanis-taobaze-kanonproekti-pirveli-mosmenit-ganikhila>>;
18. „კოალიცია თანასწორობისთვის“ განცხადება, 28.02.2025. <<https://www.facebook.com/share/p/1AhUaXR2YF/>>.